

რუსულიდან თარგმნა
მარინე ამბარდნიშვილმა

არქტიკისა და ციმბირის ხალხთა ზღაპრები

თბილისი 2011 წელი.

ესკიმოსური ზღაპრები

თაგვი ვუვილტუ

მელია თაგვ ვუვილტუს გამოეკიდა . ვუვილტუმ ირბინა,ირბინა და რომ დაინახა მელია უკვე ეწეოდა მაშინვე მაღალ ქვაზე აცოცდა. ვუვილტუ ქვაზე იჯდა და შიშისგან კანკალებდა. მელია კი ქვასთან წამოწვა და იცდიდა, თუ თაგვს ქვაზე ჯდობა როდის მობეზრდებოდა და მიწაზე როდის ჩამოვიდოდა.

„სჯობს შიმშილით მოვკვდე, ვიდრე მელიას ლუკმა გავხდე, თავს უნდა ვუშველო“, - გაიფიქრა ვუვილოტუმ. ვუვილტუმ იფიქრა, იფიქრა ,მელია როგორ მოეტყუებინა და მოიფიქრა. ქვაზე ხტოდა და მღეროდა:

-პი-პი-პი! პი-პი-პი!

-რატომ გამხიარულდი?-ჰკითხა მელიამ.

-ვხედავ, რომ მშვილდოსანი მონადირეები მოდიან !

-მერე შენ რა,თუ აქ მოვლენ?-ჰკითხა მელიამ.

-ისინე ამ ქვასთან როცა მოდიან, კოცონს ანთებენ და სადილობენ. იქნებ რაიმე შემხვდეს კიდეც.-უთხრა ვუვილტუმ.

-მონადირეები ამ ქვასთან ყოველთვის სხდებიან?-შეფიქრიანდა მელია.

-კი, აქ, სადაც შენ ზიხარ,-მიუგო ვუვილტუმ.

-იცი რა, ჩემი სადილობის დროცაა. წავალ, ვითევზავებ,-უთხრა მელიამ, ადგა და წყნარად წავიდა, მერე კი მოუსვა. ასე გაიქცა მელია ტუნდრაში. ვუვილტუ კი ქვიდან გამობტა და ამღერდა:

-პი-პი-პი ! პი-პი-პი ! მონადირეებზე ყველაფერი მოვიგონე ! ამბობენ კი, რომ მელიაზე ცბიერი ნადირი არ არის !

ბუმბერაზი მაირახპაკი

ასე ამბობენ, რომ ერთხელ ხუთი გოგონა ტუნდრაში წავიდა. ისინი ბუმბერაზმა მაირახპაკმა დაინახა, დაეწია და კამლეიკაში ჩაისვა. გოგოებს შეეშინდათ და ატირდნენ. ბუმბერაზი ხესთან მივიდა და უბრძანა:

-ხეო, დაიხარე!

ხე დაიხარა, მაირახპაკმა გოგოები კამლეიკით ხის კენწეროს მიამაგრა და უბრძანა:

-ხეო, აიწიე !

ხე გაიმართა. ბუმბერაზმა გოგოები ხეზე დატოვა, თვითონ კი წავიდა.ამ დროს იქვე შორიახლოს დათვმა გაიარა. გოგოებმა დაუძახეს:

-დათვო! კარგო! ხიდან მოგვხსენი !

-არ მოგხსნით! როცა ჩვენ საჭმელს ვეძებთ, თქვენი მონადირეები გვხოცავენ! -მიუგო დათვმა და წავიდა.

-ცუდი ხარ ! -დაუმახეს გოგოებმა.

ახლოს ყორამნა ჩაუფრინათ. გოგოებმა მასაც სთხოვეს:

-ყორანო! საყვარელო! ხიდან მოგვხსენი !

-არ მოგხსნით! როცა საჭმლის ნარჩენებისთვის თქვენთან მოვფრინდებით, რასაც გინდათ იმას გვესვრით, -მიუგო ყორანმა და გაფრინდა.

შორიახლოს მელიამ გაირბინა. გოგოებმა მასაც სთხოვეს:

-მელია, კეთილო, ხიდან მოგვხსენი!

მელიას გოგოები შეეცოდა, ხესთან ახლოს მივიდა და ჰკითხათ:

-მანდ როგორ ახვედით?

-მაირახპაკმა მიგვაბა. ხეს დახრა უბრძანა, მერე გასწორება.

-ხეო დაიხარე ! -უბრძანა მელიამ.

ხე დაიხარა, მელიამ კამლეიკა* გახსნა და იქიდან ოთხი გოგო გამოვიდა, მეხუთეს სახელოში ისე დასძინებოდა, რომ მეგობრებმა ვერ გააღვიძეს. გოგოებმა კამლეიკა კენკრით გაავსეს, თვითონ კი გაიქცნენ.

ამ დროს მაირახპაკი ბრუნდებოდა და თან თავის დიდ დანას ლესავდა... ხესთან მივიდა და უბრძანა:

-ხეო, დაიხარე!

როცა ხე დაიხარა, მაირახპაკმა კამლეიკის ერთი სახელო გაჭრა და იქიდან კენკრები გადმოცვივდა.

-ო-ო-გაუხარდა ბუმბერაზს

მეორე სახელოც გაჭრა და გოგონას ნეკი დაუზიანა. გოგონა კამლეიკიდან გამოვარდა, შეეშინდა და ატირდა:

-ოღონდ არ მომკლა და გემსახურები, სანთლებს აგინთებ.

-კარგი, -დაეთანხმა მაირახპაკი.

გოგონას ხელი ჩაჰკიდა და სახლში წაიყვანა. ტანსაცმელი გახადა, დახია და გადაყარა. ასე დარჩა გოგონა მიწურში ბუმბერაზთან ერთად. ერთხელ გოგონამ სთხოვა:

-ზეზია, სასეირნოდ გამიშვი!

-რას ჩაიცმევ? არც კუხლიანკა* გაქვს და არც ტორბასები*.

-შენს კუხლიანკას და ტორბასებს ჩავიცმევ.

მაირახპაკმა გოგონა გარეთ გამოუშვა და იარანგის* ბოძზე მიაბა, რათა არ გაქცეულიყო. გოგონამ შორს ქვიშრობზე ორი კაცი დაინახა და ამღერდა:

შორს ორ კაცს ვხედავ,

ისინი აქეთ მოდიან,

ერთს ხელში მშვილდი უჭირავს,

მეორეს-ისარი !

ბუმბერაზს გოგონას ხმა მოესმა და ჰკითხა:

-შვილო, რაზე მღერი?

-არაფერზე, ჩემს ძმებს ნოგიაკს და მიტილიუკას ვიხსენებ.

ამ დროს გოგონას ის ორი კაცი მიუახლოვდა. ისინი მისი ძმები იყვნენ. გოგონა აუშვეს

და მასთან ერთად გაიქცნენ. მაირახპაკმა დაუძახა:

-შვილიკო! შვილიკო !

მაგრამ არავინ ეპასუხებოდა. მაშინ იარანგიდან* გამოვიდა და გაქცეულები დაინახა. ბუმბერაზი გამოეკიდა და დაუძახა:

-მიფრთხილდით! დაგეწევით და ყველას შეგჭამთ!

და ბუმბერაზი სულ ახლოს იყო, როცა ძმებმა გოგონას უთხრეს:

-დაიკო! მაირახპაკმა თითი გაგიჭრა, ალბათ შენც უკვე გრძნეული ხარ, რაიმე მოიმოქმედე!

გოგონამ ქვა აიღო, გზაზე დადო და ზედ ნეკი გადაუსვა და უცებ ქვა მაღალ, მიწვდომელ კლდედ გადაიქცა, მაგრამ მაირახპაკი კლდეზე ავიდა, მერე ქვემოთ დაეშვა და გაქცეულებს დაედევნა.

-დაიკო! რაიმე მოიმოქმედე!-უთხრეს ძმებმა გოგონას.

გოგონამ გაჭრილი თითი გზაზე გაატარა და ამ ადგილას მდინარე გაჩნდა.

მაირახპაკმა დაუყვირა:

-შვილიკო! შვილიკო! მდინარე როგორ გადავლახო?

-მდინარიდან წყალი დალიე!-მიუგო გოგონამ.

და ბუმბერაზი მდინარის სმას შეუდგა. სვამდა, სვამდა და სულ დალია. მუცელი გაებერა და გაუსკდა.

*კამლეიკა - ჩითის ან ტილოს ქსოვილისაგან შეკერილი კაპიუმონიანი ბალახონი, რომელსაც ბეწვის ტანსაცმელზე იცვამენ წვიმისა და თოვლისგან დაცვის მიზნით.

*კუხლიანკა - ირმის ტყავისგან შეკერილი ზედა ტანსაცმელი.

*ტურბასა - ირმის ტყავისგან შეკერილი ჩექმები.

*იარანდა - ესკიმოსებისა და ჩუქჩების გასაშლელი კარავი, რომელიც ირმის ტყავებითაა დაფარული.

როგორ მოიპოვეს ნადირ-ფრინველმა მზე

ერთხელ ბოროტმა სულელებმა - ტუნგაკებმა ტუნდრის ცხოველებს მზე მოსტაცეს და ამიტომ ნადირ-ფრინველი წყვდიადში ცხოვრობდა და საჭმელს დიდი წვალეებით მოიპოვებდა. გადაწყვიტეს დიდი კრება მოეწვიათ. ნადირ-ფრინველთა ყოველი გვარიდან თითო წარგზავნილი მოვიდა. ბებერმა ყორანმა, რომელსაც ყველა ბრძენად თვლიდა, თქვა :

- ფრთოსანნო და ბეწვიანო ძმებო ! ასეთ წყვდიადში როდემდე ვიცხოვრებთ? მოხუცებისგან მსმენია, რომ ჩვენს სიახლოვეს, მიწისქვეშეთში ტუნგაკები ცხოვრობენ. მათ ჩვენ სინათლე წაგვართვეს. ტუნგაკებს თეთრი ქვის ჭურჭელში დიდი მანათობელი ბურთი აქვთ შენახული. ამ ბურთს მზეს ეძახიან. ტუნგაკებს თუ ამ ბურთს მოვტაცებთ, მაშინ დედამიწა განათდება. მე, ბებერი ყორანი გირჩევთ, რომ ამ საქმეზე ყველაზე ძლიერი და დიდი - მურა დათვი გააგზავნოთ ...

- დათვი! დათვი ! - დაიძახეს ნადირ-ფრინველმა.

იქვე ბებერი, გამოყრუებული ბუ ნარტას* აკეთებდა. როცა ხმაური მოესმა, იქვე მყოფ პატარა ჩიტს-წივწივას ჰკითხა:

-ნადირ-ფრინველნი რაზე კამათობენ?

-მზის დასაბრუნებლად დათვი უნდა გააგზავნონ, რადგან ის ყველაზე ძლიერია, - მიუგო წივწივამ.

-ამაო მათი მცდელობა. გზაზე დათვი რაიმე სასუსნავს შეხვდება და ყველაფერი დაავიწყდება. მზეს ვერ დავიბრუნებთ,-თქვა ბუმ.

ნადირ-ფრინველს ბუს ნათქვამი მოესმათ და დაეთანხმნენ. მაშინ ბებერმა ყორანმა ურჩიათ :

-მგელი გავგზავნოთ, ის დათვის მერე ყველაზე ძლიერი და ფეხმარდია.

-მგელი ! მგელი ! - დაიყვირეს ცხოველებმა.

-რას ყვირიან ?-იკითხა ისევ ბუმ.

-გადაწყვიტეს მგელი გააგზავნონ,-უთხრა წივწივამ.

-ამაოდ ცდილობენ. მგელი ირემს დაინახავს და მზე სულ დაავიწყდება . ნადირ-ფრინველმა ბუს ნათქვამი გაიგო და დაეთანხმნენ. უცებ პატარა წრუწუნამ სიტყვა მოითხოვა :

-კურდღელი გავგზავნოთ, ყველაზე კარგი ხტუნიაა და მზის მოტაცება შეეძლება.

- კურდღელი ! კურდღელი ! კურდღელი !

- ნადირ-ფრინველი რაზე კამათობს? -ისევ ჰკითხა ყრუ ბუმ წივწივას.

- მზის მოსატაცებლად კურდღელი უნდა გააგზავნონ, რადგან საუკეთესო ხტუნიაა-ყურში ჩასძახა წივწივამ.

- მართალია, სწრაფი ხტუნიაა და შეხტომისას მზის მოტაცებას შესძლებს, თან არც წუწკია, გზაში ვერაფერი დააბრკოლებს - თქვა ბუმ.

აი, ასე აირჩიეს კურდღელი მზის მოსატაცებლად და ისიც ცოტა ხნის მერე გზას დაადგა.

იარა, იარა და ბოლოს შორს სინათლე შეამჩნია. კურდღელი სინათლეს მიუახლოვდა და დაინახა, რომ დედამიწის ვიწრო ნაპრალიდან მანათობელი სხივი გამოდიოდა. კურდღელმა ნაპრალში ჩაიხედა და დაინახა, რომ თეთრი ქვის დიდ ჭურჭელში ცეცხლოვანი ბურთი იდო და მისი კაშკაშა სხივები მიწისქვეშეთს ანათებდა. იქვე კუთხეში ირმის რბილ ტყავზე ტუნგაკები იწვნენ.

კურდღელი მიწისქვეშეთში ჩავიდა, ქვის ჭურჭლიდან ცეცხლოვანი ბურთი აიტაცა და ნაპრალიდან ამოხტა.

ტუნგაკები წამოხტნენ და კურდღელს დაედევნენ. კურდღელი მთელი ძალით მირბოდა, მაგრამ ტუნგაკები უკვე ეწეოდნენ, მაშინ კურდღელმა ცეცხლოვან ბურთს თათი დაჰკრა და ორად გაყო. ერთი დიდი იყო, მეორე - პატარა. კურდღელმა პატარა ბურთს თათი ძლიერ დაჰკრა და ის ცაში ავარდა და მთვარედ გადაიქცა. დიდს კურდღელმა თათი უფრო ძლიერ დაჰკრა და ისიც ცაში აიჭრა და მზედ გადაიქცა. დედამიწაზე უცებ განათდა.

მზის შუქით დაბრმავებული ტუნგაკები მიწისქვეშეთში დაიმაღლნენ და იქიდან აღარ გამოჩენილან. ნადირ-ფრინველი კი ყოველ გაზაფხულს კურდღლის სადიდებლად მზის დღესასწაულს აწყობდენ და სიხარულით ყვიროდნენ :

- ვაშა ! ჩვენს მზის მომტაცებელ კურდღელს !

*ნარტა - პატარა მარხილი

*ტუნგაკი - ავი სული.

მომღერალი კურდღელი

ერთხელ ერთი ახალგაზრდა მონადირე ტუნდრაში წავიდა, შორს ბაჭიებიანი კურდღელი დაინახა და ჩუმად მიეპარა. დედა კურდღელმა მონადირე შეამჩნია და ბაჭიწბს დაუყვირა:

-შვილებო, აქეთ, ჩემთან წამოდიო !

ბაჭიებმაც დედისკენ მოკურცხლეს. მონადირე კურდღლის ოჯახს კვალში ჩაუდგა. ის მათ დიდხანს მისდევდა და უკვე ახლოს იყო, რომ ადიდებული მდინარე დაინახა. მდინარეში კურდღლები ერთმანეთის მიყოლებით მიხტუნაობდნენ, სანამ მონადირემ მდინარესთან მიირბინა კურდღლებმა უკვე გადაცურეს და მეორე ნაპირზე პატარა გორაკს ამოეფარნენ. მონადირე დაღლილობისა და გულდაწყვეტილობისგან ლოდზე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა. ყველაზე პატარა ბაჭიამ გრძელი ყურები ამოყო და მონადირეს მიუმღერა :

კარგად ვისეირნეთ,

კარგად ვირბინეთ,

ეს აქაფებული მდინარე გადავცურეთ.

მონადირე დავამარცხეთ,
ლოდზე მწარედ ტირის,
წყლისგან შეშინებული,
ჭირის მომშორებელი !

ა-ია-ია-ნი-ია-ია

ა-ია-ია-ნი-ია-ნი-ია

ასე მღეროდა ბაჭია. მონადირეს კი მხოლოდ ის დარჩენოდა, რომ ისრები ჩაელაგებინა და სახლში ნანადირევის გარეშე დაბრუნებულიყო. ის კურდღლებს მშვილდით დაემუქრა:

-კურდღლებო ! სხვა დროს ვეღარ მომატყუებთ !

როგორ შეღებეს ერთმანეთი ყორანმა და ჭოტმა

ეს წინათ მოხდა. ჭოტი და ყორანი ერთად, თანხმობით და მეგობრულად ცხოვრობდნენ. საკვებს ერთად მოიპოვებდნენ და შუაზე ყოფდნენ. გაჭირვება რა იყო, არ იცოდნენ. დიდხანს იცხოვრეს, დაბერდნენ და ჭადარისგან თოვლზე მეტად გათეთრდნენ.

ერთხელ ჭოტმა ყორანს უთხრა:

- მოვხუცდით, ლამაზები არც ვიყავით. სხვა ფრინველებს ჭრელი სამოსი აქვთ, ჩვენ კი მხოლოდ მოკლე ზაფხულში ვჩანვართ.

- მართალია, არ ვჩანვართ, როცა თოვლზე ვზივართ,- მიუგო ყორანმა.

- მოდი, ერთმანეთი შევღებოთ,- შესთავაზა ჭოტმა, პირველად მე, მერე მე შენ შეგღებავ.

ყორანი დათანხმდა.

სანთლის შავი ღვეთი აიღო, კუდიდან ბუმბული გამოიძრო და ჭოტს უთხრა მომზადებულიყო. ჭოტი ქვაზე დაჯდა და ყორანმა ფრთხილად შეღებვა დაუწყო. ქვას ირგვლივ უვლიდა და სათითაოდ ბუმბულზე შავ ლაქებს ხატავდა, თან ფიქრობდა : - „შევეცდები გავალამაზო, ჩემს ნახელავს რომ ნახავს, მეც გამალამაზებს”.

ყორანი დიდხანს ხატავდა. ჭოტს ჯდომა მობეზრდა და გაიფიქრა : - „დამტანჯა

ყორანმა, მისი რიგი რომ დადგება უცებ დავხატავ. ”როგორც იქნა ყორანმა ჭოტი დახატა და უთხრა :

- ნახე როგორ გაგალამაზე! ახლა ნიავეზე გაშრი და მერე მე დამხატე. ჭოტი დათანხმდა. ნიავეზე დაჯდა და ყორანს უთხრა მომზადებულიყო. ყორანი ქვაზე დაჯდა. ჭოტმა უთხრა:

- არა, ქვასთან დაჯექი, მე სხვანაირად დავხატავ, თვალები დახუჭე და როცა გეტყვი, მაშინ გაახილე.

ყორანი ქვასთან დაჯდა და თვალები დახუჭა. ამ დროს ჭოტმა სასანთლე აიღო, შეანჯღრია და შავი ღვეთი ყორანს თავიდან კუდამდე გადაასხა. ყორანი ელვისებურად გაშავდა.

- ეხლა ნიავეზე გაშრი, მერე თვალები გაახილე და შენს თავს შეხედე. მართალია, უცებ შეგღებე, მაგრამ როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში ყველა შეგამჩნევს.

ყორანი ნიავეზე გაშრა, თვალები გაახილა და დაუყვირა:

- ეს რა გააკეთე ? გამაშავე, ახლა ყველა შორიდანვე შემამჩნევს, საკვებს როგორ მოვიპოვებ ?

- შენთვისთონ გინდოდა ლამაზი ყოფილიყავი,-მიუგო ჭოტმა.

ყორანს გული მოუვიდა.

- მე როგორ ვცდილობდი დამეხატე! ახლა შენ ლამაზმანი ხარ, მე კი გამაშავე. ჩემი შვილებიც შავები იქნებიან. წადი აქედან, ჭოტო, წადი!

ჭოტს შეეშინდა და შორს გაფვრინდა.

მას მერე ყორანი შავი გახდა, ჭოტი კი ჭრელი. ჭოტი ცდილობს ყორანს არ შეხვდეს, ეშინია.

იხვი და მელია

ერთხელ ეშმაკი მელია ზღვის ნაპირს მიუყვებოდა და ფიქრობდა:-, ჩემზე ჭკვიანი ნადირი არ არის, ჩემზე ეშმაკი ნადირი არ არის. ”

ზღვაში იხვები ცურავდნენ მელია დაინახეს და მისი გაცუცურაკება გადაწყვიტეს. უფროსმა იხვმა თქვა: -მმებო, მოდი ფრთებისგან ნავი გავაკეთოთ, შიგ ორ მწკრივად ჩავსხდეთ, დაე, მელიამი იფიქროს რომ ნავი მიცურავს. ასეც მოიქცნენ. ორ მწკრივად დასხდნენ, ფრთები გაშალეს, შუაში ნავით გამოვიდა, გვერდებზე კი ფრთა-ნიჩბები. მიცურავენ, უფროსი იხვი ხმამაღლა ყიყინებს:

-ერთი-ორი, ერთი-ორი! სწრაფად მოუსვით!

მელიას სიბერისაგან თვალით აკლდა. ზღვას გახედა და დაინახა, რომ ნავი მიცურავს, ნავში მენიჩბეები სხედან და ნიჩბებს შეწყობილად უსვამენ, მელია გაჩერდა და დაუყვირა:

-ე-ე-ი, მენიჩბეებო! ნაპირთანახლოს მოცურდით და ცამიყვანეთ! ნუთუ ვერ ხედავთ,

რომ დავიღალე?

იხვები ნაპირთან მიცურდნენ. მელია პირდაპირ ნავის შუაში ჩაჯდა, ყელი ამაყად მოიღერა, კუდი აპრიხა და სიამოვნებისგან თვალები მოწკურა. ნავი ნაპირთან სწრაფად გაცუდა... უცებ მელიას უფროსი იხვის ხმა მოესმა:

- აბა, ძმები, ხომ გაცურეთ, ახლა გავფრინდეთ !

ნელია აზრზე არ მოსულიყო, რომ წყალში აღმოჩნდა. გაიხედა და იხვები უკვე შორს იყვნენ. მელიამ ნაპირისაკენ გაცურა, თან ფიქრობდა: - ,, იხვებმა მომატყუეს, მზისქვეშეთში შემარცხინეს.”

მელია მძიმედ მიცურავდა, სველი კუდი ძირს ითრევდა, თან ამბობდა :

- ჩემო კუდო, ჩემო ლამაზო არ მიღალატო, მომეხმარე, რომ გავცურო !

კუდმა ნაპირისაკენ უმარჯვა. მელიამ ნაპირს ძვლივს მიაღწია, გორაკზე აძვრა და მზეს იეფიცხა. იხვებმა კი ტუნდრას შემოუფრინეს და ყველას მოუყვნენ, რომ მელია ზღვაში ბანაობდა.

მელია აქეთ-იქით იყურებოდა და დაინახა, რომ ირგვლივ ნაირ-ნაირი ნადირი მოგროვილიყო, დიდები და პატარები, უყურებდნენ და ეცინებოდათ :

- პატივცემულო მელია, არ მოგვიყვები იხვებმა ზღვაში როგორ გაბანავეს ?

მელია დაიფერთხა, სველი კუდი პირში იტაცა და სირცხვილისგან ტუნდრაში გაიქცა. მას მერე მელია ზღვის პირას სიარულს გადაეჩვია.

როგორ დაუბრუნა ადამიანმა ჩიტებს სიმღერა

სამი პატარა თოვლამეგზია მყუდრო ბუდეში ცხოვრობდა. დედა თოვლამეგზია ყოველდღე საკვებისთვის მიფრინავდა , ბარტყები კი ბუდეში ისხდნენ და მღეროდნენ. როგორც კი მზე ამოვიდოდა მაშინვე სიმღერას იწყებდნენ:

მზეო, მიწა სხივებით გაათბე,
რათა ბარტყებმა იმხიარულონ,
რათა თოვლამეგზიამ ბარტყებს სწრაფად
ჭიაღუა მოუტანოს.

ა-ია-გუ-ნა-ლია-ლია ! ა-ია-გუ-ნა-ლია-ლია !

თოვლამეგზიების სიმღერა შორს ისმოდა. ყორანმაც გაიგო, ბარტყებთან მივიდა და უთხრა:

- კარგად მღერით, კიდევ უფრო ხმამაღლა იმღერეთ!

ბარტყებმა თვალები დახუჭეს და მთელი ხმით ამღერდნენ. ყორანმა ბარტყებს ნისკარტით სიმღერა წაართვა და თავის ბუდისკენ გაფრინდა. მიფრინდა და ამღერდა:

მზეო, მიწა სხივებით გაათბე,

რათა თავგები სოროებიდან გამოძვრნენ,
რათა ყორნებმა თავის შავ ბახალეხს,
ნანადირევი სწრაფად მიუტანონ!

ა-ია-გუ-ნა-კარ-კარ ! ა- ია-გუ-ნა-კარ-კარ !

დედა თოვლამეგზია ბუდესთან მიფრინდა, ყორანი სადღაა გაფრინდა? იქით,
სხვამხარეს, ზღვასთან, კლდეებზე. დედა თოვლამეგზიამ ბარტყებს ჰკითხა; -შვილებო,
რატომ ტირით? ვინ გაწყენინათ?

-ყორანმას სიმღერა წაგვართვა,-უთხრეს აცრემლებულმა ბარტყებმა.

-აი, აი, აი, -შეწუხდა დედა თოვლამეგზია.

-ყორანი საით გაფრინდა?

-აი, იქით კლდეებისკენ

-არ იტიროთ, მე დახმარებისთვის ადამიანს, მშვილდისრიან კაცს დავუძახებ და ის
გვიშველის.

თოვლამეგზია მონადირესთან გაფრინდა. მიფრინდა, მიწურის ახლოს დაჯდა და კარებს
შეხედა.

მონადირემ დაინახა და ჰკითხა;

-კეთილო ადამიანო, შენ ყველაფერი შეგიძლია, დაგვეხმარე, ყორანმა სიმღერა
წაგვართვა.

მონადირე დაფიქრდა და უთხრა:

-კარგია თქვენი სიმღერა. მიყვარს დილით მისი მოსმენა. მაჩვენეთ ყორანი საით
გაფრინდა.

-ბუდე იმ კლდეებზე აქვს,-უთხრა დედა ჩიტმა.

მონადირემ მშვილდ-ისარი აიღო და კლდეებისაკენ გაეშურა, თოვლამეგზია მის კვალს
მიჰყვება. მონადირე კლდეს მიუახლოვდა. ყორანს თვალები მოეჭუტა და მღეროდა:

მზეო, მიწა სხივებით გაათბე,

რათა თავგები სოროებიდან გამოძვრნენ,

რათა ყორნებმა თავის ბალახებს

ბუდეში ნანადირევი სწრაფად მიუტანონ!

ა-ია-გუ-ნა-კარ-კარ! ა-ია-გუ-ნა-კარ-კარ!

„ბებერო მჩხავანა, ახლა მე ჰკუას გასწავლი,“ -გაიფიქრა მონადირემ და ყორანი მიზანში
ამოიღო. ყორანი კი ვერაფერს ამჩნევდა და არც ესმოდა. ნისკარტი გააღო, ენა გამოყო და
ამღერდა.

მონადირემ მშვილდი მოზიდა და ისარი გაისროლა. ისარი გაფრინდა და ყორანს
ნისკარტიდან ენის წვერთან ერთად სიმღერაც მოგლიჯა. სიმღერა კლდიდან ზღვაში
ვარდებოდა, რომ დედა თოვლამეგზიამ ჰაერში დაიჭირა და ბუდისაკენ თავის
ბარტყებთან გაფრინდა. ყორანმა სიმღერასთან ერთად ენის წვერიც დაკარგა. მას მერე
დამუნჯდა. ვერ მღერის, მარტო ჩხავის. თოვლამეგზიას ბარტყები კი მზის ამოსვლისას
ამღერდებიან ხოლმე:

მზეო, მიწა სხივებით გაათბე,

რათა ჩიტებმა იმხიარულონ,

რათა თოვლამეგზიამ ბუდეში ბარტყებს

ჰიაღუა სწრაფად მიუტანონ!

ა-ია-გუ-ნა-ლია-ლია! ა-ია-გუ-ნა-ლია-ლია!
აი, ასე მღერიან და კეთილ მონადირეს იხსენებენ, რომელმაც მათ სიმღერა დაუბრუნა.

ცნობისმოყვარე ბიჭი

ამბობენ, რომ ასე მოხდა. ერთმა პატარა ბიჭმა მოინდომა, რომ ყველაფერი სცოდნოდა. ზაფხულის ერთ თბილ დღეს მამამისი ნარტას აკეთებდა ბიჭი მიუახლოვდა და ჰკითხა:

- მამა, ნარტას ზაფხულში რატომ აკეთებ?
- იმიტომ, რომ ზაფხულში სანადირიროდ ტუნდრაში მივდივარ, -მიუგო მამამ.
- ტუნდრაში ვინ ცხოვრობს? -ჰკითხა ბიჭმა
- ტუნდრაში ცხოვრობენ: ირმები, მურა, დათვები, მგლები, სამურავები, მეღიები, ყარსალები სდა სხვადასხვანაირი პატარა ცხოველები და ფრინველები, -მიუგო, მამამ.
- რომელი პატარა ცხოველები და ფრინველები? -ჩაეძია ბიჭი.
- კურდღელი, ყარყუმი, თრია, თაგვი, თეთრი კაკაბი, ყვავი, თოლია, შოშია.
- ისინი რას ჭამენ? -ჰკითხა ბიჭმა.
- ირემი ხავსს-იაგელს ჭამს, მურა დათვები, ტუნდრაში კენკრას და სოკოს აგროვებენ და მდინარეებში თევზებს იჭერენ. მგლები და მგლები და სამურავები საშიში მტაცებლებია-ირმებზე ნადირობენ, მათ მელა და ყარსადიც არ ჩამორჩება. ისინიც მტაცებლებია და პატარა ცხოველებითა და ფრინველებით იკვებებიან, თუ კურდღელს შეხვდებიან, მისთვის დასასრული იქნება, - მიუგო მამამ.
- სხვა ცხოველები და ფრინველები რას ჭამენ? -ჰკითხა ბიჭმა.
- ეს შენ თვითონ გაუგე, ტუნდრაში წადი და გაიგე, ვინ როგორ ცხოვრობს და რას ჭამს. მამამ ბიჭს მშვილდ-ისარი გაუკეთა. ბიჭს გაუხარდა და ტუპდრაში წავიდა. იარა, იარა, და დიდ ტბასთან მივიდა. ტბის პირას პატარა იარანგა იდგა. კარებთან თოლია იჯდა, რომელსაც შავბოლოიანი ფრთები ჰქონდა.
- თოლია, თოლია, რითი იკვებები? -ჰკითხა ბიჭმა.
- კენ,კენ,კენ, მომიახლოვდი და ნახე რასაც ვჭამ, რას ვიმარაგებ, -უთხრა ჩიტმა. თოლიამ ნავაგა და პატარა თევზები გამოიტანა და სტუმარს გაუმასპინძლდა. ბიჭმა მიირთვა, მაღლიერებით თავი დაუკრა და გზა გააგრძელა. იარა, იარა, და ბუჩქნარს მიადგა. დიდ ბუჩქთან ტოტებისაგან საბუდარი იყო გაკეთებული და იქვე უკანა ფეხებზე კურდღელი ჩაცუცქულიყო და რაღაცას ღრღნიდა.
- კურდღელო, კურდღელო, რითი იკვებები? -ჰკითხა ბიჭმა.
- ხრუმ, ხრუმ, ხრუმ, ახალგაზრდა ბუჩქნარის ყლორტებითა და ქერქით. აი გასინჯე!
- ბიჭმა მწარე ყლორტი და ხმელი ქერქი გასინჯა და არ მოეწონა, გადააფურთხა, კურდღელს თავი დაუკრა და გზა გააგრძელა. იარა, იარა და თრიის სოროს

მიუახლოვდა. თრია კარებში იჯდა და პირში რაღაც ბალახი ეჭირა.

- თრია, რითი იკვებები? - ჰკითხა ბიჭმა.

- პიკ, პიკ, პიკ - ტკბილი ფესვებითა და ბალახებით,- აბა გასინჯე- უთხრა თრიამ და სტუმარს ლანგრით სავსე საჭმელი მიაართვა. ბიჭმა გასინჯა, არა უშავდა რა - ჭამა შეიძლებოდა, თავი დაუკრა და გზა გაარძელა. იარა, იარა და ყარყუმის ქვის სახლს მიადგა. კარებთან ყარყუმი იჯდა და წინ თავისა და შოშიისგან გაკეთებული კერძი ედო. გაკვირვებულმა ბიჭმა ჰკითხა:

- ყარყუმო, ყარყუმო, რითი იკვებები ?

-აი, ჩემი საჭმელი, მე ხომ პატარა მტაცებელი ვარ, - მიუგო ყარყუმმა.

- არ მინდა შენი საჭმელი და გზა გააგრძელა.

იარა, იარა და მალალ კლდეს მიაღწია, რომელზეც ყვავს ბუდე ჰქონდა გაკეთებული. მასთან ავიდა და ჰკითხა:

- ყვავო, ყვავო, რითი იკვებები?

- რაც შემხვდება, იმას ვჭამ. დღეს მკვდარი ძაღლი ვიპოვე და ამას ვჭამ.

- სადაგლობაა შენი საჭმელი, ტფუ, - უთხრა ბიჭმა და გზა გააგრძელა.

იარა, იარა და ბორცვს მიაღწია. ბორცვი მაღალი ბალახებით იყო დაფარული.

ბალახებში პატარა ბუდე შენიშნა. ბუდეში შოშია იჯდა და ლანგრიდან და რაღაცას კენკავდა.

- შოშია, შოშია, რას მიირთმევ?- ჰკითხა ბიჭმა.

- კვირტებს, სხვადასხვა ბალახის თესლს ვაგროვებ, აბა გასინჯე !

ბიჭმა ჩიტის საჭმელი მიირთვა, არა უშავდა რა, ჭამა შეიძლებოდა. შოშიას თავი დაუკრა და სახლისკენ გამობრუნდა. არ უნდოდა ტუნდრაში დიდ მხეცებს შეხვედროდა, რომლებიც თავის უფროსს ძმებს ჩაგრავენ.

ადამიანი და ყორანი

ცხოვრობდა ერთი ღარიბი კაცი - ემი. ცოლ - შვილი არ ჰყავდა, არც მშობლები. ერთხელ ტუნდრაში წავიდა. იარა, იარა და პატარა გორაკზე ნერპისოდენა* ბუჩქი დაინახა. „აღბათ ტკბილი ფესვი აქვს“, - გაიფიქრა ემამ და ფესვის ამოთხრას შეეცადა, მაგრამ გაუძნელდა. მერე ტანსაცმელი გაიხადა და ფესვს მთელი ძალით დაეჭიდა, ბუჩქმა გაიტკაცუნა და ფესვი ამოთხარა.

ემა დაიღალა და გადაწყვიტა დაესვენა. იქვე ხავსზე წამოწვა და დაეძინა. ცოტას თუ დიდხანს ეძინა, როცა გაეღვიძა ყორნების ჩხავილი მოესმა. თვალი გაახილა და დაინახა, რომ მის ირგვლივ ყორნები ისხდნენ და ადამიანის ენით ლაპარაკობდნენ. ერთმა თქვა:

- მოდი შევჭამოთ, ყოველდღე ხომ არ გვაქვს ასეთი ნადავლი?

- მოდი, დავიცადოთ, სანამ ჩვენი წინამძღოლი არ მოფრინდება, - თქვა მეორემ.

ამ დროს კიდევ ერთი ყორანი მოფრინდა და ემას მკერდზე დააჯდა. ეს ყორნების

წინამძღოლი იყო. პირველად ხელზე ჩაუნისკარტა. ემამ ტკივილისგან კინაღამ დაიყვირა, მაგრამ თავი შეიკავა, დაიცადა რა მოხდებოდა. ყორანმა ორივე ფეხი დაუკორტნა, ემა ისევ თავს იკავებდა. მაშინ წინამძღოლმა ყორნებს უთხრა:

- მე ადამიანს თვალებს ამოვკორტნი, თქვენ კი დანარჩენი შეჭამეთ.

ის იყო ყორანმა მარჯვენა თვალში ჩაუნისკარტა, რომ ემამ ყორანს ფეხებში ხელი სტაცა. დანარჩენი ყორნები შეშინდნენ და გაფრინდნენ. ემამ წინამძღოლს უთხრა

- შენ ჩემი თვალების ამოკორტნა გინდოდა. ახლა მე მოგკლავ.

- არ მომკლა ! მე ბრძენი ყორანი ვარ და შემიძლია შამანად გაქციო !- შეეხვეწა ყორანი.

- არ მინდა მატყუარა ვიყო!

- გაგამდიდრებ !

- არ მინდა მჩაგვრელი ვიყო!

მაშინ ყორანმა უთხრა:

- მე შენ ხის თასს გაჩუქებ, რასაც ინატრებ, ყველაფერს მოგცემს.

- აი, ეს საქმეა, მაშინ მე ყველა ღარიბ მონადირეს დავეხმარები,- მიუგო ემამ.

- ეი, თასო სად ხარ? ემასთან გაჩნდი ! და ემას წინ ხის თასი გაჩნდა.

- რა ვუყო ამ ხის თასს? - ჰკითხა ემამ.

თქვი: თასო, თასო, საჭმლით აივსე! იცოდე, თასი მხოლოდ შიმშილობისას გამოიყენე, თორემ სურვილს აღარ შეგისრულებს. ახლა კი გამიშვი !

- ჯერ თასს გამოვცდი და მერე გაგიშვებ. თასო, თასო, ხორციტ აივსე!

თასი უცებ დამძიმდა, ემამ ველარ დაიკავა და მიწაზე დადო. და ხედავს, რომ ზედ ლომვეშაპის ხორცი დევს. მაშინ ემამ ყორანი გაუშვა, თასი აიღო და სახლისკენ გაეშურა.

მას მერე თასი ემას ემსახურებოდა და ყოველთვის როცა ზღვაში ნადირი არ იყო, ემა თავის თასს გამოიტანდა და ეტყოდა:

- თასო, თასო, საჭმლით გაივსე!

და თასზე ბევრი საჭმელი და ქონი გაჩნდებოდა. ემა თასს მიწაზე დადებდა და დაიძახებდა:

- მეზობლებო, თქვენი წილი ხორცი აიღეთ!

მეზობლებიც მოდიოდნენ და იღებდნენ, რამდენიც სჭირდებოდათ.

*ნერპა - ჭრელი, შავ - თეთრი სელაპი

ევენკიური ზღაპრები

ადამიანი და ძაღლები

ჩუმთან* თოვლზე სამი ძაღლი იჯდა: მწყემსი-ორონკა, მონადირე-ლაიკა და მორბენალი-ნარტკა. ძაღლები კამათობდნენ.

-მე, ადამიანი პირველი დამხმარე ვარ, ადამიანისთვის ყველაზე ძვირფასს-ირმებს ვმწყემსავ! სწორედ ამის გამო პატრონმა საუკეთესო ნაჭრები უნდა მომცეს,-ტრაბახობდა ორონკა

-არა ამბობ მართალს ორონკა! მე ყველაზე უკეთესი ძაღლი ვარ, ყველაზე მსუქანი ნაჭრები უნდა მომცეს, მე მას ვატარებ, ჩემსგარეშე ვერ გადაადგილდება,-მიუგო ნარტკამ. ლაიკა დადარდიანდა:

-რა ტრაბახები ხართ! უჩემოდ შიმშილით დაიხოცებით: მე ხომ ტაიგაში მონადირისთვის ნადირს ვეძებ.

ძაღლებმა იკამათეს, იკამათეს, ერთმანეთს ეცნენ, ჩხუბობდნენ, ისე, რომ მათი ბალანი ქარს მიჰქონდა. თითოეული ცალკ-ცალკე ყვიროდა:-მე საუკეთესო ძაღლი ვარ!

ჩუმიდან ადამიანი გამოვიდა, ძაღლებმა მასთან მიიღობინეს და ტრაბახს ერტმანეთს არ აცდიდნენ:

-მე საუკეთესო ძაღლი ვარ, ტაიგაში ნადირს ვეძებ! -თავს იქებდა ლაიკა

-არა, მე ვარ,მე საუკეთესო , ძაღლი: ნარტებს ვატრევი, ადამიანს მომთაბარეობაში ვეხმარები,-იღრინება ნარტკა.

-არა, მე ვარ საუკეთესო , მე ირმებს ვწყემსავ, ცდილობდა ეჯობნა ორონკას. ადამიანი კი იცინოდა.

- უყურე, როგორ ამაცობენ ! თქვენს შორის საუკეთესო ძაღლი არ მყავს. ყველას ერთნაირად გაჭმევთ, ყველა ერთნაირად მჭირდებით და ყველა ერთნაირად ძვირფასი ხართ ჩემთვის და ჩუმში შევიდა.

ძაღლები პატრონზე განაწყენდნენ, რადგან ყველას ერთნაირად აფასებდა.ლაიკამ თქვა : - მოდი, პატრონისგან წავიდეთ, ერთმანეთს მივეხმაროთ, შიმშილით არ დავიხოცებით, დაე, პატრონმა გაიგოს უჩვენოდ როგორ იცხოვრებს. ლაიკამ ძაღლები დაიყოლია და როცა პატრონი ჩუმთან გამოვიდა, არცერთი ძაღლი აღარ დახვდა.

ძაღლები ტაიგაში შევიდნენ. ლაიკამ ციყვი დაინახა და გამოეკიდა. ციყვი ფიჭვზე აძვრა, ლაიკამ დაიტრაბახა: - მე ჩემი საქმე გავაკეთე.

ციყვი კი ხეზე იჯდა და ლაიკის სულაც არ ეშინოდა, რადგან ძაღლის გვერდით მონადირე არ იდგა.

ნარტკამ ლაიკასთან მიირბინა და უთხრა:

- ფუჭია შენი საქმე, ციყვი ხეზე აახტუნე და ვინ ესვრის?

ციყვი კი ტოტზე ქანაობდა. ძაღლებმა დრუნჩი ასწიეს, ციყვს უყურებდნენ. მშვივრებს პირში ნერწყვი მოუვიდათ. ასე დიდხანს ისხდნენ, მერე საწყლად აყმუვლდნენ.

გათენდა. ლაიკა წამოხტა: - კურდღელს ვგრძნობ ! და ახალ კვალს მიჰყვა. კურდღელი იპოვა, უყურებს და თან ნარტკასა და ორონკასკენ ერეკება. ნარტკა ორონკას ეუბნება:

- დამიჯექი, კურდღელთან მიგიყვან, მე ხომ მორბენალი ვარ, შენ კი მწყემსი. ხედავ, კურდღელი ჩვენსკენ მორბის.

გავიდა რამდენიმე დღე და ღამე. ძაღლები გაუქუცნენ, ბალანი დასცვივდათ, ფერდები ჩაუცვივდათ. ლაიკა საწყლად აყმუვლდა.

- ძაღლებო, სიკვდილი გვიახლოვდება, რა ვქნათ? ადამიანის გარეშე ვერ ვიცხოვრებთ, ტყუილად გვეწყინა. და მოიფიქრეს უკან დაბრუნებულიყვნენ. ადამიანმა ფაჩუნი რომ გაიგო ჩუმიდან* გამოვიდა.

- ჩემი გაქცეულები დაბრუნდნენ, მოგშივდათ საწყლებო?

ადამიანმა თითოეულს დიდი მსუქანი თევზი მისცა. ძაღლებს გაუხარდათ და თევზი ხარბად შეჭამეს.

მას მერე ძაღლები ადამიანების მეგობრები გახდნენ. ერთგულად ემსახურებოდნენ და ერთმანეთში აღარ კამათობდნენ. ორონკა ირმებს მწყემსავდა, ლაიკა ტყეში ნადირს ეძებდა, ნარტკა კი ტვირთს ათრევდა.

*ჩუმი - ირმის ტყავებით დაფარული კონუსური კარავი.

ორი ჩხართვი

იყო და არა იყო რა, იყო ორი ჩხართვი. ერთხელ კედრის კაკლების მოსაგროვებლად იმ ადგილას წავიდნენ, სადაც ადრე აგროვებდნენ. ერთი ჩხართვი კედარზე დაფრინდა და მიწაზე გირჩებს ყრიდა, მეორე კი აგროვებდა.

ერთხელ ჩხართვმა გირჩა ჩამოაგდო და მეორეს თვალში მოხვდა. ზის ჩხართვი და მწარედ ტიის. ახლოს ბერიკაცმა გაიარა და ჰკითხა:

- ჩხართვო, ჩხართვო, რატომ ტირი?

- მეგობარმა თვალი მატკინა.
- ჩხართვო, შენს მეგობარს თვალი რატომ ატკინე?
- კედარმა მიბიძგა.
- კედარო, კედარო, ჩხართვს რატომ უბოძგე?
- ციყვმა შემარხია.
- ციყვო, ციყვო კედრის ტოტი რატომ შეარხიე?
- იმიტომ, რომ მონადირე მომდევედა.
- მონადირე, მონადირე, ციყვს რატომ მისდევე?
- მინდა ციყვის ხორციით ყელი ჩავიკოკლოზინო, ცოლმა ცოტა პური გამომატანა.
- ქალო, შენს ქმარს ცოტა პური რატომ გაატანე?
- ჩვენი ფქვილი ირემმა შეჭამა.
- ირემო, ირემო, ქალს ფქვილი რატომ შეუჭამე?
- დარდისგან, ჩემი ნუკრი მგელმა შეჭამა.
- მგელო, მგელო, ირმის ნუკრის შესაჭმელად ვინ გაგგზავნა?
- არავინ, თვითონ მინდოდა.

დათვი და ჩალბაჩა

ტაიგაში ერთი მონადირე ცხოვრობდა, ჩალბაჩა ერქვა. ერთხელ კენკრის მოსაკრეფად წავიდა და დათვს შეხვდა.

-გამარჯობა ჩალბაჩა-მიესალმა დათვი.-სად მიდიხარ?

-გაგიმარჯოს დათვო კენკრას ვემებ. არ იცი სად არის ბევრი კენკრა?

-რა თქმა უნდა, ვიცი. მე ხომ ტაიგის უფროსი ვარ. მოდი ძალით შევეჯიბროთ და ვინც ჩვენს შორის ძლიერი აღმოჩნდება, კენკრასაც ის შეჭამს.

-კარგო, შევეჯიბროთ. აგერ ორი ხე, ერთს შენ დაარტყი, მეორეს მე დავარტყამ. თუ ორივე გატყდება, მაშინ თანაბარი ძალის ვყოფილვართ.თუ მარტო შენ გადატყებავ ხეს, ესეიგი ჩემზე ძლიერი ყოფილხარ.თუ ჩემი დარტყმისგან წაიქცა ხე,ესეიგი შენზე ძლიერი ვყოფილვარ. ხვალ დილით, მზის ამოსვლისას აქ შევხვდეთ და ვინც აჯობებს კენკრაც იმისი იქნება.

დათვი დათამნხმდა.

-კარგი, ხის წაქცევა არაფერია.

ამის მერე დათვი კენკრის სამებნელად წავიდა.ჩალბაჩა კი სახლში დაბრუნდა და დაღამებას დაელოდა.როცა დაბნელდა, ტყეში წავიდა,ხერხი წაიღო და ერთი

ხე ისე გახერხა, რომ ძვლივსდა იდგა. ხერხი ბალახებში დამალა, დაჯდა და დათვს დაელოდა. დილით, გათენებისას დათვი მოვიდა. ჩალბაჩამ უთხრა:

-მოდით, ხე გადავტეხოთ.

-კარგი.

მივიდნენ ხეებთან. ჩალბაჩამ უთხრა:

-აი, რომელიც მარცხნივ დგას- შენ დაარტყი, მარჯვენას კი მე დავარტყამ.

დათვი უკანა ფეხებზე დადგა და მთელი ძალით დაარტყა ხეს. ხე შეტორტმანდა, ფესვებიც ცოტა ამოიძირკვა, მაგრამ გასწორდა და ისევ დადგა.

-ახლა ნახე, როგორ დავარტყამ,-უთხრა ჩალბაჩამ.

თითქმის გადახერხილ ხეს მთელი ძალით დაარტყა. ხე შეტორტმანდა და წაიქცა.

-აბა ვინ არის ძლიერი? მე თუ შენ?-ჰკითხა ჩალბაჩამ.

-ჩანს, შენ ხარ ძლიერი,-მიუგო დათვმა. არ შეგეკვამათები, ჩემთან სტუმრად წამოდი.

მივიდნენ დათვის სახლში. დათვმა უთხრა:

-კოცონს დავანთებ, შენ კი ქვაბი დაადგი და წყალი მოიტანე

დათვის სახლთან ახლოს დიდი ქვაბი იდგა. ჩალბაჩამ ძვლივს აიღო და მდინარეზე წაიღო. ძვლივს მიიტანა, ძალა გამოელა, ნაპირზე დადგა და ქვაბის ირგვლივ ორმოს გათხრას შეუდგა. დათვმა დაინახა, მიიბრუნა და დაუყვირა:

-რას აკეთებ? ასეთ დიდ ორმოს როსთვის თხრი?

-მდინარიდან მთელი წყალი უნდა ამოვხაპო და ამ ორმოში ჩავასხა.

დათვს შეეშინდა. ქვაბი აიღო, წყალი ჩაასხა და სახლში წაიღო. ჩალბაჩა დათვს უკან მიჰყვა და იცინოდა. დათვმა, თავის სახლში, როგორც კი შევიდა, მაშინვე კარი ჩაკეტა და გაიფიქრა: „ეს რა ღონიერი კაცი ყოფილა, ხეებს ამტვრევს, მდინარის ამოხაპვა შეუძლია.“ დათვმა ჩალბაჩა თავის სახლში არ შეუშვა. მას კი უხაროდა დათვისგან თავი რომ დაიხსნა.

როგორ გახდა კარჩხანა ბრტყელი

იყო და არა იყო რა, იყო ორი მეგობარი: დათვი და კარჩხანა. დათვი დაეხეტებოდა, კაკალს და კენკრას მიირთმევდა, მზეს ეფიცებოდა. კარჩხანა კი მდინარეში ცურავდა და ლიფსიტებს დასდევდა. მეგობრები ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ და საუბრობდნენ. ერთხელ დათვი ნაპირთან მივიდა, კარჩხანა უკვე ელოდებოდა.

-გამარჯობა დათვო!

-გაგიმარჯოს კარჩხანა.

-როგორ ცხოვრობ?

-არა მიშავს, დღეს ძალიან ცხელა, ჩემი ქურქი ძალიან თბილია და მზე ძლიერ მაცხუნებს.

-ჩემთან, წყალში ჩამოდი. აქ გრილა და დღეს ჩიტებმაც იჭყუმპალავეს. დათვს ბანაობა კი არა, პირის დაბანაც არ უყვარდა და ეწყინა კარჩხანა წყალში რომ ეპატიჟებოდა.

-შენთან როგორ წამოვალ? წლის ქვეშ სუნთქვაც არ ვიცი. შენ მიწაზე ვერ იცხოვრებ, მე კი წყალში.

-დათვი, მე როგორც წყალში, ისე მიწაზეც შემიძლია ვიცხოვრო. ხედავ, რა დიდხანს მაქვს წყლიდან ცხვირი ამოყოფილი? მოდი შევამოწმოთ რომელი უფრო გამძლე ვართ. შენ წყალში ჩაყვინთე, მე კი ამ დროს ნაპირზე ამოვბტები. ვინც დიდხანს გაძლებს, ის მოგებული იქნება.-უთხრა კარჩხანამ.

დათვი დათანხმდა.

-კარჩხანა ამოხტი!

კარჩხანა ამოხტა, კუდი მოიქნია, ბალახზე წამოწვა და დათვს უთხრა:

-აბა, ახლა წყალში ჩადი !

დათვს შეეშინდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, დრუნჩი წყალში ჩაყო.

-არა! არა! არა! თავით ჩაყვინთე!-აყვირდა კარჩხანა.

დათვმა თავი მდინარეში ჩაყო და კინალამ დაიხრჩო.

-ღრმად! ღრმად! ჩაყვინთე ! ბალანი მშრალი გაქვს, ეს არ ითვლება!-დაუყვირა კარჩხანამ.

დათვი გათამამდა და წყალში გადავარდა, ძვლივს გადარჩა. ცხვირში და ყურებში წყალი შეუვიდა, აცემინებდა, ფრუტუნებდა და თავს აქნევდა.

-მომშორდი! შენს მდინარეში ცხოვრება არ შემიძლია.

-აი ხედავ? მე მდინარეშიც და მიწაზეც შემიძლია ცხოვრება. ბალახზე ვწევარ

და ვძლებ. ესე იგი, შენზე გამძლე ვარ.-დასცინა კარჩხანამ.
დათვს ეწყინა, ტორი მოუქნია და კარჩხანა გააბრტყელა.
-აი, ახლა კი ასეთი იყავი,-უთხრა დათვმა და ტყისკენ გასწია.
მას მერე კარჩხანები გაბრტყელდნენ.

სამურავი და მელია

მოხუცმა სამურავებმა ახალი საცხოვრებლისთვის ადგილი მოძებნეს. ხმა გავარდა, რომ მდინარის მეორე ნაპირზე ნადირ-ფრინველი ირეოდა და გადაწყვიტეს თავიანთი ჩუმი და მთელი ავლადიდება მდინარის მეორე ნაპირზე გადაეტანათ.

ქმარი სამურავი ტყეში მორის მოსაჭრელად წავიდა, რათა ხისგან ნავი გაეკეთებინა. მისი დედაბერი კი თავის ნივთებს ალაგებდა და მდინარის ნაპირას თავის ბერიკაცს უცდიდა. ხედავს, მდინარეზე ნავით მელია მიცურავს. მელია სამურავთან მიცურდა და უთხრა:

-მოგეხმარები, ჩანთებს ჩემს ნავში გადმოვიტან.

სამურავს გაუხარდა, ჩანთებს ხელი სტაცა და ნავთან მიიტანა. უნდოდა თავის ჩანთებზე დამჯდარიყო, მაგრამ მელიამ უთხრა:

-დაიცადე, არ დაჯდე, შეიძლება ჩავიძიროთ, პირველად ტვირთს გადავიტან, მერე შენ გადაგიყვან.

მელიან ნიჩბით ნავს უბიძგა და მდინარის დინებას დაუყვა, ნაპირს უფრო და უფრო შორდებოდა. მაშინ სამურავი მიხვდა, რომ მელიამ მოატყუა, წყლის პირას ლოდზე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა. უცებ კოდალამ ჩაუფრინა. როცა სამურავის ტირილი მოესმა, ჰკითხა რა აწუხებდა და როცა მელიას გაიძვერობა გაიგო გამოეკიდა. პირდაპირ ტყეს გადაუფრინა. მდინარის პირას, დიდი კონცხზე, ბუჩქზე დაჯდა, პატარა ტოტები დაამტვრია და მელიას დაელოდა.

და აი, ნავი ბუჩქს გაუსწორდა. კოდალამ თავი მოიავადმყოფა და სთხოვა:-
მელია, თავი ამტკივდა, ნავში ჩამსვი!

მელიამ კოდალა ნავში ჩასვა. კოდალა ჩანთებს უკან დაიძალა და ნისკარტით ნავის ფიცარი შეუმჩნევლად ამოჩიქნა. თხელი ფიცარი მალე გაიხვრიტა და ნავში წყალი შევიდა.

-ეს რა არის? ნავი რატომ აღარ მიცურავს? -გაიკვირვა მელიამ.

-აღბათ სადმე ფიცრები ერთმანეთს დაშორდა. ნაპირთან მივცურდეთ.-უთხრა კოდალამ.

მიადგნენ ნაპირს. მელია ნავიდან გადმოხტა და კოდალას უთხრა:

-ტვირთი ნაპირზე გადმოიტანე, მე ტყეში შევალ, ნაძვის ფისს მოვძებნი, ნახვრეტს ამოვავსებთ და ცურვას გავაგრძელებთ.

როგორც კი კოდალა ტყეში შეიმალა კოდალამ ტოტები კონად შეკრა და ნახვრეტი ამოავსო. მერე ნავში ჩახტა და სამურავისკენ გაცურა. მელია ტყიდან გამოვიდა, ფისი მოქონდა, ნავი კი უკვე შორს იყო.

-კოდალა, არამზადა, დაბრუნდი !

-არა, მელია, არ დავბრუნდები, ეს ავლადიდება შენ არ გეკუთვნის-დაუძახა კოდალამ.

კოდალა სამურავის ჩუმამდე მიცურდა. მოხუცებს ძალიან გაუხარდათ.

-აბა, კეთილო კოდალა, როგორ დაგასაჩუქროთ?-უთხრა ბერიკაცმა.

დედაბერმა კოდალას ზამშის ქურთუკი შეუკერა, ფერადი თიხით შელესა, თავზე კი ჭრელი ქუდი დაახურა. მორთულ- მოკაზმული კოდალა გალამაზდა. მოხუცი კარგი მჭედელი იყო და კოდალას მყვიცე ფოლადის ნისკარტი გამოუჭედა და ბრჭყალებიც გაუღესა.

მას მერე კოდალა ჭრელი ტანსაცმლით დადის და ფოლადის ნისკარტით ყველაზე მაგარ ხესაც კი ხვრეტს.

ძუნწი ყრუანჩელა

გვიან შემოდგომაზე ტყის პირას ჩიტები მოგროვდნენ. დრო იყო თბიკლი ქვეყნებისკენ გაფრენილიყვნენ. შვიდი დღე და ღამე გროვდებოდნენ, თან ერთმანეთს გადასძახებდნენ:-ყველა აქა ხართ? ყველა აქა ხართ?

აღმოჩნდა, რომ ყრუანჩელა აკლდათ. ქორმა მოკაუჭებული ნისკარტით ხმელ ტოტზე დააკაკუნა, მერე კიდევ დააკაკუნა და ახალგაზრდა როჭოს უბრძანა ყრუანჩელასთვის დაეძახა.

როჭო ფრთების ფართხუნით გაბრუნდა უკან ტყეში. დაინახა, რომ ყრუანჩელა კედარზე იჯდა და გირჩის კაკალს არჩევდა.

-პატივცემულო ყრუანჩელა! ჩვენ ყველა თბილ ქვეყნებში გასაფრენად მზად ვართ და მხოლოდ შენ ერთ შვიდი დღე და ღამე გელოდებით.

-ტყუილად მასხრობ! თბილ ქვეყნებში გაფრენა რა საჭიროა.ხედავ?, რამდენი კაკალია? ნუთუ ეს ყველაფერი უნდა დავტოვოთ?

როჭო ტყის პირას ფრინველებთან დაბრუნდა და ამბავი მოიტანა:

-ყრუანჩელა კაკალს მიირთმევს და გაფრენა არ ეჩქარება.

მაშინ ქორმა სწრაფი მიმინო გააგზავნა. მიმინომ დიდ კედარს შემოუფრინა. ყრუანჩელა კედელზე იჯდა და ნისკარტით გირჩებიდან კაკალს არჩევდა.

-ყრუანჩელა, ჩიტები თოთხმეტი დღე და ღამე გელოდებიან, დროა თბილ ქვეყნებში გავფრინდეთ! -უთხრა მიმინომ.

-ნუ გეჩქარებათ, კიდევ მოვასწრებთ. გაფრენის წინ, როგორც წესია, ისე უნდა გავძღვით.

მიმინო ჩიტებთან დაბრუნდა და თქვა, რომ ყრუანჩელას თბილ ქვეყნებში გაფრენა არ ეჩქარებოდა. ქორი გაბრაზდა და ჩიტებს თბილი ქვეყნებისკენ გაუძღვა. ყრუანჩელა კი კიდევ შვილი დღე და ღამე კედარზე იჯდა და კაკალს არჩევდა. მერვე დღეს ჭამას მორჩა და ნისკარტი და ფრთები გაიწმინდა.

-ყველა კაკლის შესაჭმელად ძალა არ მეყოფა, მომიწევს ციყვებს დავუტოვო და ტყის პირას მიფრინდა.

ჩიტები ყრუანჩელას ორი კვირა ელოდებოდნენ, ყლორტები და ფოთლები სულ შეჭამეს.

-მარტო დავრჩი, როგორ გამოვიზამთრებ? -ატირდა ყრუანჩელა.

ყრუანჩელას ცრემლისგან წარბი გაუწითლდა. მას მერე მისი შვილიშვილები, ნათესავები ამ ამბის მოსმენისას მწარედ ტირიან.

ამიტომ, აქვს ყრუანჩელას ცირცელივით წითელი წარბები.

ჩიტი და თაგვი

ჩიტი და თაგვი ერთად ცხოვრობდნენ, ზამთრისთვის საკვები მოიძარაგეს. თაგვმა უთხრა:

-ჩიტო, მოდი ერთად ვიკვებოთ. ჯერ შენი მარაგი შევჭამოთ, მერე ჩემი.

ჩიტი დათანხმდა. ჩიტის მარაგი მიწის ზემოთ იყო, თაგვის კი მიწაში იყო დამალული. ერთხანს ასე ცხოვრობდნენ. როცა ჩიტის საკვები გამოილია, ჩიტმა თაგვს უთხრა:

-თაგვი, ახლა შენი მარაგი შევჭამოთ.

თაგვმა ეს გაიგო თუ არა, მაშინვე თაგვის სოროში ჩაძვრა და იქიდან დაუძახა:

-შემოდი ჩემ სახლში, ნუ გერიდება. ჩიტი ეცადა შესულიყო, მაგრამ ვერ გაეტია, ფრთებით გაიჭედა.

-რადგან ვერ შემოდიხარ, მარტო იცხოვრე, -უთხრა თაგვმა.

ჩიტი გაბრაზდა და თაგვს წაეჩხუბა:

-შე მატყუარა, რომ მცოდნოდა ასე თუ მოიქცეოდი, არ გაჭმევდი. ახლა როგორ

ვიცხოვრო? ჩემს უფროს ქორთან გიჩვილებ.

-ნუ მაშინებ, მეც მყავს უფროსი-გველი და მეც გიჩვილებ,-მიუგო თავგმა.

დარჩა ჩიტი მარტო. მთელი დღე საჭმელს ეძებდა, მაგრამ ზამთარში რას იპოვიდა? ერთხელ, როცა ჩიტი ბუჩქებზე საკვებს ეძებდა ქორნი მოფრინდა.

-რას ეძებ? -ჰკითხა ჩიტს.

-საჭმელი არ მაქვს,-მიუგო ჩიტმა.

-რატომ არ მოიმარაგე?

-მოვიმარაგე, მაგრამ თავგმა მომატყუა და ქორს ყველაფერი მოუყვა.

-შენ არ იღარდო, კრებას მოვაწყობთ და თავგს დავავალებთ, რომ საკვები მოგცეს. კრებაზე ჩვენს ნათესავებს -ფრინველებს დაუძახე. თავგსაც უთხარი, თავისი მეგობრები, - ვინც მიწაზე ცხოვრობს, - მოიყვანოს.

როცა ქორი გაფრინდა, ჩიტი თავგის სოროსთან მიფრინდა და კრების შესახებ მოუყვა.

-რისთვის იკრიბებით? ჩემს მარაგს მაინც არ მოგცემ.-უთხრა თავგმა.

-ჩემმა უფროსმა ქორმა ასე მითხრა, რომ შენი მეგობრები მოიყვანეო.

თავგი თავისი მეგობრების დასაძახებლად წავიდა, ჩიტიც თავის ნათესავებთან გაფრინდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ყველა მოგროვდა. მოფრინდნენ იხვები, ბატები, ყრუანჩელები, კაკბები, ყორნები, გედები და სხვა ფრინველები.მათი უფროსი ქორიც მოფრინდა. თავგის მეგობრებიც მოვიდნენ-თავგები, ჭიები, მატლები და გველი.

ქორმა დაიწყო:

-ფრინველებო და ყველა მიწაში მცხოვრებნო, მისმინეთ! შემოდგომაზე ჩიტმა თავგთან ერთად საჭმელი მომიმარაგა. ამის შესახებ ყველამ კარგად იცის. ისინი მეგობრულად ცხოვრობდნენ, სანამ ჩიტის მარაგი არ გამოილია. ახლა კი ჩიტი შიმშილით იღუპება. თავგს არ უნდა, რომ თავისი საკვები უწილადოს.

მაშინ გველმა თავის ქვეშევრდომებს ჰკითხა:

-თქვენს შორის ასე ვინმე მიქცა?

-ჩვენს შორის მატყუარა არ არის- მიექომანგნენ თავგები.

გველმა ქორს უთხრა:

-შენი ჩიტი შენ თვითონ გამოკვებე. ჩვენ თავგის საჭმელს არ მივცემთ!

მაშინ ქორი და გველი წაიჩხუბნენ. ქორმა გველს ფრთა ისე დაარტყა, რომ გველი ძვლივს გაცოცდა. სხვა გზა აღარ ჰქონდათ. თავგმა თავისი საკვების მარაგის ნახევარი ჩიტს მისცა.

როგორ დაამარცხეს გველეშაპები

იყო და არა იყო რა, იყვნენ სამი და და ერთი ძმა. ძმას გონჩაული ერქვა. მშობლები დიდი ხნის წინ დაეღუპათ. დები იმ მხარეში სილამაზით იყვნენ განთქმულნი, ძმა კი სიმამაცითა და ძალ-ღონით. მამის სიკვდილის მერე ოჯახის უფროსი ის გახდა, ოჯახში კი გასათხოვარი დების გარდა, არავინ იყო.

ბევრ ახალგაზრდას უნდოდა გონჩაულის დების დანიშვნა, მაგრამ ის არ თანხმდებოდა.

ერთხელ მათი ჩუმის ზემოთ სამთავიანი გველეშაპი აიმართა. შავ ფრთებს აქნედა. ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ფიჭვის ხეები იღუნებოდნენ. გველეშაპმა ჩუმს შემოუარა, დაჯდა და მჭექარე ხით გონჩაულს დაუძახა:

-გარეთ გამოდი! ჩემთან!

-სამთავიანო გველეშაპო, რა გინდა?-ჰკითხა გონჩაულმა.

-უფროსი და ცოლად მომათხოვე!

-არა, არ მოგათხოვებ.

-მაშინ მოვიტაცებ!-მიუგო გველეშაპმა, აიმართა და მთებს იქით მიეფარა.

გონჩაულს ექვსი დღე და ექვსი ღამე არ ეძინა-დებს ყარაულობდა, მაგრამ მეშვიდე ღამეს ჩაეძინა. როცა გაეღვიდა, უფროსი და აღარ იყო. დები ტიროდნენ, ძმაც დაღონდა.

მალე თავს ახალი უბედურება დაატყდათ. სამი დღის შემდეგ ჩუმის თავზე ორთავიანი გველეშაპი აიმართა. მან მქუხარე ხმით დაუძახა გონჩაულს:

-გარეთ გამოდი! ჩემთან!

-ორთავიანო გველეშაპო, რა გინდა?-ჰკითხა გონჩაულმა.

-შუათანა და ცოლად მომათხოვე!

- არ მოგათხოვებ!

-მაშინ მოვიტაცებ, როგორც ჩემმა უფროსმა ძმამ შენი უფროსი და მოიტაცა- მიუგო ორთავიანმა გველეშაპმა, აიმართა და ტყეს მიეფარა.

გონჩაულს ოთხი დღე და ოთხი ღამე არ ეძინა, დებს ყარაულობდა, მაგრამ მეხუთე დღეს ჩაეძინა. როცა გაეღვიდა შუათანა და აღარ იყო. უმცროსი და მოსთქვამდა, ძმას ოხრავდა, მაგრამ ამით საქმეს ვერ უშველიდნენ.

უბედურება ისევ ეწვიათ. ერთი დღის შემდეგ ერთთავიანი გველეშაპი მათი ჩუმის თავზე მოფრინდა. მისი ფრთებისაგან ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ბალახი მიწაზე განერთხო. გველეშაპმა ჩუმს შემოუფრინა, მერე დაჯდა და მქუხარე ხმით გონჩაულს დაუძახა:

-გარეთ გამოდი!

-ერთთავიანო გველეშაპო, რა გინდა?-ჰკითხა გონჩაულმა.

-უმცროსი და მომათხოვე!

- არ მოგატხოვებ!

-მაშინ მოვიტახებ!-უთხრა ერთთავიანმა გველეშაპმა, აიმართა და ჭაობს იქით გაუჩინარდა.

გონჩაულს ორი დღე და ორი ღამე არ ეძინა. დას ყარაულობდა, მაგრამ მესამე დღეს ჩაეძინა და როცა გაეღვიძა უმცროსი და აღარ იყო.

გონჩაული კუნძუზე ჩამოჯდა და მწარედ ატირდა.ფიქრობდა ამის მერე როგორ ეცხოვრა? დები როგორ ეპოვა და გამოეხსნა?

უცებ ციდან ხმა მოესმა.

- ჩვენ გასწავლით!

ეს ვინ უნდა ყოფილიყო? გონჩაულმა ცისკენ აიხედა და ორი არწივი დაინახა. ერთი დიდი იყო, მეორე-პატარა. არწივები ხეზე დასხდნენ და ადამიანის ხმაზე ალაპარაკდნენ. უფროსმა თქვა:

-შორს, ზღვის პირას მაღალი მთაა.ისეთი მაღალია, რომ მასზე ძნელად თუ ვინმე ავა.მთაზე ოქროს ჩუმი დგას.მასში ექვსთავიანი გველეშაპი ცხოვრობს.ბევრმა სცადა თავები მოეჭრა , მაგრამ ამაოდ.ჩვენი უბედურება აქედან მოდის. სანამ სამყაროში გველეშაპები იქნებიან, ასე ვიქნებით.ოქროს ჩუმის გვერდით ბერესტის* ჩუმი დგას. მას ათასი გველეშაპი და თვით ექვსთავა იცავს. ამ ჩუმში ყველაზე ლამაზი მზეთუნახავი-ოლანგმუკი ცხოვრობს. ვინც ამ მზეთუნახავთან მიაღწევს-ექვსთავაზე გამარჯვების საიდუმლოს გაიგებს. იქ წადი და შენი დები ისევ შენთან იქნებიან! ოღონდ ერთი მუჭა მშობლიური მიწა ჯიბეში ჩაიდე, დაგეხმარება. გველეშაპებს თვალეში შეაყარე და როცა იმ მთაზე მიაღწევ, ჩვენც გაგვიხსენე,-უთხრა ახალგაზრდა არწივმა.

ეს თქვეს, ცაში აიჭრნენ და ღრუბლებს მიეფარნენ.

გონჩაულმა დაიფიცა, რომ ოლანგმიკამდე მიაღწევდა და გზას დაადგა. ერთი თვე იარა, ერთი წელი იარა. მეორე წელს შორს მაღალი მთები დაინახა. ყველაზე მაღალ მთაზე ოქროს ჩუმი იდგა. ჩუმი მზის შუქზე ელვარებდა და მის ირგვლივ გველეშაპები დაფრინავდნენ.

გონჩაულმა მთაზე ასვლისას თეთრი ქვისაგან აშენებული სახლი დაინახა და გაიფიქრა: „მოდით შევალ, დავისვენებ და ოქროს ჩუმის გზას ვკითხავ.“კარი გაარო თუ არა ზღურბლზე უფროსი და იდგა და ხელში საფხეკი ეჭირა. ეტყობა, ტყავები გამოჰყავდა. როცა ძმა დაინახა, ხელი აიქნია, საფხეკი დაკარგა და მწარედ ატირდა:

-საყვარელო ძმაო! საიდან გაჩნდი? როგორ მიპოვე? მძიმეა ტყვეობაში ყოფნა! სამთავიანი გველეშაპი დღედაღამე მამუშავებს, აქედან წამიყვანე!

-დაო, მალე წაგიყვან! სულ მალე! მითხარი, ოქროს ჩუმამდე როგორ მივაღწიო.

-ოი, ძმაო! იმ ჩუმამდე ჯერ არავის მიუღწევია და შენც ვერ მიაღწევ.

-არა! მე მივალწევ! -მიუგო გონჩაულმა.

უფროსმა დამ დაინახა, რომ ძმამ მტკიცედ გადაწყვიტა და გზა მისაწავლა.

-იმ გზით იარე, ოღონდ ღამდამობით, როცა გველეშაპებს ეძინებათ. ხის სახლამდე მივალწევ და იქ იკითხე. ვინ ცხოვრობს არ ვიცი.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და გონჩაულმა გზა გააგრძელა. იარა, იარა, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ეკლები ხვდებოდა. გონჩაული ეკლებისგან დაიკაწრა, ტანსაცმელი დაეხა, ხელებიც დაეკაწრა. მეხუთე დღეს მთაზე ხის სახლი დაინახა და გაიფიქრა: „მოდი შეგნით შევალ, დავისვენებ და გზას ვიკითხავ.“ კარი შეაღო თუ არა, ზღურბლზე შუათანა და იდგა, ხელში ნემსი და კამისი* ეჭირა, ეტყობა უნტებს* კერავდა. ძმა დაინახა თუ არა, ხელიდან ნემსი და უნტები გაუვარდა და მწარედ ატირდა:

-ძმაო! საიდან გაჩნდ? როგორ მიპოვე? რა ძნელია ტყვეობაში ყოფნა! ერთავიანი გველეშაპი დღედაღამე მამუშავებს. აქედან წამიყვანე!

-დაო, მალე წაგიყვან! შენ მხოლოდ ოქროს ჩუმის გზა მიმასწავლე.

-ძმაო, რას ამბობ! იმ ჩუმამდე ჯერ არავის მიუღწევია! ვერც შენ მივალწევ...

-არა, მე მივალწევ! -მიუგო გონჩაულმა.

შუათანა და მიხვდა, რომ ძმამ მტკიცედ გადაწყვიტა და მისაწავლა.

-იმ გზაზე მხოლოდ ღამით იარე. ვერცხლის სახლამდე მიხვალ. იქ ვინ ცხოვრობს არ ვიცი. იქ იკითხე, საით უნდა წახვიდე.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და გონჩაულმა გზა გააგრძელა.

პირველთან შედარებით ეს გზა ციცაბო იყო და აქეთ-იქით ეკლები ამოჩრილიყო. გონჩაული სულ დაიკაწრა და ტანზე სისხლი სდიოდა. იარა, იარა და მეშვიდე დღეს ვერცხლის სახლი დაინახა და გაიფიქრა: „მოდი შევალ, დავისვენებ და გზას ვიკითხავ.“ სახლში შევიდა თუ არა, ზღურბლზე უმცროსი და დაინახა, რომელსაც ხელში ჩამჩა ეჭირა. ეტყობა ხორცს ხარშავდა. ძმა დაინახა თუ არა, ჩამჩა ხელიდან გაუვარდა და მწარედ ატირდა.

-ძმაო, საიდან გაჩნდი? როგორ მიპოვე? ძნელია ტყვეობაში ყოფნა! ერთავიანი გველეშაპი დღედაღამე მამუშავებს, აქედან წამიყვანე!

-დაო, მალე წაგიყვან. მითხარი ოქროს ჩუმამდე როგორ მივალწიო.

-ძმაო, იმ ჩუმამდე ჯერ არავის მიუღწევია და ვერც შენ მივალწევ!

-არა, მე მივალწევ! -მიუგო გონჩაულმა

უმცროსი და მიხვდა, რომ გონჩაულს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და გზა მისაწავლა.

-მხოლოდ ღამით იარე, როცა გველეშაპებს ეძინებათ. როცა ოქროს ჩუმს მიუახლოვდები ექვსთავიანს უფრთხილდი!

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და გონჩაულმა გზა გააგრძელა.

უცნობი გზის აქეთ-იქით ცეცხლოვანი წნელები ამოჩრილიყო. გონჩაული

ხელებით ეჭიდებოდა და სულ დაიწვა. მეთორმეტე ღამეს მთაზე ოქროს ჩუმი შენიშნა. იქვე ბერესტის ჩუმი იდგა. ირგვლივ გველემაპებს ეძინათ.

გონჩაული ბერესტის ჩუმს მიუახლოვდა, ის იყო უნდა შესულიყო, რომ ექვსთავიანი გველემაპი აიმატა, გონჩაულს თავზე ფრთა დაარტყა და მიწაზე დასცა. გონჩაული მკვდარივით დაეცა. გველემაპები წამოცვივდნენ, ხმაური ატეხეს, გონჩაული სულ დაფლითეს და ხეობაში გადაყარეს.

გონჩაულს ყვავ-ყორანი დაესია, მხოლოდ თეთრი ძვლებიღა დარჩა. ამ დროს აქედან შორს ორი არწივი ერთმანეთს ელაპარაკებოდა:

-სად არის ჩვენი გონჩაული? დიდი ხანია არ დაბრუნებულა!

-უნდა გაფრინდეთ და გავიგოთ რა მოხდა.

არწივები ცაში აიჭრნენ და გაფრინდნენ. მაღალი მთების თავზე მიფრინდნენ და თეთრი ძვლები დაინახეს და მიხვდნენ რაც მოხდა. არწივები ხეობაში დაეშვნენ, ძვლები დაალაგეს, ნისკარტით ცოცხალი წყალი მოიტანეს და ძვლებს დაასხურეს. ძვლებმა ხორცი შეისხეს. უფროსმა არწივმა გონჩაულს სახეში შეუბერა, გონჩაულს გაელვიდა და ფეხზე წამოდგა.

-ოხ, რა დიდხანს მეძინა!

-სამუდამოდ გეძინებოდა, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით! -უთხრა უფროსმა არწივმა.

-გველემაპს თვალეში მიწა რატომმ არ შეაყარე?-ჰკითხა უმცროსმა არწივმა.

-დამავიწყდა! მაპატიეთ!

-მეტად აღარ დაგავიწყდეს! ეს შენთვის ჭკუის სასწავლებელი იქნება. ერთი მუჭა მკწა კიდევ წაიღე დავ ეს ოქროს კოლოფი. როცა პირველ სახურავს ახდი ნაირ-ნაირიხორაგით სავსე მაგიდა გაჩნდება. მეორე სახურავს ახდი-დაუკრავს და გამხიარულდები. ახლა კი წადი!

არწივები გონჩაულს დაემშვიდობნენ და ლურჯი ზღვის იქით გაფრინდნენ.

გონჩაულმა კი გზა გააგრძელა. ოქროს ჩუმამდე მიაღწია. ექვსთავიანი გველემაპი სახლში არ იყო. სხვა გველემაპებმა გონჩაულს ალყა შემოარტყეს და ის იყო პირსაც სტაცებდნენ, რომ მიწა თვალეში შეაყარა და ისინიც იხოცებოდნენ, მაგრამ მათ ნაცვლად სხვები ჩნდებოდნენ. გონჩაული მღვიმეში შეათრიეს, დააგდეს და ხუთპუდიანი კლიტით დაკეტეს.

გონჩაულმა მიიხედ-მოიხედა და ხალხი დაინახა. ზოგი უკვე მომკვდარიყო, ზოგი ახლა კვდებოდა შიმშილისგან. ოქროს კოლოფს სახურავი ახადა და ნაირ-ნაირი ხორაგით სავსე მაგიდა გაჩნდა.

-კეთილო ხალხო! ვირც ცოცხლები ხართ, მიირთვით-დაიყვირა გონჩაულმა.

ხალხი დანაყრდა და მაშინვე გამხიარულდა. გონჩაულმა ოქროს კოლოფს მეორე სახურავიც ახადა და მუსიკა მოესმათ. ხალხი აცეკვდა. მუსიკის ხმა

ოლანგმუკსაც მოესმა და მიწისქვეშეთში შევიდა, კლიტე გახსნა და განცვიფრდა. გონჩაულმა კოლოფი დახურა და ყველაფერი მიწყნარდა. კოლოფმა მიწისქვეშეთი გააბრწყინა და ოლანგმუკმა გონჩაული თავის ჩუმში მიიწვია, დაანაყრა, დაადინა და როცა გამოედვიდა, მოუყვა თუ სად იყო დამალული ექვსთავიანი გველეშაპის ბედი.

-მთებში დიდი ტბაა. იქამდე ბილიკი მიემართება. იმ ბილიკზე ხარი მიდი-მოდის. თუ ხარს მოკლავ, მის მუცელშიუ ძაღლს ნახავ. ძაღლის მიცელში კი კურდღელია, კურდღელის კუჭში კი იხვი. თუ იხვს მოკლავ, ორ კვერცხს იპოვი. თითო კვერცხში თითო კრაზანა ზის. ეს კრაზანები არ გაუშვა, მათშია გველეშაპების ბედი!

გონჩაულმა ოლანგმუკს მადლობა გადაუხადა და წასასვლელად მოემზადა, თოფი მხარზე გადაიკიდა. ოლანგმუკმა წითელი სახვევი მისცა და დაარიგა:

-როცა ჩუმიდან გამოხვალ ან ჩუმში შეხვალ სახვევია აიქნიე და ვერცერთი გველეშაპი ვერ მოგეკარება!

გონჩაული ტბისკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. უცებ ბუჩქებიდან მეღია გამოხტა. თოფი მხრიდან ჩამოიღო, უნდოდა მელისთვის ესროლა, მაგრამ ის ადამიანის ხმით დაელაპარაკა:

-არ მომკლა გონჩაულ! გამოგადგები....

გონჩაულმა მეღია არ მოკლა და გზა გააგრძელა. უცებ წინ, არყის ხეზე არწივი დაინახა. გონჩაულს უნდოდა მოეკლა არწივი, მაგრამ ის ადამიანის ხმით დაელაპარაკა:

-ნუ მომკლავ, გონჩაულ! გამოგადგები!

გონჩაულმა თოფი დაუშვა და გზა გააგრძელა. დიდხანს იარა და ტბას მიადგა. დაინახა, რომ იქვე ბუჩქებში ქარიყლაპია გახლართულიყო და ადამიანის ხმით ყვიროდა:

-გონჩაულ! გამათავისუფლე! სიკეთით გადაგიხდი!

გონჩაულს გაუკვირდა და ქარიყლაპია ისევ წყალში გაუშვა, იქვე ბუჩქებში ჩაიმალა და ხარს დაელოდა. მზე უკვე მთბეს იქით ჩადიოდა, რომ დედამიწა შეზანზარდა და გონჩაულმა დაინახა, რომ ტყიდან პირდაპირ ტბისკენ წითური ხარი გამოვარდა. გონჩაულმა გაისროლა და ხარი წააქცია, მუცელი გაუჭრა, იქიდან კი ძაღლი ამოხტა და გაიქცა. გონჩაულმა ესროლა და ძაღლი მიწაზე უსულოდ დაეცა. მისგან კურდღელი ამოხტა და ბუჩქებში მიიმალა. გონჩაული ლოდზე ჩამოჯდა და სინანულით თავი ჩაქინდრა. უცებ უღრანიდან მეღია გამოვარდა და კურდღელს გაეკიდა, დაეწია და გონჩაულს მიუტანა. გონჩაულმა კურდღელს მიცელი გაუჭრა და იქიდან იხვი ამოფრინდა. გონჩაული ის იყო ატირდა, რომ იხვს არწივი გამოეკიდა, დაიჭირა და გონჩაულს მიუტანა. გონჩაულმა იხვი გაჭრა და ორი კვერცხი ამოუღო. „კვერცხები ხომ არსად

გაიქცევინ და გაფრინდებიან”, გაიფიქრა და კვერცხები ნაპირზე დააღაგა, თვითონ კი წყალი შეისხა. ამ დროს კვერცხები ტბაში ჩაგორდნენ და ფსკერზე დაეშვნენ. გონჩაულს არც კი გაეაზრებინა, რომ ქარიყლაპიამ ორივე კვერცხი ამოუტანა. ერთი კვერცხი პირით ეჭირა, მეორე კი ცხვირზე ედო.

გონჩაულმა კვერცხები აიღო, ჯიბეში ჩაიწყო და ოლანგმუკისკენ გამოიქცა. გველეშაპებმა ალყა შემოარტყეს, გონჩაულმა წითელი სახვევია აიქნია და გველეშაპები მოიგერია. ოლანგმუკთან მიიღბინა და ორივე კვერცხი გადასცა, მან გატეხა და იქიდან ორი კრაზანა ამოფრინდა. გონჩაულმა ორივე კრაზანა გაჰყლიტა და ოლანგმუკთან ერთად ჩუმიდან გამოვიდა. იქვე ექვსთავიანი გველეშაპი მომკვდარიყო და ირგვლივ სხვა მკვდარი გველეშაპები მიწაზე იწვნენ.

ჩუმისკენ გონჩაულის დები მოდიოდნენ და ილიმებოდნენ. ცაში ორი არწივი მიფრინავდა. მიწაზე დაეშვნენ და გონჩაულს მადლობა გადაუხადეს:

-გონჩაულ! ოლანგმუკ! დიდი მადლობა, თქვენ ჩვენ ბედნიერება მოგვიტანეთ!

*ბერესტა-არყის ხის ქერქი.

*კამისი-ირმის ფეხის ტყავი.

*უნტი-ბეწვის ჩექმა.

ნანაური ზღაპრები

ორი ქალიშვილი

ზღვის პირას ერთ დიდ საცხოვრებელში ორი ქალიშვილი ცხოვრობდა. ერთი მდიდარი ოჯახიდან იყო, მეორე ღარიბი ოჯახიდან, მაგრამ უეცრად ავადმყოფობით ორივეს მშობლები გარდაეცვალათ და მარტო დარჩნენ. მდიდარს არაფერი აკლდა-საუკეთესოდ იკვებებოდა, აბრეშუმის ხალათები ეცვა, ღარიბს კი ხშირად თევზის ნაჭერიც ენატრებოდა და გაცვეთილი ტანსაცმელი სულ ჩამოძენძოდა.

მდიდარი ქალიშვილი თვითონ არაფერს აკეთებდა. მსახურები ფეხზე ოლოჩებსაც* კი აცმევდნენ, საყურეებსაც უკეთებდნენ. ღარიბი ყველაფერს თვითონ აკეთებდა-თეთრეულს რეცხავდა, შემას ჭრიდა, თევს იჭერდა და თან მდიდარ ქალიშვილთან შრომობდა.

ერთხელ ღარიბმა ქალიშვილმა ნაგავში გადაყრილი ჩვრები იპოვა. მოაგროვა, მდინარეში გარეცხა, იქნებ რამეში გამოეყენებინა. უცებ ჩხავილით ყორანმა გადაუფრინა, ჩვრები გაიტაცა და გაფრინდა. ღარიბი ქალიშვილი ყორანს გაეკიდა და ტიროდა, ტაიგაში მირბოდა და ყვიროდა:

-გაკი! გაკი! ჩვრები დამიბრუნე! ხალათი სულ გამიცვდა, საკერებელი არაფერი მაქვს! ქალიშვილმა მდინარე გადალახა, ტბა, ჭაობი. მისი ყვირილი ქარის ხმას უერთდებოდა და ექოს უფრო შორს მიჰქონდა. ქალიშვილმა ასე დიდხანს ირბინა და მისი ხმა ხან ტაიგაში, ხან მთებში, ხანაც ხეობებში და დაბლობებში იკარგებოდა. როცა ყრუ ტაიგაში მირბოდა, მის შესახვედრას მოხრილი დედაბერი გამოვიდა.

-ტაიგაში რატომ დადიხარ? რატომ დადიხარ? ვინ გაწყენინა?-ჰკითხა დედაბერმა.
-ყორანს გამოვედევნე, ჩემი ძონძები წაიღო, როცა მდინარეში ვრეცხავდი,-ცრემლების ყლაპვით მიუგო ქალიშვილმა.

-კარგი, შენი ძონძები ყორანს დაუტოვე! ჩემთან წამოდი,-უთხრა დედაბერმა. მან ქალიშვილს ხელი ჩაჰკიდა და ტაიგის უღრანში წაიყვანა.

სახლში დედაბერმა ქალიშვილი დაბანა, აჭამა და რაღაც შეხვეული გაუწოდა და უთხრა:

-შინ დაბრუნებისას ნადირ-ფრინველის ხმას ყურადღებას ნუ მიაქცევ, რაც არ უნდა

ლამაზი ყვავილები და კენკრა შეგხვდეს, არ დაკრიფო. როცა შინ მიხვალ, შეხვეული კუთხეში დადე და დასაძინებლად დაწევი, დილით გახსენი.

დედაბერი გაქრა და ქალიშვილი ისევ ტაიგაში აღმოჩნდა. როცა ბილიკზე მიდიოდა, ნაირ-ნაირი მხეცები მისდევდნენ, რომლებიც უღრენდნენ, წკნაოდნენ, მის ხალათს ეხებოდნენ, აშინებდნენ. როცა მთები გადაიარა ფრინველები ყიპყიპით მისდევდნენ, არწივები მწვერვალებიდან ქვებს აგდებდნენ, როცა ქალიშვილი ნაბიჯს გადაგამდა, ისინი უკან რჩებოდნენ და იკარგებოდნენ.

ქალიშვილი შინ დაბრუნდა, შეხვეული კუთხეში დადო და როგორც დედაბერმა დაარიგა, საბანში გაეხვია და დაიძინა. დილით გაიღვიძა და თავისი სახლი ველარ იცნო. ნარებზე ძვირფასი ჭილოფები ელაგა, კედლებზე ხალიჩები იყო ჩამოკიდებული, კედელთან ტანსაცმლით სავსე სკივრები იდგა, თაროები ჭურჭლით იყო სავსე, თვითონ კი აბრეშუმის ლამაზი, ნახატებიანი ხალათი ეცვა. ასეთი, თვით მდიდარ ქალიშვილსაც არ ენახა.

დღისით ღარიბ ქალიშვილს მდიდარი ესტუმრა და ამდენი სიმდიდრის დანახვისას ჰკითხა:

-მეგობარო, როგორ გამდიდრდი?

ღარიბმა ქალიშვილმა ყველაფერი მოუყვა, რაც შეემთხვა. მდიდარმა ქალიშვილმა დახეული ხალათი და ძონძები სთხოვა: -ბედს მეც ვცდი.

ღარიბმა მდიდარს ძონძები მისცა, ისიც მდინარისკენ გაემურა და ძონძების რეცხვას შეუდგა, მაგრამ მან რეცხვა არ იცოდა და უფრო გააჭუჭყიანა. უცებ ყორანი მოფრინდა და ძონძები გაიტაცა. ქალიშვილი ყვირილით გამოეკიდა. ტაიგიდან დედაბერი გამოვიდა და ჰკითხა:

-რატომ ყვირიხარ და რატომ ტირი?

ქალიშვილმა მოუყვა, რომ ყორანმა ძონძები მოსტაცა. დედაბერმა თავისთან წაიყვანა, დაბანა, დააპურა და შეხვეული მისცა.

-ეს შეხვეული წაიღე. შინ დაბრუნებისას ნადირმფრინველის ხმას ყურადღებას ნუ მიაქცევ, ნურც ყვავილებსა და კენკრას დაკრიფე. სახლში შეხვეული კუთხეში დადე და დაიძინე.

ქალიშვილი შინისაკენ გზას დაადგა. მის ირგვლივ ლამაზი ჩიტები დაფრინავდნენ და ნაირ-ნაირი ნადირი ხვდებოდა. მის ფეხქვეშ კენკრისა და ყვავილების ხალიჩა გაფენილიყო, თითოეული კენკრა მოწყვეტას გთხოვდა და თითოეული ყვავილი ხელისკენ იწევდა. „ვიღაც დედაბერს რატომ უნდა დავუჯერო? შეხვეული ხელში მიჭირავს, რაც მომეწონება კიდევ მივუმატებ!“-გაიფიქრა ქალიშვილმა და კენკრის კრეფას შეუდგა, თან ჩიტებს დასდევდა. ვერც კი შეამჩნია როგორ ჩამოზნულდა. გზა დაეზნა. მდიდარი ქალიშვილი კუნძზე ჩამოჯდა და გადაწყვიტა შეხვეული გაეხსნა. გახსნა თუ არა, იქიდან დიდი და პატარა გველები გამოცურდნენ და ქალიშვილი დაკბინეს.

დედაბერი ისევ გაჩნდა და ქალიშვილს უთხრა:

-არ დამიჯერე! შენმა სიხარბემ შენი ბედნიერება დალუპა!

როცა ქალიშვილი გამოერკვა, თავის სახლში იჯდა. მისი სიმდიდრე გამქრალიყო. ძვირფასი აბრეშუმის ხალათის ადგილას გუბე დარჩა, საყურეებისა და ოქროს სამაჯურის ადგილას ნაკვერჩხალი ღვიოდა. მას მერე ასე გრძელდებოდა: სიძუნწე და სიჯიუტე თანამგზავრები არიან, ვინც მათ შეხვდება-ბედნიერებას დაკარგავს.

* ოლოჩი - თევზის, ცხენ-ირემის ტყავისგან შეკერილი წინდისმაგვარი ფეხსაცმელი.

რატომ აღარ მეგობრობენ დათვი და ბურუნდუკი

როცა ხინგანის მთები პატარა იყო, შეიძლებოდა ისარი გესროლათ და გაგეგოთ როგორ დაეცემოდა ხინგანის მთების იქითა მხარეს.

დათვი და ბურუნდუკი ერთ ბუნაგში ცხოვრობდნენ, ერთად ნადირობდნენ და ყველაფერს თანაბრად იყოფდნენ. რასაც დათვი მოინადირებდა, ბურუნდუკიც ჭამდა, რასაც ბურუნდუკი მოინადირებდა, დათვიც იმას მიირთმევდა. მათი მეგობრობა დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ცნობილია, რომ მოშურნეებს მათი მეგობრობა თვალში ეკლად ხვდეთ და სანამ არ წააჩხუბებენ ვერ მოისვენებენ.

ერთხელ ბურუნდუკი კაკლების მოსაგროვებლად ბუნაგიდან გამოვიდა. გზაზე მელია შემოხვდა, კუდი გააქნია, მიესალმა და ჰკითხა:

-მეგობარო, როგორ ცხოვრობ?

ბურუნდუკმა ყველაფერი მოუყვა. მელიას ორი ცხოველის მეგობრობა შემურდა. თვითონ არავისთან მეგობრობდა, რადგან ყველას ატყუებდა. მელიამ თათები მუცელზე დაიწყო, ატირდა და ბურუნდუკს უთხრა:

-საწყალო! საწყალო! მეცოდები!

-მეზობელო, რატომ გეცოდები?-შეეშინდა ბურუნდუკს.

-სულელი ხარ! დათვი გჩაგრავს და ვერც კი ხვდები.

-როგორ მჩაგრავს?

-აი, როგორ. როცა დათვი ნანადირევს მოიტანს პირველი კბილს ვინ გაკრავს?

-დათვი, -მიუგო ბურუნდუკმა.

-ხედავ? ყველაზე საუკეთესო ნაჭერი მას ხვდება. დათვის სადილის ნარჩენებით იკვებები, ამიტომაც პატარა ხარ!

მელიამ კუდი შემოირტყა და ცრემლი მოიწმინდა.

-კარგი, მშვიდობით. ვხედავ, რომ ასეთი ცხოვრება მოგწონს. მე შენს ადგილას ნანადირევს ჯბილს პირველი გავკრავდი.

მელია გაიქცა. ბურუნდუკმა თვალი გააყოლა და გაიფიქრა. „მეზობელმა სიმართლე მითხრა“. ბურუნდუკს კაკლები სულ დაავიწყდა. „ხედავ? დათვი როგორი მატყუარა ყოფილა? მე კი მისი მჯეროდა და უფროს ზმად ვთვლიდი.“

აი, დათვი და ბურუნდუკი სანადიროდ წავიდნენ. გზაში ჟოლოს ბუჩქები შემოხვდათ. დათვმა ბუჩქი ტორებით მოიწოდა, ჟოლოს მიირთმევდა და თან ბურუნდუკს ეპატიჟებოდა. ის კი უყურებდა და მელიას ნათქვამი ახსენებოდა. დათვმა თრია დაიჭირა და ბურუნდუკს დაუძახა. ის კი ხედავს, რომ დათვმა ბრწყალი პირველმა ჩაასო და მელიას ნათქვამი მოაგონდა. მძებმა ფუტკრის საბუდართან გაიარეს. დათვმა დრუნჩი ჩაყო და ბურუნდუკს დაუძახა თაფლი გაესინჯა. ის კი ხედავს, რომ დათვი პირველი ჭამს და მელიას ნათქვამი გაახსენდა. ბურუნდუკს ეწყინა და გაიფიქრა: „ჭკუას ვასწავლი.“

ერთხელ, როცა სანადიროდ წავიდნენ, ბურუნდუკი დათვს მხარზე შეაჯდა. როცა დათვმა შველი დაიჭირა და ის იყო კბილი უნდა გაეკრა, რომ ბურუნდუკმა ისკუპა, რათა კბილი დათვზე ადრე გაეკრა და კარგი ნაჭერი დაესაკუთრებინა და ცოტათი მაინც გაზრდილიყო. დათვს შეეშინდა, შველი გაუშვა და გაიქცა. ორივე მშვიერი დარჩა.

გზა გააგრძელეს. დათვმა თრია დაინახა და მიეპარა. ბურუნდუკმა აქაც დაასწრო, დათვი შეაშინა და ნადირობა ჩაეშალათ. დათვს ეწყინა, მაგრამ არაფერი უთხრა.

შემოხვდათ ახალგაზრდა ტახი. დათვს ისე შიოდა, რომ ტახის დანახვაზე დაიბღავლა. ტახმა უკან დაიხია და კუდით ხეს დაეჯახა, გასაქცევი არსაით ჰქონდა. დათვი მაშინვე ეცა, კბილები გააღრჭიალა და ის იყო უნდა გადაეყლაპა, რომ ბურუნდუკი ტახს დაახტა. დათვი სულ გამწარდა და ბურუნდუკს ზურგზე ტორი ისე გადაუსვა, რომ ხუთივე ბრწყალი ზურგზე ჩაასო, რათა ხელი არ შეეშალა.

ბურუნდუკს ტყავი სულ დაეგლიჯა, ტყისკენ გაიქცა და ხეზე დიდხანს ცხოვრობდა, სანამ ზურგზე ჭრილობები არ მოურჩა, მაგრამ დათვის ბრწყალებიდან გაჩენილი შავი ზოლები სიცოცხლის ბოლომდე დარჩა.

ბაყაყი და ცხენ-ირემი

ტაიგაში ერთი ბაყაყი ცხოვრობდა. ერთხელ დაინახა, რომ ვიღაცამ ბუჩქებში გაიელვა, ბაყაყს შეეშინდა და გაიქცა. მირბის და თან ესმის, რომ უკანიდან ცხენ-ირემი ეძახის:

-ბაყაყო! შეჩერდი! რატომ შეგეშინდა?

-მეგონა, რომ დათვი მომდევდა.

-მეგობარი, დაიცადე, მაინც ვერ გაიქცევი, ტაიგაში ჩემზე სწავი არავინ არის,-უთხრა ცხენ-ირემმა.

ბაყაყმა გაიფიქრა:-„ცხენ-ირემი გრძელფეხა და მარდია, მაგრამ სულელი, მოვატყებ, ” და უთხრა:

- მოდი გავეჯიბროთ!

ცხემ-ირემს გაეცინა და შესთავაზა:

- აი, იმ მთამდე მივირბინოთ!

ერთად დადგნენ. ცხენ-ირემმა თავი მიწისკენ დახარა და გასაქცევად მოემზადა. ბაყაყი თავზე შეუმჩნევლად დააჯდა და რქებს შორის მოკალათდა. ცხენ-ირემმა დანიშნულ ადგილამდე მიირბინა და დაიძახა:

-ბაყაყო, სად ხარ?

ბაყაყი ცხენ-ირემის თავიდან გადმოხტა და უთხრა:

-აქ ვარ!

„საინტერესოა, ასეთ ბაყაყს როგორ ვერ გადავუსწარი”-გაიფიქრა ცხენ-ირემმა.

-მოდი, ერთხელ კიდევ გავიქცეთ,-შესთავაზა ცხენ-ირემმა.

ისევ ერთად დადგნენ. ცხენ-ირემმა თავი მიწისკენ დახარა, ბაყაყი ისევ შეახტა და რქებს შორის მოკალათდა. ცხენ-ირემი მთელი ძალით მირბოდა და ძალიან დაიღალა. დანიშნულ ადგილს ძვლივს მიაღწია, თავი დახარა და დაიყვირა:

-ბაყაყო, სად ხარ?

-აქ ვარ! შეეხმიანა ბაყაყი და შეუმჩნევლად მიწაზე ჩამოხტა.

„საოცარია, როგორ ვერ გავუსწარი ასეთ პატარა და სუსტ ბაყაყს”,-გაიფიქრა ცხენ-ირემმა.

-მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ,-თქვა ცხენ-ირემმა.

ისევ მოემზადნენ. ცხენ-ირემმა თავი ისევ დახარა, ბაყაყი კი თავზე შეახტა. ამჯერად ცხენ-ირემი უფრო სწრაფად გაიქცა. ამდენი რბენისგან დაიქანცა, დაეცა და ძლივს სუნთქავდა, ბაყაყი კი მისი თავიდან გადმოხტა და უთხრა:

-მე დიდი ხანია აქ ვარ!

აი ასე პატარა ბაყაყმა თავისი მოხერხებულობით აჯობა ძლიერ, მაგრამ სულელ ცხენ-ირემს.

დათვი და მელია

დათვი დაიგაში დაეხეტებოდა. მოსწყურდა და პატარა ტბისკენ გაემურა. ტბასთან მივიდა და წყალი დალია. უცებ კარჩხანა დაინახა და შეეცადა დაეჭირა, სულ დასველდა, მაგრამ ვერ დაიჭირა. ამ დროს ტბასთან მელიამ მოირბინა. დათვი რომ დაინახა, ჰკითხა:

-დათვო! აქ რას აკეთებ? ბანაობ?

არა მელია, არ ვბანაობ. ტბაში კარჩხანა დავინახე და მინდოდა დამეჭირა. დამეხმარე, დავიჭიროთ და მერე შუაზე გავიყოთ.

-კარგი, შენ ტბიდან წყალი სულ დალიე, მე კი კარჩხანას აქ მოვიტან და გავიყოთ,- დათანხმდა მელია.

-აი, რა კარგია! როგორ ჰკვიანურად მოიფიქრე!-გაუხარდა დათვს.

დათვი ტბის წყალს დაეწაფა. სვამს და სვამს. ტბაში წყალი ნელ-ნელა კლებულობდა, დათვის მუცელი კი იზრდებოდა. როცა ტბაში წყალი სულ ცოტა დარჩა-კარჩხანა გამოჩნდა.

ემშაკი მელია გადახტა, კარჩხანას პირი სტაცა და გაიქცა. დათვი გაბრაზდა, დადარდიანდა, მაგრამ ცრუპენტელას ველარ გამოეკიდა, რადგან ბევრი წყალი ჰქონდა დალეული.

ყველაზე ძლიერი

ზამთარში ნანაელი ბავშვები ყინულზე სასრილოდ წავიდნენ. ჯერ ისრიალეს, მერე წაიჩხუბეს. ერთი ბიჭი-ნამეკა მეორეს-კურბას მოერია და დაიკვება:-მე ყველაზე ძლიერი ვარ!

უცებ გასრიალდა, წაიქცა და თავი გაიტეხა.

-აი ხედავ? შენ არ ხარ ყველაზე ძლიერი, რადგან ყინულმა გაჯობა. ხედავ? სისხლი მოგდის, ყინულს თავი გაუხარე!-უთხრა კურბამ.

ნამეკამ ყინულს ჰკითხა:

-მისმინე ყინულო, შენზე ძლიერი ვინმე არის?

-არის, მზე ჩემზე ძლიერია,-მიუგო ყინულმა. როცა გამათბობს-დავდნები, მზეს თაყვანი ეცი!

ბიჭები მზესთან წავიდნენ. დიდხანს იარეს და როცა მიაღწიეს, ნამეკამ მზეს მიმართა:

-მზეო, მე კურბას მოვერიე, ყინულმა მე მაჯობა, ყინულს შენ დაადნობ, ესე იგი შენ ჩვენზე ძლიერი ხარ! მოვედი, რათა თაყვანი გცე!

მზემ იფიქრა, იფიქრა და უთხრა:

ღრუბელი ჩემზე ძლიერია, როგორც კი გადამეფარება, მაშინვე აცივდება. ბიჭები ღრუბელთან წავიდნენ. ავიდნენ მაღალ მთაზე. ირგვლივ ნისლი, სინესტე, სიცივე, სანამ ღრუბლამდე მივიდნენ დასველდნენ და ყინულით დაიფარნენ. ნამეკამ ღრუბელს უთხრა:

-მისმინე ღრუბელო! მე კურბაზე ძლიერი ვარ, ყინული მზეზე, მზეზე ძლიერი კი შენ ხარ,-ესე იგი ყველაზე ძლიერი ხარ. აი, მოვედი, რათა თაყვანი გცე!

ღრუბელმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ ქარი ამოვარდა, დაუსტვინა და ღრუბლები აქეთ-იით გაფანტა. უცებ დათბა, განათდა, ცისარტყელამ გაიბრწყინა, მზემ გამოანათა, მდინარე ამური სათავიდან შესართავამდე როგორც ხელისგულზე, ისე გამოჩნდა. მაშინ ნამეკამ ქარს უთხრა:

-მისმინე ქარო! მე კურბას მოვერიე, ყინულმა თავი გამიტეხა, მზემ ყინული დაადნო, ღრუბელმა მზე დაფარა, შენ ღრუბელი გაფანტე, ესე იგი, ყველაზე ძლიერი ხარ და ამიტომ თაყვანს გცემ.

-კურბამ კი ჰკითხა:

-შენ მთის გადაადგილება შეგიძლია?

ქარმა დაუბრა, მაგრამ მთას ძვრა ვერ უყო, მთის წვერიდან მხოლოდ კენჭები გამოცვივდა.

-ეხ, დიდი დრო დაგჭირდება მთის გადასადგილებლად. ჩანს, მთა შენზე ძლიერია! ბიჭებმა მთას თაყვანი სცეს.

-მთაო, მთაო, დედამიწის ზურგზე შენ ყველაზე ძლიერი ხარ?

მთა ჩაფიქრდა.

-არა, ხე ჩემზე ძლიერია, ის ჩემს ზურგზე იზრდება და თავისი ფესვით მშლის,-მიუგო მთამ.

ნამეკამ ხეს თაყვანი სცა.

-მისმინე ხეო! მე კურბას მოვერიე, ყინულმა მე მაჯობა, ყინულს-მზემ, მზეს-ღრუბელმა, ღრუბელს-ქარმა, ქარს-მთამ, მთას შენ აჯობე. ესე იგი, შენ ყველაზე ძლიერი ხარ!

ხე აშრივდა.

-დიახ, მე ყველაზე ძლიერი ვარ!

-ტყუილია,-თქვა ნამეკამ, ცული აიღო და ხე მოჭრა.

ყველამ: მთამ, ქარმა, ყინულმა, მზემ, ღრუბელმა ნამეკას თაყვანი სცა.

მას მერე ითვლება, რომ დედამიწის ზურგზე ადამიანი ყველაზე ძლიერია.

ხის ჩაქუჩი

ახლოს იყო თუ შორს, ცხოვრობდა ერთი ბერიკაცი. მას ყველანაირი სიმდიდრე ჰქონდა: დაწული საცერი, ვერცხლის ციციხვი და ხის ჩაქუჩი.

ერთხელ, ბერიკაცმა გაიგო, რომ მეზობელ საცხოვრისში მდიდარი შამანი ალაპს იხდიდა. ბერიკაცი ალაპზე წავიდა და თან საცერი წაიღო. ეს საცერი უბრალო კი არ იყო, მასში ქვიშაც რომ ჩაგეყარათ და თუნდაც თოვლი, როგორც კი გააქანებდით, იქიდან ნაირ-ნაირი ნუგბარი ჩამოცვივდებოდა. აი, ბერიკაცი შამანთან მივიდა და საცერი გარეთ დაკიდა, თვითონ კი სახლში შევიდა. შამანის მსახურები მასპინძელს წითელი ღვინით გაუმასპინძლდნენ.

სანამ ბერიკაცი შამანთან წითელ ღვინოს სვამდა, შამანი გარეთ, ეზოში გამოვიდა და სვამზე საცერი დაინახა. აილო, გააქან-გამოაქნია და საცერიდან თეთრი პური, ოლადები და ნაირნაირი ნუგბარი საჭმელები ჩამოცვივდა.

-რა კარგი საცერია,-გაიფიქრა შამანმა, საცერი აილო და დამალა.

ბერიკაცი წასასვლელად გაემზადა, საკიდთან მივიდა და საცერი აღარ დახვდა. ეძება, ეძება და ვერ იპოვა. ბერიკაცს ეწყინა, მაგრამ რას იზამდა, სახლში საცერის გარეშე დაბრუნდა.

მეორე დღეს შამანმა ბერიკაცს ისევ დაუძახა. ბერიკაცმა თან ვერცხლის ციციხვი წაიღო. ეს ციციხვი უბრალო არ იყო, როცა დახრიდი, მისგან წითელი ღვინო მოდიოდა. ბერიკაცი შამანთან მივიდა, ვერცხლის ციციხვი საკიდზე დაკიდა, თვითონ კი სახლში შევიდა.

ზის ბერიკაცი შამანთან და მისი მსახურები წითელი რვინით უმასპინძლდებოდნენ. სანამ ბერიკაცი ღვინოს სვამდა, შამანი ეზოზე გამოვიდა, საკიდიდან ვერცხლის ციციხვი აილო და როგორც კი დახარა, წითელი ღვინო წამოვიდა მისგან. მოდის, მოდის და არ თავდება. შამანმა გაიფიქრა: -,„ეს ციციხვიც უნდა დავმალო.“

ბერიკაცი გამოვიდა, საკიდთან მივიდა და ვერცხლის ციციხვი აღარ დახვდა. ეძება, ეძება და რომ ვერ იპოვნა, სახლში უციციხვოდ დაბრუნდა.

მესამე დღეს ბერიკაცი შამანთან წასასვლელად ისევ გაემზადა და თან თავისი უკანასკნელი ნივთი-ხის ჩაქუჩი წაიღო. ეს ჩაქუჩიც განსაკუთრებული იყო. ბერიკაცი შამანის სახლში შევიდა და ხის ჩაქუჩი საკიდზე დაკიდა.

ის სტუმრებთან ერთად დაჯდა და წითელ ღვინოს სვამდა, რომ ეზოზე ხმაური გაისმა. სტუმრები წამოხტნენ, სახლიდან გამოვარდნენ და დაინახეს, რომ ჩაქუჩი შამანს ურტყამდა, შამანი კი ყვიროდა:

-არ მცემო, გთხოვ, არ მცემო!

ჩაქუჩი კი ურტყამდა და ურტყამდა.

-არ მცემო, საცერს მოგცემ!

-მე კიდევ ციციხვი მქონდა,-უთხრა ბერიკაცმა.

შამანი სახლში შევარდა და დაწული საცერი და ვერცხლის ციციხვი გამოუტანა. მაშინ

ბერიკაცმა ცაქუცს უთხრა:

-კარგი, გეყოფა ქურდის ცემა.ახლა უკვე იცის, რომ სხვისი ქონება არ უნდა მიიისაკუთროს.

ბერიკაცმა აიღო დაწნული საცერი, ვერცხლის ციცხვი, ხის ჩაქუჩი და სახლისკენ გასწია.

აიოგა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გოგონა, რომელსაც აიოგას ეძახდნენ. ის ყველას უყვარდა და ეუბნებოდნენ, რომ მასზე ლამაზი არავინ იყო. აიოგა გაამაყდა, თავს იწონებდა. წყალში ჩაიხედავდა და ტავის თავს ესიყვარულებოდა, ხანაც სპილენძის თასში ჩაიხედავდა და თავის ანარეკლს უყურებდა. უსაქმოდ იყო და მხოლოდ თავის თავს ეტრფოდა. ერთხელ დედამ უთხრა:

-შვილო, წყალი მოიტანე!

-წყალში ჩავარდნის მეშინია.

-შენც ბუჩქს მოკიდე ხელი.

-ხელი დამეკაწრება.

-ხელთათმანი ჩაიცვი.

-დამეხევა...თან სპილენძის თასში თავის ანარეკლს უყურებდა.

-თუ დაიხევა-გაკერე.

-თითში ნემსი შენერჭობა.

-მაგარი ტყავის სათითე გაიკეთე.

-სათითე დაიხევა.

ამ დროს მეზობლის გოგომ აიოგას დედას უთხრა:

-წყალზე მე წავალ!

წავიდა და წყალი მოიტანა. დედამ ცომი მოზილა, კვერი გამოაცხო, აიოგამ კვერი დაინახა და დაიყვირა:

-დედა, კვერი მოცი!

-ცხელია, ხელი დაგეწვება!

-ხელთათმანს ჩავიცვამ.

-ხელთათმანი სველია.

-მზეზე გავაშრობ.

-დავიწროვდება.

-გავწელავ.

-ხელები გეტკინება. რად გინდა იმრომო? შენი სილამაზე წაახდინო? სჯობს კვერი იმ

გოგოს მივცე, ვინც თავის ხელებს არ უფრთხილდება...

დედამ კვერი აიღო და მეზობლის გოგოს მისცა, რომელმაც წყალი მოიტანა. აიოგას ეწყინა. მდინარეზე წავიდა, ნაპირთან დაჯდა და წყალში თავის ანარეკლს დააკვირდა. მეზობელი გოგო იქვე იდგა და კვერს მიირთმევდა. აიოგას პირზე ნერწყვი მოადგა. გაიხედა და კისერი დაუგრძელდა. მეზობლის გოგომ აიოგას უთხრა:

-აილე კვერი, არ მენანება.

აიოგა გაბრაზდა, ბრაზისგან სულ გათეთრდა და თითები დაატკაცუნა, ხელები გააქნია და ფრთებად გადაექცა.

-არ მინდა არაფერი, გა-გა-დაიყვირა.

-აიოგა წყალში ჩავარდა და ბატად გადაიქცა. მიცურავდა და ყიოდა:

-აი რა ლამაზი ვარ! გა-გა! რა ლამაზი ვარ!

იქამდე იცურა, სანამ ლაპარაკს არ გადაეჩვია. მხოლოდ თავისი სახელი ახსოვდა. როცა ხალხს დაინახავდა, დაიყვირებდა:

-აიო-გა-გა-გა-გა! აიო-გა-გა-გა-გა!

ნენეური ზღაპრები

კვერი

თაგვი, ყორანი და კაკაბი ტუნდრაში ცხოვრობდნენ. ერთხელ კვერი მოუნდათ. თაგვმა იკითხა:

-დუქანში ფქვილის საყიდლად ვინ წავა?

-მე არ წავალ,-თქვა ყორანმა.

-არც მე, თქვა კაკაბმა.

-თუ თქვენ არ წახვალთ, მაშინ მე წავალ,-თქვა თაგვმა.

თაგვი დუქანში წავიდა ფქვილი მოიტანა და იკითხა:

-ცომს ვინ მოზელს?

-მე არა,-თქვა ყორანმა.

-არც მე,-თქვა კაკაბმა.

-თუ თქვენ არ მოზელთ, მაშინ მე მოზელ-თქვა თაგვმა.

თაგვმა წყალი მოიტანა, თასი აიღო, წყალი ჩაასხა და ფქვილი ჩაყარა, ცოტა მარილიც დაუმატა, ცომი მოზილა, ფიცარზე დადო, გააბრტყელა და იკითხა:

-კვერს ვინ გამოაცხობს?

-მე არა,-თქვა ყორანმა.

-არც მე,-თქვა კაკაბმა.

თუ თქვენ არ გამოაცხობთ, მაშინ მე გამოვაცხობ-თქვა თაგვმა.

თაგვმა კვერები გამოაცხო, მაგიდაზე დაალაგა და იკითხა:

-კვერებს ვინ შეჭამს?

-მე,-უთხრა ყორანმა.

-მეც,-უთხრა ყორანმა.

-არა,-თქვა თაგვმა, როცა მე ვფაციფუცობდი, თქვენ მარტო უყურებდით, ახლა მე კვერებს შევჭამ, თქვენ კი მიყურეთ!

თაგვი დაჯდა და კვერები შეჭამა.

აქ მთავრდება ზღაპარი.

სამი ვაჟი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი ღარიბი ქალი. სამი ვაჟი ჰყავდა. ვაჟები გაიზარდნენ, ძლიერნი და მამაცნი გახდნენ, დედა კი მოხუცდა. ერთხელ დედამ ვაჟებს უთხრა:

-შვილებო, დროა თქვენი ბედნიერება ეძიოთ, ვინც არ ეძებს, ვერც პოულობს.

პირველად გზას უფროსი ვაჟი დაადგა. დედამ წასვლის წინ კვერები გამოუცხო და უთხრა:

-ეს კვერი შეჭამე, ძალა მოგემატება.

წავიდა უფროსი ვაჟი. იარა, იარა, მოშივდა, დედის გამომცხვარი კვერები ამოიღო, მაგრამ ჭამა გადაიფიქრა, რადგან კვერები გამხმარიყო. შვილს დედაზე გული მოუვიდა, კვერები გადააგდო და გზა გააგრძელა. შორს პატარა ჩუმი შენიშნა, ახლოს მივიდა, ძაღლმა დაუყევა, ძაღლის ყეფაზე ჩუმიდან დედაბერი გამოვიდა და ვაჟს უთხრა:

-ჩუმში შემოდი, ალბათ მოგშივდებოდა.

დედაბერმა აჭამა და უთხრა:

-აქ შენ ბედნიერება შეგიძლია იპოვო, ოღონდ კარგად მომისმინე. ჩემი ჩუმის სიახლოვეს ღრმა ჭაა. როცა დაღამდება, იქ წადი. ჭაში ბევრ ვარსკვლავს დაინახავ. თუ ყველა ვარსკვლავის ამოღებას შეძლებ, შენს ბედნიერებას იპოვი.

-ეს სულ უბრალო საქმეა, თავს იოლად გავართმევ,-მიუგო ვაჟმა.

როცა დაღამდა, უფროსმა ვაჟმა სათლი და თოკი წაიღო და ჭისკენ წავიდა. საქმეს შეუდგა, ჭიდან ვარსკვლავებს დიდხანს იღებდა, დაიქანცა, ფსკერს ჩახედა, იქ კი ვარსკვლავები ისევ კიაფობდნენ. ვაჟს გული მოუვიდა და გაიფიქრა: „დედაბერმა დამცინა. განა შესაძლებელია ჭიდან ვარსკვლავების ამოღება?“ ჭაბუკმა სათლი დააგდო და სახლში დაბრუნდა. დედამ არაფერი უთხრა, მხოლოდ თავი გადააქანა.

ახლა მეორე ვაჟი წავიდა ბედნიერების საძებნელად. დიდხანს იარა და მოშივდა. ამოიღო დედის გამომცხვარი კვერები, არ მოეწონა, გადააგდო და გზა გააგრძელა. მალე პატარა ჩუმი დაინახა და იმ დედაბერთან მივიდა. დედაბერმა ვაჟი ჩუმში შეიყვანა, აჭამა და უთხრა:

-შენ აქ ბედნიერებას იპოვი, ოღონდ შენი უფროსი ძმასავით არ მოიქცე, კარგად იმუშავე.

ღამით ჭაბუკი ჭასთან მივიდა და უამრავი ვარსკვლავი დაინახა. სათლი ჩაუშვა და ვარსკვლავების ამოღებას შეუდგა. დიდხანს მუშაობდა, დაიქანცა, წელი ასტკივდა, ჭაში ჩახედა და იქ ისევ ბევრი ვარსკვლავი კიაფობდა. გული მოუვიდა და გაიფიქრა: „ამ დედაბერმა როგორც ჩემს უფროს ძმას, მეც ისე დამცინა. ერთ ღამეში ამდენი ვარსკვლავის ამოღებას ვინ შეძლებს?“

ჭაბუკმა სათლი დააგდო და სახლში წავიდა. დედამ მასაც არაფერი უთხრა, მხოლოდ თავი გადააქნია და ცრემლები მოუვიდა.

მესამე ვაჟის ჯერიც დადგა.

-თანმიმდევრული და შრომისმოყვარე იყავი, შენი უფროსი ძმებივით არ მოიქცე,-
უთხრა დედამ.

დიდხანს იარა უმცროსმა ვაჟმა. მოშივდა. დედის გამომცხვარი კვერები აიღო. კვერები გამხმარიყო, მაგრამ ვაჟმა არ გადააგდო და შექამა. მერე გზა გააგრძელა. მზე უკვე ჩადიოდა, რომ პატარა ჩუმს მიაღწია. ძაღლმა დაიყევა და ჭაბუკის შესაკვედრად ჩუმიდან მოხრილი დედაბერი გამოვიდა, ჭაბუკი ჩუმში შეიპატიჟა და გაუმასპინძლდა. ჭაბუკმა თავისი კვერები ამიღო და უთხრა:

-მე კვერები მაქვს. ჩემთვის ის გემრიელია. დედაჩემმა საგზაოდ გამომიციხო და შექამა.

როცა მოსაღამოვდა უმცროსი ძმა საქმეს შეუდგა. სათლი ჭაში ბევრჯერ ჩაუშვა, მაგრამ ვარსკვლავები ისევ კიაფობდნენ. ჭაბუკმა დიდხანს იშრომა, ხელები და წელიც ეტკინა, მაგრამ საქმეს თავი არ დაანება და ვარსკვლავების ამოღებას განაგრძობდა. უცებ სათლი რაღაც მაგარს დაენარცხა. ჭაბუკმა ჭაში ჩაიხედა და დაინახა, რომ წყალი დამშრალა და ვარსკვლავებიც გამქრალიყო.

გათენდა, მზე ამოვიდა, მთელი დედამიწა გაანათა. დაღლილი ჭაბუკი ჭასთან იდგა, მაგრამ ბედნიერი იყო, რადგან საქმე დაასრულა.

-შენ დიდი საქმე გააკეთე,-უთხრა დედაბერმა. ამ ჭის ფსკერზე ბოროტმა ჯადოქარმა ნილეკამ მზეს თავისი გული დაუძალა. მზემ ახლა ნილეკას გული დაწვა და ნილეკა მოკვდა. ღარიბ მეირმეებს ირმის ჯოგებს ვეღარ წაართმევს და ჩვენს საძოვრებს ვეღარ გაანადგურებს. ყველა ჯოგი და საძოვარი ჩვენ დაგვიბრუნდება.

უმცროს ვაჟს ამის მოსმენა გაუხარდა, ღარიბებს დაუძახა და ბოროტი ნილეკას კუთვნილი ირმის ჯოგები და საძოვრები დაუბრუნა. ღარიბთა შორის დედამისიც იყო და მადლიერებით შეხედა, რადგან მან შეუპოვარი და შრომისმოყვარე ვაჟი აღზარდა, რაც მიზნის მიღწევაში დაეხმარა.

ლურჯი მოცვი

მზის სხივსა და ყვავილოვან ბალახს მზეთუნახავი გოგო გაუჩნდათ. დაისი დაარქვეს. დაისი სწრაფად იზრდებოდა და მალე ისეთი ხელმარჯვე ოსტატი გახდა, რომ მოხატულ ჩექმებსა და ტანსაცმელს ერთ ღამეში კერავდა. გაიზარდა და გასათხოვარი გახდა. მამამისთან ბევრი მაჭანკალი მიდიოდა.

-მზის სხივო, შენს გოგოს გაათხოვებ?

-ვერავის მივათხოვებ ჩემს ქალიშვილს-ერთი და იგივეს პასუხობდა მზის სხივი.

დაისის შესახებ დაუმარცხებელმა წვიმამაც გაიგო. ნარტაში შვიდი თეთრი დათვი შეაბა და მზის სხივის ჩუმისკენ გზას დაადგა. ჩუმამდე მიაღწია, თავის ყინულის კეტს დაეყრდნო და ჰკითხა:

-მზის სხივო, შენს ქალიშვილს მომათხოვებ?

-არავის მივათხოვებ ჩემს ქალიშვილს,-მიუგო მზის სხივმა.

მაგრამ დაუმარცხებელი ყინვა უკან არ გაბრუნდა, სამი დღე და ღამე ისევ და ისევ იმეორებდა:

-მზის სხივო, შენი ქალიშვილი მომათხოვე.

შუადღისას დაუმარცხებელი ყინვა დასუსტდა, ღამით კი მისი ხმა მრისხანედ ისმოდა. მზის სხივი ღამე ჩუმდებოდა, შუადღისას კი გაბედულად იმეორებდა:

-განა ჩემს ქალიშვილს დაუმარცხებელ ყინვას მივცემ?

დაისი მწარედ ტიროდა, დედამისიც და დაუმარცხებელი ყინვაც ეუბნებოდა:

-წადი დაუმარცხებლო ყინვა! ჩვენი ქალიშვილი შენი ცოლი ვერ გახდება, შენს ყინულის ჩუმში გაიყინება.

დაუმარცხებელი ყინვა გაჯიუტდა და მეოთხე დღეს მრისხანედ თქვა:

-მზის სხივო, თუ შენს ქალიშვილს ნებით არ მომცემ, ძალით წავიყვან!

-რა გაეწყობა? შენ უფრო ძლიერი ხარ, მომიწევს ქალიშვილი მოგათხოვო.

დაუმარცხებელმა ყინვამ დაისი თავის ნარტაზე დასვა, რომელშიც შვიდი თეთრი დათვი იყო შეხმული და ჩრდილოეთისკე, ქარბუქისა და მყინვარებისკენ გზას დაადგა. დაისს სციოდა, გაითოშა, თითქმის ყინულად იქცა, მიწაზე გადმოვარდა და ლურჯ მოცვად გადაიქცა.

დაუმარცხებელმა ყინვამ თავის ჩუმს მიაღწია, თავის საცოლეს ეძებდა, მაგრამ მის კვალსაც ვერ მიაგნო. გული მოუვიდა და სახე ღამესავით მოელუშა.

-გაგყინავ! ამაყო მზეთუნახავო!

დაუბერა, მიწა გადათეთრდა, ირგვლივ ყველაფერი გაიყინა, ლურჯი მოცვი ცქელი თოვლით დაიფარა.

მაგრამ გაზაფხულდა, მზის სხივმა თოვლი დაადნო და ლურჯი მოცვიც გაცოცხლდა. ხალხი ტკბილ კენკრას კრეფს და იხსენებენ მზეთუნახავ ქალიშვილს, რომელიც მოცვის კენკრად გადაიქცა.

ორი დათვი

ერთხელ მურა დათვს ტყეში გასეირნება მოუწია. ბუნაგიდან ცხვირი გამოყო და დაინახა, რომ უღრან ტყეში თბილოდა, მხიარული ნიავი კედლებს შორის ქროდა, ფიჭვებს ფისის სუნი ასდიოდათ და ჩიტები ჭიკჭიკებდნენ.

დათვი ბუნაგიდან გამოძვრა, გზაზე ბუჩქებს ამტვრევდა, ჟოლოს მიირთმევდა და ნაზ ხავსზე კოტრიალობდა. დათვმა იარა, იარა და ზღვამდე მიაღწია, ნაპირს მიადგა და დაინახა, რომ სწორედ ამ დროს ზღვის თეთრი დათვი სასეირნოდ გამოვიდა, წყლიდან გამოვიდა, ნაპირზე ქვებზე ჩამოჯდა, მზეზე თბებოდა და თათით ყუს იფხანდა. მურა დათვმა დაინახა და შესახვედრად გაეშურა:

-შენ აქ რას აკეთებ?

თეთრ დათვს სიბრაზისგან ბალანი ყალყზე დაუდგა:

-შე ტყიურო, ჩემს ნაპირზე რატომ სეირნობ?

-ჩვენი ნაპირი შენი როდის გახდა? შენი ადგილი ზღვაშია, იქ იცხოვრე, მიწა კი ჩვენია, -ეწყინა მურა დათვს.

ორივე გაბრაზდა, უკანა ტორებზე დადგნენ, დაიბლავლეს და ერთმანეთს ეცნენ. მათი ბლავილი მთელს ნაპირზე ისმოდა. დათვები ერთმანეთს ამტვრევდნენ, ქვები ზღვაში ცვიოდა. შუადღემდე იჩხუბეს, მერე შეისვენეს და ისევ გააგრძელეს. ერთმანეთს ძვლებს ამტვრევდნენ და ტყავს აგლეჯდნენ. საღამომდე იჩხუბეს, მზე უკვე ჩადიოდა და მალე დაღამდებოდა. დათვები დაილაღნენ, დასხდნენ და ერთმანეთს ზურგით მიეყრდნენ, სულს ძვლივს ითქვამდნენ, ტორებს იქნევდნენ. ხუმრობაა-მთელი დღე ჩხუბობდნენ.

მურა დათვი შემობრუნდა და თეთრ დათვს უთხრა:

-შენ, თეთრო, ჩემზე ძლიერი ხარ, სამაგიეროდ, მე მარჯვე ვარ. ჩვენს შორის ვერცერთი მეორეს ვერ აჯობებს. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ჩვენ ნათესავები ვართ. ამბობენ ჩვენი პაპები ძმები იყვნენო.

თეთრი დათვი შემობრუნდა, ქეჩო მოიფხანა და უთხრა:

-ნამდვილად, რატომ ვიჩხუბოთ? განა დედამიწაზე ცოტაა ადგილი?

-იცი თეთრო, მე ვარ დამნაშავე, უღრან ტყეში ვიცხოვრებ და შენს ზღვაში არ შევალ, - უთხრა მურა დათვმა.

-მე კი, მურა დათვო, შენს ტყეში არ შევალ, ზღვაშიც დავეტევი, -მიუგო თეთრმა დათვმა.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ და დაშორდნენ: მურა უღრან ტყეში წავიდა, თეთრმა კი ზღვაში ჩაიყურყუმელავა და გაცურა.

მას მერე ასე ცხოვრობენ.

მელია, ჩიტი და ყორანი

ხეზე ჩიტი იჯდა. ბუდეში ოთხი ბარტყი ჰყავდა. უცებ, შორიახლოს მელიამ გაირბინა, ბარტყები შენიშნა და უთხრა:

-მშია და ერთი ბარტყი მომეცი.

-არ მოგცემ! სხვაგან ეძებე!

-თუ არ მომცემ, შენს ხეს მოვჭრი, ხედავ-ხმალი მაქვს და კუდის ქნევა დაიწყო, თითქოს ხეს ჭრიდა.

ჩიტს შეეშინდა და ტირდა:

-ხე არ მოჭრა, ბარტყს მოგცემ.

ბუდიდან ერთი ბარტყი გადმოუფლო, მელიასა ეს უნდოდა, პირი სტაცა და ტყისკენ გააქანა.

იჯდა ჩიტი და ტიროდა. ბარტყი ეცოდებოდა. შორიახლოს ყორანმა გაიფრინდა და ჰკითხა:

-ჩიტო, რატომ ტირი? რაზე დარდობ?

-როგორ არ ვიტყვი? მელიამ ბარტყი შემიჭამა,-მიუგო ჩიტმა.

-მელია ბარტყს როგორ შეგიჭამდა? შენი ბუდე ხომ ხეზეა,-გაუკვირდა ყორანს.

-მე თვითონ ჩამოვუფდე, მელიას ხის მოჭრა უნდოდა. მას მჭრელი ხმალი ბეწვის ტომარაში აქვს შენახული.

-შტერი ხარ ჩიტო!-უთხრა ყორანმა. ეს ხმალი კი არა-კუდია. როცა მელია კიდევ მოვა, ბარტყი არ მისცე, დაე, ხე მოჭრას-არაფერი გამოუვა.

მეორე დღეს მელია ისევ მოვიდა და ისევ სთხოვა:

-მომშვიდა და კიდევ ერთი ბარტყი მომეცი.

-არ მოგცემ ბარტყს.

-მაშინ ხეს მოვჭრი,-გაბრაზდა მელია.

და მელიამ ხეს კუდის ცემა დაუწყო, ურტყა, ურტყა, ბეწვი სულ დაეგლიჯა და ჰაერში გაიფანტა, ხე კი ვერც კი გაატოკა, დასასვენებლად დაჯდა და ჰკითხა:

-ვინ გასწავლა, რომ არ დამიჯერო? ყორანმა?

-არა, თვითონ მივხვდი, ჩემი ჰკუა მაქვს,-მიუგო ჩიტმა.

-არა, ამას შენი ჰკუით ვერ მიხვდებოდი, ყორანი დაგეხმარა, იმას ვაჩვენებ როგორ უნდა ჩემს საქმეში ჩარევა!

მელია ყორანის საძებნელად გაეშურა. დიდხანს ეძებდა და უცებ დიდ მდინარესთან აღმოჩნდა. ნაპირზე რამდენიმე ჩუმი იდგა. მელიამ მოიფიქრა ადამიანთა სიახლოვეს რამე ეშოვა. ორმო ამოთხარა, შიგ გულადმა ჩაწვა, ენა გარეთ გამოყო. წითელი ენა შორიდან კარგად ჩანდა-ჩიტებისა და მხეცებისათვის კარგ სატყუარად გამოდგებოდა.

მელია ასე იწვა და უცებ დაინახა, რომ ყორანი მოფრინავდა. ყორანმა წითელი ენა რომ შენიშნა, გაიფიქრა:-აი, ჩემი ვახშამი!

მელიას დააფრინდა, ენაში ნისკარტი ჩაჰკრა, მელიამ კი თავში პირი სტაცა და უთხრა:
-აჰა! შენ ჩიტს ჭკუა რატომ დაარიგე? ახლა მე გიჩვენებ სეირს.

ყორანს შეეშინდა და მელიას სთხოვა:

-არ მომკლა. ჩემი სიკვდილი შენთვის რა ხეირია? სჯობს კლდეზე ამიყვანო, შვერილზე დამაყენო, გამოქანდი და ქვემოთ გადამაგდე.

ისე, ასეც უნდა, დაე გადმოვარდეს და ძვლები დაემტვრეს,-აიფიქრა მელიამ.

მელიამ ყორანი კლდის პირას დააყენა, გამოიქცა, რათა დაჯახებოდა, ყორანმა კი ფრთები ააფართოხუნა და გაფრინდა. მელიამ კლდის შვერილზე თავი ვერ შეიმაგრა და ქვემოთ გადავარდა, კინალამ ფეხები დაემტვრა. მას მერე მელია ყორანს გაიძვერობაში აღარ ეჯიბრება.

გუგული

მზისქვეშეთში ერთი ღარიბი ქალი ცხოვრობდა. ოთხი შვილი ჰყავდა. შვილები დედას არ უჯერებდნენ. დილიდან საღამომდე თოვლში დარბოდნენ და დედას არ ეხმარებოდნენ. დაბრუნებისას ჩუმში ჩექმებით თოვლი შემოჰქონდათ, დედა კი დალაგებას ვერ აუდიოდა. ტანსაცმელს ისველებდნენ, დედა კი აშრობდა. დედას უძნელდებოდა ამდენი საქმის კეთება და დაღლილობისგან ავად გახდა, ჩუმში იწვა და შვილებს უხმობდა:

-შვილებო, წყალი მომიტანეთ, ყელი გამიშრა, წყალი მომიტანეთ!

დედამ არაერთხელ ითხოვა წყალი, მაგრამ შვილებმა არ მოუტანეს.

უფროსმა თქვა:-ჩექმები არ მაცვია.

მეორემ:-ქუდი არ მაქვს.

მესამემ:-ტანსაცმელი არ მაქვს.

მეოთხე ხმას საერთოდ არ იღებდა.

დედა თხოვდათ:-მდინარე ჩვენგან ახლოსაა, თბილი ტანსაცმლის გარეშეც შეიძლება წასვლა, ყელი გამიშრა, მწყურია!

ბავშვები ჩუმიდან გამოვარდნენ, დიდხანს ითამაშეს და დედამისს არც კი მიხედეს. ბოლოს უფროსს მოშივდა, ჩუმში შევიდა და დაინახა, რომ დედამისი ქურქს იცვამს. უცებ ქურქი ბუმბულით დაიფარა, ჩიტის კუდი გამოეხა, სათითო რკინის ნისკარტად გადაიქცა, ხელების ნაცვლად ფრთები გამოეზარდა.

დედა გუგულად გადაიქცა და ჩუმიდან გაფრინდა. მაშინ უფროსმა ძმამ დაიყვირა:

-ძმებო! უყურეთ, უყურეთ ჩვენი დედა გუგულად გადაიქცა

ბავშვები დედისკენ გაიქცნენ და ყვიროდნენ:

-დედა! დედა! წყალი მოგიტანეთ!

მან კი კი-კუ-კუ-კუ-გვიანაა, ტბის წყალს დავლევ, ვრცელი წყლებისკენ მივფრინავ!

შვილები დედას მისდევდნენ, უხმობდნენ, წყლით სავსე ციციხვს აწვდიდნენ.

-დედა! დედა! სახლში დაბრუნდი, წყალი დალიე! -დაუძახა უმცროსმა შვილმა.

დედამ შორიდან დაუძახა:

-კუ-კუ-კუ-კუ-კუ-გვიანაა შვილო! არ დავბრუნდები!

მრავალი დღისა და ღამის განმავლობაში მისდევდნენ დედას შვილები-ქვებზე, ჭაობებზე, ფეხებიდან სისხლი სდიოდათ, სადაც გაირბენდნენ წითელ კვალს ტოვებდნენ.

დედა-გუგულმა შვილები სამუდამოდ დატოვა. მას მერე გუგული ბუდეს აღარ იკეთებს, თავის ბარტყებს არ ზრდის, ტუნდრაში კი წითელი ხავსია მოდებული.

ჩუკოტკური ზღაპრები

ერმეჩინ-დევემირი

ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, როცა ტანგები* ერთი ტომის საცხოვრისს თავს ესხმოდნენ, ადამიანებს ხოცავდნენ და იარაღი და ტანსაცმელი მიჰქონდათ. მათთან ადამიანები ვერაფერს გახდნენ, რადგან ტანგები ყარსადისაგან გაჩენილი და ცბიერნი იყვნენ.

ერთხელ, როცა მზე დასადინებლად თავის იარანგაში* წავიდა, ტანგები საცხოვრისს ისევ დაესხნენ. მხოლოდ ერთმა ჩუქჩამ მოახერხა თავის ცოლთან და პატარა ბიჭთან ერთად ნარტაზე დამჯდარიყო და თავს ეშველა. გაბრაზებული ტანგები გამოეკიდნენ, დიდხანს სდიეს, დაილაღნენ და უკან მიბრუნდნენ. ჩუქჩამ ირმები შორს გარეკა და ვერც შემაჩნია, რომ თავისი პატარა ბიჭი ნარტადან გადმოვარდა.

დილით ამ ადგილას სხვა საცხოვრისის ხალხმა გაიარა. ერთმა მოხუცმა მონადირემ პირდაპირ თოვლზე მწოლიარე ბიჭი დაინახა, აიყვანა და თავისთან წაიყვანა. თანამომძმეები ამის გამო გაბრაზდნენ:

-უცხოტომელი ჩვენს გვარში რატომ მოგყავს? იქნებ ბოროტი სულის შვილია? მისგან კარგი არაფერი მოგველის.

-ეტყობა თქვენი გულები ირმის ჩლიქებივით გამაგრდა. ხედავთ, რომ ბიჭი სულ გაყინულია. ალბათ ტანგებმა მისი მსობლები გადაწვეს, ეს კი მარტო დარჩა. მე მოხუცი ვარ და ჩემი იარანგა სულ დაძველებულია, მაგრამ ბიჭს მაინც ავიყვან. დაე, ჩემთან იცხოვროს, -თქვა მონადირემ.

სანამ მოხუცს ბიჭი მიჰყავდა, ის უცებ გაიზარდა და როგორც ზრდასრული მონადირე ისეთი გახდა. მოხუცმა მონადირემ ათი ირემი მოინადირა, რათა მისგან ბიჭისთვის კუხლიანკა შეეკურა. მონადირემ ბიჭს ერმეჩინი-ძღერი ადამიანი-დევემირი დაარქვა.

ერმეჩინი კარგი მწყემსი და მონადირე დადგა. მის ფარას ნადირი ვერ ეკარებოდა, მისი ყველას ეშინოდა, ირმებს კი კეთილი გულისა და გაბედულობისთვის უყვარდათ. მათ იცოდნენ, რომ როცა ის ფარასთან იყო, ვერცერთი მგელი ფარას ვერ მიეკარებოდა. ირმებმა ერმეჩინს ყველაზე სწრაფ ირემზე სწრაფი სირბილი და ერთი ბორცვიდან მეორეზე გადახტომა ასწავლეს.

ერმეჩინი და მოხუცი მონადირე კარგად ცხოვრობდნენ, მხოლოდ მდიდრებს მოსვენება დაეკარგათ, როცა იქვე მეზობელ იარანგაში ეწვიათ. მოხუცს ეუბნებოდნენ:

-უცხოტომელს შენთან რატომ აცხოვრებ? ერმეჩინი ადამიანი არა არის. ნადირს მისი ეშინია, ირმებს უყვართ. მთელი საცხოვრისის ძალა მან აიღო. თუ მას არ მოკლავ, მაშინ

ჩვენ შენ მოგკლავთ!

-საცხოვრისის ხალხმა შენი მოკვლა დამავალა. ამბობენ, რომ მთელი საცხოვრისის ძალა შენ აიღე. თუ არ მოგლავ, საქმე ცუდად მექნება,-უთხრა მოხუცმა ერმეჩინს და მოუყვა, თუ როგორ იპოვა. ერმეჩინი მიხვდა, რომ უცხო ტომში იყო და გადაწყვიტა საცხოვრისიდან წასულიყო და თავისიანები ეძებნა. მოხუცმა საგზაოდ ტორბასები, დანა და ერთი მუჭა ქვები მისცა და უთხრა:

-პირდაპირ იარე. მალე დიდ ტბას დაინახავ, ტბაზე სქელი, მტკიცე ყინულია, შუაში კი პატარა კუნძული. იქით წადი. როცა ტბას მიაღწევ, ახალი ტორბასები ჩაიცივი. ხედავ, მათ ძირზე ბრჭყალები აქვს? ისინი ყინულს კარგად მოეჭიუდებიან და არ წაიქცევი.როცა კუნძულზე მიხვალ, დაწევი და დაიძინე, ოღონდ ერთი თვალი არ დახუჭო. ტანგები კუნძულს გარს შემოერთყმებიან, მოგიახლოვდებიან, შენ დაიცადე, სანამ ყველა კუნძულზე არ გადმოვა., მაშინ ქვები ესროლე და დახოცე, მაგრამ მათ წინამძღოლს ხელს ჯერ ნუ ახლებ. მხოლოდ მან იცის შენი მშობლების ადგილსამყოფელი. როცა ყველას დახოცავ, მათი ტანსაცმელი მოაგროვე და ყინულჭრილში ჩაყარე, მერე ტანგების წინამძღოლს დანა დაანახე. შეეშინდება და დანას მოგთხოვს, ირმის ჯოგს დაგპირდება. შენ არ დათანხმდე, უთხარი: თუ მამაშენის გზას გასწავლის, დანას აჩუქებ. მერე დანა დაამტვრიე და გადაყარე.

ერმეჩინმა მოხუცის ნათქვამი დაიმახსოვრა და გზას დაადგა. ირემივით ფეხმარდი იყო, დიდ ტბას მალე მიაღწია და ისე მოიქცა, როგორც მოხუცმა დაარიგა. დასაძინებლად დაწვა და ერთი თვალი არ დახუჭა.

ტანგები მალე გამოჩნდნენ. ერმეჩინი წამოდგომას შეეცადა მაგრამ ტორბასები არ უშვებდნენ. მაშინ გაახსენდა მოხუცის ნათქვამი, რომ დაეცადა, სანამ ტანგები ყინულზე შემოვიდოდნენ. დიდხანს იცადა. უცებ ჩრდილოეთის ქარი ამოვარდა. ტანგები ყინულზე ეცემოდნენ, ფეხი უსრიალდებოდათ და ქარი წამოდგომის საშუალებას არ აძლევდათ. ერმეჩინი წამოხტა და ქვის სროლა დაუწყო. ყველა ტანგი დახოცა, მხოლოდ მათი წინამძღოლი დარჩა, დაიჭირა და მოხუცი მონადირის დანა დაანახა. ტანგი შიშისგან აკანკალდა და სთხოვდა დანა მისთვის მიეცა, სამაგიეროდ ირმის ჯოგს სთავაზობდა. ერმეჩინმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს მისი სჯეროდა.

-კარგი, არაფერი მინდა. მაჩვენე ჩემი მშობლები სად ცხოვრობენ. დანას მოგცემ და შენს ირმებსაც არ წავიყვან.

-წამოდი, გზას გაჩვენებ,-გაუხარდა ტანგს.

ერმეჩინს უნდოდა წინ წასულიყო, ტორბასები კი უკან ატრიალებდნენ. უცებ გაახსენდა, რომ ტორბასების ტანსაცმლის ყინულჭრილში ჩაყრა დაავიწყდა. კიდევ კარგი, რომ გაახსენდა, თორემ ტანგები უკვე ცოცხლდებოდნენ. ერმეჩინმა ყველას ტანსაცმელი გახადა და ყინულჭრილში ჩაყარა. მაშინ კი დაინახა, რომ მკვდარი ტანგები მკვდან წასაღებად გადაიქცნენ.

ერმეჩინმა მკვდარი ყარსალები გაატყავა, წინამძღოლი ტანგი კი ქამრით შეკრა, რომ

არ გაქცეულიყო. მაღალ მთებს მიაღწიეს, ავიდნენ და იქიდან ქვემოთ, საცხოვრისი დაინახეს.

-აი, მამაშენის საცხოვრისი. ახლა დანა მომეცი!-უთხრა ტანგმა.

-დაიცადე, ვნახო დანა როგორ მტკიცეა, ცუდი დანის ჩუქება არ შეიძლება-უთხრა ერმეჩინმა და დანა გადალუნა.

ტანგი აღმუილდა, ტრიალებდა, თოვლს კბილებს ავლებდა და ყარსალად გადაიქცა. ერმეჩინმა დანა დაამტვრია და ნაწილები გადაყარა. დაინახა, რომ იქვე მის ახლოს მკვდარი ყასალი წევს, გაატყავა და დანარჩენს გადააბა. მერე ტბასთან მივიდა და ყინულჭრილსი კეტას ჩაუსაფრდა. როცა დაიჭირა, მისგან ქვირითი ამოიღო და სახეზე წაისვა. ერმეჩინს უნდოდა სცოდნოდა, თავის ძველ საცხოვრისში როგორ მიიღებდნენ. ყარსალების ტყავები თოვლში დამალა და მამის იარანგის საძებნელად გასწია.

ერმეჩინმა თავისი ძველი საცხოვრისი შემოიარა, პატარა ძველი იარანგა დაინახა და შიგ შევიდა. მშობლებმა პირველად ვერ იცნეს, მერე დედა მიხვდა, რომ ეს მათი ვაჟი იყო და ატირდა, რომ შვილი ასეთი ულამაზო ჰყავდა, მაგრამ რას იზამდნენ, ერთად ცხოვრება დაიწყეს.

დრო გადიოდა. ერმეჩინმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა, მაგრამ არც ერთ ქალიშვილს საშინელი შესახედაობის ერმეჩინზე გათხოვება არ უნდოდა.

საცხოვრისის წინამძღოლის იარანგაში ათი ქალიშვილი ცხოვრობდა. თითოეული მთვარეს, ხოლო უფროსი ზაფხულის მზეს ჰგავდა. მხოლოდ უმცროსმა იკადრა ერმეჩინისთვის შეეხედა.

-ჩვენმა მზეთუნახავმა გონჯზე გათხოვება გადაწყვიტა! ეტყობა თავში კურდღლის ტვინი აქვს!-დასცინოდნენ დები.

მალე საცხოვრისის წინამძღოლმა ირმების დოღის სამზადისი გამოაცხადა. ვინც პირველი მივიდოდა ძვირფას საჩუქარს მიიღებდა. ყველანი ირმებს დოღისთვის ამზადებდნენ. მხოლოდ ერმეჩინის მამა თავის იარანგაში იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა. მას ირმები არ ჰყავდა.

-მამა, ნარტა გაამზადე, დოღში წავიდეთ!-უთხრა ერმეჩინმა მამას.

-ნარტა რისთვის გინდა? განა არ იცი, რომ ჩვენ ირმები არ გვყავს?

ერმეჩინმა მამას არაფერი უთხრა და მეზობელთან ნარტას სათხოვნელად წავიდა. მეზობელმა ძველი, დამტვრეული ნარტა ათხოვა. ერმეჩინმა შეაკეთა და დოღისთვის მოამზადა.

როცა საზეიმო დღე მოვიდა, ერმეჩინმა მამას უთხრა, რომ ის ნარტაში ირმის მაგივრად შეება, მამას კი ამის გაკეთება არ უნდოდა. ეშინოდა, რომ ხალხი დასცინებდა, მერე კი დათანხმდა. ერმეჩინი ნარტაში შეაბა, თვითონ კი ნარტაზე დაჯდა.

უცებ ყველას გაეცინა.

-შეხედეთ, გონჯმა ერმეჩინმა ცოლი ვერ მონახა, ირმად გადაქცევას ფიქრობს და ფურირმის თავის იარანგაში მოყვანა უფიქრია!

ერმეჩინმა არაფერი თქვა, მხოლოდ თვალები ველური ირემივით გაუბრწყინდა.

ყველა დაიძრა. ერმეჩინი თავის ნარტას მიატრევდა. თავდაპირველად ნელა მირბოდა ყველამ გაუსწრო, მერე კი წინ გაიჭრა. ირმები სწრაფად მირბოდნენ, ერმეჩინი კი უსწრაფესად.

დოდის მერე ერმეჩინმა პირი დაიბანა და ისე გალამაზდა, რომ საცხოვრისის ყველა ქალიშვილს მისი ცოლობა მოუნდა. მან კი წინამძღოლის უმცროსი ქალიშვილი ცოლად შეირთო. მერე კი ყარსალების ბეწვეული მოიტანა და ყველას დაურთო.

თრია და კურდღელი

მოუსვენარი თრია სოროში ცხოვრობდა. მზის ამოსვლისას მაღალ გორაკზე ახტებოდა და ქორფა ბალახით და ტკბილი ფესვებით პირს იტკბარუნებდა.

ერთხელ სადილობისას მასთან კურდღელი მივიდა და სთხოვა:

-ყველაზე მეტად რისი ჭამა გიყვარს?

-ყველაზე მეტად ქორფა ბალახი და ტკბილი ფესვები მიყვარს, -მიუგო თრიამ.

-მაშინ გამიმასპინძლდი, -სთხოვა ყურცქვიტამ.

თრიამ ყურცხვიტა სოროში შეიპატიჟა და მარაგიდან ნუგბარ-ნუგბარი ბალახი და ფესვები გამოიტანა. ყურცქვიტამ დააგემოვნა და ისე ეგემრიელა, რომ სულ შეუჭამა.

თრიამ ჰკითხა:

ყურცხვიტა, შენ რა გიყვარს?

-ქერქი და ყლორტები, -ამაყად მიუგო კურდღელმა.

-შენც გამიმასპინძლდი შენი საყვარელი კერძებით, -სთხოვა თრიამ.

ყურცხვიტა ბუჩქებში შეძვრა და თრიაც შეიპატიჟა.

-აი, ქერქი გალრენი.

თრიამ სცადა ბუჩქის მწარე ქერქი გაესინჯა და დაიღრიჯა.

-ფუ, ცუდი საჭმელი გქონია, -მიუგო თრიამ.

კურდღელს ეწყინა და თრიას გამოეკიდა, სორომდე სდია. განაწყენებულმა ყურცხვიტამ თრიის სორო დიდი ქვით ამოქოლა და უთხრა:

-ახლა მშვიერი იჯექი, ჩემი საჭმელი კი გემრიელი იქნება. თრია კი სოროს მეორე მხრიდან გამოძვრა და ყურცხვიტაზე იცინოდა:

-რა სულელი ხარ! კარგად დაინახე რამდენი შესასვლელ-გამოსასვლელი მაქვს, ერთიდან გამოვალ და მეორედან შევალ.

ასე წაიჩხებნენ ტუნდრის მცხოვრებლები: ტრია და კურდღელი.

ძილისგუდა დათვი

ერთხელ მონადირე მურა დათვს შეხვდა და მიესალმა:

-გამარჯობა დათვო!

-გაგიმარჯოს, რა არის ახალი?

-ჩემთან არაფერი, შენთან?

-აი, დღე-დღეზე დასაძინელად დავწვები, მალე თოვლი მოვა.

-როდის გაიღვიძებ?

-გაზაფხულზე.

-ახლა დაიძინებ და მხოლოდ გაზაფხულზე გაიღვიძებ?-გაუკვირდა მონადირეს.

-კი, მთელი ზამთარი მძინავს.

-დიდხანს გძინავს. მე მარტო ღამით ვიძინებ, დღისით კი ვშრომობ: ნარტებს ვაკეთებ, ბეწვეულს მოვიპოვებ, ყინულის ქვეშ თევზს ვიჭერ. ზამთარში რამდენ საქმეს ვაკეთებ! შენ კი მთელი ზამთარი მკვდარივით გძინავს!

დათვს შერცხვა თავისი უსაქმურობა, შემოტრიალდა, ზურგი აქცია და ჩუმად გაიძურწა.

ყორანი ველვიმტილინი

ყორანმა ველვიმტილინმა მზე გადაყლაპა. ყორანი წევს, პურგა კი მძვინვარებს, არ წყდება. ემემკუტმა თავის გოგოს კლუკენევტს უთხრა:

-წადი ყორანთან და ჩვენთან დაპატიჟე. გოგონა გარეთ გავიდა, ნარტაზე დაჯდა და ყორანთან მივიდა. ქალმა ყორანს უთხრა:

-ადექი, შენთან მოვიდნენ.

-ვინ?-იკითხა ყორანმა.

-კლუკენევტი-ემემკუტის შვილი.

-მერე რა!

პურგა* ისევ ბობოქრობდა. გოგონა სახლში დაბრუნდა.მ

-ყორანი სად არის?-ჰკითხა ემემკუტმა.

-არ წამომყვა. ასე თქვა: მერე რა!
ემემკუტმა ახლა მეორე გოგოს უთხრა:
-თმა დაივარცხნე და ყორანთან წადი.
მზეთუნახავმა ინანევტმა თმა დაივარცხნა, გამოიპრანჭა და ველვიმტილინთან მივიდა. ქალი გამოვიდა და უთხრა:
-ყორანო ადექი! ნუ იმალები! შენთან მოვიდნენ!
-ვინ?
-ინანევტი,-მიუგო ქალმა.
ქალმა გოგო დაინახა და სიხარულისგან გადაიხარხარა:
-პა-გა-გა.
და პირიდან მზე გადმოუვარდა. ცა განათდა და პურგა დაწყნარდა.
-დაე, მუდამ იყოს ნათელი და პურგა ნუ იქნება-თქვა ინანევტმა.

*პურგა-ქარბუქი.

როგორ წააჩხუბა ყარსადმა ყვავი თეთრ დათვს

თეთრი დათვი და ყვავი მეზობლად ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ. სანადიროდ ერთად დადიოდნენ და ნანადირევს იყოფდნენ. იქვე ახლოს თავის თბილ სოროში ყარსადი ცხოვრობდა. ყარსადი შურიანი და მატყუარა იყო. მიუხედავად ამისა, დათვი და ყვავი თავის ნანადირევს უნაწილებდნენ ხოლმე. ყარსადი მათ უკან დასდევდა და საჭმლის ნარჩენებს აგროვებდა. ყარსადი ხშირად ხედავდა დათვი და ყვავი ნუგბარ-ნუგბარ საწმელებს როგორ მიირთმევდნენ და შურის გამო გადაწყვიტა თავისი მარჩენლები წაეჩხებებინა.

ერთხელ, როცა დათვი ზღვაში ნადირობდა, ყარსადი ყვავთან მივიდა და უთხრა:
-ყვავო, ნუთუ ბრმა ხარ? ვერ ხედავ, რომ დათვი ყველაზე მსუქან და გემრიელ ნაჭრებს ჭამს, შენ კი მხოლოდ ძვლებს გიტოვებს?

ყვავმა მატყუარა ყარსადს დაუჯერა და გადაწყვიტა მარტო, დათვის გარეშე ენადირა. როცა დათვი ყინულზე ნეპრას * მისდევდა, ყვავი ცდილობდა დათვისთვის დაესწრო, მაგრამ ნერპა ყვავს თეთრ თოვლზე ამჩნევდა და მაშინვე ყინულჭრილში ჩახტებოდა. ასე ბევრჯერ განმეორდა. თეთრ დათვს ყვავზე გული მოუვუდა და უსაყვედურა:

-ასეთი დამხმარე არ მჭირდება. ნადირს მიფრთხობ, შორს წადი! და ყვავი გააგდო.
ყვავი ახლა მიხვდა, რომ ყარსადმა მოატყუა და გადაწყვიტა შური ეძია. როგორც კი ყარსადი კურდღელს ან თაგვს მიეპარებოდა, ყვავი აფართხუნდებოდა, მთელი ხმით

დაიჩხავლებდა და ყარსაღს მსხვერპლს დაუფრთხოვდა. სევდიანი ყარსადი ცარიელ-ტარიელი დადიოდა.

ოღონდ, თეთრი დათვი ყვავს აღარ შეურიგდა. ყარსადის ცბიერებით და თავისი გაუმადლობით და სიძუნწით ყვავმა საუკეთესო მეგობარი დაკარგა.

*ნეპრა-სელაპის ჭრელი სახეობა.

ყოვლისშემძლე კატგირგინი

დიდი ხნის წინათ ჩუკოტკაზე ბოროტი ჯადოქარი-კატგირგინი ცხოვრობდა. არავინ იცოდა მისი იარაღა სად იდგა. მაგრამ ყველგან გამოჩნდებოდა ხოლმე და ადამიანებს ბოროტებას უკე თებდა. ისეთიც მომხდარა, რომ კაცი ლომვეშაპს მოინადირებდა, მოიტანდა, ნარტიდან გადმოიღებდა და აქნას დაიწყებდა თუ არა, ლომვეშაოი ქვად გადაიქცეოდა, ასეც ხდებოდა, რომ კურდღელი საცხოვრისთან მორბენდა და აცეკვდებოდა, მონადირეები თოფს ხელს სტაცებდნენ და დაუმიზნებდნენ, მაგრამ ვეღარ გაისროდნენ, დაიხედავდნენ და ხელში თოფის ნაცვლად ძაღლის კუდები ეჭირათ.

ამბობდნენ, რომ კატგირგინს ადამიანის ცხოველად გადაქცევა შეეძლო. იმასაც ამბობდნენ, რომ მას თევზი საიკა, ნაცრისფერი კურდღელი, რქოსანი ირემი, მგელი, თეთრი მელია, შავი კაირა, ჩრდილოეთის არყის ხე და ხავსი იაგელი ემსახურებოდნენ. ყველა ამათ მაგიური ძალა შესწევდათ და უწყინარი არსებების სახეცვლილება სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეეძლოთ, მაშინ როცა მათ სიკვდილი ელოდათ.

მონადირე ტინენს ამის შესახებ ბევრი სმენოდა, მაგრამ არ იჯერებდა.

ერთხელ, სახლში რომ დაბრინდა, ცოლს უთხრა:

-სულ წევხარ, სჯობს ტანსაცმელი დამიკერო, ვერ ხედავ, რომ დაგლეჯილია?

-თუ გეხალისება შენ თვითონ დააკერე, -იუგო ცოლმა.

-დავიღალე და თან ეს კაცის საქმე არ არის.

-მეძინება!

-ეს რას ნიშნავს? მე გავითომე, მშია, შენგან კი ერთი თბილი სიტყვა არ მესმის, - გაბრაზდა ქმარი.

ტინენმა გადაწყვიტა ცოლს დაშორებოდა. გამხმარი ხორცი უბეში შეინახა და სახლიდან გამოვიდა.

დიდხანს იარა, თი ცოტა იარა, უცებ ხეობა დაინახა, რომლის ორივე მხარეს შავი

კლდეების წვეტიანი პიკები ცას წვდებოდა. უკვე ღამდებოდა. ტინენმა გაიფიქრა: „ამ სიბნელეში სად წავიდე, ღამის გასათენებლად უნდა მოვემზადო.“ უცებ პირდაპირ მღვიმე შენიშნა. ნაბიჯი ჯერ არ გადაედგა, რომ მღვიმედან გამხდარი, კუზიანი დედაბერი გამოვიდა. მოკაუჭებული ცხვირი და პირში ღრჯოლებიო მოუჩანდა.

-ახ, ტინენი მოვიდა, დიდი ხანია გელოდები!

მონადირეს გაუკვირდა მისი სახელი საიდან იცოდა. დედაბერმა კი უთხრა:

-მე ყველაფერი ვიცი.

ტინენი მიხვდა, რომ თვით კატეირგინს ჩაუვარდა ხელში.

-მე ბევრი მოსამსახურე მყავს: ფრინველები, მხეცები, სხვადასხვანაირი მცენარეები, მაგრამ ადამიანი-არა. მისმინე, ამიერიდან ჩემი მსახური იქნები! რასაც გიბრძანებ ყველაფერს გააკეთებ!

ტინენმა თოფი მოიხსნა.

-არ მინდა გემსახურო.

-ხა-ხა-ხა! ჩემი მოკვლა გინდა? უყურე როგორ გაისვრის!

მონადირემ დაიხედა და რას ხედავს: ხელში თოფის ნაცვლად ჯოხი უჭირავს. ჯოხი გააქან-გამოაქანა და დედაბერი გადაკოტრიალდა. უცებ ისეთი პურგა ამოვარდა, რომ ირგვლივ სულ დაბნელდა, აღარაფერი ჩანდა, ტინენი თოვლში ჩაეფლო. დაიცადა, სანამ პურგა ჩაცხრებოდა, ის კი უფრო ძლიერდებოდა. იცადა, იცადა და მიხვდა, რომ ასე თოვლში წოლით ვერაფერს გახდებოდა და ადგა. ღრმა თოვლში დიდხანს იარა, მაგრამ თავის საცხოვრისს ვერ მიაგნო. ტინენი დაიღალა, თოვლში ჩაეფლო და დაიძინა. როცა გაელვიძა, ისევ ის მღვიმე დაინახა. წინ ის საშინელი დედაბერი იჯდა და ირმის რქებით თმებს ივარცხნიდა.

-აბა მონადირე! ახლა თანახმა ხარ?-ჰკითხა ტინენს.

ტინენი დაფიქრდა, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა.

-კარგი, თანახმა ვარ, ოღონდ ჯერ მაჭამე.

დედაბერმა თმები დააქნია და უცებ ირმების შესაბამელი გაჩნდა. ნარტებში ყველანაირი სანოვაგე ეწყო: სელაპის ღვიძლი, ირმის ხორცი და გამხმარი ხორციც.

ტინენმა ყველაფერი გასინჯა, კარგად გამოძლა და ცოტა უბეშიც შეინახა.

-კარგი, მე ახლა დავიძინებ, შენ კი უყურე, ჩემთან არავინ შემოუშვებ. თუ შემოუშვებ, ყინულის ლოლუად ვაქცევ!-უთხრა დედაბერმა.

ტინენი მღვიმესთან დადგა და მწარედ ჩაფიქრდა. უცებ თეთრი დათვი მიუახლოვდა.

-რა გინდა?-ჰკითხა ტინენმა.

-ყოვლისშემძლე კატეირგინის ნახვა მწადია! მიუგო დათვმა.

-არ შეგიშვებ!

-როგორ თუ არ შემიშვებ? იცი, მე ვინ ვარ? მე მისი უპირველესი მსახური ვარ!

-ვინც არ უნდა იყო, აქედან წადი.

დათვი გაბრაზდა, კბილები დააღრჭიალა და ის იყო მონადირეს უკდა სცემოდა, რომ

ტინენმა თოფი მოიხსნა და ჩახმახი შეაყენა.

-დაიცადე, არ მესროლო!-დაიღრიალა დათვმა.-კურდღელად გადაიქცევი!

და ტინენი კურდღელად გადაიქცა. მღვიმესთან ხტუნვით მივიდა, თოფის არებას ეცადა, მაგრამ ვერაფერი გამოუვიდა. კურდღელი მიხვდა, რომ მისი ერთადერთი მხსნელი მისივე ფეხები იყო, შემოტრიალდა და საცხოვრისში, თავის იარანგაში აღმოჩნდა.

-ცოლო, კარი გააღე, შენი ქმარი ტინენი ვარ!

ცოლმა იარანგიდან გამოიხედა და ახარხარდა:

-სად თქმულა, რომ კურდღლის ცოლი ვარ! აქედან დაიკარგე, სანამ ძაღლები არ ამიშვია!

კურდღელს შეეშინდა და ტუნდრაში გაიქცა. დიდხანს მირბოდა. მოშივდა. ირგვლივ ყველაფერი თოვლით იყო დაფარული. დაჯდა და მწარედ ატირდა. უცებ დაინახა, რომ სადაც ცრემლები დაეცა, თოვლი დადნა და იაგელი გამოჩნდა. კურდღელი იაგელისკენ დაიხარა, იაგელს კი შეეშინდა, რომ კურდღელი შეჭამდა და წამოიყვირა:

-სელაპად გადაიქეცი!

და კურდღელი სელაპად გადაიქცა. თოვლზე იწვა და ზღვაზე ოცნებობდა. ზღვა კი შორს იყო. მთელი დღე იფოფხა და როგორღაც ზღვამდე მიაღწია. სელაპმა მის წინ თევზი საიკა დაინახა და გაიფიქრა: „ამით ვივახშმებ.“ როგორც კი თევზს გამოეკიდა, საიკამ უთხრა:

-მგლად გადაიქეცი!

და სელაპი მგლად გადიქცა. თათებს წყალში ატყაპუნებდა, კინალამ დაიხრჩო. როგორღაც ნაპირს მიაღწია. გაყინულ ქვასთან იდგა და კანკალებდა. ამ დროს შორიახლოს თეთრმა მელიამ გაირბინა. მგელი გამოეკიდა. ის იყო ეწეოდა, რომ მელია შემოტრიალდა და დაუყვირა:

-კაირად გადაიქეცი!

მგელი კაირად გადაიქცა. ისე შიოდა, რომ ფრთებს ძვლივს შლიდა. მედუზა შენიშნა და მისკენ გაექანა. ამ დროს მედუზამ ჩაიჩურჩულა:

-ირმად გადაიქეცი!

და კაირა ირმად გადაიქცა. მიცურავს ირემი ზღვაში, წყლიდან მხოლოდ რქები უჩანდა. ის იყო უკვე იძირებოდა, რომ ზღვა გაიყინა და ყინულით ნაპირზე გამოაღწია. სიცივისგან სულ კანკალებდა, ირგვლივ კი მხოლოდ თოვლი და კლდეები იყო. ირემი ტუნდრისკენ გაიქცა. მირბის, მირბის და გზაზე თეთრი არყი შეამჩნია. გაიფიქრა - „კ,თუნდაც თეთრი ქერქი შევჭამო“ და არყის ხეს შეეხო თუ არა, აშრიალდა და:

-ადამიანად გადაიქეცი!

და ტინენი ისევ ადამიანი გახდა. შინ დაბრუნდა და რაც შეემთხვა, ცოლს მოუყვა.

-ბევრის მნახველი ვარ, მაგრამ ასეთი არაფერი მომსვლია.

შენ ჯერ კიდევ არაფერი გინახავს! შრომას ნუ დამამალებ! მე თვითონ ყოვლისშემძლე

კატრიგინი ვარ!

ტინენი შეშფოთდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

-სულ ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემს ცოლს ასეთი რამ შეეძლო. კატრიგინს შეუძლია ბუზად გადაიქცე, შენ შეგიძლია?

-მარტო ბუზად კი არა, კოლოდაც გადავიქცევი!-ამყად მიუგო ცოლმა.

ეს თქვა თუ არა კოლოდ გადაიქცა, ფრენდა და ბზუოდა. ტინენმა ხელი გაიწვდინა,- დაჯექი!

კოლო მონადირის ხელზე დაჯდა და ის იყო უნდა ეკბინა, რომ ტინენმა ხელი მოუჭირა და გაჰყლიტა.

უდეღეური ზღაპრები

უქნარა

ადამიანს თუ სიზარმაცე მოერია, ვედარავინ უშველის, მხოლოდ შიმშილს შეუძლია იხსნას.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალიშვილი, ძი-ძის ეძახდნენ. ის მონადირე და-დას შეუყვარდა და დაქორწინდნენ. ღარიბად ცხოვრობდნენ, და-დას სიზარმაცე მოერია, უქნარა გახდა, მთელი დღეები იურტაში * იწვა და სალამურს უკრავდა. ხორცისა და ხმელი თევზის მარაგი სულ შეჭამეს.

-სანადიროდ რატომ არ მიდიხარ? საჭმელი გამოგველია,-უთხრა ძი-ძიმ.

-ხელს ნუ მიშლი, ვერ ხედავ? სალამურზე ვუკრავ.

ერთხელ, მდინარეზე მონადირეები ნავით მიცურავდნენ. ძი-ძიმ მათ თევზი სთხოვა. მონადირეებს გაუკვირდათ და და-დას ჰკითხეს:

-ტაიგაში ცხოვრობ და რატომ არ ნადირობ? მდინარე აქვეა და რატომ არ თევზაობ?

-ფეხები მტკივა და თვალთაც დამაკლდა,-მიუგო და-დამ.

მონადირეებს შეეცოდათ და უთხრეს:

-აქ რისთვის უნდა დარჩეთ, შიმშილით დაიხოცებით. ერთი ნავი აიღეთ და ჩვენს საცხოვრისში წამოდით. ერთი ნავი დაუტოვეს, თვითონ კი გაცურეს.ძი-ძის გაუხარდა და ქმარს უთხრა:

-ნივთები მოაგროვე და ნავში დაალაგე.

-მე აქაც კარგად ვარ, თუ გინდა შენ დაალაგე, მე სალამურზე დავუკრავ, ფეხები მტკივა.

ცოლი გაბრაზდა და სალამური გაუტეხა. სამაგიეროდ და-დამ ნავს წყალში უბიძგა.

-შენ დატვირთე, მე კი ახალ სალამურს მოვჭრი.

-აკი ფეხები გტკივა? თან გაიფიქრა:-„ჩემზე მეტად სალამური უყვარს-უქნარაა.“

ნავი დატვირთა. და-დაც ტაიგიდან ახალი სალამურით დაბრუნდა. ნავში ჩასხდნენ და მდინარეს დაუყვნენ. ძი-ძი ნიჩბებს უსვამდა, და-და კი იწვა და სალამურს უკრავდა. ჭორომს მიუახლოვდნენ. წყლის დინება ნავს აქანავებდა, და-და კი წამოწოლილი სალამურს უკრავდა. უცებ წყალი შეეშხეფა და დაკვრას თავი დაანება.

-მდორე ნაჯადით იცურე,-შენიშნა ცოლს.

ამ დროს თავთხელი გაიარეს, მდინარე დაწყნარდა, და-და ისევ წამოწვა და დაკვრა გააგრძელა. ასე მიაღწიეს მონადირეთა საცხოვრისამდე. ძი-ძიმ მათ თევზი სთხოვა.- დავიჭერთ და დაგიბრუნებთ.-უთხრა მან.

მონადირეებმა თევზი მისცეს. და-და დანაყრდა, იურტაში შევიდა და დაკვრა დაიწყო.

-კარგად უკრავ, რატომ არ ნადირობ?-ჰკითხეს მონადირეებმა.

-ფეხები მტკივა,-მიუგო და-დამ.

ძი-ძიმ უყურა უყურა და შერცხვა,-„თევზს აღარ ვითხოვ, დაე, შიმშილით მოკვდეს”.

-შენთან აღარ ვიცხოვრებ, უქნარა ხარ და მარტო იყავი,-უთხრა ქმარს.

აილო თავისი ტანსაცმელი, ციყვის ქურქებისგან შეკერილი საბანი, დათვის ტყავები, ბოლჩა გამოკრა და სხვა იურტაში წავიდა. და-და კიდევ ერთი დღე უკრავდა სალამურს, მეორე დღესაც, მესამე დღეს მოშივდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, სალამურს ვეღარ უკრავდა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, კეტი და სამკბილა ჩანგალი აილო, ნავში ჩაჯდა და გაცურა. ჯერ ნელა მიცურავდა, როგორც კი საცხოვრისი თვალს მიეფარა, მაშინვე თვალს მიეფარა. ბევრი თევზი დაიჭირა, თავის იურტაში დაბრუნდა, თევზი გადმოტვირთა და ცოლთან გაიქცა. იურტაში შევიდა და ძი-ძის უთხრა:

-სახლში წავიდეთ, თევზი დავიჭირე და გაწმინდე.

ძი-ძიმ არ დაუჯერა, მაგრამ როცა თევზი დაინახა, ძალიან გაუხარდა. მას მერე შერიგდნენ და მეგობრულად ცხოვრობდნენ.

და-და ძველებურად უკრავს სალამურს, ოღონდ სიზარმაცემ გაუარა, თევზაობს და ნადირობს.

*იურტა- მომთაბარეების გასაშლელი კარავი.

გადაზამი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძუნწი, მდიდარი კაცი. გადაზამს ეძახდნენ. რასაც დაინახავდა და თუ მოეწონებოდა, პატრონს წაართმევდა. მისი ყველას ეშინოდა და ვერაფერი მოეხერხებინათ. ერთხელ, მონადირე გახა ხალხს დაპირდა, რომ მისგან გაათავისუფლებდა.

-გახა, როგორ შეძლებ?

-შევძლებ.

გახამ ცარიელი სკივრი მდინარეზე წაიღო და ქვებით გაავსო. ბერესტის ნაჭში ჩაჯდა და ნაპირს დაცილდა, სკივრი მდინარეში ჩაუშვა და ისეთი სახე მიიღო თითქოს ზევით ექაჩებოდა.

ამ დროს მდინარის ნაპირზე გადაზამი მოდიოდა.

-ეი! მანდ რას აკეთებ?

-ოქროთი სავსე სკივრს ვიღებ!-მიუგო გახამ.

ოქროთი სავსე? დამიცადე, მოგეხმარები!

გადაზამი ნაჭში ჩაჯდა და გახასკენ გაცურა. მიუახლოვდა თუ არა, გახამ სკივრი მდინარეში ჩაუშვა. გადაზამს ეწყინდა და გაფითრდა.

-უნდა ჩავყვინთოთ! შე დონდლო! დაიცადე, მოვიფიქროთ როგორ ჩავყვინთოთ, თან ხალათს იხდიდა.

-მე ამოვიღებ,-უთხრა გახამ.

-შენ არაფერი იცი! მე პირველი გადავხტები,-დაუყვირა გადაზამმა.

-ვერ ამოიღებ,-უთხრა გახამ.

-ამოვიღებ!

გადაზამმა ჩაყვინთა და სკივრს დაეჭიდა, მაგრამ ვერ დაძრა, უკვე სუნთქვა უჭირდა, მაგრამ სკივრს ხელს არ უშვებდა.

ასე ჩაიძირა გადაზამი. დაე, იქ იყოს.

ბისერი და ძაფი

იყო და არა იყო რა, ცის ქვეშეთში ერთი გოგონა ცხოვრობდა. პრანჭიაობა ძალიან უყვარდა. დღესასწაულზე და ქუჩაში ნაირ-ნაირ ტანსაცმელს იცვამდა და სულ ეცოტავებოდა.

ერთხელ, მოიფიქრა, რო ბისერიდან გულქანდი გაეკეთებინა. ბისერი ბევრი ჰქონდა: წითელი, ცისფერი, თეთრი, მწვანე. ფუთიდან ძაფი ამოიღო და გულქანდის აწყობა დაიწყო. ბისერი სულლ აასხა. ლამაზი გულქანდი გამოვიდა-ელვარე და მოკაზმული. გოგონამ გულქანდი ყელზე გაიკეთა და ქუჩაში გავიდა. მზე ანათებდა. მძივის მარცვლები ელვარებდნენ, ბრწყინავდნენ, ნაპერწკლებივით ციმციმებდნენ. ხალხი გულქანდს აკვირდებოდა და აქებდა:

-აი ბისერი, აი სილამაზე!

ბისერმა ეს გაიგო, სილამაზისგან უფრო აელვარდა და თქვა:

-ძაფო, ხედავ, ხალხი როგორ მაქებს? მე მამჩნევენ, შენ კი არა. შენ სულ არ ჩანხარ. დიდი პატივი დაგედო, ემსახურო ისეთ ღამაზმანს, როგორც მე ვარ !

ძაფს ეწყინა, არ ეეპასუხა, გაჩუმდა და გაიხსნა. ბისერი გაიფანტა, მიწაზე დაცვივდა: წითლები, თეთრები, ცისფერები, მწვანეები, ზოგი ქვიშაში ჩაეფლო, ზოგი მტკერს შეერია, ხალხმა გადათელა.

მიწის ზედაპირზე ნიავმა დაუბერა და ცაიჩურჩულა:

-ბისერო, თავს ამოდ არ იქებდი? დედამიწის ზურგზე ყველა ერთმანეთს ეხმარება. მზისქვეშეთში ყველას თავისი საქმე აქვს. ძაფს რატომ აწყენინე? ჭკვიანი თავს არ შეიქებს. მეგობარს პატივი ეცი, მეგობრობას გაუფრთხილდი.

ვეფხვი და ადამიანი

ეს დიდი ხნის წინათ მხდა. ტაიგაში ვეფხვი ბატონობდა და სხვა მხეცები მისი შიშით შორს გარბოდნენ. „ დედამიწის ზურგზე ჩემზე ძლიერი არავინაა. მე ყველაზე ძლიერი ვარ.“-ფიქრობდა ვეფხვი.

ერთხელ, ვეფხვი ხის ქვეშ ისვენებდა. უცებ ხიდან ხმა მოესმა:

- ვეფხო, შენ ფიქრობ, რომ ყველაზე ძლიერი ხარ? შენზე ძლიერიც არსებობს!

ვეფხვი წამოხტა და ზევით აიხედა, მას ჩიტი ელაპარაკებოდა.

- ვინ არის ჩემზე ძლიერი?-დაიჭრიალა ვეფხვმა.

-შენზე ძლიერი ადამიენია,- მიუგო ჩიტი და გაფრინდა.

ვეფხვს ადამიანი არასოდეს ენახა და მისი ნახვა მოუწდა. წავიდა ადამიანის სამებნელად. იარა, იარა და ცხენ-ირემს შეხვდა. ვეფხვმა ჰკითხა:

-შენ ადამიანი ხარ?

-არა, ადამიანი მე საერთოდ არ მგავს. რატომ ეძებ?-ჰკითხა ცხენ-ირემმა.

-მინდა ვნახო ვინ არის ჩემზე ძლიერი.

-ამოდ გინდა ადამიანის ნახვა, მოგკლავს. ადამიანზე ძლიერი არავინ არის.

ვეფხვმა ხმამაღლა გაიცინა და გზა გააგრძელა. უცებ ველური ირემი შეხვდა.

-შენ ადამიანი ხარ?-ჰკითხა მასაც ვეფხვმა.

-არა, მე ველური ირემი ვარ. ადამიანს რატომ ეძებ?

-მინდა ვნახო, ვინ არის ჩემზე ძლიერი.

-ამოდ ეძებ ადამიენს, ის მოგკლავს. ის ხომ დედამიწის ზურგზე ყველაზე ძლიერია.

ვეფხვს ისევ გაეცინა და გზა გააგრძელა. მიდის და დაინახა, რომ ვიღაც ორ ფეხზე დგას და ხეს ჭრის. უცებ ხემ გაიჭახუნა. შეყანყალდა და დაეცა. ვეფხვი ბუჩქებში დაიმალა და დააკვირდა. მერე ახლოს მივიდა. ადამიანმა ვეფხვი შენიშნა და ჰკითხა:

-მხეცო, რა გინდა?

-ადამიანი მინდა ვნახო.

-ტყუილად ფიქრობ. ნუთუ არ იცი, რომ ადამიანი შენზე ძლიერია. საშიშია ადამიანის ყურება.

-დედამიწის ზურგზე ჩემზე ძლიერი არავინ არ არის,-დაიღრიალა ვეფხვმა.

მაშინ ადამიანმა უთხრა:

-კარგი, მე დაგეხმარები. ადამიანს ნახავ, ოღონს ხეზე უნდა მიგაბა.

ვეფხვი დათანხმდა. ადამიანმა ხეზე მიაბა, თოფი აიღო და მის ყურთან გაისროლა. ვეფხვს შეეშინდა, უნდა გაქცეულიყო, მაგრამ თოკი არ უშვებდა.

ვეფხვი შეეხვეწა:

-გამიშვი, ახლა ვიცი, რომ შენ ადამიანი ხარ. მხეცები მართალს მეუბნებოდნენ, რომ ადამიანი ყველაზე ძლიერია!

ადამიანმა ვეფხვი გაუშვა და უთხრა:

-შორს წადი, ტაიგაში და თვალით აღარ დამენახო!

მას მერე ადამიანი ვეფხვს ემალება.

ბურიატული ზღაპრები

როგორ იპოვა ძაღლმა მეგობარი

უწინდელ დროში ძაღლი არავის სცნობდა, ტაიგის ნაძვნარში მარტოდმარტო დაეხეტებოდა და ნადირობდა. ძაღლს ასეთი ცხოვრება მოხეზრდა და გადაწყვიტა ვინმეს დამეგობრებოდა.

ერთხელ, ტაიგის უღრანში წავიდა და მგელს შეხვდა.

-მოდის, ერთად ვიცხოვროთ,-უთხრა მგელს.

-მარტოდ ყოფნა მეს მომხეზრდა,-მიუგო მგელმა.

ძაღლი და მგელი დამეგობრდნენ. დღე ერთად გაატარეს და ღამის გასათევად მოემზადნენ.. ტყის შრიალის გაგონებისას მგელმა დაიყმუვლა, ძაღლმა კი ისე ხმამაღლა დაიყეფა, რომ მგელს შეეშინდა.

-ხმა გაიწყვიტე, თუ გინდა ცოცხალი დარჩე. აქვე დათვი ცხოვრობს, შენს ყეფას გაიგებს, გაბრაზდება და ორივეს დაგვგლეჯს.

ძაღლი მიხვდა, რომ დათვი მგელზე ძლიერი იყო და მეორე დღეს დათვის ბუნაგის საძებნელად გაეშურა. ბილიკზე მირბოდა და ცხვირი ნიავისკენ ეჭირა, დათვიც მისკენ მოდიოდა.

-ძაღლო, საით მიგეჩქარება?-ჰკითხა დათვმა.

-შენ გეძებ, მოდი ერთად ვიცხოვროთ,-უთხრა ძაღლმა.

დათვი დათანხმდა და დაიწყეს ერთად ცხოვრება. ერთხელ, დათვმა სიზმარი ნახა, წამოხტა და ტაიგაში გაიქცა.

-ნუ ხმაურობ, ვეფხვს გააღვიძებ,-უთხრა დათვმა. თუ ზოლიანი გაბრაზდა, საქმე ორივეს ცუდად გვექნება.

„ესე იგი, ვეფხვი დათვზე ძლიერი ყოფილა”,-გაიფიქრა ძაღლმა და ვეფხვის საძებნელად გაეშურა. დიდხან ეძებდა და ბოლოს მდინარის პირას შეხვდა.

-ძლიერო და გაბედულო ვეფხვო, მოდი ერთად ვიცხოვროთ,-უთხრა ძაღლმა.

-ერთად? კარგად მოიფიქრე,-უთხრა ვეფხვმა.

ერთი-ორი თვე ერთად იცხოვრეს. ძაღლმა მგელთან და დათვთან თანაცხოვრების გამოცდილებით თავისი ნირი და ჩვევები შეიცვალა, ღამღამობით ყეფას გადაეჩვია. ერთხელ, ბინდისას, კედრის ტოტიდან გირჩა ჩამოვარდა და ძაღლს ცხვირში მოხვდა. ძაღლმა მთელი ხმით დაიყეფა.

-ახლაც ხმა გაკმინდე! მოვა ადამიანი ქუხილიანი, ცეცხლისმფრქვეველი ჯოხით და

ორივეს დაგვხოსავს,-უთხრა ვეფხვმა.

ძალლი გაჩუმდა და დილით ვეფხვს შეუჩნდა,-ადამიანი მაჩვენეო.

გაემართნენ ადამიანის საცხოვრისის მიმართულებით. მდინარის პირას ხოხზე დაყრდნობილი მოხუცი ბერიკაცი შეხვდათ

-ნუთუ ეს ადამიანია?-გაუკვირდა ძალლს.

-ადამიანია, ოღონდ დაუძღურებული და არც ჯოხია ქუხილიანი.

გზა გააგრძელეს და პატარა ბიჭი დაინახეს, რომელიც ტირიფის ჯოხზე გადამჯდარიყო და დაჭენაობდა.

-ნუთუ ეს ადამიანია?-გაუკვირდა ძალლს.

-ესეც ადამიანია, ოღონდ პატარა და ცხენიც ჯოხის აქვს.

მთავარ გზაზე გამოვიდნენ. ბედაურ ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი მათკენ მიემართებოდა.

-აი, ეს ადამიანია!-დაიყვირა ვეფხვმა და ბუჩქებში დაიმალა.

ძალლი მხედარს კუდის ქიციანით მიუახლოვდა და უთხრა:

-დიდი ხანია უძლიერეს და გაბედულ მეგობარზე ვოცნებობ. მოდი ერთად ვიცხოვროთ.

-კარგი, როგორც შენ გინდა,-გაეღვიმა ადამიანს. მაგრამ იცოდე, რომ მე ისეთები არ მიყვარს, საფრთხისას ბუჩქებში რომ იმალებიან.

დაიწყეს ერთად ცხოვრება. ერთხელ ღამით ძალლმა გაიფიქრა: -„რა მოხდება რომ დავიყუეო? იქნებ მასზე ძლიერიც არსებობს? იქნებ ადამიანს შეეშინდეს?“ და ძალლმა დაიყუეა. ადამიანს გაეღვიმა, წამოხტა, თოფს ხელი სტაცა და გარეკ გამოვარდა, ღამის მყუდროებას ყური მიუგდო, მერე ძალლს მთელი ჯამი ძვლები გამოუტანა.

-ასე ერთგულად განაგრძე სამსახური. ნებისმიერი საფრთხისგან გამაფრთხილე, მე კი ორივეს დავიცავ.

ძალლი მიხვდა, რომ უკეთეს მეგობარს ვერ იპოვიდა.

მას მერე ადამიანი და ძალლი ერთად ცხოვრობენ.

როგორ გადაიკარგნენ ლომები ციმბირიდან

უხსოვარ დროში ციმბირში ბანჯგვლიანი და გრძელბეწვიანი ლომები სახლობდნენ და ყინვისა არ ეშინოდათ. ერთხელ ლომი მგელს შეხვდა და ჰკითხა:

-საით გარბიხარ?

-სიკვდილს გავურბივარ,-უთხრა მგელმა.

-ვინ შეგაშინა?

-ქუხილიანმა. ერთხელ დაიქუხა და ჩემი ძმა მოკლა, მეორეჯერ დაიქუხა-და მოკლა, მესამეჯერ დაიქუხა-ფეხი მომტეხა, ხედავ? ვკოჭლობ.

ლომმა დაიღრიალა, მთები აცახცახდნენ და ცა ატირდა.

-სად არის ქუხილიანი? დავფლეთავ, მის თავს შორეულ მთებისკენ გადავისვრი, ფეხებს კი ოთხივე მხარეს.

-რას ამბობ? არ დაგინდობს, გაიქეცი!

-მაჩვენე ქუხილიანი!

წავიდნენ სტეპში, შეხვდნენ მწყემს ბიჭს.

-ეს არის?-იკითხა ლომმა.

-არა, ეს ჯერ არ გაზრდილა.

გზა გააგრძელეს და მოხუცი მწყემსი დაინახეს.

-ეს არის ქუხილიანი?-კბილები გააკრაქუნა ლომმა.

-არა, ეს მოხუცია.

გზა გააგრძელეს. მათ შესახვედრად ფეხმარდ ცხენს მონადირე მოაჭენებდა.

ლომმა კითხვა ვერ მოასწრო, რომ მონადირემ თოფი გაისროლა. ლომს გრძელი ბეწვი დაეწვა და გაიქცა. მგელიც უკან მიჰყვა. ბნელ ხრამში შეჩერდნენ.

-ძლიერ ქუხს?-ჰკითხა მგელმა.

-გაჩუმდი! ხედავ, შიშველი ვარ, ფაფარი და კუდის ბოლოლა დამრჩა, სულ ვკანკალებ.

-საით გავიქცეთ?

-ტყეში.

მგელი შორეულ ტყეში გადაიკარგა, ლომი კი ცხელ ქვეყნებში, დაუსახლებელ უდაბნოში გაიქცა.

ასე გადაიკარგნენ ლომები ციმბირიდან.

ქათამი და კატა.

-მე შენ ძალიან მომწონხარ, შენც და მეც ორივე ნაცრისფერი ვართ და უნდა დავმეგობრდეთ,-უთხრა ერთხელ კატამ ქათამს.

ქათამმა არ დაუჯერა და მიუგო:

-მე კარგად მახსოვს, რომ შარშან დედაშენმა წიწილა მომტაცა და როგორ გენდო? შენ ხომ იცი, რომ მე არავის ვაწყენინებ, თქვენ-კატები კი ცნობილი ჩხუბისთავეები ხართ. თუ შეგიძლია შენი ერთგულება დაამტკიცე!

კატამ ვერაფერი უპასუხა და ძლიერ დაღონდა. რამდენიმე დღის შემდეგ კატა თავგებსე სანადიროდ ძველ კალოზე წავიდა, სადაც თივის ზვინები იდგა. ქათამიც აქვე იყო. უცებ ქათამი შეშინებული აკანკალდა და თავისი ზვინის ქვეშ შეძვრა.

-„რა ხდება? ალბათ უნდა დავეხმარო”,-გაიფიქრა კატამ.

კატა კვალს მიჰყვა და დაინახა, რომ ციდან მიმინო დაეშვა. მიმონომ შორიდან ვერ განასხვავა, რადგან კატა და ქათამიც ორივენი ნაცრისფერები იყვნენ. კატა უცებ ზურგზე დაწვა და მიმინოს ბასრი კლანჭები ჩაასო. მიმინოს იქვე სული ამოხდა. მაშინ ქათამი თავშესაფრიდან გამოძვრა და კატას უთხრა:

-ახლა მჯერა შენი, ასე მხოლოდ ნამდვილ მეგობარს შეუძლია მოიქცეს.

ზოგი კი ფიქრობს, რომ თითქოს კატას და ქათამს მეგობრობა არ შეუძლიათ.

მერცხალი და კოლო

მერცხალი დასასვენებლად ტოტზე ჩამოჯდა და დაინახა, რომ იქვე შორიახლოს რაღაც ნაქსოვის მსგავსი, გამჭვირვალე ფრთებიანი, ექვს სუსტ ფეხზე მდგარი, ყვავზე დიდი, გრძელცხვირა არსება იჯდა. მაშინ ასეთი იყო კოლო.

-საიდან მოფვრინავ?-ჰკითხა მერცხალს კოლომ.

-სამხრეთის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთისკენ ვიჩქარი.

-ყოველ წელს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ რატომ მიფრინავ?

-ბარტყების გამოსაჩეკად. სამხრეთით სიცხეა და კვერცხებს ვერ ვდებ.

-მე აქაც კარგად ვარ! სულელურ გადაფრენებზე ძალ-ღონეს არ დავხარჯავ.

-კოლო, რას საქმიანობ?

-მაინტერესებს ვისი სისხლია უფრო ტკბილი.

-გაიგე?

-ადამიანის სისხლზე უტკბილესი არაფერია, იურტებთან ახლოს უნდა დავსახლდე.
-კოლო! სტყუი! ცხვირი მაჩვენე! სიმართლეს გავიგებ!
კოლომ თავისი გრძელი ცხვირი გამოყო, მერცხალმა უკბინა და გაფრინდა. კოლო დარდისაგან დაპატარავდა, ჭაობიან ადგილებში იმალება, მერცხალი კი ადამიანებთან ახლოს დასახლდა.

იტელმენური ზღაპრები

რატომ აქვს ყვავს გრძელი კუდი

ადრე ყვავს, როგორც სხვა ფრინველებს, მოკლე კუდი ჰქონდა. ყვავი ყოველთვის ჭორიკნობდა, რასაც შეიტყობდა მთელს ტაიგაში გაავრცელებდა და თანაც თავისებურად ამატებდა. ჩიტებს მისგან მოსვენება არა ჰქონდათ, ამიტომ არწივთან უჩივლეს. არწივმა ფრთოსანთა თათბირი მოიწვია და ყვავს უთხრა:

-საყვარელო, გრძელი ენა გაქვს. ზედმეტად ლაყობ, ჩიტებს ტყუილუბრალოდ აწყენინებ.

-მე ვლყობ?! ტყუილია! ეს კაკბის ჭორებია! მე მას კარგად ვიცნობ. დავინახე, რომ კაკაბი ტუნდრისკენ გაფრინდა. სად გაგონილა, რომ წესიერი ჩიტი...-აღშფოთდა ყვავი.

-გაჩერდი, შენ ისევ ჭორებ ავრცელებ!-გააჩერა არწივმა.

-რომელი ჭორები? აი, გუშინ, ყორანი თავის ქმარს დაჩხაოდა, რომ გუგულმა თავისი კვერცხები სხვის ბუდეში ჩადო.

-გაჩუმდი! არც კი გესმის სად ხარ! -მკაცრად დაუყვირა არწივმა.

-არ მესმის, რა არის! ყრუანჩელას შეხედეთ, სირცხვილი სულ დაკარგა, შეხედეთ, როგორ გამოპრანჭულა! წარბებიც კი შეიღება,-ყბედობდა ყვავი.

-გეყოფა! გამოუსწორებელი ყოფილხარ. თავი შენგან შორს უნდა დავიჭიროთ. დაე, შენს გრძელ ენას გრძელი კუდი გამოეზას, რათა ჩიტებმა მალე შეგამჩნიონ და გაფრთხილდნენ,-ბრძანა არწივმა.

მას მერე ყვავს გრძელი კუდი აქვს. სადაც ის გამოჩნდება, სხვა ჩიტები მაშინვე ბუდეში იმალებიან.

პოლარული ბატის ჭუკი

ბატები ზაფხულს დიდ ტბასთან ატარებდნენ. როცა შემოდგომა დადგა გასაფრენად მოემზადნენ. პატარა ბატები გაიზარდნენ და ფრენა ისწავლეს. მხოლოდ ერთ ჭუკს ფრთები არ გაუმაგრდა და ცაში აფრენა არ შეეძლო.

ერთ მზიან დღეს ბატები შორეულ თბილ მხარეს გასაფრენად მოგროვდნენ და ჭუკს უთხრეს:

-აქ უფროთოდ როგორ იცხოვრებ, ჩვენო საცოდაო ჭუკო! თავს გაუფრთხილდი, მელიებს და მგლებს უფრთხილდი.

-გაფრინდით! ჩემზე არ იდარდოთ! ფრთები გამეზრდება და თქვენთან მოვფრინდები.

ბატები აფრინდნენ, ტბას თავზე სამჯერ შემოუფრინეს და გაფრინდნენ. ამ დოს ტა უკვე იყინებოდა. ნაპირზე მელია მორბოდა და ჭუკი შეამჩნია. „, აი საჭმელი მექნება“- გაიფიქრა, ნაპირს მიუახლოვდა და ჭუკს დაუძახა:

-ჭუკი, ჩემთან მოდი, ჩემს სახლში შეგიფარებ, ერთად ვიცხოვრებთ.

ჭუკმა ნაპირიდან შორს გაცურა და დაუძახა:

-შენთან არ წამოვალ, მირჩვენია აქ გავიყინო!

მელია დარდაინადა და დაუყვირა:

-გაფრთხილდი, შეგჭამ!

მელიამ წყლის ნაპირას ცოტა იყურყუტა და გაიქცა. ტბა სწრაფად გაიყინა. წყლის სივრცე შემცირდა. ჭუკს შეეშინდა დაგიფიქრა,-„ახლა მელია დამიჭერს და შემჭამს.“

უცებ ტბის ნაპირას ლამაზკაბიანი გოგო გამოჩნდა. ხელში სათლი ეჭირა.

-თბილ ქვეყნებში რატომ არ გაფრინდი?-ჰკითხა ჭუკს.

-ზაფხულში ფრთები არ გამეზარდა.ჩემი მშობლები ბატების გუნდთან ერთად გაფრინდნენ, მე კი გამოსაზამთრებლად აქ დამტოვეს. ახლა კი მელიას უნდა, რომ შემჭამოს.

-მე სინანევტს მეძახიან, ფერია კუთხას შვილი ვარ. ჩემთან წამოდი, თბილ თავშესაფარს მოგცემ-უთხრა გოგონამ.

ჭუკი დათანხმდა. სინანევტი კარგად უვლიდა. გაათბო, აჭამა და დააძინა. აი, ასე-სითბოში ცხოვრობდა ჭუკი. დადგა გაზაფხული. სინანევტმა ჭუკს ძლიერი ფრთები გაუკეთა და ფრენა ასწავლა.

დაი აი, გაზაფხულის ერთ თბილ დღეს ტბის თავზე ბატების გუნდი გამოჩნდა. ჭუკმა მშობლიური ყიყინი გაიგო და შესახვედრად გაფრინდა.

მშობლებმა და სხვა ბატებმაც ჭუკი იცნეს და აღფრთოვანდნენ. შეეკითხნენ როგორ გამოიზარდა. ჭუკი მოუყვა მელიას რომ უნდა შეეჭამა, როგორ შეიფარა სინანევტმა და ფრთები რომ გაუკეთა. ბატები სინანევტის სახლისკენ გაფრინდნენ და ჭუკის გადარჩენისთვის მადლობა გადაუხადეს. პატარა ჭუკი კი მშობლიურ გუნში დარჩა და შემოდგომაზე სხვებთან ერთად პირველად გაფრინდა თბილ ქვეყნებში.

ყორანი კუთხი და გორბუშა

ერთხელ ყორანი კუთხი ზღვაზე სათევზაოდ გაემგზავრა. აიღო სათევზაო ჯოხები, ნარტაში ჩაჯდა და გზას გაუდგა. ნაპირთან მივიდა და თევზაობას შეუდგა. კუთხს გაუმართლა. ბევრი თევზი დაიჭირა. პატარა თევზებს უკან ჰყრიდა, დიდებს კი თავისთვის ინახავდა. როცა თევზაობას მორჩა, ყველაზე დიდი თევზები-გორბუშები ამოარჩია, ნარტაში ჩააწყო და შინისაკენ გამოსწია. გზაში გორბუშებს უთხრა:

-სახლში წამიყვანეთ და გაგაძღობს, ყოველ სადგომში გაჭმევთ.

გორბუშები ამჩატდნენ, სწრაფად გაიქცნენ, არყნას მიაღწიეს, გაჩერდნენ და სთხოვეს:

-კუთხი, გვაჭამე!

-ცოტა კიდევ წამიყვანეთ და მაშინ გაჭმევთ.

გორბუშები უფრო სწრაფად გაიქცნენ. კუთხი კი ზის და ილიმება, რომ მალე სახლში იქნება. გორბუშებმა კლდემდე მიაღწიეს და ისევ სთხოვეს:

-კუთხი, დავიღალეთ, გვშია, გვაჭამე.

-ცოტა კიდევ წმიყვანეთ და მაშინ გაჭმევთ-უთხრა კუთხიმ.

გორბუშები გაბრაზდნენ, ადგილს მოსწყდნენ და პირდაპირ ზღვისკენ გაქანდნენ.

კუთხის შეეშინდა და იყვირა:

-გორბუშებო! გორბუშებო! შეჩერდით? ახლა კი გაჭმევთ!

გორბუშებმა კუთხის აღარ დაუჯერეს და უფრო სწრაფად გაიქცნენ, ნარტასაც მიაქროლდნენ. კუთხის უნდოდა ნარტიდან გადმომხტარიყო, მაგრამ ფეხი გაეხლართა. გორბუშებმა ზღვამდე მიიბრინეს და გადახტნენ. კუთხი კი კინალამ არ დაიხრჩო ძვლივს გამოაღწია.

ყორანი კუთხი ზღვის სამეფოს ბინადრებთან

ერთხელ ყორანმა კუთხიმ ზღვის ქვიშნარ ნაპირზე მძინარე ასთაკვი დაინახა, მიუახლოვდა და უნდოდა გაეღვიძებინა.

-ეი, ასთაკვო გაიღვიძე! გამასეირნე!

-ძილს ნუ მიშლი! -მიუგო ასთაკვმა.

-გეყოფა ძილი! ადექი!

ასთაკვმა თავი ასწია, მარწუხები გაასწორა და თქვა:

-კარგი, შემომაჯექი! გაგასეირნებ!

კუთხი ასთაკვს შეაჯდა და ზღვის ფსკერისკენ დაემზნენ. ასთაკვი ისე გაქანდა, რომ ასთაკვი კინალამ არ გადმოვარდა.

-შეჩერდი, გადმოვვარდები! -დაიყვირა კუთხიმ.

ასთაკვი გაჩერდა, კუთხი გადმოვიდა და ზღვის ფსკერისკენ წავიდა. ირგვლივ უზარმაზარი წყალმცენარეები და უამრავი თევზი ირეოდა. კუთხიმ ზღვია ფსკერზე იარა, იარა და ნეპრა დასახლებას მიაღწია. მასთან პატარა ნეპრებმა მიირბინეს და ჰკითხეს:

-ვინ ხარ? საიდან მოდიხარ?

-მე კუთხი ვარ, შემიძლია ზღვაზეც, მიწაზეც და ჰაერშიც ვიცხოვრო! იმ დიდ სახლში მიმიყვანეთ!

პატარა ნერპებმა უხუცესთა სახლში მიიყვანეს. სახლი დიდი იყო, ნათელი, თხელი ყინულის კედლები ჰქონდა. შუაში სანათი იყო ჩამოკიდებული, კედლებთან ნარები იდგა. კუთხეებში, ყინულის სავარძელში უღვაშა ბატონი იჯდა, წინა თათები მოკლე ხელებს მიუგავდა, უკანა კი მოკლე ფეხებს.

-კუთხი, რატომ მოხვედი?

-მინდოდა მენახა ნერპები როგორ ცხოვრობენ, -მიუგო კუთხიმ.

-ადრე უკეთესად ვცხოვრობდით. ზემოთ მცხოვრებლებმა ბადეებითა და ანკესებით თევზი სულ დაიჭირეს და საჭმელი აღარაფერი გვაქვს. ჩვენც გვიჭერენ და გაზრდას ძვლივს ვასწრებთ.

კუთხი ქალმა ნერპებმა საუკეთესო საჭმლით-ნედლი თევზით, სხვადასხვანაირი კიბოებითა და ზღვის წყალმცენარეებით გაუმასპინძლდნენ.

-კავძეხი, -თქვა კუთხიმ, -თქვენას გასაჭირზე ადამიანებს მოვუყვები და იქნებ თქვენთვისაც გაუფრთხილდნენ თევზს.

ქალმა ნერპებმა კუთხს წყალმცენარეებისგან ლოგინი მოუწყეს და კუთხიმ დაიძინა... დილით კი ლომვეშაპების დასახლებაში გაიღვიძა.

კუთხის წინ ყინულის სავარძელში უზარმაზარი, გრძელი, თეთრეშვებიანი მხცოვანი ლომვეშაპი იჯდა და კეთილი თვალებით უყურებდა. ლომვეშაპის საცხოვრებელი ისეთივე ნათელი იყო, როგორც ნერპების, მაგრამ უფრო დიდი. კედლებთან ნარებზე ეშვებიანი ლომვეშაპები-მხცოვანი ლომვეშაპის ნათესავები იწვნენ.

-პატივცემულო კუთხო, მე უკვე ვიცი ჩვენს წყალქვეშა სამეფოში რისთვის მოხვედი. ჩვენ თევზი დიდად არ გვჭირდება. ზღვის ფსკერზე კიბოები და მოლუსკები ცხოვრობენ, ჩვენ მათით ვიკვებებით, მაგრამ ლომვეშაპები შეწუხებულები არიან მონადირეთა ნასროლი ცეცხლოვანი ისრებით. ჩვენ ადამიანებს უხსოვარი დროიდან ხორცი და ქონით ვკვებავთ. გვინდა, რომ ნაკლებად მოგვინადირონ. იმდენად, რამდენიც საკვებად და ტანსაცმლისთვის დასჭირდებათ,-უთხრა ლომვეშაპმა.

-ადამიანებს თქვენი დიდი საზრუნავის შესახებ მოვუყვები,-მიუგო კუთხიმ.

დედალი ლომვეშაპები კუთხის გაუმასპინძლდნენ და დააძინეს. დილით კუთხიმ ვეშაპებთან გაიღვიძა.

გამჭირვალე ყინულის უზარმაზარ სახლში ქვის ფილაზე მხცოვანი ლურჯი ვეშაპი იწვა. იქვე ნარებზე სხვა ვეშაპები ისვენებდნენ. მხცოვანმა ვეშაპმა თქვა:

-პატივცემულო კუთხი, ჩვენთვის ცნობილია, თუ რატომ მოგზაურობ ჩვენს წყალქვეშა სამეფოში. მე მოგიყვები თუ როგორ ვცხოვრობდით და ამჟამად როგორ ვცხოვრობთ. უწინდელ დროში ბევრი ვიყავით. ყველა ზღვასა და ოკეანეში ვცხოვრობდით.

ადამიანები ჩვენზე ხორცისა და ქონისთვის ნადირობდნენ., ვეშაპების ძვლებისგან საცხოვრებელს აგებდნენ და სხვადასხვა ნივთებს აკეთებდნენ. მონადირეები იმდენ ვეშაპს იჭერდნენ, რომ ჩვენი ჯიში არ მცირდებოდა. მაგრამ ადამიანებს სიხარბემ სძლია და ცხოველთა სამყაროსთან შეთანხმება დაარღვიეს. ახლა ლურჯი ვეშაპი საგრძნობლად შემცირდა და თუ ადამიანები ჩვენსა და თავის გასაჭირს არ გაიგებენ, მაშინ ზღვები და ოკეანეები თევზისა და ნადირის გარეშე დარჩება. ეს, ხმელეთის მცხივრებლებს უთხარი.

-მე შენს თხოვნას მონადირეებს და თევზებს დაუყონებლივ გადავცემ,-დაპირდა კუთხი.

დედალი ვეშაპები კუთხს ზღვის მოლუსკებით გაუმასპინძლდნენ, წყალმცენარეების ლოგინში დააწვინეს და მასაც ღრმად ჩაეძინა.

როცა კუთხს გაეღვიძა უნაპირო ზღვის შუაში პატარა კუნძულზე აღმოჩნდა. ირგვლივ მიმოიხედა-ხმელეთი არსად ჩანდა. „თუ ცაში ავფრინდები, ფრთები მალე დამეღლება და ნაპირამდე ვერ მივაღწევ“, -გაიფიქრა კუთხიმ.

კუთხი წყალთან მივიდა და დაიყვირა:

-ზღვის ბინადარნო-ნერპებო, სელაპებო, ლომვეშაპებო და ვეშაპებო! ხმელეთამდე მიღწევაში დამეხმარეთ! ხმელეთ მივაღწიო!

კუნძულთან ყოველი მხრიდან ზღვის ბინადარნი მიცურდნენ და გამჭკრივდნენ. ნაპირთან ნერპები, მერე-სელაპები, მერე ლომვეშაპები, ვეშაპები მერე ისევ ლომვეშაპები, სელაპები და ნერპები. ერთი გრძელი ცოცხალი რიგი შეიქმნა და ამ დილით კუთხიმ

ხმელეთამდე მიაღწია.

-გმადლობთ! თქვენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ!-დაიძახა კუთხიმ.
ასე დასრულდა ყორანი კუთხის საზღვაო მოგზაურობა.

ნივხური ზღაპრები

დათვი და ბურუნდუკი

დათვმა ბუნაგში ხავსი და ფოთლები მოზიდა, ბნელ კუთხეში დაწვა და ისე ღრმად დაიძინა, რომ თოვლის მოსვლა არც კი გაუგია. ქარბუქი მძვინვარებდა, ბებერი კედრები და სოჭები ყინვისგან ტყდებოდნენ.

როცა ტაიგაზე გაზაფხულის მზე ამოვიდა, თოვლი დადნა, პირველი ნაკადულები არაკრაკდნენ და დათვმაც გაიღვიძა. ბუნაგიდან გამოძვრა და კუნძუზე დაჯდა. თვალები მოიფშვნიტა და ჩაიბუტბუტა: -გაზაფხულო, გაზაფხულო, საჭმელი არ მაქვს, როგორ მოვიქცე?

დათვს შიოდა, მთელი ზამთარი პირში არაფერი ჩაედო და სანადიროდ გაეშურა. ასეთ დროს რას მოინადირებდა! ირგვლივ ყველაფერი თოვლით იყო დაფარული და ბალახიც არსად ჩანდა. დათვის საყვარელი კაკალი და კენკრა ჯერ არ დამწიფებულყო. დათვი ტყეში მიბაჯბაჯებდა, კუნძი დაინახა, მის ქვეშ ვიღაც სულიერი ხმაურობდა. დათვს კუნძი ტორებით უნდოდა მოეგლიჯა, მაგრამ ვერ შეძლო, კუნძი ღრმაფესვებიანი აღმოჩნდა და ძალა არ ეყო მის მოსაგლეჯად. სიმწრისგან დაიღრიალა კიდეც:

-თუ ვინმე სულიერი ხარ გამოძვერი!

და კუნძის ქვემოდან პატარა, ყვითელი ცხოველი ბურუნდუკი გამოძვრა. მას კუნძის ფესვების ქვეშ თავის სოროში მთელი ზამთარი ეძინა. პატარა ბურუნდუკმა დაინახა, რომ მის წინ დიდი საშიში დათვია და ჰკითხა:

-დათვო ბიძია, რატომ ხარ ასეთი ნაღვლიანი?

-შიშშილისაგან, მთელი ზამთარი არაფერი მიჭამია, არაფერი გაქვს?

-ახლავე მოგიტან,-მიუგო ბურუნდუკმა.

თავის განჯინაში შეძვრა და ტკბილი ფესვები გამოუტანა.

-მიირთვი დათვო!

დათვი დანაყრდა და შეაქო:

-გმადლობ, ბურუნდუკო, პატარა ხარ, მაგრამ კარგი.

და ბურუნდუკს ზურგზე ტორი გადაუსვა, ფრთხილად მოეფერა. ამიტომ აქვს ბურუნდუკს ყვითელ ზურგზე მუქი ზოლები. ასეც დარჩა.

მას მერე ყველა ბურუნდუკს ზურგზე მუქი ზოლები აქვს. როცა სხვა მხეცები ეკითხებიან, საიდან აქვთ ზოლიანი ბეწვი, ისინი მიუგებენ:

-ეს, დათვმა ტორი გადაგვისვა.

თეთრი ნერპა

ორმა მეთევზემ მდინარე იპალის ხეობაში მიწური ააშენა. ერთი მათგანი ღარიბი იყო, მეორე კი მდიდარი. ღარიბი, როგორც ყველა, ისე ცხოვრობდა. ყველა ადათ-წესს იცავდა: თუ სხვა საცხოვრისიდან სტუმარი მოვიდოდა-დაანაყრებდა, თამბაქოთი გაუმასპინძლებოდა და ღამეს გაათევინებდა. მდიდარი მეთევზე ძუნწი იყო. თევზის კუდსაც კი არავის მისცემდა. ყველაფერს თავისთვის ინახავდა.

ერთხელ, ღარიბი მეთევზე ნავაგას დასაჭერად წავიდა. ნავში ჩაჯდა, ანკესი გადააგდო და გათენებას დაელოდა. მთელი დღე იცადა და საღამოს რამდენიმე ნავაგა დაიჭირა. „ესეც კარგია“, -გაიფიქრა და ნავი ნაპირზე გამოათრია და სახლისკენ გასწია. შიმშილისგან ბანცალებდა. უცებ მოეჩვენა, რომ ნერპა მისკენ მიცურავდა. მეთევზემ ჯოი აიღო და ქვის უკან დაიმალა. ნერპა მიუახლოვდა და ნაპირზე ამოვიდა. მეთევზე მივიდა და გაოცდა. ეს ნერპა სხვებს არ ჰგავდა, თოვლივით თეთრი იყო და ძვლივს სუნთქავდა-გვერდში დაჭრილი იყო. მეთევზეს ნერპა შეეცოდა და თევზი მისცა. ნერპამ თევზი შეჭამა და მის თვალწინ გამოჯანმრთელდა. და როცა სულ შეჭამა, ჭრილობა სულ შეუხორცდა. მეთევზემ თვალელები მოიფშენიჭა და სულ განცვიფრდა: იმ ადგილას, სადაც ნერპა იწვა, ქვიშრობი წარმოიქმნა. მეთევზე ქვიშრობზე მიდიოდა და თან ეშინოდა-მარცხივ ზღვაა, მარჯვნივაც ზღვაა, იქნებ ქვიშრობზე შემოიჭრას? მაგრამ მაინც მიდიოდა. ქვიშრობის ბოლოს მიაღწია და საცხოვრებელი დაინახა. ახლოს მივიდა, ერდოში ჩაიხედა და დიდ ოთახში კერასთან ბერიკაცი დაინახა. მოხუცმა მეთევზე შეამჩნია და მიიხმო. მეთევზე მიუახლოვდა და მის წინ ზღვათა მბრძანებელი-ტოლიზნგი იყო. ბერიკცმა ჩიბუხი დადო და უთხრა:

-შენ დღეს თეთრი ნერპა იხსენი. ის ჩემი ქალიშვილია. შენ რომ არ ყოფილიავი, დაიღუპებოდა. შენი სიკეთის გამო, ცოლად მოგათხოვებ.

მოხუცმა ხელი დაიქნია და ნაპირთან თეთრი ნერპები მოცურდნენ. უცებ ერთი ნერპა ქალიშვილად გადაიქცა, მამას მიუახლოვდა, ხელში ნერპის ტყავი ეჭირა.

-ტყავი აიღე და ამ კაცთან ერთად წადი, მისი ცოლი იქნები. თევზი ერთად დაიჭირეთ

და შვილები გაზარდე. ?

ქალიშვილმა მამას დაუჯერა და მეთევზესთან ერთად მის საცხოვრისში წავიდა. კარგად ცხოვრობდნენ. ქმართან ერთად სათევზაოდ მიდიოდა, ნავიდან ბადეს ისროდნენ. ცოლი ნერპის ტყავს მოისხამდა დათეთრ ნერპად გადაიქცეოდა, ზღვაში შეცურდებოდა და თევზს ბადისკენ მოდენიდა. იმდენ თევზს იჭერდნენ რომ მთელი ზამთარი ყოფნიდათ და რჩებოდათ კიდევ.

ამდენი თევზი მეზობლებს და განსაკუთრებით ძუნწ მდიდარს შურდათ და მოიფიქრა: როცა საცხოვრებელში არავინ იყო, ჯადოსნური ტყავი მოიპარა და მაშინვე ნაპირზე გაიქცა. ტყავი მოისხა და წყალში გადახტა, მაგრამ ტყავი ტყავად დარჩა თვითონ კი საშველად ხალხს უხმობდა, მაგრამ ვინ გადაარჩენდა, როცა ირგვილ არავინ იყო.

არ ჩაიძირა, რადგან სქელი ქონი ქონდა, ტალღებზე ხტუნაობდა, იცურა, იცურა და ბოლოს ზღვის ეშმაკად გადაიქცა. მუცელი მოკლე, ხელ-ფეხი გრძელი, უთავო, მკერდზე ხალი ცეცხლივით უელავდა.

ასე დაისაჯა სიძუნწისათვის.

საამური ზღაპრები

მზის საცოლე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი, ერთი გოგონა ჰყავდათ. მეგობრულად ცხოვრობდნენ, ყველა თავის საქმეს აკეთებდა: ბერიკაცი ნადირობდა, ირმებს უვლიდა, დედაბერი თევზს იჭერდა, ცხვრის მატყლს ართავდა, მათი გოგონა კი პატარაობის მიუხედავად ლამაზ ქამრებს ქსოვდა.

ბერიკაცს ერთხელ ახა ლი კოლოფის გასაკეთებლად არყის ხის ქერქი-ბერესტა დასჭირდა და ტყეში წასვლა დააპირა, რომ დედაბერმა უთხრა:

-იცოდე, რუეინ-ვარაკუზე ბერესტა არ აიღო!

ვარაკა მთას ერქვა, სადაც ხშირი ტყე იზრდებოდა.

ბერიკაცი მიდიოდა და თან ფიქრობდა: „ჩემი დედაბერი ამ მთაზე რატომ არ მიშვებს? იქ მსხვილი ხეებია და ბერესტაც კარგია.“ ბერიკაცს დაავიწყდა, რომ იქ ტყის ავსულები ცხოვრობდნენ. „მაინც იქ წავალ.“-გაიფიქრა.

ბერიკაცი ხიდან ბერესტას იღებდა, როცა უცებ კისერზე ბოროტი ჯადოქარი აცვი დაახტა და შეაშინა.

-ბერიკაცო, ცოლად შემირთე!

-ცოლი მყავს,-მიუგო ბერიკაცმა.

მაგრამ აცვიდან თავის დახსნა ადვილი არ იყო. თავისი ბრჭყალებით მაგრად დაეჭიდა. „კარგი, წაგიყვან და მერე მოვიფიქრებ როგორ მოვიშორო“, -გაიფიქრა ბერიკაცმა.

მოხუცი სულ ტყუილად იმედოვნებდა. აცვის სამი ვაჟი ჰყავდა და როგორც კი სახლში მიიყვანა, თავისთან მოუხმო. აცვიმ დედაბერი გოგოსთან ერთად ცხვრის ფარეხში შეაგდო და აიძულა თავის უსაქმურ, ფუქსავატ ვაჟებს მომსახურებოდნენ. აცვის შვილები ერთიმეორეზე უარესები იყვნენ: უფროსი-კიპჩულდიში-დამწვარი კუნძი, შუათანა-იოხტსიაპლოზნიში-დაკონკილი საყელო, უმცროსი კი-კუაცკე-ჩალმნიში-ქორის თვალი. მას კეფაზე მესამე თვალი ჰქონდა.

სანამ დედაბერი იქვე იყო, აცვი სრულ დიასახლისად თავს არ თვლიდა და განიზრახა, რომ დედაბერი დაეღუპა. ყოველდღე ამცირებდა: მგელი თუ ირემს დაგლეჯდა-დედაბერმა ყურადღება არ მიაქცია, გოგონა წყლისთვის წავიდოდა, აცვი ფეხსაცმლის ზონარს ჩუმად შეუხსნიდა და ფეხს დაადგამდა. გოგონა წაიქცეოდა, დაიჟეჟებოდა,

წყალი დაედვრებოდა, აცცი კი ბერიკაცს ეტყოდა:

-შენს შვილს ასეთი დედა რად უნდოდა. ფეხსაცმლის ზონრის შეკვრა ეზარება, ცუდად მუშაობს, რისთვის ვაჭმევთ?

ბერიკაცს აცცის ისე ეშინოდა, რომ დედაბერს ვერც კი იცავდა. დედაბერი მიხვდა, რომ აცცის მისი დალუპვა უნდოდა და ერთხელ თავის გოგონას უთხრა:

-როცა მე აღარ ვიქნები, თეთრ მდინარესთან მიდი, იქ ადამიანის მსგავსი დიდ ლოდი დევს. ეს წმინდა ქვების ბატონი-სეილუშკუა. ის კეთილი და ყველა უბედურს ეხმარება და შენც დაგეხმარება. ერთხელ აცციმ დედაბრის შვილი მიწამაყვალას დასაკრეფად გაგზავნა და როცა დაბრუნდა, დედა აღარ დახვდა. აცცის მსვიდი ცხივრება დიდხანს არ გაგრძელებულა. დედაბრის გოგო ისე გალამაზდა, რომ თვალს ვერ მოწყვეტიდა, თან მშრომელი და კეთილიც იყო. ბოროტი დედინაცვალი დილიდანვე მთელი წლის სამყოფ საქმეს ავალეზდა, მაგრამ გოგონა ყველაფერს ასწრებდა და დღითიდღე ლამაზდებოდა.

აცცი მიხვდა, რომ გოგონას ვიღაც ეხმარებოდა და თავის ვაჟებს დაავალა გოგონასთვის თვალი ედევნებინათ, მაგრამ ისინი ისეთი ზარმაცები იყვნენ, რომ სადილის მერე დაიძინებდნენ და ვეღარ იღვიძებდნენ. სალამოს აცცი თავის ვაჟებ ეკითხებოდა:

-დედა დღეს გოგონა რას აკეთებდა?

-არაფერი დაგვინახია! არაფერი გაგვიგია! ეტყოდნენ ერთხმად.

მეორე დღეს აცციმ თავისი ვაჟები გოგონას უკან დაადევნა, უმცროს ვაჟს-ქორისთვალს კი უბრძანა:

-სახით კედლისკენ დაწევი შენი მესამე თვალი ყველაფერს დაინახავს, ის არასდროს იძინებს.

როცა ძმები დაბრუნდნენ, გოგონამ ბევრი თევზი აჭამა, მერე დასაძინებლად დაწვნენ. ქორის თვალი სახიტ კედლისკენ დაწვა, როგორც დედამ უბრძანა. როცა ძმებმა დაიძინეს, გოგონა მაშინვე თეთრი მდინარისკენ გაიქცა, სადაც დიდ თეთრ ლოდში სეილუშკო ცხოვრობდა. იქ მზეს მიეფიცა, თაფლოვან კენკრას ჭამდა, მდინარიდან მისკენ თაფლის ნაკადული მიედინებოდა.

გოგონამ ნაკადულიდან დალია და უფრო გალამაზდა. მზეს მის დანახვაზე ჩასვლა დაავიწყდა, ცაზე შერჩა და გოგონას ცოლობა სთხოვა. ეს ყველაფერი ქორის თვალმა დაინახა და დედას მოუყვა. აცცის გოგონასი უკვე შეეშინდა: მზის საცოლეა და სეილუშკო ეხმარება. გადაწყვიტა გოგონა დაეღუპა. ქმარს დაავალა გოგონა ტყავებში გაეხვია, კერიოჟაში* ჩაესვა და მდინარეში გადაეგდო. ბერიკაცს შვილი ეცოდებოდა, მაგრამ უმწეო იყო და აცცის სრულიად ემორჩილებოდა ისე მოიქცა, როგორც მან უბრძანა.

მდინარე ცივი იყო, მაგრამ გოგონას არ სციოდა, რადგან სეილუშკო ეხმარებოდა. კერიოჟა მდინარეზე თავისით მიცურავდა, ერთი დღე იცურა, მეორე, მესამე... ერთხელ როცა დაღამდა, ცაზე ჩრდილოეთის ციალი გამოჩნდა. ადრე ამ ციალის ეშინოდათ,

ეგონათ თმებით ცაში აიტაცებდნენ. ძველ საამებს ეგონათ, რომ ციალი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ადრე დედამიწაზე ცხოვრობდნენ და მერე ცაზე გადასახლდნენ.

უცებ, ცილის ერთი სხივი გაგრძელდა და კევოოჟამდე დაეშვა. გოგონამ მისი საშუალებით ცას მიაღწია, იქ დიდი ტუპა დაინახა და შიგნით შევიდა. სახლში არავინ იყო. გოგონა ტუპაში მოეწყო და როცა ღამე უკან იხევდა ხმა მოესმა, თითქოს ვიღაც მოდიოდა. თითისტარად გადაიქცა და კერასთან დაიმალა.

ტუპაში ახალგაზრდები შემოვიდნენ. ისინი ღამით ცილები იყვნენ და მათთან ერთად ნაინას -მთვარე .

-ტუპაში ვიღაც ყოფილა, ვიღაცას დაულაგებია. გამოდი და დაგვენახე. მაგრამ არავინ გამოვიდა. ახალგაზრდებმა ეძებეს და კერასთან თითისტარი იპოვეს. გადატეხეს და იქიდან ქალიშვილი გამოვიდა. ნაინას ის ძალიან მოეწონადა ცოლობა სთხოვა.

-არ შემიძლია, მე მზია საცოლე ვარ.

-მზის საცოლე ღამეულში როგორ აღმოჩნდი?

გოგონამ მოუყვა, რომ დედინაცვალმა მისი დალუპვა განიზრახა და რომ სეილუშკომ გადაარჩინა. ნაინას გოგონა უფრო მოეწონა და მასთან განშორება აღარ უნდოდა.

-შენ, დედამიწაზე, დედაჩემთან უნდა დაბრუნდე, იქ ნახავ შენ საქმროს, მე გაგაცილებ,-უთხრა მთვარემ და თან გაიფიქრა:„დედაჩემთან სტუმრად მივიყვან და იქნებ თავისი საქმრო-მზე დაავიწყდეს.”

გოგონა მასთან ერთად დედამიწაზე დაეშვა. დიდ ვეჟას* მიუახლოვდნენ. იქიდან დედაბერი გამოვიდა და ნაინასი გოგონასთან ერთად რომ დაინახა, ძალიან გაუხარდა.ვეჟაში შევიდნენ, მთვარე ვარსკვლავური ქამარი ნელა მოიხსნა და საკვამურზე გადაკიდა. ქალიშვილმა ზემოთ აიხედა და ცაზე ვარსკვლავები დაინახა. ერთმა თვემ გაიარა, ორმაც. გოგონა ისევ ნაინასის დედას სტუმრობდა. ვეჟაში ბოლი დადგა, რადგან საკვამური ვარსკვლავური ქამრით იყო დაფარული.ბოლმა ქამარი ვეჟის ზემოთ ასწია.

მზეც სწორედ ამას ელოდებოდა. ის თავის საცოლეს მთელს სამყაროში ეძებდა და მხოლოდ ამ ვეჟაში ვერ იყურებოდა, მაგრამ ნაინასის ქალიშვილს დაბრუნება არ უნდოდა. მზე და მთვარე ცაზე ერთდროულად აელვარდნენ და წაიჩხუბნენ. მთვარე მზის სიახლოვეს სულ გაფერმკრთალდა.

ნაინასის დედა-დედამიწა მიხვდა, რომ ნაინასი მზეს ვერ აჯობებდა, შვილი შეეცოდა და ქალიშვილს უთხრა:

-რადგან მზე და მთვარე ვერ თანხმდებიან, მაშინ ვარსკვლავად იქეცი!

და ქალიშვილი ცისკრის ვარსკვლავად გადაიოქცა. მთვარე დილით, ჩასვლისას ესიყვარულება, ხოლო მზე დილით ამოსვლისას.

თქვენც თუ დილით ადრე ადგებით, სწორედ ცისკრის ვარსკვლავს დაინახავთ.

- * კერიოჟა- საამების ნავის ფორმის პატარა მარხილი, რომელშიც ერთი ირემი იბმეოდა.
- * ტუპა-საამების მიწური სახელი.
- * ვეჟა- საამების ძელური სახლი.

მზეთუნახავი კატერინა

იყო და არა იყო რა, მდინარე იოკანგის ნაპირას ვეჟაში მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. მათ მზეთუნახავი ქალიშვილი-კატერინა ჰყავდათ.

ერთხელ კატერინა სელაპის ქონისგან საპონს ხარშავდა. მდინარის ნაპირისკენ გაიხედა და თეთრი ხომალდი დაინახა. ხომალდიდან კატერინას ვეჟამდე შალის ფიანდაზი გაშალეს. ხომალდიდან ვიკინგი გადმოვიდა, კატერინასთან მივიდა, ხელი ჩაჰკიდა და ხომალდზე ასვლა სთხოვა.

-დედა გამიჯავრდება,-უთხრა კატერინამ.

-მე ოქროს ფულს მივცემ და არ გაგიჯავრდება-მიუგო ვიკინგმა.

ვიკინგმა კატერინას ხელი ჩაჰკიდა და ხომალდზე აიყვანა. ფიანდაზი აიღეს, აფრები აუშვეს, ღუზა ამოიღეს და გაცურეს. ამ დროს კატერინას საქმრო ნადირობიდან ბრუნდებოდა. ზღვაზე თეთრი ხომალდი დაინახა, საიდანაც კატერინა ხელს უქნევდა და ეძახდა:-მშვიდობით, ჩემო საყვარელო!

საქმრომ კატერინა რომ დაინახა, ხომალდს ნაპირის გასწვრივ გამოეკიდა. ვიკინგებმა ქვემეხები გაისროლეს, მაგრამ საქმროს ასცდა, ყუმბარა ქვას მოხვდა და ნამსხვრევებად იქცა. კატერინას საქმრო ორი საათი გაუნძრევლად იწვა, როცა გამოერკვა, ხომალდი აღარ ჩანდა. სახლისკენ გამობრუნდა, ვეჟაში შევიდა, ტანსაცმელი გამოიცვალა. მას იღლიაში ნანადირევი კაკაი ჰქონდა შენახული და როცა ხომალდს ნაპირზე მისდევდა, ისე გაიოფლა, რომ კაკაბი მოიხარშა. კაკაბი შეჭამა და დაიძინა.

ვიკინგებმა ხომალდით სამი ზღვა გადაცურეს და თავის საცხოვრისში დაბრუნდნენ. ვიკინგმა კატერინა თავის საწოლ ოთახში შეიყვანა და სამჭედლოში სამი შვიდფუთიანიკლიტე შეუკვეთა, რითაც კატერინა გამოკეთა და თვითონ ზღვაზე წავიდა.

კატერინა სულ მარტო დარჩა, მასთან შესვლა არავის შეეძლო.

კატერინას ვიკინგი ქმარი სამი წელი ზღვაზე დაეხეტებოდა. როცა დაბრუნდა კატერინამ უთხრა:

-ჩემს მშობლებთან სტუმრად წავიდეთ

მიკინგი დათანხმდა. იოკანგუმდე ხომალდით მიაღწიეს და ვეჟამდე ფიანდაზი გაშალეს. კატერინამ და მისმა ქმარმა ფიანდაზი გაიარეს და მშობლებთან მივიდნენ, ხუთი ყუთი რომი, თორმეტი ტომარა თეთრი ფქვილი, ორი ყუთი ძროხის კარაქი და ათასი ოქროს მანეთი მიუტანეს და ქორწილი გააჩაღეს.

ქორწილი სამი წელი გრძელდებოდა.

ვიკინგმა სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. ვეჟიდან ხომალდზე შალის ფიანდაზი გაშალეს, ხომალდზე ავიდნენ, აფრები აუშვეს, ღუზა ამოიღეს და ნორვეგიისკენ გაცურეს.

მდინარე იოკანგის შესართავში ჯვრის კონცხის გასწვრივ კატერინა გემბანზე გამოვიდა. ქმარმა უთხრა, რომ კაიუტაში შესულიყო, მაგრამ კატერინა არ დათანხმდა.

-კაიუტაში არ შევალ, მშობლიურ მხარეს მინდა დავემშვიდობო.

და გემბანიდან გადახტა. ქმარმა აფრები დაუშვეს და კატერინას გამოეკიდა. ჩაყვინთა, მაგრამ ვერ იპოვა. ივარაუდა, რომ კატერინა დაიხრჩო. ხომალდზე ავიდა და გაცურა. მიცურავდა და ფიქრობდა: „ნორვეგიისკენ არ წავალ, წმინდა კონცხს შემოვუვლი.“

წმინდა კონცხისკენ გაემართა. ამ დროს ზღვიდან ზღვის სამთავიანი მბრძანებელი-კოლმინევიზინჩიერხტე ამოიმართა და ხომალდი გადაყლაპა. ასე დაიღუპა კატერინას ვიკინგი ქმარი.

მზეთუნახავი კატერინა არ დამხრჩვალა, ნაპირზე გამოცურა, მშობლებთან და ყოფილ ქმარს დაუბრუნდა და დღემდე ტკბილად ცხოვრობენ.

ტალა-დათვი და დიდი ჯადოქარი

ტალა-დათვიო ღამით ადამიანთა საცხოვრისის ირგვლივ ხეტიალს მიეჩვია. უხმოდ დადიოდა, ქვებს ეფარებოდა და იცდიდა, თუ ირმის შტერი ნუკრი ჯოგს როდის ჩამორჩებოდა ან ძაღლის ლეკვი ან ბავშვი საცხოვრისიდან როდის გამოვიდოდა.

ტალა-დათვი როგორც არ უნდა დამალულიყო, თოვლზე კვალი ხომ რჩებოდა? დედებმა დათვის კვალი რომმ დაინახეს, შვილები გააფრთხილეს: -მთვარიან საღამოს ნუ ისრიალებთ, ტალა-დათვი სულ ახლოსაა, დაგიჭერთ, ბუნაგში წაგიყვანთ და სადილად შეგახრამუნებთ.

მთვარე ამოვიდა, ჯიუტი ბავშვები კი მთაზე ისევ სრიალებდნენ. ქვებიდან ტალა-დათვი ამოძვრა, თავისი ტომარა-კისი გახსნა, შუა გზაზე დადო, თვითონ კი შორიახლოს ჩაიმალა. ბავშვები მთიდან ჩამოსრიალდნენ და დათვის ტომარაში ჩავარდნენ. ტალამ ტომარას ხელი სტაცა, მხარზე მოიგდო და გახარებულმა შინისაკენ გასწია. იარა, იარა და დაიღალა. ტომარა ნაძვის ხის როკზე ჩამოკიდა, თვითონ ხის ძირში წამოწვა და ხვრინვა ამოუშვა. ჩამოკიდებულ ტომარაში ბავშვები აჩურჩულდნენ:

-რა ვქნათ? ტალა ყველას შეგვჭამს.

ერთმა, ყველაზე პატარა ბიჭმა იკითხა:

-ვინმეს ნემსი და ძაფი ხომ არ აქვს?

-გოგოებს აქვთ!

ბიჭმა დასაკეცი დანა ამოიღო, ტომარა გაჭრა, ბავშვები გათავისუფლდნენ და უბრძანა:

-სწრაფად ქვები მოიტანეთ და ტომარაში ჩაყარეთ!

ბავშვებმა ქვები მოიტანეს, ტომარაში ჩაყარეს, ის პატარა ბიჭიც ტომარაში ჩაძვრა და ბავსვები დაარიგა:

-ახლა ტომარა ამოკერეთ და შინ გაიქეცით!

ბავშვებმა ტომარა ამოკერეს და შინ გაიქცნენ.

ტალა-დათვმა გაიღვიძა, წამოიწია და იკითხა:

-ჩემს ტომარასი ცოცხლები ხართ?

-ყველანი ცოცხლები ვართ!-მიუგო პატარა ბიჭმა.

ტალამ ტომარა მხარზე მოიგდო და ისევ დაჯდა.

-ოხ, რა მძიმეა! სამაგიეროდ გემრიელი ხორცი დიდხანს მეყოფა.

ტალამ ტომარა ბუნაგამდე ძვლივს მიიტანა, მიწურის სახურავზე აძვრა და ერდოდან თავის ცოლს დაუძახა:

-მზადაა, ხორცი მოიტანე!

ტალამ ტომარა დაიქნია და იქიდან ქვები გადმოცვივდა. ქვაბი გატყდა წყალი დაიღვარა და ცეცხლი ჩააქრო. იქაურობა ბოლით გაივსო. ტალახკე აღრიალდა. მიწურ სახურავზე ტალას არაფერი ესმოდა. ტომარა კიდევ ერთხელ დაფერთხა და იქიდან პატარა ბიჭი გადმოვარდა, იქვე დაჯდა, ხელში პატარა დანა ეჭირა და იცდიდა, თუ რა მოხდებოდა. ტალა ბუნაგში შევიდა და ტალახკეს დაუღრიალა:

-ქვაბი რატომ გატყდა? ცეცხლი რატომ ჩაქრა? ხორცი სად არის?

-ხორცის მაგივრად ქვები რატომ ჩამოყარე!-დაუღრიალა ტალახკემ.

ტალამ დაინახა, რომ კერაზე ქვები ეყარა და გაკვირვებულმა უთხრა:

-აი, ერთი გემრიელი ბიჭი ზის, მოდი, ეს მაინც მოვხარშოთ.

ბიჭმა ქვებს დანა გაჰკრა და ქვებმა ნაპერწკლები გაყარა.

-ტალა-დათვო მანდ იჯექი! მამაჩემი გრძნეულია, დედაჩემიც, ბებიაც, ბაბუაც, მე კი ყველაზე დიდი გრძნეული ვარ! მე ბავშვები ქვებად ვაქციე!-დაუყვირა ბიჭმა.

ტალას გაუკვირდა.

-არ მოგხარშავ, ოღონდ ქვები ისევ ხორცად აქციე! მშვიერი ვარ, ჩემი ცოლიც მშვიერია, ჩემმა ბიჭმაც მშვიერმა დაიძინა.

-კარგი, ეს შეიძლება. სპილენძის დიდი ქვაბი და ფიჩხი მოიტანე და ცეცხლი გააჩაღე!

ტალამ სპილენძის ქვაში მოიტანა, ტალახკე კი ფიჩხის მოსატანად გაიქცა. ბიჭმა ბუნაგიდან ქვები გადაყარა, ერთი ქვა თავისთვის დაიტოვა, კერიიდან ერთი

ნაკვერჩხალი აიღო, ჩვარში შეახვია და ტალას ვაჟის საწოლთან დადო. დაჯდა და აკვანს არწევდა. ტალა ბუნაგში დაბრუნდა, ქვაბი მოიტანა, ტალახკემ კი ფიჩხი შემოიტანა.

ბიჭმა უთხრა:

-თქვენი ბიჭი ატირდა. სანამ მას ვაწყნარებდი, ბავშვები გაიქცნენ. სამაგიეროდ, თქვენს ვაჟს ღრმად სძინავს და ჩვარში გახვეული ნაკვერჩხალი დაანახვა.

-ოხ! შენ შვილი დაგვიღუპე! ნაკვერჩხლად გადააქციე!-აღრიალდნენ დათვები.

ბიჭმა ქვაბს დანა ისევ გაჰკრა და ნაპერწკლები გასცვივდა. ბიჭმა დათვებს დაუყვირა: დედაჩემი გრძნეულია, მამაჩემიც, ბებიაც, ბაბუაც, მე ყველაზე დიდი გრძნეული ვარ! შემოდლია ნაკვერჩხალი ისევ თქვენს შვილად ვაქციო, თუ შენ ტალა-დათვო სახლში დამაბრუნებ!

-წაგიყვან! წაგიყვან! ახლავე წაგიყვან!

ბიჭმა დათვის შვილს გვერდში წაკრა, გაელვიდა და მთელი ხმით აღრიალდა. ტალას და ტალახკეს გაუხარდათ, თავიანთი ბელი ალოკეს, ბიჭი კი ტალას მხარზე შეაჯდა და უბრძაბა:

-შენ წამიყვანე!

ტალამ ტბამდე მიიყვანა, სადაც ბავშვები თევზაობდნენ და უთხრა:

-ახლა, შენ თვითონ გაიქეცი! შორს წასვლის მეშინია!

ბიჭმა დანა გაჰკრა:

-მე გრძნეული ვარ! ეს ტბა მე გავაჩინე! გინდა შენც ტბად გაქციო?

-არა! არ მინდა!-თავი გააქნია ტალამ და საამების საცხოვრისთან ქარზე უსწრაფესად მიირბინა.

საამებმა ტალა შებოჭეს.

-გაები? ჩვენს ბავშვებს რატომ იტაცებ?

-გამიშვით, გეტყვით როგორ უნდა მოიქცეთ, რომ დათვებმა თქვენი ბავშვები აღარ მიიტაცონ!

საამებმა ტალა გაათავისუფლეს და ელოდნენ თუ რას ეტყოდათ.

-პირველი ის, რომ ბავშვებმა დედებს უნდა დაუჯერონ. მეორე-მამაცი გული უნდა ჰქონდეთ და დათვთან შეხვედრისას პირდაპირ თვალებში უნდა უყურონ!

ეს თვა და ტყისკენ გაიქცა უკანმოუხედავად.

მას მერე საამებს დათვის აღარ ეშინიათ. ტალა როცა შეხვდებოდათ, პირდაპირ თვალებში შეხედავენ და ტალაც ხელს არ ახლებს. იმ ბავშვებს კი, რომლებიც დიდებს არ უჯერებენ, ტალა-დათვი ტყეში წაიყვანს.

ტოფალარული ზღაპრები

უკვდავი ადამიანები და ცოცხალი წყალი

უწინდელ დროში ჩვენი საცხოვრისის განაპირას ერთი კაცი მიდიოდა და ისეთი ვრცელი ჭაობი დაინახა, რომლის იქით ნადირი ვერ გაივლიდა და ვერც ჩიტი გადაფრინდებოდა. კაცი დაინტერესდა ჭაობს იქით რა ქვეყანა იყო და როგორი ნადირ-ფრინველი ცხოვრობდა. ჭაობი გადაიარა და შებმული კურდღლები დაინახა, მიწისქვეშეთში უკვდავი ადამიანები ჩანდნენ, რომლებიც შებმული კურდღლებით დადიოდნენ. უკვდავმა ადამიანებმა კაცს უამბეს: - ჩვენ მხარეს ერთი ნადირი შემოესია-სიასამური და ერთი უკვდავი ადამიანი დაიჭირა. შენ მონადირე ხარ? მაშინ ის სიასამური მოკალი.

ჩვენი კაცი სანადიროდ გაემურა. სიასამური მოკლა და უკვდავ ადამიანებს მოუტანა. მათ ძალიან გაუხარდათ.

-შენ კეთილი საქმე გაგვიკეთე. გვინდა სამაგიერო გადაგიხადოთ, ცოცხალ წყალს მოგვცემთ. შენს მხარეში წადი და დაგველოდე.

ჩვენი მონადირე თავის სახლთან დაბრუნდა და ყველას მოუყვა, რომ მათთან მალე უკვდავი ადამიანები მივიდოდნენ და ცოცხალ წყალს მოუტანდნენ და ყველა ადამიანი უკვდავი გახდებოდა.

სტუმრების შესახვედრად გაემზადნენ, ქალებმა კოცონისათვის შეშა მოაგროვეს. დაინახეს, რომ პატარა უკვდავი ადამიანები შებმული კურდღლებით მოდიოდნენ. ქალებს ამაზე გაეცინათ.

-უყურეთ, უყურეთ, როგორი საქონელი ჰყავთ!

უკვდავ ადამიანებს ეწყინათ და გადაწყვიტეს, რომ ცოცხალი წყალი აღარ მიეცათ და ხეებს გადაასხეს: კედრებს, ფიჭვებს, ნაძვებს, თვითონ კი თავიანთ მიწაზე დაბრუნდნენ. მას მერე კედარი, ნაძვი და ფიჭვი მარადმწვანეა.

როდის დასაჯეს დათვი

წინათ დათვი არავის ასვენებდა. თვითონ ძლიერი და დიდი ისე ღრიალებდა, რომ პატარა ცხოველებს და ფრინველებს თავისი ხმით აფრთხოვდა, ხეებს ამტვრევდა და დიდი შრომითა და წვალებით აშენებულ ბუდეებს ანგრევდა. დათვმა ბევრს აწყენინა.

-ჭკუას ნუ მარიგებთ, რასაც მინდა იმას გავაკეთებ!

დადგა შემოდგომა. ხეებიდან გაყვითლებული ფოთლები ცვიოდა და დრო იყო ზამთრისთვის თადარიგი დაეჭირა.

ცხოველები შეფიქრიანდნენ, არ იცოდნენ დათვისთვის რა მოეხერხებინათ. თუ ისევ ასე გააგრძელებდა, მისგან კარგს არაფერს ელოდნენ. ტაიგიდან ნადირ-ფრინველი შეიკრიბა და დიდ მინდორზე სასაჯმართლო გამართეს. ზოგი ხეებზე იჯდა, ზოგი ქვებზე, ზოგი კუნძზე, მოსამართლედ ცხენ-ირემი აირჩიეს.

სასამართლოზე ცხოველებმა ბევრი წყენა გაიხსენეს. ისეთი ხმაური ატყდა, თითქოს ქარიშხალი ამოვარდა. დათვს ასეთი ხმაური ჯერ არ გაეგონა, შეეშინდა და მოიკუნტა.

ცხოველებმა განაჩენი გამოუტანეს: ზამთარში დამწყვდეული ყოფილიყო.

მას მერე დათვი ზამთარში ბუნაგში იძინებს.

აიგული

მაღალ მთებში მდიდარი და პირქუში მოხუცი საიანი ცხოვრობდა. ირმების ურიცხვი ჯოგი ჰყავდა, მაგრამ მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე მისი მზეთუნახავი, აიგული იყო.

მამას თავისი ასული ძალიან უყვარდა და არსად არ უშვებდა. აიგულს ადამიანები არსდროს ენახა. მთებზე კაბარგაზე არანაკლებ დარბოდა და ფრიალო კლდეებზეც ადიოდა, მშვილდისრით ნებისმიერ ფრინველს და ნადირს მოინადირებდა და ირმებით დადიოდა.. ირმებს მისი ესმოდათ და უჯერებდნენ.

მოხუცი საიანი მკაცრი და პირქუში იყო, მაგრამ მასე სახე უნათდებოდ და თვალეები უბრწყინავდა, როცა მის ყურს ქალიშვილის წკრიალა ხმა და სიმღერა

ესმოდა. მისი ხმა ჯერ წყნარი, მერე კი ძლიერდებოდა და ტაიგის უკიდევანო სივრცეებს ჯადოსნური ჰამით ავსებდა. აიგულის სიმღერებს მოხუცი საიანივით ბებერი მთები ისმენდნენ. ძლიერი კედრები, ფიჭვები და სოჭები გაშემშებულნი იდგნენ, ტოტის გატოკებისაც კი ეშინოდათ. ამაყი ირმები და დომბები აიგულის სიმღერის მოსმენისას ჩერდებოდნენ, ნაკადულებიც აღარ ჩუხჩუხებდნენ. ასე უდარდელად იზრდებოდა აიგული.

ერთხელ, საიანთან ხეობაში მცხოვრები ტომიდან ახალგაზრდა მონადირე მივიდა. მან მოხუცს მსუქანი ირმების სანაცვლოდ საისამურის ძვირფასი ბეწვეული მოუტანა. საიანი თავის ჩუმში იჯდა და ჩიბუხს ეწეოდა და სტუმრის მოტანილ და მის ფერხთით დაწყობილ ძვირფას ძღვენს უხმოდ უცქერდა. ჩუმის შესასვლელთან მზეთუნახავი აიგული შეჩერდა. ის თავისი ცეცხლოვანი შავი თვალებით მშვენიერ ახალგაზრდას უყურებდა და რა თქმა უნდა, შეუყვარდა.

ახალგაზრდა სტუმარს მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ლამაზი ქალიშვილი ენახა, მაგრამ ასეთი, თითქოს მზისა და მთვარის შუქით შექმნილი, პირველად ენახა.

ამ დროს აიგული სიყვარულზე მღეროდა. ახალგაზრდა მონადირე კი მხოლოდ მასზე ფიქრობდა.

ახალგაზრდა სტუმარმა მოხუცთან ერთი დღე დაჰყო და დილით რამდენიმე ირმით გზას დაადგა. ამაოდ მოხუც საიანს მისი ასული ცოლად მიეთხოვებინა, მარამ ის შეუვალი იყო. ამის გაგონებაც კი არ უნდოდა და აიგულს უთვალთვალეზდა.

ჭაბუკის წასვლის მერე აიგული დარდმა მოიცვა. ახლა მის სიმღერებსი დარდი და ნაღველი იგრძნობოდა. მოხუცმა საიანმა თავისი ქალიშვილი ვერ დააკავა. ის ტყის ბინადართა ბილიკებით მამისეული ჩუმიდან გაიქცა, მაგრამ ჯიუტი მამა დაეწია და შინ დააბრუნა.

აიგული დიდხანს დარდობდა, თვალები ცრემლისგან არ უშრებოდა. მის ნაღველიან სიმღერებზე ნადირ-ფრინველი ტიროდა.

მაღალ მთებში ტბაა, რომლის წყალი ცრემლივით სუფთა და კამკამაა. ამბობდნენ, რომ ამ ტბაში მაღალი კლდიდან მზეთუნახავი აიგული გადავარდა, ავი და მკაცრი, დაუნდობელი საიანი კი მას მიჰყვა. როცა ქალიშვილმა დაინახა, რომ მამამისი ეწეოდა, გაგარად * გადაიქცა. გაგარა ამ მშვენიერ ტბაში ცხოვრობს, ტბას კი აიგულის ტბა ჰქვია.

მოხუცი საიანი კი დარდისაგან გაქვავდა და კლდედ იქცა. ის დღესაც ტბის ზემოთ დგას და ტბის წყალში თავის ქალიშვილს ეძებს, მაგრამ ფრინველში მას ვერ შეიცნობს და მისი ქვის ნაოჭებზე ცრემლი მოედინება.

*გაგარა-არქტიკული წყლის ფრინველი იხვისებური ოჯახიდან.

კორეაკული ზღაპრები

ცბიერი მელია

ერთხელ მელია ნაპირზე იჯდა და ფიქტობდა: „ ნეტავ ნედლი თევზი მაჭამა“. გაიხედა და დაინახა, რომ მდინარეში მორი მიცურავდა, მორზე კი ორი თოლია იჯდა.

-თოლიებო, რას აკეთებთ-ჰკითხა მელიამ.

-თევზს ვიჭერთ.

-მეც თან წამიყვანეთ!

-გადმოხტი!

მელია გადახტა, მორი გადაბრუნდა, თოლიები გაფრინდნენ, მელია კი წყალში აღმოჩნდა. წყალმა გაიტაცა და ზღვაში ჩაიყვანა. მელია ისე მიცურავს, თითქოს ნავშია. თათებს ნიჩბებივით უსვამს, კუდს საჭესავით ატრიალებს. მელიას დაავიწყდა კუდისთვის ერთქვა, რომ ნაპირისკენ გაეცურა. იცურა, იცურა და ნაპირს ვერ მიაღწია. შუა ზღვამდე მიცურა და...

უცებ სელაპი შეხვდა.

-მელია, საით მიცურავ? ნამდვილად გზა დაგებნა, ნაპირს ვერ მიაღწიე?

-ვიცი, სადაც მივცურავ, მინდა ვნახო ზღვაში კიდევ რა ცხოველებია, გამიგია, რომ ცოტა დარჩიტო,-მიუგო მელიამ.

-არა, ზღვაში კიდევ ბევრი ცხოველია: სელაპები, ლომვეშაპები, ვეშაპები,-
უთხრა სელაპმა.

-ნუთუ?სანამ ჩემი თვალით არ დავინახავ ვერ დავიჯერებ, ამოცურდით ზღვის სიღრმიდან და წყლის ზედაპირზე ნაპირთან დაწექით, მე კი დავითვლი.

ყველა: სელაპები, ლომვეშაპები, ვეშაპები ამოცურდნენ და წყალზე ნაპირამდე მწკრივად დაეწყვნენ. მელიამ მათ ზურგებზე, როგორც ხიდზე , ისე გადაირბინა და თან ითვლიდა:-ერთი სელაპი, ორი სელაპი, სამი სელაპი... ერთი ლომვეშაპი, ორი ლომვეშაპი... ერთი ვეშაპი, ორი ვეშაპი...

ასე მიიღბინა ნაპირამდე. გადახტა და სელაპს დაუძახა:

-სელაპო! მართალი მითხარი, ზღვაში შტერი ცხოველი ისევ ბევრი ხართ. მთელ ზღვაზე ტქვენგან ხიდის გაკეთება შეიძლება. ახლა, საითაც გინდათ, იქით გაცურეთ, მე კი დავისვენებ!

ზღვის ცხოველებმა გაცურეს, მელიამ თავისი ქურქი გაიხადა და იქვე ბუჩქზე გასაშრობად ჩამოკიდა და კუდი ქვაზე დადო.

ყორანი

იყო და არა იყო რა, იწო ერთი ბებერი, ძუნწი ყორანი. ტუნდრაში საკვები არ მოიპოვებოდა, მხოლოდ ხავსი და კენკრა იყო. ყორანმა იფრინა, იფრინა, მაგრამ ვერაფერი იშოვა და შინ ცარიელი მუცლით დაბრუნდა. „ზღვაზე გავფრინდები და მსუქან თევზებს დავიჭერ“, -გაიფიქრა ყორანმა.

აი, ყორანი ზღვაზე გაფრინდა. ქვაზე დაჯდა და მსხვერპლს დაელოდა. ყორანმა კამბალა დაიჭირა, მაგრამ კამბალა ხმელი იყო და თანაც ორივე თვალი ერთ მხარეს ჰქონდა.

-შენ არ მინდიხარ, ძალიან ხმელი ხარ, -უთხრა ყორანმა და კამბალა უკან ზღვაში გადააგდო. კამბალა ზღვაში ჩავარდა და ტალღები აიშალნენ.

ყორანი ქვაზე იჯდა და მსხვერპლს ელოდებოდა. ახლა ახალგაზრდა ჭრელზურგა სელაპი დაიჭირა.

-არ მჭირდება. ძალიან ახალგაზრდა ხარ და ჯერ ქონიც არ დაგიგროვებია, -უთხრა ყორანმა და სელაპი უკან ზღვაში გადააგდო. სელაპი ზღვაში ჩავარდა და უფრო მაღალი ტალღები აიშალნენ.

ყორანი მსხვერპლს ელოდებოდა. შეხვდა ბებერი, უღვაშა, ორივე ემმომტვრეული ვეშაპი.

-არ მინდიხარ. ძალიან ბებერი ხარ და ძარღვიანი ხორცი გექნება. ყორანმა ლომვეშაპი უკან ზღვაში გადააგდო.

ლომვეშაპი ზღვაში ჩავარდა თუ არა ზღვა გამუქდა, მაღალი ტალღები აიშალნენ. ყორანი კი ისევ ქვაზე იჯდა და მსხვერპლს ელოდებოდა.

შეხვდა დიდი მსუქანი, ზურგზე ფარფლიანი ვეშაპი. ვეშაპს კუდი ზღვაში ქონდა, თავი ნაპირზე ედო და პირი დაელო. ყორანმა ვეშაპს პირში ჩახედა და როგორც სავსე ბადეში ნაირ-ნაირი თევზები დაინახა.

-აი ჩემი ნადავლი! - დაიძახა ყორანმა და ვეშაპს პირში ჩაუხტა. თევზით გაძდა და ყველაზე დიდი თევზი, მსუქანი ვირთევზა შემოინახა, მერე ვეშაპის პირიდან

ამოხტა, ფრთები აიქნია და შინ, ტუნდრისკენ გამოვ=ფრინდა.

გზაზე მელისა შემოხვდა.

-ყორანო, ვირთევზა საიდან მოგაქვს?-ჰკითხა მელიამ.

ყორანმა არ უპასუხა, თითქოს არც გაუგია.

-გიცნობ, ვინ ხარ, ნაპირზე ლეში გიპოვია და გიხარია,-უთხრა მელიამ.

-ტყის მწითურო! მე ჯერ მსუქანი ვეშაპი დავიჭირე!-დაიყვირა თუ არა, ნისკარტიდან ვირთევზა გაუვარდა. მელიამ ვირთევზას პირი სტაცა და გაიქცა.

„არაფერია, ვეშაპს პირში ისევ ბევრი თევზი აქვს, გავძლები,“-გაიფიქრა ყორანმა, ფრთები აიქნია და ისევ ზღვისკენ გაფრინდა. ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა, ვეშაპი ტალღებზე ქანაობდა. კუდი ზღვაში ქონდა, თავი ნაპირზე ედო, პირი კი დაელო. ყორანი პირდაპირ პირში ჩაუხტა.

ვეშაპმა კუდი ტალღებს დაჰკრა, ფარფლი აფრასავით აუშვა, პირი დაკეტა და ზღვაში ჩავიდა.

მანსური ზღაპრები

რატომ აქვს კურდღელს გრძელი ყურები

როცა ტყეში ნადირი გაჩნდა, მათ შორის ყველაზე უფროსი ცხენ-ირემიიყო. ერთხელ ცხენ ირემი მდელოზე თავის ცოლს ელაპარაკებოდა. კურდღელმა ახლოს გაურბინა, მათ საუბარს ყური მოჰკრა, გაჩერდა და გაიფიქრა:„მივაყურადებ, რას ლაპარაკობენ“. ახლოს მიეპარა, კუნძის უკან დაიმალა და მიაყურადა:

-აი,-ამბობს ცხენ-ირემი,-რქები მაქვს და სხვა ცხოველებს უნდა დავურიგო.მხეცი ბევრია, რქა კი ცოტა მაქვს. ვის მივცე?

„ცუდი არ იქნება, რომ რქები მეც შემხვდეს, სხვაზე ნაკლები რით ვარ?“

-ვის მივცე რქები?-ჰკითხა ცხენ-ირემმა.

კურდღელმა პირი გააღო თუ არა ცოლმა ცხენ ირემმა ქმარს უტხრა:

-ირემს მიეცი, ამით თავს დაიცავს.

-კარგი,-მიუგო ქმარმა, ეს დიდი რქები ვის მივცე?

ცოლ ცხენ-ირემს ის იყო უნდა ეთქვა, რომ კურდღელმა ვერ მოითმინა, ცხვირი გამოყო და დაიყვირა:

-მე მომეცი, დიღო ცხენ-ირემო!

-ძმაო, ვინ ხარ, რად გინდა ასეთი დიდი რქები? რისთვის გჭირდება? რაში გამოგადგება?

-როგორ თუ რისთვის? რქები ძალიან მჭირდება, ყველა ჩემს მტერს სევაშინებ, - მიუგო კურდღელმა.

-კარგი, აიღე!-ითხრა ცხენ-ირემმა და რქები მისცა.

კურდღელს გაუხარდა, აკუნტრუშდა, უცებ კედრის ხიდან დიდი გირჩა პირდაპირ მის თავზე დაეცა. კურდღელი შიშისგან წამოხტა და გაიქცა. რქებით ბუჩქებში გაეჩხირა, ვერ ეხსნებოდა და შიშისგან ცახცახებდა. ცხენ-ირემი და მისი ცოლი ხარხარებდნენ.

-ძმაო, ვხედავ, რომ მშიშარა ხარ, მშიშარას კი დიდი რქები ვერ უშველის. მიიღე გრძელი ყურები. დაე, ყველამ გაიგოს, რომ მიყურადება გჩვევია.

აი ასე დარჩა კურდღელი ურქებოდ, ყურები კი გრძელი გაეზარდა.

ბაჭია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბაჭია. ტყის პირას ისლებში თამაში უყვარდა. ერთხელ ისლი შეჭამა და ტუჩი გაეჭრა. კურდღელი დასევდიანდა და საჩივლელად ცეცხლთან მივიდა:

-ცეცხლო, ტყის პირას ისლი დაწვი!

-ისლმა რა დაგიშავა?-გაუკვირდა ცეცხლს.

-ტუჩი გამიჭდა,-მუგო ბაჭიამ.

-შენი ბრალია, სიხარბისაგან ეცი და ტუჩიც იმიტომ გაგეჭრა,-ითხრა ცეცხლმა.

კურდღელი უფრო დასევდიანდა, წყალთან მივიდა და უთხრა:

-წყალო ცეცხლი ჩააქრე!

-ცეცხლმა რა დაგიშავა?

-ცეცხლს არ უნდა ტყის პირას ისლი დაწვას?

-ისლმა რა დაიშავა?

-ტუჩი გამიჭრა.

-შენი ბრალია, ისლს სიხარბით ეცი და ტუჩიც ამიტომ გაგეჭრა,-მიუგო წყალმა.

კურდღელი უფრო მეტად დადარდიანდა, მშვილდ-ისრით შეიარაღებულ

ბიჭთან მივიდა და უთხრა:

-ბიჭერბო, წყალს ესროლე!

-წყალმა რა დაგიშავა?

-წყალს ცეცხლის ჩაქრობა არ უნდა.

-ცეცხლმა რა დაგიშავა?

-ცეცხლს არ უნდა, რომ ტყის პირას ისლი დაწვას!

-ისლმა რა დაგიშავა?

-ტუჩი გამიჭრა.

-შენი ბრალია, სიხარბისაგან ეცი და ტუჩიც ამიტომ გაგეჭრა.

სულ გაბრაზდა კურდღელი. თავგთან მივიდა და უთხრა:

-თაგვო, თაგვო, დამეხმარე, მშვილდის საბელი გაღრღენი.

მაგრამ თაგვმა ვერ მოასწრო. ბიჭებმა მშვილდებს ხელი სტაცეს, მოზიდეს და წყლისკენ გაისროლეს. წყალი აღელდა და ცეცხლი ჩააქრო. ცეცხლს შეეშინდა და ისლებში გადავიდა, ისლი ჩაიწვა, კურდღელი ცეცხს გაექცა, მაგრამ ყურები აეტრუსა.

მას შემდეგ კურდღელს ყურის ბოლოები გაუშავდა.

ამაყი იერმი

ჩრდილოეთ ურალში მანსის ხალხის საყვარელი ტბა-ვატკა-ტური მდებარეობს. მონადირე ზაქარი თავის ოჯახთან ერთად ტბის შორიახლოს ცხოვრობდა. შრომისმოყვარე კაცი იყო, მტელი დღეები ტაიგაში ნადირობდა, თითოეული ცხოველის ცხოვრების ნირი, ნადირის კვალში ჩადგომა და დატვის ბუნაგის პოვნა იცოდა ცხენ-ირემს იჭერდა, მხოლოდ ირემს არ იჭერდა-ეცოდებოდა.

ერთხელ ზაქარი ტბაზე დამაგრებული სატევზაო ბადეების დასახედად წავიდა. უცებ თევზის ფართხალი მოესმა და იქვე ახლოს ულამაზესი ირემი დაინახა. მონადირემ შეხედა და ნიჩაბი ხელიდან გაუვარდა. ირემი ერთი წამით გაშეშდა, მერე თავი ამაყად ასწია და გაიქცა.

გავიდა ზაფხული. შემოდგომამაც გაიარა. დადგა ზამთარი. ზამთარი კი ურალში მკაცრი და თოვლიანია. ზაქარის ოჯახს ცხოვრება დაუმძიმდა. პატარა იურტა ჰქონდათ და უშედეგოდ ნადირობდა.

ზაქარი ტყეში წავიდა. დღეები გადიოდა, ძალა ეცლებოდა, ნადირის კვალს კი ვერ წააწყდა. ჭაობს მიადგა და ნაპირზე ირმების ჯოგი დაინახა. ირმები ბალახობდნენ. მათ შორის ერთ ირემს შუბლზე ხალები ჰქონდა. ზაქარი ის იყო უნდა გამობრუნებულიყო, რომ პირდაპირ მისკენ თავჩაქინდრული დიდი ირემი მიდიოდა. ირემი შორიახლოს გაცერდა და ადამინის ხმით უთხრა:

-გამარჯობა ზაქარ! დიდი ხანია გიცნობ, ვხედავ როგორ შრომობ, ტაიგაში

დაეხეტები, მაგრამ ხეირი ვერ ნახე.

-გმადლობ, ამაყო ირემო, რომ გამამხნევე.

-ხვალ ისევ ამ დროს ამ ადგილას მოდი,-უთხრა ირემმა. თავი მაღლა ასწია და გაიქცა.

მეორე დღეს, როცა მზის პირველი სხივი გამოჩნდა, ზაქარი წაოხებისკენ გაემართა. ულამაზესი ირემი უკვე ელოდებოდა.

-მე შენი მეგობარი და მშველელი ვიქნები, შენმომიჯექი,-უთხრა ირემმა.

ირემი ტაიგაში სწრაფად მიქროდა და როცა სახლში დაბრუნდა, ცხოვრება გაუადვილდა. ირემმა მძიმე შრომისაგან გაათავისუფლა. მონადირემ გადაწყვიტა, რომ სიკეთე სიკეთით გადაეხადა და სარამოობით მთელი ოჯახი ირემს რქებს უხეხავდა. სათითაო ტოტს ისე უკეთებდა, რომ არც ერთ ირემს ასეთი რქები არ ჰქონდა. და აი რქები უკვე მზად იყო-მტკიცე, დატოტვილი, ლამაზი.

გაზაფხულზე, როცა თოვლმა დნობა დაიწყო, ზაქარმა ირემი ნარტაში შეაბა და მთელი ოჯახი ნარტაზე დასვა.

-წავიდეთ,-დაიყვირა ზაქარმა.

გარეკეს უკიდევანო ტაიგაში.

და აი ტბა ვატკა-ტური გამოჩნდა. ზაქარმა ირემი გამოუშვა და იმ ადგილას მიიყვანა, სადაც პირველად ნახა. ზაქარის უფროსმა შვილმა გამზადებული რქები მოიტანა.

-ეს შენ, ძვირფასო ირემო!-უთხრა ზაქარმა.

ირემმა ტავი ამაყად ასწია, ტბის ნაპირს გაუყვა და რქებით მიწა მოციცქნა.

-გმადლობ, ირემო, დახმარებოსთვის, წადი, თავისუფალი ხარ,-უთხრა ზაქარმა.

-მეც გმადლობ ადამიანო! ასეთი რქებიოტ მგლისაც არ მეშინია,-თქვა ირემმა, გამომშვიდობებისას ლამაზი რქები დაიქნია და ტყეში გაუჩინარდა.

მას მერე ყველა ირემს ლამაზი დატოტვილი რქები აქვს და ადამიანებთან მეგობრობს.

ხანტური ზღაპრები

იყო და არა იყო რა იყო ერთი დედაბერი. ერთი შვილიშვილი ჰყავდა, იმი-ხიტის ეძახდნენ. ბებია სახლში იჯდა, მატყლს ართავდა, შვილიშვილი კი გარეთ თამაშობდა. დრო გადიოდა. იმი-ხიტი გაიზარდა, ნადირობდა და თევზაობდა. ერთხელ ბებიას უთხრა:

-ვოშინგ ურტთან მივდივარ და უმცროს ქალიშვილს დავნიშნავ.

-არ წახვიდე! ხელები სუსტი გაქვს და ფეხებიც არ გაგმაგრებია,-უტხრა ბებია.

-არა, წავალ!

იმი-ხიტი მოემზადა, გარეთ გამოვიდა, თხილამურები ისროლა და საითაც ისინი ცხვირით ჩაერჭო, იქიტკენ გაემართა. იარა, იარა და ყარყუმის კვალი შეამჩნია და მას გაუყვა. უცებ დაინახა, რომ ყარყუმი ხეზე ამძვრალიყო. იმი-ხიტიმ ყარყუმი მოკლა, ტყავი გაადრო, ჯიბეში ჩაიდო და გზა გააგრძელა.

დიდხანს იარა, ციყვის კვალს მიაგნო და მას მიჰყვა. დაინახა, რომ ციყვი ხეზე ამძვრალიყო. ციყვი მოკლა, ტყავი გაადრო, ჯიბეში ჩაიდო და გზა გააგრძელა. ბოლოს დიდ ქალაქს მიაღწა. ირგვლივ შემოუარა. ერთი მდიდრული სახლი გამოირჩეოდა და იმი-ხიტიც ამ გამორჩეულ სახლში შევიდა და ვოშინგ ურტი დაინახა.

-გამარჯობა, ბაბუა ვაშინგ ურტო!

-გაგიმარჯოს შვილო, აქ რამ მოგიყვანა?

-შენი უმცროსი ქალიშვილის დასანიშნად მოვედი, იქნებ ცოლად მომათხოვო?

ვაშინგ ურტმა თავი დახარა და ასე იმდენხანს დაჰყო, რა დროსაც ქვაბი მოიხარშებოდა, მერე ტავი ასწია და უთხრა:

-კარგი, მოგათხოვებ, თუ ჩემს დავალებას შეასრულებ. ქალაქის განაპირას გოლიათი ტუნგხი ცოლთან ერთად ცხოვრობს. უკვე შვიდი წელია ამ ქალაქიდან ყოველ დღე ადამიანებს იტაცებენ და თავიანთ შვილებს აჭმევენ. ადამიანებს იქმადე მოიტაცებენ, სანამ მათი შვილები ფრენას არ ისწავლიან. თუ შენ ტუნგხებს აქედან მოაშორებ, ქალიშვილს მოგათხოვებ.

იმი-ხიტი ტუნგხების საქმბნელად გაემურა. უცებ მაღალი ხე დაინახა, რომლის კენწეროზე მფრინავი ტუნგხის ბუდე იყო.

იმი-ხიტიმ ჯიბიდან ყარყუმის ბეწვი ამოიღო, შეგ ჩაძვრა, ყარყუმად გადაიქცა და ხეზე აძვრა. რჭყალები ეტკინა. ტყავი გაიდრო და ციყვის ტყავში გაეხვია. უფრო ზემოთ აძვრა. უცებ ბუდიდან დიდი გომბემო ამოხტა. იმი-ხიტიმ გომბემო ცულით შუაზე გაჭრა. ბუდეში ჩაძვრა. იქ ტუნგხის ბარტყები ისხდნენ და ჰკითხა:

-აქედან რატომ არ გაფრინდებით?

- ფრთები გვეზრდება თუ არა, ვილაც მოდის და მოგვალრდნის,-მიუგეს ბარტყებმა.

-ეს დიდი გომბემო იყო. მოვკალი, ახლა ფრთები გაგეზრდებათ.

ჯიბიდან ოქროს ბოთლი ამოიღო, ბარტყებს ფრთებზე სითხე წაუსვა და უთხრა:

-ფრთები აიქნიეთ!

ბარტყებმა ფრთები აიქნიეს. იმი-ხიტიმ სითხე ისევ წაუსვა და ბარტყებმაც თავი უკეთესად ირძნეს. მაშინ იმი-ხიტიმ სითხე მესამედ წაუსვა ფრთებზე და

ბარტყები აფრინდნენ, მთელ სამყაროს შემოუფრინეს და ბუდეში დაბრუნდნენ.
-მალე ჩვენი დედ-მამა დაბრუნდება. დაგმალავთ!
ის იყო ბარტყებმა იმი-ხიტი ბუდის ძირას დამალეს, რომ ტუნგხი მოფრინდა და ლამაზი ახალგაზრდა მოიყვანა. მერე ტუნგხის ცოლი მოფრინდა და ლამაზი ქალიშვილი მოიყვანა.
-ჩვენ უკვე ფრენა შეგვიძლია!-უთხრეს მშობლებს ბარტყებმა.
-ვინ გაგკურნათ?
-ჩვენ ის დავმალეთ!
-გვაჩვენეთ, ხელს არ ვახლებთ, მხოლოდ მადლობას გადავუხდით,-უთხრეს მშობლებმა.
ბარტყებმა იმი-ხიტი ბუდიდან ამოიყვანეს.
-გამარჯობა იმი-ხიტი, აქ როგორ მოხვდი?
იმი-ხიტიმ მოუყვა რისთვისაც მოვიდა.
ტუნგხმა ცოლს უტხრა:-სენ ბარტყებთან ერთად გაფრინდი. სადაც კარგად გიღილს ნახავ, ბუდე გააკეთე, მე კი აქ დავრჩები და იმი-ხიტის მივებმარები. გოლიათებმა ახალგაზრდა და ქალიშვილი შინ გაუშვეს. იმი-ხიტი მფრინავ ტუნდრს ზურგზე შეაჯდა და ვოშინგ ურტის ქალაქისკენ გაფრინდნენ.
იმი-ხიტი ვოშინგ ურტთან მივიდა და უთხრა:
- მე შენი დავალება შევასრულე და მფრინავი ტუნგხი ტავის ცოლთან ერთად გავაძევე!
-ეს მართალია, მაგრამ კარგ ნადიმს კარგი გამასპინძლება სჭირდება, მაგრამ სად ნახავ? ახლომახლო შესაფერისი არაფერია. გამიგია, რომ უცნობი მიწებისა და უცნობი ზღვების იქით ოცდაათხმინანი ჩიტები ბინადრობენ. თუ ამ ჩიტებს მოიყვან-ქალიშვილს მოგათხოვებ.
იმი-ხიტი დაღონდა, ტუნგხთან მივიდა და უტხრა:
ვოშინგ ურტმა ოცდაათხმინანი ჩიტების მოყვანა დამავალა.
-არ იდარდო, მჭედლებთან წადი და რკინის ბადე გააკეთებონ,-უთხრა ტუნგხმა.
იმი-ხიტი მჭედელთან მივიდა და ბიდე მოიტანა, გოლიათი ტუნგხის ზურგზე დადო, ტვითონაც დაჯდა და გაფრინდნენ. იფრინეს, იფრინეს და ბოლოს დაეშვნენ. ტუნგხმა უთხრა:
-წადი, ბადის დასამაგრებლად ჭოკები მოჭერი!
იმი-ხიტიმ ჭოკები მოჭრა და ისევ გაფრინდნენ. მიფრინდნენ ორი ზღვის საზღვარზე. იმი-ხიტიმ ჭიკები ჩაასო, ბადე გაჭიმა, ტუნგხი კი ოცდაათხმინანი ჩიტების მოსადენად წავიდა. ჩიტები მოდენა და ყველა ბადეში გაეხა.
-ახლა ზურგზე დაალაგე და უკან გავფრინდეთ,-უთხრა ტუნგხმა.
დიდხანს იფრინეს თუ ცოტა იფრინეს, ვოშინგ ურტის ქალაქში მიფრინდნენ.

-ვომინგ ურტთან წადი და ოცდაათი ცხენი ითხოვე,-უთხრა ტუნგხმა.

იმი-ხიტიმ ოცდაათი ცხენი მოიყვანა, ჩიტებით დატვირთა და ვომინგ ურტის ამბარში წაიღო. ყველა ამბარი გაავსო, ვომინგ ურტთან მივიდა და უთხრა: „შენი ბრძანება შევასრულე!”

-საწყენია, რომ თევზი არ გვაქვს, რა ნადიმია თევზის გარეშე. ამბობენ, უცხო მხარეში, უცნობი მიმართულებით ზღვა არის. იმ ზღვაში ოქროს ფარფლებიანი ქორჭილა ბინადრობს. თუ ქორჭილას დაიჭერ- ქალიშვილს მოგათხოვებ და დიდ ნადიმს მოვაწყობ.

იმი-ხიტიმ ეს ყველაფერი ტუნგხს უთხრა, ზურგზე შეაჯდა და გაფრინდნენ. ბევრი იფრინეს თუ ცოტა იფრინეს, დაეშვნენ. ტუნგხმა უთხრა:

-წადი და ოცდაათი ჭოკი მოჭერი მდინარის გადასაღობად.

იმი-ხიტიმ მოჭრა ოცდაათი ჭოკი, დააწყო გოლიათი ტუნგხის ზურგზე და გაფრინდნენ. ორი ზღვის საზღვარზე მიფრინდნენ და დაეშვნენ. ტუნგხმა უთხრა:- ახლა წყალი გადაღობე და შუაში ჭრილი დატოვე.

იმი-ხიტიმ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ტუნგხმა უთხრა, თვითონ იქვე ჩამოჯდა. უცებ ჭრილიდან ორი ჩებაკი * გადმოხტა.

-იმი-ხიტი, ქენი სიკეთე და მდინარეში დაგვაბრუნე,-თხოვეს თევზებმა.

-გაგიშვებთ თუ ოქროს ფარფლიან ვირთევზას მოდენით,-მიუგო იმი-ხიტიმ.

-ჩვენ ოქროსფარფლიანი ვირთევზების გვეშინია, შეგვჭამენ!

-თუ არ გინდათ, აქ დაილუპებით!

-იმი-ხიტი მდინარეში გაგვიშვი, აქ გავიყინებით -შეხვეწნენ თევზები.

-ოქროს ფარფლიანი ვირთევზა მომიყვანეთ და გაგიშვებთ.

თევზები გაცურდნენ. გაიარა ცოტა ხანმა და ყინულის ქვეშ წყალი აზვირთდა. იმი-ხიტიმ დაინახა, რომ ჩებაკებს უზარმაზარი ვირთევზა მოსდევს. თევზები ყინულზე ამოხტნენ, მათ ვირთევზაც მიჰყვა. იმი-ხიტიმ ვირთევზა ოცდაათ ნაჭრად დაჭრა, ტუნგხის ზურგზე დააწყო, თევზები კი მდინარეში გაუშვა.

ტუნგხმა ფრთები აიქნია, მაგრამ ვერ აფრინდა. მერე ძალა მოიკრიბა და გაფრინდნენ. მიფრინდნენ ვომინგ ურტის ქალაქში . ტუნგხმა იმი-ხიტის ოცდაათი ცხენის მიყვანა დაავალა. იმი-ხიტიმ ცხენები მოიყვანა, თვეზით დატვირთეს და ვომინგ ურტის ამბარებში მიიყვანეს. მერე ვომინგ ურტთან მივიდა და უთხრა:

-მე შენი ბრძანება შევასრულე, ახლა შეიძლება ნამდვილი ნადიმი მოვაწყოთ!

მთელს ქალაქში და ყველა იურტაში მოილხინეს. მთელი თვე და კიდევ ერთი კვირა ილხენდნენ. როცა ნადიმი დამთავრდა, ბედნიერად ცხოვრობდნენ.

დღესაც ცხოვრობენ.

* ჩებაკი-კობრისებრთა ოჯახის თევზი.

იდე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბიჭი-იდე. იდე ადრე დაობლდა. მამამისი მონადირე იყო. ერთხელ სანადიროდ ტაიგაში წავიდა და აღარ დაბრუნდა. დედაც მალე გარდაეცვალა და ბიჭი გასაზრდელად მოხუცმა ბებამ წაიყვანა. ბებიას და შვილიშვილს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. იდე მთელი დღე ბებიას უკან დასდევდა. თუ ბებია მდინარეზე წავიდოდა, იდეც მასთან ერთად მიდიოდა. ქოხს იქეთ ფეხს ვერ ადგამდა-ემინოდა.

-სირცხვილია, ასეთი მშიშარა რომ ხარ. უკვე დიდი ბიჭი ხარ და ისევ გეშინია,- ეუბნებოდა ბებია.

იდე დუმდა. „მამაცი როგორ გავზარდო? მისი ტოლები სათევზაოდ და ტყეშიც დადიან, ჩემი იდე კი ჩემს იქეთ ფეხს ვერ ადგამს“-ფიქრობდა ბებია.

ერთ დღეს ტაიგაში კედრის კაკალი ბლომად ჩამოცვივდა.

-წავიდეთ იდე, კაკალი მოვაგროვოთ,-უთხრა ბებიამ.

-წავიდეთ ბებია.

ბებიამ არყის ხისგან გაკეთებული კალათები მოაგროვა და ხის მორისგან გაკეთებულ ნავში ჩაჯდა, იდეც ბებიას გვერდით მოთავსდა. ნავი ნაპირიდან უკუაქციეს და გაცურეს. ნათელი, თბილი დღე იყო. ორი-სამი ქვიშნარი მეჩეჩი გაიარეს და მეოთხეს მიადგნენ. ნავი ნაპირზე გამოათრიეს, გორაკზე ავიდნენ და ტაიგაში შევიდნენ. იდემ და ბებიამ კედრის კაკლის მოგროვება დაიწყეს. მაღალი კედრები თავიანთ ტოტებში მწიფე გირჩებს მალავდნენ. ბებია ტოტს ხის ჩაქუჩს მიარტყამდა და გირჩები ცვიოდა. ბებიას და შვილიშვილს სავსე კალათები ნავში მიჰქონდათ. მთელი ზამთრის სამყოფი კაკალი მოაგროვეს. უკვე სახლში დაბრუნება შეიძლებოდა. ბებია კუნძზე ჩამოჯდა და გაიფიქრა: „ჩემი შვილიშვილი მამაცი უნდა გაიზარდოს. მოდი, დღეს გამოვცდი, ღამე ტყეში დავტოვებ, მგლები და დათვები აქ არ არიან, დანარჩენი მხეცები საშიში არ არის“ და შვილიშვილს უთხრა:

-იდე, გორაკზე ერთი კალათა დამრჩა, გაიქეცი და მოიტანე.

იდე გორაკისაკენ გაიქცა. ბებია ნავში ჩაჯდა, ნაპირიდან უკუიქცა და გაცურა. იდემ გორაკიდან დაინახა, რომ ბებია მიცურავდა და დაიყვირა:

-ბებია! ბებია! მარტო რატომ დამტოვე?

-ღამე აქ გაათენე, დილით მოვალ და წაგიყვან,-დაუძახა ბებიამ.

ნაპირზე იდე მარტო დარჩა და ჩაფიქრდა: „ახლა რა მეშველება? დავიკარგები, ჩემი

აღსასრული მოვიდა.” ამ დროს მზე უკვე ჩადიოდა. მოსალამოვდა. მალე დადამდებოდა. იდე ხეებს შორის დადიოდა, ღამის გასათევს ეძებდა. უცებ დიდ ბებერ კედარში ღრმა ფულურო შეამჩნია ფულუროში ჩაძვრა და მოიკუნტა, წყნარად იწვა და შიშისგან ხმას ვერ იღებდა.

ტაიგა ჩაბნელდა, ქარი ამოვარდა, წვიმა წამოვიდა, გირჩები ცვიოდა, ფულუროზე კაკუნობდნენ. იდეს შეეშინდა, რომ მისთვის მხეცებს არ მიეგნოთ, მაგრამ ამას არც არავინ ფიქრობდა, მხოლოდ კედრები ხმაურობდნენ. იდეს შიშის მიუხედავად ჩაეძინა. მთელი ღამე ფულუროში გაატარა.

დილით გაიღვიძა, ხედავს გათენებულია, ცხელოდა, მის ზემოთ ყლორტები შრიალებდნენ და ზედ ჩიტები ჟღურტულულებდნენ. „ცოცხალი ვარ”,-გაიფიქრა იდემ. თვითონ შეიგრძნო თავი: მარჯვენა ხელი გამოსწია-ხელი აქვს, მარცხენა ხელი გამოსწია-ისიც აქვს, თავი ადგილზეა, ფეხებიც მთელი, არავის შეუჭამია.

ფულუროდან გამოძვრა და დაინახა, რომ ირგვლივ უამრავი გირჩა ეყარა. გირჩები მოაგროვა, მდინარისკენ გაიხედა და ქვიშნარ ნაპირთან ნაცნობი ნავი დაინახა. ბებია გორაკზე ქოშინით ამოდიოდა.

-ბებია, წუხელ მარტო რატომ დამტოვე?

-მე ეს განგებ გავაკეთე. მინდა მამაცი იყო. შენ ადამიანი ხარ, ადამიანი კი ყველგან უფროსია. შენ არ გინდა მამაცი იყო?-ჰკითხა ბებია.

-მინდა,-წყნარად წარმოთქვა იდემ.

იდე და ბებია შერიგდნენ. კაკლის მოსაგროვებლად ერთად წავიდნენ. ნავი ისევ გაავსეს გირჩებით და სახლში დაბრუნდნენ.

მას მერე იდე შიშს გადაეჩვია. ტყეში და მდინარეზეც მარტო დადის. არსად აღარ ეშინია.

კარელიური ზღაპრები

არყის ხის წვენი

არყანში ციყვი, ნემსი და ხელთათმანი ცხოვრობდნენ. ციყვი უხსოვარი დროიდან იქ ცხოვრობდა. ხელთათმანი ხის მჭრელს კუნძზე დარჩა და მას მერე ტყის ბინადარი გახდა, ნემსი უბრალო კი არა, ზღარბისა იყო. ბებერი ზღარბი შემოდგომაზე ნამდვის კუნძზე იხედებოდა, ერთი ეკალი ხელში ჩაერჭო და ჩაიმალა. ზღარბი წავიდა, ის კი კუნძში დარჩა. ზრარბს ეკალი არ უძებნია, რადგან ბევრი ჰქონდა. ერთი სიტყვით, ციყვი ეკალს და ხელთათმანს შეხვდა და დამეგობრდნენ. როგორღაც გამოიზამთრეს, მერე გაზაფხულდა კიდეც.

-არყის ხის წვენი მინდა, მაგრამ არ ვიცი როგორ მოვაგროვო. სამი არყის ხე დგას და ჩვენც სამნი ვართ. წვენი ყველას გვეყოფა,-თქვა ციყვმა.

-მოდით, საქმეს ყველა ერთად შევუდგეთ. შენ, ჩემო დაო, ხელთათმანო, არყის ხეს ქერქი მოაძრე, მე მისგან ჩოკორეს * შევკერავ, ციყვი ხეს გაღრღნის და წვენიც გამოედინება,-მოიაზრა ნემსმა.

ასეც მოიქცნენ. ერთი ჩოკორე ციყვისთვის, მეორე ხელთათმანისთვის, მესამე ნემსისთვის. თითოეულ არყის ხეზე თითო ჩოკორე ჩამოკიდეს. კაპ-კაპ-კაპ წვენი ჩოკორეში ჩაედინებოდა. მეგობრებმა არყის ხის გემრიელი წვენი დალიეს და დასაძინებლად წავიდნენ.

-უნდა ვუყარაულოთ,-იქნებ ღამით ვინმე მოვიდეს და ჩოკორე წაიღოს,-თქვა ნემსმა.

-მოდით ყველამ თავის არყის ხეს უყარაულოს,-თქვა ციყვმა.

ასე იხდნენ მთელი ღამე. დილაზე ვერ გაძლეს და ჩაეძინათ. დილით ხელთათმანს გაეღვიძა და ატირდა: -მოიპარეს! მოიპარეს! სულ დააქციეს !

ციყვმა და ნემსმაც გაიღვიძეს, მიიბრინეს და დაინახეს, რომ მთელი ღამის განმავლობაში დაგროვილი წვენი ვიღაცას დაუღევია და არყის ხის ქერქისგან გაკეთებული ჩოკები დაუგდია და დაუგლეჯია. ხელთათმანისთვის ახალი ჩოკორე გააკეთეს.

-მოდით, მორიგეობით ვუყარაულოთ, ასე ყველას სათითაოდ მოგვპარავენ,-ისევ თქვა ნემსმა.

-არა, ახლა მე აღარ დავიძინებ, ღამით ქურდს დავიჭერ,-მიუგო ხელთათმანმა.

-ჩემი ჩოკორე მაღლა დავკიდე და ვერავინ მიწყვდება,-თქვა ციყვმა.

-კარგი, თქვენ თავს დააბრალებთ,-შენიშნა ნემსმა.

მეორე დილით გათენებისას ყველას ჩაემინა. ქურდსაც ეს უნდოდა, სამივე ჩოკორე გადმოაყირავა და მთელი წვენი დალია. უნდოდათ თუ არა,ხელთათმანს და ციყვს ნემსის რცევის გათვალისწინება მოუწიათ. გადაწყვიტეს მორიგეობით ეყარაულათ. პირველად რიგი ციყვს შეხვდა, მერე ხელთათმანს და ბოლოს ნემსს.

არყის ხის წვენს მეღია იპარავდა. ის ელოდებოდა ციყვი, ნემსი და ხელთათმანი როდის დაიძინებდნენ და რამდენიც მის სულსა და გულს გაუხარდებოდა, ყელს იტკბარუნებდა. ამ ჯერზე ნახა, რომ ციყვსა და ხელთათმანს ეძინათ, ნემსს კი ყურადღებას არასდროს აქცევდა. მელიამ გადაწყვიტა ციყვის კუთვნილი არყის ხიდან დაეწყო. ახტა და ის იყო ჩოკორე უნდა მოეგლიჯა, რომ ნემსი მიუახლოვდა და დაიყვირა:

-დებო გაიღვიძეთ! ქურდი დავიჭირე!

ნემსის სუსტი, ძვლივს გასაგონი ხმა ციყვმა და ხელთათმანმა ვერ გაიგეს და ვერ გაიღვიძეს. მაშინ ნემსი ქურდს გამოეკიდა და სადაც მეღია ახტა, იქ ყუნწით დაერჭო, მეღია მიწაზე ჩამოვარდა და ნემსი თათში შეერჭო.

-ვაი, ვაი, ვაი!-წამოიკვნესა მელიამ.

მარტო იყვსა და ხელთათმანს კი არა, ტყის ყველა ბინადარს გაეღვიძა. მეღია სამ ფეხზე მირბოდა, ნემსს ვერ იძრობდა. ციყვი მიწაზე ჩამოხტა და მელიას თვალებში ხმელ ტოტებსა და ფოთლებს აყრიდა და ისეთი მტვერი დადგა, რომ აღარაფერი ჩანდა. ხელთათმანი მელიას ცხვირპირში უტყაპუნებდა და თან ჭკუას არიგებდა.:

-სხვის სარჩოს ნუ იპარავ, მოდი და ითხოვე!

მეღია თავის სორომდე ძვლივს მილასლასდა, მთელი დღე აცემინებდა და თათს ილოკავდა.

-როცა გავერთიანდით, მელიაც შევაშინეთ,-თქვა ნემსმა.

მას მერე სამივე ერთად კიდევ დიდხანს ცხოვრობდნენ და გასაჭირში ერთმანეთს არ ტოვებდნენ.

ალბათ დღესაც ერთად ცხოვრობენ.

*ჩოკორე-არყის ხის ქერქისგან გაკეთებული პატარა ჭურჭელი არყის ხის წვენის მოსაგროვებლად.

ხიისის* ხელსაფქვავი

იყო და არა იყო რა, მზისქვეშეთში ორი ძმა ცხოვრობდა. ერთი-მდიდარი, მეორე-ღარიბი. მდიდარი ძმა მეხოზღებისთვის კეთილი იყო, თავის ძმას კი არ სცნობდა. ემინოდა რაიმეს სათხოვნელად არ მისულიყო. ღარიბი მასთან არასდროს მიდიოდა. ერთხელ, როცა დღესასწაული ახლოვდებოდა და სახლში არაფერი ჰქონდა, ცოლმა უთხრა: -დღესასწაულს როგორ ვიზეიმებთ, ძმასთან წადი და ცოტა ხორცი ესესხე, გუშინ დავინახე, რომ ძროხა დაკლა. ღარიბს უნდოდა გადაეფიქრებინა, მაგრამ სხვა გზაც არ ჰქონდა.მდიდარ ძმასთან მივიდა და უთხრა:

-ძმაო, ცოტა ხორცი მასესხე, დღესასწაულისთვის არაფერი მაქვს.

მდიდარმა ძროხის ჩლიქი მიუგდო და თან დაუყვირა:

-აილე და ტყეში ხიისისკენ წადი.

ღარიბი ძმა გამოვიდა და გაიფიქრა: „თუ ეს ჩლიქი მე არ მეკუთვნის, მაშინ ხიისის წავუღებ.“ წავიდა ტყეში. დიდხანს იარა თუ ცოტა იარა, ხის მჭრელებს გადაეყარა.

შეეკითხნენ:-საით გაგიწევია?

-ხიისისთან მივდივარ,ძროხის ჩლიქი მიმაქვს, მის ქობს ვერ მიმასწავლით?-ჰკითხა ღარიბმა ძმამ.

-პირდაპირ იარე, არსაით გადაუხვიო და პირაპირ ხიისისთან მიხვალ. რასაც გეტყვით, კარგად დაიმახსოვრე. თუ ამ ჩლიქში ვერცხლს შემოგამღევს-არ აილო, თუ ოქროს-არც ოქრო აილო, მხოლოდ ხელსაფქვავი სთხოვე.

ღარიბმა ძმამ ხისმჭრელებს კეთილი რჩევებისთვის მადლობა გადაუხადა, დაემშვიდობა და გზა გააგრძელა. დიდხანს იარა თუ ცოტა იარა, ქობი დაინახა. შიგნით შევიდა და ხიისი დაინახა. ხიისმა ღარიბ ძმას შეხედა და უთხრა:

-ხშირად მე მთხოვენ, იშვიათად რამე მოაქვთ, რა მომიტანე?

-ძროხის ჩლიქი.

-ოცდაათი წელია ხორცი არ მიჭამია, ჩლიქი მომეცი.

ჩლიქი შეჭამა და უთხრა:

-ახლა სამაგიერო უნდა გადაგიხადო. აი ორი მუჭა ვერცხლი.

-ვერცხლი არ მჭირდება.

ხიისიმ ახლა ორი მუჭა ოქრო შესთავაზა. ღარიბმა ისიც უარყო:

-არც ოქრო მჭირდება.

-მაშინ რა გჭირდება?

-შენი ხელსაფქვავი მომეცი.

-არა, ვერ მოგცემ. ფული რამდენიც გინდა აიღე.

ღარიბი ძმა არ დათანხმდა და ხელსაფქვავს სთხოვდა.

-რადგან ძროხის ჩლიქი შევჭამე, მაგიერი უნდა გადაგიხადო. კარგი, წაიღე, მაგრამ იცი, როგორ უნდა მოიქცე?

-არ ვიცი, მასწავლე, -უთხრა ღარიბმა.

-ეს ხელსაფქვავე უბრალო არ არის. რასაც თხოვ-ყველაფერს დაფქვავს. ოღონდ უნდა უთხრა:-დაფქვი ჩემო დოლაბო! როცა ეტყვი-საკმარისია,-გაჩერდება. ახლა კი წადი!

ღარიბმა ძმამ ხიისის მადლობა გადაუხადა და უკან გამობრუნდა. ტყეში დიდხანს მოდიოდა და დაუბნელდა. წვიმა წამოვიდა, ქარი ამოვარდა, ხის ტოტები სახეში სცემდა, გათენებისას სახლამდე მიაღწია.

-მთელი დღე და ღამე სად დაიკარგე?-ჰკითხა ცოლმა.

-თვით ხიისისთან ვიყავი. აი, რა გვაჩუქა და ტომრიდან ხელსაფქვავე ამოიღო და უბრძანა:

-დაფქვი, ჩემო დოლაბო! დღესასწაულისთვის ყველაფერი დაგვიფქვი!

დოლაბი დატრიალდა და მაგიდაზე ფქვილი, ბურღული, შაქარი, თევზი, ხორცი, რა გინდა, სულო და გულო, რომ გადმოცვივდა. ცოლმა ტომრები გაავსო. ღარიბმა დოლაბს ხელი დაჰკრა და უთხრა:-საკმარისია.

ერთხელ ღარიბმა ძმამ ხელსაფქვავს შვრიის დაფქვა უბრძანა თავისი ცხენისთვის. ცხენი სახლის გვერდით ება და შვრიას ჭამდა. ამ დროს მდიდარმა ძმამ თავისი მუშები ცხენების დასარწყულებლად ტბაზე გააგზავნა და როცა ღარიბი ძმის სახლთან ჩაიარეს, შეჩერდნენ და ღარიბის ცხენთან ერთად შვრიას შეექცნენ.

ეს ყველაფერი მდიდარმა სახლიდან დაინახა, გარეთ გამოვიდა და დაიყვირა:-ჩქარა ცხენები მოაბრუნეთ! ვიღაცის სახლთან ნაგავს ქექავენ!

მუშამ პატრონს ცხენები მოუყვანა და უთხრა:-ბატონო, ცხენები იქ ნაგავს კი არ ქექავდნენ, დარჩეულ შვრიას ჭამდნენ. თქვენმს ძმას, რა გინდა, რომ არ აქვს.

მდიდარს გაუკვირდა:-„წავალ, ვნახავ, საოცარია, რომ ჩემს ძმას ყველაფერიო აქვს!“ მივიდა ღარიბთან და ჰკითხა:

-ასე უცებ როგორ გამდიდრდი? საიდან ამდენი სარჩო-საბადებელი?

-ხიისი დამეხმარა, -არ დაუმალა ღარიბმა.

-როგორ?

-აი როგორ! შენ დღესასწაულზე ძროხის ჩლიქი რომ მომეცი და მიბრძანე ხიისთან მივსულიყავი, მეც მასთან წავედი და ჩლიქი მივუტანე. ამ ჩლიქში საოცარი ხელსაფქვავე მაჩუქა. რაც მომინდება ყველაფერს მაძლევს.

-მაჩვენე!

-კეთილი.

ღარიბმა ხელსაფქვავის ყველანაირი ნუგბარი, ბევრი დაეფქვა. დოლაბი დატრიალდა და მაგიდა ღვეზელებით და ნუგბარ-ნუგბარი საჭმელებით აივსო. მდიდარმა ძმამ

გაკვირვებისა და სიხარბისაგან თვალები გადმოკარკლა.

-ხელსაფქვავი მომყიდე!

-ვერ გავყიდი, მე თვითონ მჭირდება.

-რამდენიც გინდა, იმდენი აილე,-მიეძალა მდიდარი,-ოღონდ მომყიდე.

მდიდარმა ძმამ დაინახა, რომ არაერი გამოუვიდა და სხვა მხრიდან მოუარა.

-შენ კეთილსინდისიერი არ ხარ, დაგავიწყდა, ძროხის ჩლიქი ვინ მოგცა?

-შენ.

-ხომ ხედავ, შენ კი ხელსაფქვავი გენანება. თუ არ გაყიდი, მაშინ დროებით მათხოვე.

ღარიბი ძმა დაფიქრდა და უთხრა:

-კარგი, ასე იყოს, ცოტა ხნით წაილე.

მდიდარს გაუხარდა, ხელსაფქვავს ხელი სტაცა და სახლში წავიდა. არც კი ჰკითხა დოლაბი როგორ უნდა გაეჩერებინა.

მეორე დღეს ხელსაფქვავი აიღო და ხომალდით ზღვაზე გაემგზავრა. „ახლა თევზის დამარილების დროა, მარილი ძვირია და მარილით ვივაჭრებ”.

ზღვაში გავიდა და ხელსაფქვავს უბრძანა:- ბევრი მარილი დაფქვი!

დოლაბი დატრიალდა და თეთრი, სუფთა მარილი იფქვებოდა და იფქვებოდა.მდიდარი უყურებდა და უკვე ფულებს ითვლიდა. ისევ დაუყვირა:-დაფქვი! არ გაჩერდე!

მდიდარს გონება აერია. მარტო დაფქვის! ყვიროდა. ხომალდი სიმძიმისაგან უკვე იძირებოდა, როცა მდიდარი გამოერკვა და ხელსაფქვავს დაუყვირა: გაჩერდი!

ხელსაფქვავი კი ფქვავდა და ფქვავდა. მდიდარს უნდოდა ზღვაში გადაეგდო, მაგრამ სიმძიმის გამო ვერ ასწია, თითქოს გემბანს მიეწება.

-თავს უშველეთ! გვიშველეთ! -დაიყვირა მდიდარმა.

მაგრამ ვინ უშველიდა? და ხომალდი ხარბ მდიდართან ერთად ზღვის ფსკერზე ჩაიძირა და დაიღუპა.

ამბობენ, რომ ხელსაფქვავი ზღვის ფსკერზეც არ გაჩერებულა. ფქვავდა და ფქვავდა მარილს.

ამიტომ არის ზღვის წყალი მლაშე.

ხიისი*-ტყის კაცი.

ნენეცური ზღაპრები

ბერიკაცი და მისი ქალიშვილები

ერთ საცხოვრისში ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა. სამი ქალიშვილი ჰყავდა. ღარიბად ცხოვრობდნენ. დაჩვრეტელი ჩუმი ჰქონდათ და არც თბილი ტანსაცმელი ებადათ. ძლიერი ყინვისას ბერიკაცი თავის ასულებთან ერთად ჩუმში კერასთან იჯდა. ღამით ცეცხლს აქრობდნენ, დასაძინებლად წვებოდნენ და დილამდე იყინებოდნენ.

ერთხელ, შუა ზამთარში ტუნდრაში საშინელი პურგა მძვინვარებდა. ისე ქროდა, სადაცაა ჩუმებს დაანგრევდა. ადამიანები ჩუმებიდან ვერ გამოდიოდნენ და შიმშილობდნენ. ბერიკაცი ქალიშვილებთან ერთად ჩუმში იჯდა, პურას ღრიალი ესმოდა და ამბობდა:

-პურგა* ქართა მბრძანებელმა კოტურამ გამოგვიგზავნა, რათა კარგი საცოლე გავუგზავნოთ. უფროსო შვილო, კოტურასთან წადი, თორემ მთელი ხალხი დაიღუპება. სთხოვე, რომ პურგა გააჩეროს.

-როგორ წავალ? გზა არ ვიცი! -თქვა ქალიშვილმა.

-მე შენ პატარა ციგას მოგცემ. ქარის საპირისპიროდ უბიძგე და მას მიჰყევი. ქარი ტანსაცმელს შეგიხსნის, მაგრამ არ გაჩერდე, არ შეიკრა. ქარი ფეხსაცმელში თოვლს ჩაგიყრის, მაგრამ არ დაიფერთხო, არ შეეყვნდე. გზაზე მაღალი მთა შეგხვდება-მასზე ადი. იქ შეჩერდი, ფეხსაცმელი დაიფერთხე და ტანსაცმელი შეიკარი. მთაზე პატარა ჩიტი მოფრინდება და მხარზე დაგაჯდება. არ გააგდო, მოეფერე. მერე ციგაზე დაჯექი და მთიდან დაეშვი. ციგა პირდაპირ კოტურას ჩუმის შესასვლელთან მიგიყვანს. ჩუმში შედი, ხელი არაფერს არ ახლო. როცა კოტურა მოვა, რასაც გეტყვის, ისე მოიქეცი.

უფროსმა ქალიშვილმა ჩაიცვა ციგის უკან დადგა და ციგას ქარის საწინააღმდეგოდ უბიძგა. ცოტა ხანმა გაიარა და ტანსაცმელი შეეხსნა, შესცივდა. მამის დარიგება დაავიწყდა და ტანსაცმელი შეიკრა. ფეხსაცმელებში თოვლი ჩაუცვივდა, შეჩერდა და გადმოფერთხა. მერე პურგას საწინააღმდეგოდ გზა გააგრძელა. მთა დაინახა და მასზე ავიდა. უცებ პატარა ჩიტი მოფრინდა, უნდოდა მხარზე დაჯდომოდა, მაგრამ ქალიშვილმა ხელი აუქნია და ჩიტი დააფრთხო. მერე ციგაზე დაჯდა და მთიდან დაეშვა. ციგა დიდი ჩუმის შესასვლელთან შეჩერდა. ქალიშვილი ჩუმში შევიდა და ირმის

შემწვარი ხორცი დაინახა. ცეცხლი გააჩაღა, გათბა და ხორცს ჩამოაჭრა და შეჭამა, მერე კიდევ მოაჭრა და შეჭამა. უცებ ხმა მოესმა. ვიღაც ჩუმს უახლოვდებოდა. შესასვლელში ტყავი გამოჩნდა და ჩუმში ახალგაზრდა გოლიათი კოტურა შემოვიდა.

-საიდან მოხვდი? აქ რა გინდა?-ჰკითხა ქალიშვილს.

-მამაჩემმა გამომგზავნა, რომ ცოლად შემირთო.

კოტურამ ქალიშვილს ნანადირევი ხორცის მოხარშვა და შუაზე გაყოფა დაავალა. - ერთ ნახევარს ჩვენ შევჭამთ, მეორე ნახევარი გობში ჩადე და მეზობელ ჩუმში წაიღე. ჩუმში არ შეხვიდე, შესასვლელთან შეჩერდი. დედაბერი გამოვა, ხორცი გადაეცი და დაელოდე გობს როდის გამოგიტანს.

ქალიშვილმა ხორცი აიღო და ჩუმიდან გამოვიდა. პურგა კი მძვინვარებდა-არაფერი ჩანდა. ასეთ ქარბუქში რას იპოვიდა? ქალიშვილი ჩუმს ცოტა მოშორდა, ხორცი თოვლში გადააგდო და ცარიელი გობით დაბრუნდა. კოტურამ ცარიელი გობის დანახვაზე არაფერი თქვა, ხორცი შეჭამა და დასაძინებლად დაწვა. დილით ირმის ახალი ტყავები მოიტანა და ქალიშვილს უთხრა:

-სანამ ვინადირებ, ეს ტყავები დაამუშავე და მისგან ტანსაცმელი, უტები! და ხელთათმანები შეკერე. დავბრუნდები და ვნახავ როგორი ოსტატი ხარ.

კოტურა სანადიროდ წავიდა, ქალიშვილი კი საქმეს შეუდგა. უცებ შესასვლელში ტყავი გამოჩნდა და ჩუმში ჭადარა დედაბერი შემოვიდა.

-ქალიშვილო თვალში ნამცეცი ჩამივარდა და ამომიღე,-სთხოვა დედაბერმა.

-საქმეში ხელს ნუ მიშლი! არ მცალია!-მიუგო ქალიშვილმა.

დედაბერი შებრუნდა და ჩუმიდან გავიდა. ქალიშვილი კი ტყავებს არბილებდა, ჭრიდა, ჩქარობდა და რის ვაივაგლახით კერავდა.

სალამოს კოტურა ნადირობიდან დაბრუნდა და იკითხა:

-ტანსაცმელი მზადაა?

-მზადაა.

კოტურამ ტანსაცმელი ხელით მოშინჯა-ტყავი ხეხეში, ცუდად იყო გამოყვანილი, ზომაზეც არ იყო შეკერილი. კოტურა გაბრაზდა და ბერიკაცის უფროსი ქალიშვილი შორს ნამქერში გადააგდო. ის იქ გაიყინა. პურგა უფრო გაძლიერდა.

მოხუცი ჩუმში იჯდა და პურგას მძვინვარებას უსმენდა.

-უფროსმა ქალიშვილმა არ დამიჯერა. ისე არ მოიქცა, როგორც დავარიგე. პურგა ამიტომაც არ ცხრება. კოტურა გაბრაზებულია. შუათანა ქალიშვილი წასასვლელად გაამზადე!

მოხუცმა პატარა ციგა გააკეთა. შუათანა ქალიშვილიც ისევე დაარიგა, როგორც უფროსი და კოტურასთან გააგზავნა.

შუათანა ქალიშვილმაც ციგა ქარის საწინააღმდეგოდ გააქანა. გზაში ტანსაცმელი შეეხსნა და ფეხსაცმელში თოვლი ჩაუცვივდა. მამისეული დარიგება მასაც დაავიწყდა,

ფეხსაცმლიდან თოვლი გამოფერთხა და ტანსაცმელი შეიკრა. მთაზე ავიდა და ჩიტი დაინახა, ხელი აუქნია და დააფრთხო. ციგაზე დაჯდა და მთიდან დაეშვა. პირდაპირ კოტურას ჩუმის შესასვლელს მიადგა. ჩუმში შევიდა, ცეცხლი დაანთო, ირმის ხორციტ დანაყრდა და კოტურას დაელოდა. კოტურა ნადირობიდან დაბრუნდა, ქალიშვილი დაინახა და ჰკითხა:

-აქ რისთვის მოხვედი?

-მოხუცმა მამამ გამომგზავნა, რათა ცოლად შემირთო.

-რას უზიხარ? მშიერი ვარ, ხორცი მოხარშე!

როცა ხორცი მოიხარშა, კოტურამ ქალიშვილს უტხრა:

-ხორცის ნახევარს ჩვენ შევჭამთ, მეორე ნახევარი გობში ჩადე და მეზობელ ჩუმში მიიტანე. ჩუმში არ შეხვიდე, დაიცადე სანამ გობს გამოგიტანენ.

ქალიშვილმა ხორცი აიღო, ჩუმიდან გამოვიდა, პურგა ისევ მძვინვარებდა და ისეთი ქარბუქი იდგა, რომ არაფერი ჩანდა. არსად წასულა, ხორცი თოვლში გადააგდო, ცოტა შეეყვნდა და ჩუმში დაბრუნდა. კოტურამ ცარიელ გობს შეხედა, არაფერი თქვა, ჭამა და დაიძინა. დილით ჩუმში ახალი ტყავები შემოიტანა და ქალიშვილს ტანსაცმლის შეკერვა დაავალა. კოტურა სანადიროდ წავიდა, კოტურა კი საქმეს შეუდგა. ჩქარობდა, რათა საღამომდე შეეკერა. უცებ ჩუმში დედაბერი შემოვიდა:

-ქალისილო, თვალში ნამცეცი ჩამივარდა, ამომიღე მეთვითონ არ შემიძლია.

-შენი ნამცეცის ამოსაღებად სად მცალია! ბევრი საქმე მაქვს! წადი, საქმეში ხელს ნუ მიშლი!

კოტურა დაბრუნდა და იკითხა:

-ახალი ტანსაცმელი მზადაა?

-მზადაა.

კოტურამ ტანსაცმელი მოიზომა, ცუდად იყო შეკერილი. გაბრაზდა და შუათანა ქალიშვილიც ნამქერში გადააგდო. ისიც გაიყინა.

მოხუცი კი ჩუმში უმცროს ქალიშვილთან ერთად იჯდა. პურგა ისევ ძლიერ ქროდა, სადაცაა ჩუმს წააქცევდა.

-შუათანა ქალიშვილმაც არ დამიჯერა. კოტურა გააბრაზა. შენ ჩემი ნაბოლარა, საყვარელი შვილი ხარ. მომიწევს კოტურასთან გაგზავნო. თუ არ გაგზავნი, მთელი ხალხი შიმშილით დაიხოცება.

მოხუცმა ქალისვილს ასწავლა როგორ უნდა წასულიყო და რა გაეკეთებინა.

ქალიშვილმა ჩაიცვა ციგის უკან დადგა და ციგას ქარის საწინააღმდეგოდ უბიძგა. პურგა კი ღრიალებდა, აქცევდა და თვალებს ტკენდა, მაგრამ ქალისვილი მამის დარიგებას არ ივიწყებდა. ტანსაცმელი არ სეიკრა და ფეხსაცმლიდან თოვლი არ გადმოყარა. სციოდა, ქარის საწინააღმდეგოდ სვლა უჭირდა, ის კი არ ჩერდებოდა, მიდიოდა და მიდიოდა. ქალიშვილმა მთას მიაღწია და ავიდა. შეჩერდა. ფეხსაცმლიდან

თოვლი გადმოფერთხა, ტანსაცმელი შეიკრა. უცებ ჩიტი მოფრინდა და მხარზე დააჯდა. ქალიშვილი ჩიტს მოეფერა, ხელი გადაუსვა. ჩიტი გაფრინდა. ქალისვილი ციგაზე დაჯდა და მთიდან პირდაპირ კოტურას ჩუმთან დაემუა. ჩუმში შევიდა და დაელოდა. უცებ შესასვლელთან ტყავი გამოჩნდა და ახალგაზრდა გოლიათი შემოვიდა.

ქალიშვილი დაინახა და ჰკითხა:

-აქ რისთვის მოხვედი?

-მამაჩემმა გამომგზავნა, რომ პურგა გააჩერო, თორემ ჩვენს საცხოვრისში ხალხი სულ დაიღუპება.

-რას უზიხარ, ცეცხლს რატომ არ ანთებ? ხორცს რატომ არ ხარშავ? მშიერი ვარ!

ქალიშვილმა ხორცი სწრაფად მოხარშა, ქვაბიდან ამოიღო და კოტურას მიართვა. მან ხორცი ორად გაყო. ნახევარი ორივემ შეჭამა, მეორე ნახევარი მეზობლის ჩუმში წაიღო. ქალიშვილმა ხორცი გობში ჩდო და ჩუმიდან გამოვიდა. ირგვლივ პურგა მძვინვარებდა, არაფერი ჩანდა. საით წასულიყო? ჩუმში როგორ მოექმბნა? ქალიშვილი იდგა და ფიქრობდა საით წასულიყო. უცებ ის ჩიტი გამოჩნდა, მთაზე რომ ნახა. ჩიტი სახესთან ფრთხიალებდა, ქალიშვილი ჩიტს მიჰყვა და დიდი ბორცვი დაინახა. ბორცვიდან ბოლი ამოდიოდა. ქალიშვილმა ბორცვს ირგვლივ შემოუარა და შესასვლელი შენიშნა. ჭადრა დედაბერმა გამოიხედა და იკითხა:

-ვინ ხარ? რისთვის მოხვედი?

-ხორცი მოგიტანე.

დედაბერმა გობიდან ხორცი აიღო და გაუჩინარდა. ქალიშვილი ბორცვთან იდგა და იცდიდა. ბოლოს შესასვლელი გაიღო, დედაბერმა გამოიხედა და გობი მიაწოდა.

ქალიშვილი ჩუმში დაბრუნდა. კოტურამ ჰკითხა:

-ხორცი მიეცი?

-მივეცი.

-გობი მომეცი, ვნახავ შიგ რა არის.

კოტურამ გობი აიღო და შიგ დანები, ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყოები და ფოლადის ნემსები ეწყო.

-ბევრი საჭირო ნივთი მოგცეს! ყველაფერი გამოსაყენებელია!

დილით კოტურამ ირმის ახალი ტყავები მოიტანა და ქალიშვილს სარამომდე ტანსაცმლის, უნტების* და ხელთათმანების შეკერვა დაავალა.

-თუ კარგად შემიკერავ-ცოლად შეგირთავ და სანადიროდ წავიდა.

ქალიშვილი საქმეს შეუდგა. დედაბრის საჩუქარი გამოადგა. კერვისტვის ყველაფერი ჰქონდა, მაგრამ ერთ დღეში რას მოასწრებდა? უცებ შესასვლელში ტყავი გამოჩნდა და ჩუმში ჭადრა დედაბერი შემოვიდა. ქალიშვილმა დედაბერი იცნო. ეს სწორად ის იყო, ვისაც ხორცი მიუტანა.

-ქალიშვილო, თვალიდან ნამცეცი ამომიღე,-სთხოვა დედაბერმა.

ქალიშვილმა საქმე გადადო და თვალიდან ნამცეცი ამოუღო.

-კარგია, თვალი აღარ მტკივა. ახლა მარჯვენა ყურში ჩამხედე!
ქალიშვილმა ყურში ჩახედა და შეეშინდა-იქ ქალიშვილი დაინახა.
-ქალიშვილს შენთან რატომ არ ეძახი? დაუძახე! ტანსაცმლის შეკერვაში დაგეხმარება.
მოხუცის ქალიშვილს გაუხარდა და ქალიშვილს დაუძახა და დედაბრის ყურიდან
ერთი კი არა, ოთხი ქალიშვილი გადმოხტა. ყველა საქმეს შეუდგა: ტყავებს
არბილებდნენ, ფხეკდნენ, ჭრიდნენ, კერავდნენ. ტანსაცმელი სწრაფად შეკერეს.
დედაბერმა ქალიშვილები ისევ ყურში დამალა და წავიდა. საღამოს კოტურა
ნადირობიდან დაბრუნდა და იკითხა:
-რაც დაგავალე, ყველაფერი გააკეთე?
-ყველაფერი.
კოტურამ ტანსაცმელი აიღო და ჩაიცვა, კარად იყო შეკერილი, არც ვიწრო ჰქონდა და
არც ფართე. კოტურამ გაიღიმა და თქვა:
-მომეწონე! დედაჩემსაც და ჩემს ოთხივე დასაც მოეწონე! კარგად მუშაობ და
გაბედულიც ხარ. შენი ხალხი რომ არ დალუპულიყო, საშინელ პურგასაც არ შეუშინდი.
ჩემი ცოლი იყავი და ჩემს ჩუმში დარჩი.
ეს თქვა და ტუნდრაში პურგა ჩაცხრა. ადამიანები აღარ ილუპებოდნენ და აღარ
იყინებოდნენ და ჭველა ჩუმებიდან გამოვიდა.

*პურგა-ქარბუქი ტუნდრაში.

*უნტი-ბეწვის ცექმა.

ბატონი და მოჯამაგირე

იყო და არა იყო რა, იყო ორი ძმა. ღარიბად ცხოვრობდნენ. ერთხელ ერთმა მეორეს
უთხრა: -ერლ ჩვენთაგანს მდიდართან მოჯამაგირეობა მოგვიწევს. მდიდართან
მოჯამაგირედ უფროსი ძმა წავიდა. მდიდარმა უთხრა:

-ჩემთან გაზაფხულამდე იმუშავე, სანამ გუგული არ დაიყვირებს. აი, კიდევ რას
გეტყვი: არასოდეს არაერი გეწყინოს. თუ გეწყინება ას ირემს მომწეცემ., თუ მე შენზე
ნაწყენი დავრჩები, მაშინ მე მოგცემ ას ირემს.

-მე ირმები არ მყავს,-მიუგო ირემმა.

-მაშინ შემდეგ შემოდგომამდე იმუშავე.

ღარიბმა იფიქრა, იფიქრა და დათანხმდა. „მე ხომ არაფერი მეწყინება“-გაიფიქრა და

მდიდრის მოჯამაგირე გახდა.

ერთხელ ბატონმა მოჯამაგირე ირმების ჯოგში გაგზავნა.

-წადი, უკვე გათენდა და როცა დაბინდდება, მაშინ დაბრუნდი.

მოჯამაგირემ ირმების ჯოგში მთელი დღე გაატარა და როცა დაბინდდა, ჩუმში დაბრუნდა.

-რატომ დაბრუნდი?-ჰკითხა ბატონმა.

-მზე უკვე ჩავიდა, მოსალამოვდა,-მიუგო ღარიბმა.

-ნამდვილად. უკვე მოსალამოვდა, მაგრამ მე ხომ გითხარი, დაბნელებამდე გემუშავა. ახლა, მართალია, მზე ჩასულია, მაგრამ მის მაგივრად მთვარე ამოვიდა.

-ეს როგორ? დღე და ღამე უნდა ვიმუშაო?-ჰკითხა ღარიბმა.

-შენ რა ჩემი გეწყინა?-ჰკითხა ბატონმა.

-არა, არ მწყენია!-მიუგო მოჯამაგირემ და ისევ ირმების ჯოგს დაუბრუნდა.

მთელი ღამე მთვარე ანათებდა და მოჯამაგირემ ღამე ირმების ჯოგში გაატარა. დილით მთვარე მიიმალა, მის ნაცვლად ცაზე მზე ამოვიდა. მოჯამაგირე მიწაზე დაეცა და ბატონზე გაბრაზდა: მდიდარი თვითონ არ მუშაობს, მამლრისად ჭამს, მე კი არც მაჭმევს და არც ტანსაცმელს მამლევს! მოჯამაგირე ვერ ხედავდა, რომ მდიდარი იქვე ახლოს იყო და ყველაფერი ესმოდა.

-შენ ჩემგან გეწყინა? ასი ირემი მომეცი ან შემოდგომამდე იმუშავე,-უთხრა მდიდარმა.

ღარიბი მოჯამაგირე მდიდართან შემდეგ შემოდგომამდე მუშაობდა და შინ ხერცალიერი დაბრუნდა.

-მდიდარმა რამდენი ირემი მოგცა?-ჰკითხა ძმამ.

უფროსმა ძმამ მოუყვა თუ როგორ იმუშავა. უმცროსმა უთხრა: -ახლა შენ შინ დარჩი, სამუდამოდ კი მე წავალ. მივიდა მდიდართან და მან როგორც უფროს ძმას, ისე მოელაპარაკა:

-ჩემთან იქამდე იმუშავე, სანამ ტყეში გუგულიო არ დაიყვირებს. სანამ ჩემთან იქნები, ჩემგან არაფერი უნდა გეწყინოს, თუ ასე იქნება, მაშინ ასი ირემი უნდა მომცე. თუ მე შენგან მეწყინება, მაშინ მე მოგცემ ას ირემს.

-კარგი, ოღონდ ასი ირემი ცოტაა. მოდი მოვილაპარაკოთ: ვისაც პირველი ეწყინება, მეორეს ათასი ირემი მისცეს!-მიუგო ღარიბმა.

მდიდარი დიდხანს ფიქრობდა, ბოლოს უთხრა:

-კარგი ასე იყოს! თავისთვის კი გაიფიქრა: „უფრო მეტი ირემი მეყოლება“!

მეორე დღეს მზე უკვე ამოვიდა, მაგრამ მოჯამაგირეს ისევ ეძინა. მდიდარმა გააღვიძა:

-ადექი! მზე უკვე კარგახანია ამოვიდა, შენ კი გძინავს!

-შენ რა ჩემზე ნაწყენი ხარ?-ჰკითხა მოჯამაგირემ.

არა, არ მწყენია! უბრალოდ გეუბნები, რომ ირმების ჯოგში წახვიდე,-უთხრა მდიდარმა.

სანამ მოჯამაგირემ ჩაიცვა, პრი დაიბანა, მოშუადღევდა კიდეც. მოჯამაგირემ

მდიდარს უთხრა:

-ძალიან გავძეხი, ახლა მუშაობა არ შემოდის, ცოტას წავუძინებ! თავი ბალახზე დადო და დაიძინა.

მდიდარმა თავი ველარ შეიკავა და დაიყვირა:

-რატომ სამუშაოდ არ მიდიხარ?! სხვები უკვე დაბრუნდნენ, შენ კი ისევ აქ ხარ!

მოჯამაგირემ თვალეები გაახილა, ცას შეხედა და თქვა:

-უკვე ბნელდება, ეტყობა, დღეს ველარ ვიმუშავებ.

მდიდარმა უფრო ხმამაღლა დაუყვირა:

-რატომ არ იმუშავებ?!

შენ ჩემზე ნაწყენი ხარ?

-არა, არ ვარ ნაწყენი. კარგი დღეს სამუშაოდ ნუ წახვალ, დაწექი, დაიძინე,-უთხრა მდიდარმა.

ასე გაიარა სამმა თვემ. ახალმა მოჯამაგირემ მდიდარი არ გაახარა, ცოტას მუშაობდა და არაფერი სწყინდა. მდიდარმა გადაწყვიტა ცბიერი მოჯამაგირისაგან თავი დაეღწია. ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, რომ ტყეში გუგულს დაეყვირა. ბევრი იფიქრა და ბოლოს ცოლს უთხრა: -ტყეში წადი და ხეზე აძვერი. როგორც კი მოჯამაგირესთან ერთად დამინახავ, გუგულივით იყვირე, ოღონდ არ დაგვენახო.

მდიდარმა მოჯამაგირეს სანადიროდ დაუძახა. თოფები აიღეს და ტყისკენ გასწიეს. მდიდარის ცოლმა შორიდანვე შეამჩნია და გუგულივით ყვირილი დაიწყო.

-გესმის? გუგული ყვირის! შენი ჩემთან მუშაობის დრო გავიდა! შინ დაბრუნდი!-უთხრა მდიდარმა.

ღარიბი მიხვდა, რომ მდიდარი ატყუებდა: განა გუგული ზამთარში დაიყვირებდა?

-კარგი, ოღონდ ვნახოთ, ეს როგორი ზამთრის გუგულია, რანაირი ჩიტია?-უთხრა ღარიბმა და თოფი იმ ხეს დაუმიზნა, რომელზეც მდიდრის ცოლი იჯდა.

ეს რომ მდიდარმა დაინახა, მოჯამაგირეს ეცა, თოფს ართმევდა და უყვიროდა:

-შენ თუ მას მოკლავ, ცუდი დღე დაგადგება!

-შენ გეტყობა ჩემზე ნაწყენი ხარ?-ჰკითხა ღარიბმა.

-კინადამ ცოლი მომიკალი! ირმები წაიყვანე და შინ დაბრუნდი!-დაიყვირა მდიდარმა.

ღარიბი მოჯამაგირე ათასი ირმით შინ დაბრუნდა.

მას მერე ძმები კარგად ცხოვრობდნენ.

აქ მთავრდება ზღაპარი.

კეტური ზღაპრები

ალბა და ხოსიადამი

ამბობენ, რომ სამყაროს დიდი სული ცაში ვარსკვლავებს განაგებდა, მდინარეებში-თევზებს, ტაიგაში-ნადირს, ჰარში-ფრინველებს, მიწაზე კი ადამიანებს. მას ესი ერქვა.

ესს შუშასავით გამჭვირვალე ჩუმი ჰქონდა, საიდანაც ყველაფერს ხედავდა. მას ჩია, გამხდარი ცოლი ჰყავდა-ხოსიადამი. ერთხელ ესიმ და ხოსიადამმა იჩხუბეს. ესი გაბრაზდა და ხოსიადამი თავის მსახურებიანად მიწაზე ჩამოაგდო.

ხოსიადამი დედამიწის უმთავრესი ბოროტი სული გახდა. ვისთანაც თავის მსახურს გააგძავნიდა, მაშინვე უბედურება შეემთხეოდა, ვისთანაც თვითონ მივიდოდა-კვდებოდა, ირმებს ჭირით დახოცვდა, მდინარეში თევზს გააქრობდა. ხოსიადამი თავის მსახურებთან ერთად დიდ წყალში სამოცდაჩვიდმეტ კუნძულზე, მაღალი მთების ძირში ცხოვრობდა. ის ხალხს იქამდე აწუხებდა, სანამ დევგმირი ალბა არ დაიბადა.

როცა ალბა გაიზარდა, ხისა ნავით ცურავდა, სამკაპით თევზს იჭერდა, ცხენ-ირემზე და ირმებზე ნადირობდა. ერთხელ ალბამ გადაწყვიტა, რომ ხოსიადამი მოეძებნა და შებრძოლებოდა, რათა ადამიანები მისგან დაეხსნა.

და ალბამ სამოცდაჩვიდმეტი კუნძულისკენ გაცურა. კუნძულებს მიაღწია, ნაპირზე გადმოვიდა და უცებ ხშირი ბუჩქნარიდან ხოსიადამის მსახურები-საშინელი ურჩხულები თავს დაესხნენ. მაგრამ ალბა არ შეშინდა, პალმა* მოიქნია და ურჩხულებს თავები დააყრევინა. „ესენი ექვსნი იყვნენ, თვითონ ხოსიადამი კი სად არის? ის მეშვიდე უნდა ყოფილიყო. მისი ჩუმი უნდა ვიპოვო.“ -გაიფიქრა ალბამ და დაინახა, რომ ნაპირზე ქვიშაში ვიღაც მოძრაობდა.

ალბამ ამ ადგილის თხრა დაიწყო და პატარა დიდთავა დაინახა. ალბას დიდთავა შეეცოდა, ნავში ჩასვა, რათა მერე წყალში ჩაესვა და გაეცურა. ალბამ არ იცოდა, რომ ხოსიადამი დიდთავად გადაიქცა. უცებ საოცარი ხმა მოესმა. ვიღაც მოხდენილი კაცი შვიდსიმინ კატზე უკრავდა და მასთან ერთად ტაიგა, მთები და ტალღები მღეროდნენ. ალბამ არ იცოდა, რომ ეს კაცი ხოსიადამის საყვარელი ვაჟი ჩუუტიპი იყო. ალბამ საოცარ ხმას მიაყურა და ვერც კი შეამჩნია, რომ დიდთავა წყალში გადახტა და წყალმცენარეებში ჩაიმალა. მხოლოდ ხმა მოესმა. -ალბა, შენ მსახურები დამიხხოცე, მაგრამ მადლობელი ვარ, რომ დამინდე!

ალბა დაღონდა, ხოსიადამი ხელიდან რომ დაუსხლტა. ნავში წამოხტა, ჩუუტიპს რკინის ისარი ესროლა და თავი შვიდ ნაწილად დაიფლითა, მისი სისხლით კლდეები სისხლით შეიღება. მას მერე მდინარე ენისეიზე ოსინის ჭორომთან ქარაფი გაწითლებულია. ალბამ სამკაპს ხელი სტაცა და წყალში იმ ადგილას დასცა, საიდანაც

ხოსიადამის ხმა მოესმა, მაგრამ მან სასიკვდილო დარტყმა აიცილა და ჩრდილოეთისკენ გაცურა. თავისი ქვის ირმები გამოუშვა, რათა ალბასთვის გზა მოეჭრათ, მაგრამ ალბასთან ქვაც უძლური აღმოჩნდა. ალბამ ხოსიადამის ირმები დახოცა და ისინი კლდეებად გადაიქცნენ. მაშინ ხოსიადამი მაღალი მთების ძირში ჩაძვრა, რათა ალბას დამალვოდა, მაგრამ ალბა კვალში მისდევდა და პალმით კლდეებს ამტვრევდა.

ასე მირბოდა ხოსიადამი მიწის ქვეშ ჩრდილოეთის მიმართულებით. ალბა კი კლდეებს ამტვრევდა. ეს ხეობა მერე წყლით გაივსო და მდინარე ენისეი გაჩნდა.

პალმა* -გრძელ კეტზე დამაგრებული დანა.

პატარა ჩიტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი. ერთხელ დედაბერმა ქმარს უთხრა:-ტყეში წადი და შემა მოიტანე, სახლში ფიჩხიც კი აღარ გვაქვს. მოხუცი ტყეში წავიდა და შეშისთვის დამპალი კუნძი მოჭრა, მერე ერთ კუნძთან მივიდა, ფეხი მიარტყა-წაქცევა უნდოდა, კუნძიდან სულ პაწაწინა ჩიტი გამოფრინდა, კუნძზე დაჯდა და ადამიანის ხმით დაელაპარაკა:

-ბერიკაცო, რა გინდა? ჩემს კუნძს ფეხი რატომ დაარტყი?

მოხუცს გაუკვირდა და უცნაურ ჩიტს თავი დაუკრა და მიუგო:

-მინდოდა შენი კუნძი შეშისთვის მომეჭრა და სახლში წამელო, რათა ჩემმა დედაბერმა სადილი გააკეთოს.

-ბერიკაცო, ჩემს კუნძს ხელი არ ახლო. შინ წადი და დაიძინე, დილით სამყოფი შემა გექნებათ.

ჩიტმა შეიფრთხილა და გაფრინდა. მოხუცმა თვალი გააყოლა და ისე მოიქცა, როგორც ჩიტმა უთხრა. სახლში დაბრუნდა და დედაბერს უთხრა:-შესაფერისი ხე ვერ ვნახე, ხვალ საძებნელად ისევ წავალ. დილით დედაბერმა გიღვიძა და ჩუმთან დაჭრილი შემა დაინახა, გაუკვირდა და ბერიკაცი გააღვიძა:-ბერიკაცო ადექი გამოიხედე, რა საკვირველებაა, შენ ღამით შემა არ დაგიჭრია? ბერიკაცი,მა შეშას გახედა, მერე დედაბრისკენ გაიხედა და მოუყვა, რომ წინა დღეს ტყეში პატარა ჩიტს შეხვდა.

დედაბერს გაუხარდა, ცეცხლი დაანთო და ბერიკაცს უთხრა:-შემა ახლა ბევრი გვაქვს, საჭმელი კი არა. წადი ტყეში, ის კუნძი იპოვე, დაუკაკუნე და ჩიტს სთხოვე, რომ ხორცი

მოგვცეს.

ბერიკაცი ტყეში წავიდა, კუნძს მთელი დღე ეძებდა, ბოლოს იპოვა, დაუკაკუნა და იქიდან ჩიტი გამოფრინდა.

-ბერიკაცო, ჩემს კუნძს რატომ უკაკუნებ? რა გინდა?

-აი რა, ჩემმა დედაბერმა გამომგზავნა. შეშა ახლა ბლომად გვაქვს, მაგრამ საჭმელი არაფერია. დედაბერმა ხორცის სათხოვნელად გამომგზავნა.

-კარგი, ხორცს მოგცემ, სახლში წადი და დაიძინე, ყველაფერი გექნებათ.

ბერიკაცი ჩუმში დაბრუნდა და დასაძინებლად დაწვა. დილით გაიღვიძა და დაინახა, რომ კარებთან ხორცი დევს. მოხუცები დანაყრდნენ. დედაბერმა სადილის მერე ბერიკაცს უთხრა: -ბერიკაცო, ეტყობა ჩიტს ყველანაირი თხოვნის შესრულება შეუძლია. ერთხელ კიდეც წადი, კუნძს დაუკაკუნე, ჩიტი გამოიძახე და უთხარი, რომ ჩვენ ღარიბი ცხოვრება აღარ გვინდა, მდიდარი ვაჭრები გვინდა ვიყოთ. ბერიკაცა, თავი გადაიქნია, მაგრამ ტყეში მაინც წავიდა. იარა, იარა, კუნძი იპოვა და ფეხით დააკაკუნა. ჩიტი გამოფრინდა და ჰკითხა:

-ბერიკაცო, რატომ დამიკაკუნე, ჩემს კუნძთან რა გინდა?

ბერიკაცმა ჩიტს თავი დაუკრა და უთხრა: -დედაბერმა ისევ გამომგზავნა. ვაჭრის ცოლობა უნდა, არ დაგვეხმარები?

-კარგი, შენ წადი, დაიძინე, როგორც გინდა ისე იქნება.

მოხუცებმა დილით გაიღვიძეს, მიმოიხედეს და გაოცდნენ. თვალს არ უჯერებდნენ. მათი ჩუმი სხვადასხვა საქონლით იყო სავსე-ლილები, ცხვირსახოცები, ჩაიდნები, ბეჭდები და ფუნთუშები. ბერიკაცი აღფრთოვანდა, დედაბერმა კი გაიცინა და თქვა:

-ვაჭრის ცოლობა აღარ მინდა. ბერიკაცო ტყეში წადი ჩიტი გამოიძახე და უთხარი, რომ მთელი ტყის პატრონები გაგვხადოს.

ბერიკაცს შეეშინდა.

-დედაბერო, რა გინდა? შენ ჭკუაზე ხარ?

-წადი, -დაუყვირა დედაბერმა და ნუჟრიანი ჯოხი მოუქნია.

ბერიკაცმა ამოიოხრა, ჩუმიდან გამოვიდა და ტყის გზას დაადგა. ნაცნობ კუნძთან მივიდა და დაუკაკუნა. ჩიტი გამოფრინდა.

-ბერიკაცო, რა გინდა? რისთვის დამიკაკუნე?

-არ ვიცი, დედაბერს რა მოვუხერხო. შენთან გამომგზავნა, რომ გთხოვო ტყის პატრონები გაგვხადო.

-ახ, ხედავ რა მოინდომა? სიხარბე მოსვენებას არ აძლებს. კარგი, შინ წადი და დაიძინე.

ჩიტი შეფრთხილდა და გაფრინდა, კუნძი კი უცებ მიწაში ჩავიდა.

ბერიკაცი შინ დაბრუნდა. ორივე დასაძინებლად დაწვა, რბილი საბნები გადაიხურეს. დილით გაიღვიძეს და არც საქონელი, არც საჭმელი და არც ძვირფასი კაბები.

აი, სულ ესაა ეს ზღაპარი.

ულჩული ზღაპრები

მირგი

ოდესღაც ერთ საცხოვრისში ულჩები ცხოვრობდნენ. დიდხანს იცხოვრეს, თუ ცოტა ხანს, უბედურება ეწვიათ. სამთავიანი გველეშაპი-დიაბდა დაესხათ თავს. დიაბდას თვალეზი ნაკვერჩხალივით უელავდა, პირიდან კი ცეცხლს აფრქვევდა. მთიდან მთაზე გადაფრენისას საშინელი ჭექა-ქუხილის ხმა გამოსცემდა. დიაბდას შიშით ადამიანები გარეთ ვერ გამოდიოდნენ. ხალხი შეფიქრიანდა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა. ისრებს ესროდნენ-აისხლიტებოდა., შუბს ესროდნენ-იმტვრეოდა. ადამიანებს დიდი ჭირი დაატყდათ თავს.

იმ საცხოვრისში ერთი ახალგაზრდა-მირგი ცხოვრობდა. მირგი მოხუცებს აფასებდა, ბავშვებს არ აწყენინებდა, მღეროდა. ყველაზე მეტს მოინადირებდა, ყველაზე მეტ თევზს იჭერდა. მირგის ადამიანები უყვარდა. მას გული უკვდებოდა, როცა დედებისა და ცოლების ტირილს უსმენდა, მამაკაცებს მწუხარებისგან თმები როგორ უჭადარავდებოდათ. მირგიმ დედ-მამას უთხრა:

-ამა, არ შემძლია, ენე, არ შემძლია, სიკვდილი სჯობს ასეთ სიცოცხლეს, წავალ და სამთავიან გველეშაპ დიაბრას შევებრძოლები.

მარგის მამას, მოხუც მურუნის და დედას, ჭადარა ნას თავისი შვილი ძალიან უყვარდათ, მაგრამ დათანხმდნენ:-წადი შვილო!

მოხუცმა მურუნმა შვილს პაპისეული მახვილი მისცა., რათა გაბედულად ებრძოლა, დედამ ტომსიკაში ჭადარა თმები გამოუკრა და კისერზე ჩამოჰკიდა, რათა ბრძოლაში არ შემდრკალიყო, საცხოვრისის ხალხმა მუჭით მიწა გამოუტანეს და პატარა ტომრით წელზე ჩამოჰკიდეს, რათა ბრძოლაში თავისი სამშობლო არ დავიწყებოდა. მირგიმ ცხრა ფენად ძველი ბადე შემოიხვია, ხელში პაპისეული მახვილი დაიჭირა და პატარა ბერესტის ნავით გაცურა. იცურა, იცურა და მოესმა: ქარი დედაბრის ხმით ტიროდა, დაინახა, რომ ხეები ბერიკაცებივით თავს აქნევდნენ. ნადირ-ფრინველი დამალულიყო და ჩიტები არ ჭიკჭიკებდნენ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა-ცისფერ ტბას მიაღწია. მაგრამ ტბის პირას უზარმაზარი ხე დაინახა. ამ ხეზე სამთავიანი გველეშაპი დიაბრა ცხოვრობდალ. მირგი ნაპირს მიადგა და ნავიდან არ გადმოდიოდა. დიაბრამ დაინახა და ცეცხლოვანი თვალეზი გადმოკარკლა:

-ადამიანის შვილო, აქ რატომ მოხვედი? რა გინდა?

მირგის გული აუფანცქალდა-დედის თმა მის მკერდზე აშრიალდა, მშობლიური მიწა

შეფანცქალდა.

-წყეულო დიაბრა! შენთან საბრძოლველად მოვედი!

სამთავიანი გველეშაპის თვალებიდან გაიელვა და ყელიდან ქუხილი გაისმა. სამთავიანი დიაბრა მირგის თავს დაესხა, მაგრამ ცხრა ფენა ბადე ვერ გაჭრა და მირგი თავის ნავიანად მოისროლა. მირგიმ პაპისეული მახვილი მოუქნია და ურჩხულს ერთი თავი მოაჭრა. დიაბრამ დაიღრიალა და მირგისკენ გაიწია, სამი ფენა ბადე გაუხია და მირგი ნავიანად შუა ტბაში მოისროლა. მირგიმ პაპისეული მახვილი ისევ მოუქნია და მეორე თავიც მოაჭრა. დიაბრამ დაიღრიალა და მირგის მესამედ მიაწყდა. მირგიმ მოახერხა და დიაბრას მესამე თავიც მოაჭრა და დიაბრა ცისფერი ტბის ფსკერზე ჩაიძირა.

მირგიმ შინისაკენ გამოსწია და მოესმა, რომ ქარი ახალგაზრდა ქალიშვილის ხმით მღეროდა, შეამჩნია, რომ ხელები ახალგაზრდულად ქანაობდნენ, ნადირ-ფრინველი სამალავებიდან გამოვიდა, ჩიტები აჭიკჭიკდნენ და მირგის აღიდებდნენ.

გმირებს ტყუილად არ აქებენ.

ობოლი მანგა და მზეთუნახავი კისი

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთ საცხოვრისში მდიდარი მოხუცი ცხოვრობდა, კოტკას ეძახდნენ. კოტკას მოხუცი ცოლი ჰყავდა-აიაკტა და პატარა გოგონა-კისი. კოტკა საცხოვრისის ყველაზე მდიდარი კაცი იყო. სამი ამბარი ჰქონდა: ერთი ხორციტა და თევზით იყო სავსე, მეორე -მელიისა და სიასამულის ბეწვით, მვირფასიუ აბრეშუმით და მოქარგული ხალათებით, მესამე კი თოფ-იარაღით და სხვადასხვა ხელსაწყოებით.

კოტკამ ერთი ობოლი ბიჭი თავისთან მიიყვანა. მას მანგას ეძახდნენ. კოტკა ობოლს ადამიანად არ თვლიდა. როცა ხორცს ან თევზს ჭამდნენ, ობოლს მხოლოდ ძვლებს და ნარჩენებს აძლევდნენ. დედაბერი ობოლს დღე და ღამე ამუშავებდა. კოტკასთან საღამოობით ბევრი სტუმარი მოდიოდა და ერთიმეორეზე საშინელ ზღაპრებს ყვებოდნენ. კუთხეში მიმჯდარი მანგა შიშისკან აკანკალებული უსმენდა, სანამ არ ჩაეძინებოდა, დედაბერი კი ღამით წყლია მოსატანად აგზავნიდა. როცა დედ-მამა მანგას სცემდა, ის სადღაც მიიმალებოდა და ტიროდა, კვერებს ჩუმად აჭმევდა.

ასე ცხოვრობდა ობოლი. ცოტა თუ დიდმა ხანმა გაიარა-მანგა ღამაში ახალგაზრდა დადგა, კისი კი მზეთუნახავი იყო. ასეთ ღამაზებს მთელ ამურისპირეთში ვერ ნახავდით. მანგას და კისის ერთმანეთი შეუყვარდათ და გადაწყვიტეს დაქორწინებულიყვნენ.

მანგა მოხუცებთან მივიდა და ფეხებში ჩაუვარდა და კისის ცოლად ითხოვდა. მოხუცებმა მანგას ეჩხუბეს და გააგდეს. მაშინ კისიმ მშობლებს უთხრა:

-რაც გინდათ, ის მიყავით, მაგრამ მე მანგა მიყვარს. მის გარდა სხვას ცოლად არ გავყვები! თუ მანგას არ მიმათხოვებ, თავს ამურში ჩავიხრჩობ!

რა ექნათ? კოტკას და აიატკას თავისი ერთადერთი ასული ძალიან უყვარდათ, მაგრამ ღარიბისთვის როგორ მიეთხოვებინათ? ფიქრობდნენ მანგა როგორ მოეცილებინათ. ყველაზე საპატიო და მდიდარი მოხუცები მოიწვიეს. ყველა ერთად ფიქრობდა, დღე და ღამე ფიქრობდნენ, არა ერთი ჩიბუხი მოწიეს და ბოლოს ერთმა ყველაზე დიდმა შამანმა თავი ასწია და თქვა:

-ძველი ხალხი ასე ამბობდა, რომ აქედან შორს, ცრა მთისა და ორმოცი ჭაობის იქით მდინარეა. ეს მდინარე ჩვეულებრივი არ არის, მასში ადამიანის სისხლი მიედინება. იქ მდინარის დიდი ურჩხული-სიმული ცხოვრობს. ირგვლივ ადამიანის ძვლები ყრია. ვერცერთი ფრინველი და ვერცერთი ნადირი ამ მდინარეს ვერ მიაუახლოვდება, რადგან სიმული შეჭამს. ნადირ-ფრინველი ტირის და ამ ადგილს წყევლის. კოტკა, მანგას უთხარი, რომ კისის მაშინ მიათხოვებ, როცა სიმულის თავს მოიტანს.

კოტკას გაუხარდა და მანგას დაუძახა.

-თუ ჩემი სიძეობა გინდა, კარგად მომისმინე. კისის დედა მძიმედ ავადაა. ცხრა მთისა და ორმოცი ჭაობის იქით მდინარეა, რომელშიც ურჩხული-სიმული ცხოვრობს. ურჩხული მოკალი და მისი თავი მომიტანე. დედაბერი მის ტვინს შეჭამს და გამოჯანმრთელდება. ჩვენმა დიდმა შამანმა ასე მიორჩია. თუ ასე მოიქცევი, კისი შენი ცოლი გახდება.

რა გაეწყობოდა? მანგამ, ცული, დანა, ცოტაოდენი თევზი აიღო, ნარტაში შეება და გზას დაადგა. არავინ იცის რამდენი იარა. ქარბუქშიც მიდიოდა. ფეხები აღარ ემორჩილებოდა, მაგრამ მაინც მიფორთხავდა. მთელი დღე მიფორთხავდა, სალამოს უკან მოიხედებოდა და მისი დილანდელი კოცონი შორიახლოს ბოლავდა. ასე ყოველდღე და მრავალი დღის განმავლობაში.

ერთხელ მანგამ უკანასკნელი თევზი შეჭამა და დაეძინა. ღამით დაესიზმრა, რომ აღმოსავლეთიდან არწივი მოფრინდა, ხეზე შემოჯდა და ადამიანის ხმით ალაპარაკლდა: -მანგა გული არ გაიტეხო. კარგად მომისმინე. მალე დიდ ხეს დაინახავ. ეს ხე ქარიან ამინდში ზარივით რეკავს, აქ დაისვენე, აქედან მდინარე კარგად მოსჩანს. მაშინვე ნუ მიუახლოვდები, თავდაპირველად არყის ხიდან ჭოკი გამოჭერი, ორივე ბოლო წაუმახვილე. შენს დანახვაზე სიმული იტყვის: „მანგა მოვიდა! დიდი ხანია გელოდი!“ მაშინ სთხოვე ხახა ფართოდ გააღოს. უთხარი, რომ გადახტები, რათა გადაგყლაპოს. როცა სიმული ხახას დააღებს, გადახტი და ჭოკი ჩაურჭე. მაშინ სომული შენს ხელთ იქნება.

მანგას გაეღვიძა, მიმოიხედა, არავინ იყო, მხოლოდ ცაზე ვარსკვლავები კიაფობდნენ და ქარი ქროდა. მანგამ იფიქრა, იფიქრა და გზას დაადგა. ცოტა იარა თუ ბევრი იარა,

დიდი ხე შეამჩნია, რომელიც ზარივით რეკდა. მის ქვემოთ ღარტაფში წითელი მდინარე მიედინებოდა. მანგამ ხესთან დაისვენა, ახალგაზრდა არყის ხიდან ჭოკი გამოჭრა და მდინარისკენ დაუყვირა. სიმულიმ მანგას დანახვაზე დაიძახა:

-მანგა მოვიდა! მოდი, მოდი, დიდი ხანია გელოდები, მომშივდა.

-სიმული, დამაცადე, სიკვდილის წინ ცასა და მთებს მოვესიყვარულო!

მანგა ჩამოჯდა, ჭოკის ორივე ბოლო წაუმახვილა და სიმულის დაუყვირა:

-ხახა ფართოდ გააღე! პირდაპირ ხახაში ჩაგიხტები !

სიმულიმ ხახა დააღო, მანგამ გაირბინა და ჭოკი ხახაში ჩაარჭო, ჭოკი სიმულის გულამდე მიწვდა. სამული იბრძოდა, მთა და ბარი გაასწორა, მერე მდინარისკენ დაგორდა. მანგამ თავი მოაჭამა, ნარტაზე დადო და შინისკენ გასწია. უკან დაბრუნება იოლი იყო. იარა, იარა და ტყემდე მიაღწია, იქ ნარტა დატოვა, საცხოვრისში დაბრუნდა და მოხუცებს დაუძახა. მოხუცებს ნარტასთან მისვლის ემინოდათ და ერთმანეთს ეფარებოდნენ.

-მანგამ უდიდესი ცოდვა ჩაიდინა, ახლა ჩვენს საცხოვრისს უბედურება დაატყდება. კოტკა, კისი არ მიათხოვო!-თქვა შამანმა.

კოტკამ მანგას უთხრა:

-თუ მამაცი ხარ და კისი ცოლად გინდა, მისმინე: შორს, შორს, სადაც მზე დასაძინებლად მიდის, ტბაა. ამ ტბაში ზრვის გველემაპი-პაიმულები ცხოვრობს. ვერცერთი ნადირი და ვერცერთი ფრინველი ტბას ვერ მიუახლოვდება, პაიმულები მაშინვე შეჭამენ. მანგა, იცოდე, მამაშენი პაიმულებმა მოკლეს. თი შენ მამაცი და ძლიერი ხარ, ეს ურჩხულები მოკალი და კისის მოგათხოვებ.

რა გაეწყობოდა და მანგამ ბერესტის ნავი გააკეთა, საგზლად თევზი აიღო და დაისისკენ გზას დაადგა. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, საგზალი გაუთავდა, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი დაეხა. უცბათ ქარიშხალი ამოვარდა და ერთმა ტალღამ ნავი სულ ნაფოტებად აქცია. მანგა ამურისპირეთში იყო დაბადებული და მდინარეს ერთ ქვიშიან ნაპირზე ცურვით მიაღწია. ცეცხლი არ ჰქონდა, აღარც საგზალი, აღარაფერი ებადა. მანგა შეფიქრიანდა და მოეჩვენა, რომ არწივი მოფრინდა, იქვე დაჯდა და ადამიანის ხმით ალაპარაკდა:-მანგა, ნუ დარდობ. ადგები და დაინახავ, რომ შენს გვერდით სოჭი დგას, ფესვებთან შენს აბგას დაინახავ, კუნძულის შუაგულში ტბაა, ტბასთან ახლოს ნუ მიხვალ, იქ პაიმულები ცხოვრობენ. მათი მოკვლა ასე შეიძლება: ბერესტა* დაგლიჯე და ტბაში ჩაყარე. პაიმულები გადაყლაპავენ, მათ მუცლებში აინთება და დაიხოცებიან.

მანგა გამოერკვა. მის სიახლოვეს არავინ იყო, მხოლოდ მაღალი სოჭი ჩანდა. ფესვებთან აბგა იდო. მანგამ ხეს ქერქი აადრო და ნავი გააკეთა, დაისის მხარეს წავიდა. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, დიდი კუნძული დაინახა, კუნძულს მიუახლოვდა და შავი ტბა დაინახა. მანგამ ტბაში ბერესტის ნაგლეჯები გადაყარა. დღე და ღამე მიჰქონდა ბერესტები და ტბაში ყრიდა. როგორც კი გადაადგებდა, პაიმულები ტბის ზედაპირზე ამოტივტივდებოდნენ. პაიმულები უღვაშებით გადააბა და შინისაკენ გამოსწია.

მანგან დიდხანს იარა და ბოლოს თავის საცხოვრისს მიაღწია. როცა კოტკამ და შამანმა ოაიმულები დაინახეს, შიშისგან ენა მუცელში ჩაუვარდათ.

მანგას და კისის ქორწილი საცხოვრისში დიდი ზეიმით აღნიშნეს. ასეთი ქორწილი ჯერ არავის ენახა. მანგამ კოტკას სიმდიდრე ღარიბებს გაუნაწილა.

მას მერე საცხოვრისში ხალხი კარგად ცხოვრობდა. ობოლ მანგას კი დღესაც იხსენებენ.

*ბერესტა-არყის ხის ქერქი.

დოღგანური ზღაპრები

ასი

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. ისინი კარგ, დათბილულ ჩუმებში ცხოვრობდნენ და ბევრი ირმები ჰყავდათ. როცა მწყემსები ირმებს ერთად მოაგროვებდნენ დიდ ხავსიან ველზე ვერ ეტეოდნენ.

მდიდარი ძმების ჩუმებთან ახლოს მათი ბიძის ერთი პატარა ჩუმი იდგა. მოხუცი ბიძა თავის დედაბერთან და ერთადერთ ვაჟთან ერთად ცხოვრობდა. უკვე მოხუცი იყო, ღონე აღარ მოსდევდა, ირმები აღარ ჰყავდა და ტანსაცმელი საიდან შეეკერა, არ იცოდა.

ერთ ზამთარს მოხუცებს საჭმელი შემოეღიათ და ვაჟი მდიდარ ნათესავებთან საჭმლის სათხოვნელად გააგზავნეს. ბიჭი წავიდა. მდიდარმა ძმებმა ხორცის ნაცვლად ირმის ფაშვი მისცეს.

ფაშვი შეჭამეთ, მერე ნაწლავებს მოგცემთ, მერე ფილტვებს.

დედაბერმა ირმის ფაშვი მოხარშა და ქმარ-შვილი დააპურა, თვითონ კი ნარჩენები შეჭამა. დაღამდა. დილით ბერიკაცი ჩუმიდან გამოვიდა და შეცბა. მის საცხოვრისში კარგი ჩუმები გამქრალიყო და აღარც ირმები ჩანდა. მდიდარი ნათესავები ღამით სადღაც გადაკარგულიყვნენ. დანადვლიანებული მოხუცი ჩუმში შემოვიდა.

-დედაბერო დავიხოცებით, მდიდარმა ნათესავებმა მარტო დაგვტოვეს. ვერ დავეწევით, ასეთ ყინვაში ფეხით როგორ ვივლით? სიკვდილს აქ უნდა დაველოდოთ.

დედაბერს შვილი შეეცოდა და ატირდა. იდარდეს, იდარდეს, მერე სამივე საძილე ტომრებში ჩაძვრნენ და მშვირებმა დაიძინეს. პირველად ბერიკაცს გაეღვიძა, საძილე

ტომრიდან ამოდვრა და თვალს არ დაუჯერა:-ასეთ ჩუმში სითბო საიდან? ბერიკაცს უნდოდა ჩუმიდან გამოსულიყო, კარი გააღო და შიშისგან შეცბა. დედაბერი გააღვიძა და ჩუმი უთხრა: -ჩვენს ჩუმს ირგვლივ დიდი, მრავალფეხა ჭია შემოერთყა. ჩვენთან ხარკისთვის მოვიდა. რას მივცემთ? არაფერი გვაბადია. ახლა ჩუმიდან არ გაგვიშვებს და ყველას შეგვჭამს.

ჭია მკვდარივით იწვა, მაგრამ რასაც ჩურჩულებდნენ, ყველაფერი ესმოდა. ბერიკაცმა ოროლი* აიღო, ბიჭს მისცა და კარები გაუღო. ჭიამ თვალი გაახილა. მოხუცმა უთხრა:- ვიცი, რომ ხარკისთვის მოხვედი. ვერაფერს მოგცემთ. ჩვენ ერთი პატარა ბიჭი გვყავს და ერთი ოროლი გვაქვს. თუ გინდა აიღე.

ჭიამ ბიჭს პირი სტაცა და ჰაერში აფრინდა. მოხუცები მარტო დარჩნენ და ბიჭზე ტიროდნენ.

ჭია დიდხანს მიფრინავდა, ბოლოს ცის კიდურს მიაღწია, დაჯდა და პირიდან ბიჭი გამოუშვა. ბიჭს ხელში მამისეული ოროლი ეჭირა და მის თვალწინ ისეთივე ტყეები, მთები, ჭაობები ჩანდა, როგორც მიწაზე იყო. ჭია ბიჭს აჭმევდა, აცმევდა, მაგრამ მაინც არ დარდობდა. ბიჭმა შეამჩნია, რომ როცა ჭია მუცელზე იწვა-ირგვლივ ღამდებოდა, თუ გვერძე გადაბრუნდებოდა-თენდებოდა, როცა მუცელს გამოაჩენდა-დღესავით ნათდებოდა. ჭიის მუცელი წითელი იყო და ცეცხლივით კაშკაშებდა.

ერთხელ მანათობელ ჭიასთან ასეთივე, მაგრამ შავი ჭია მოფრინდა, დაჯდა და ირგვლივ დაბნელდა. შავი ჭია მანათობელს შემოეხვია და ახლჩობდა. ჭიები ხეებს ეჭიდებოდნენ, ფესვებიანად თხრიდნენ, ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ, ქვიშად აქცევდნენ. ბიჭი ოროლით იდგა და უყურებდა. მის თვალწინ ბნელი და ნათელი ერთმანეთს ცვლიდა. ბოლოს, როცა ბნელი ჭია ნათელს ჯობნიდა, ბიჭი შეშფოთდა:-„ხელში ოროლი მიჭირავს და ჩემს ნათელ ჭიას რატომ არ ვეხმარები? მოდი ვცადო, მაინც კვდება.“

ბიჭმა ბნელ ჭიასთან მიიღრინა და ოროლით გული გაუპო და მაშინვე დღესავით განათდა.

ნათელმა ჭიამ ბიჭს ხელი სტაცა და დედამიწაზე ჩამოფრინდა, ჩუმთან მიფრინდა, ბიჭი გამოუშვა და მოხუცებს უთხრა:

-მიიღეთ თქვენი შვილი. ის ბნელი ჭიის დამარცხებაში დამეხმარა, რომელსაც ჩემი შეჭმა იმიტომ უნდოდა, რომ თქვენ ყოველ დილით განათებთ. მას უნდოდა, რომ დედამიწაზე ბნელეთი ყოფილიყო. ეს ახლა აღარ მოხდება. მე საში დავბრუნდები, ცის კიდურზე დაწვეები და ნელ-ნელა გადავბრუნდები. როცა თქვენთან ზურგით ვიქნები-დაგიღამდებათ, როცა გვერძე გადავბრუნდები-გათენდება, როცა მუცელი გამომიჩნდება-დედამიწაზე დღე დადგება.

ნათელმა ჭიამ ბიჭს ირმები მისცა და ცისკენ გაფრინდა.

*ოროლი-შუბი.

მოხუცი მეთევზე და ყორანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბერიკაცი. ბერიკაცი თავის დედაბერთან ერთად მდინარის პირას ცხოვრობდა. ბერიკაცს ხუთი ფიცრისგან გაკეთებული ნავი და სათევზაო ბადე ჰქონდა და ყოველდღე თევზაობდა და ყოველთვის ორ თევზს იჭერდა. ორივე ამით იკვებებოდა, ეს მათი ყოველდღიური საზრდო იყო.

მაგრამ ერთხელ ეს თევზებიც გაქრა. მოხუცი ბადეს სამი დღის განმავლობაში ისროდა, მაგრამ თევზი არ მოჰყვებოდა. საჭმელი არაფერი ჰქონდათ. ბერიკაცი სიმწრისგან ტიროდა, შიმშილით სიკვდილს გრძობდა, დედაბერი ტაიგაში კენკრას აგროვებდა, რათა შიმშილი დაეოკებინათ. მოხუცები მიხვდნენ, რომ მიწისა და ცეცხლის სულს აწყენინეს და ამის გამო თევზი აღარ ჰქონდათ. ცეცხლი უნდა მოემადლიერებინათ-ქონი ეჭმიათ. ოდესღაც ძროხა ჰყავდათ და ქონი შემორჩენოდათ. მოხუცებმა თავიანთი კერა ქონით დაანაყრეს. ამის მერე ბერიკაცი მდინარეზე წავიდა და მალევე დაბრუნდა და დედაბერს უთხრა, რომ დამძიმებულ ბადეს მარტო ვერ გამოიტანდა. ბადეს ორივე ეწეოდა. ბერიკაცმა ბადეში რაღაც შავი დაინახა. უცებ ეს შავი ადამიანის ხმით ლაპარაკობდა.:

-ბერიკაცო! ნუ მომკლავ, შენთან წამიყვანე, ერთ სიკეთეს აუცილებლად გაგიკეთებ!

მოხუცმა დაინახა, რომ ეს შავი ყორანი იყო და უბეში ჩაისვა, სახლში მიიყვანა. უკვე სამნი გახდნენ. ბერიკაცი ბუდეს ძველებურად ისროდა და ბადეს უკვე სამი თევზი მოჰყვებოდა. მას მერე მრავალმა დღემ გაიარა. ერთხელ ყორანმა თქვა: -თქვენ მე სიკვდილისგან მიხსენით და შემეფარეთ, ამიტომ ჩემს ამბავს გაამბობთ. ზეციურ სამყაროში სამი დედოფალი ცხოვრობს, მე მათი უმცროსი ძმა ვარ, იუტიურგენ დევგმირს მეძახიან. ოდესღაც ქვესკნელის ბოროტ სულს ვებრძოდი, ამის გამო დამწყველეს და ყორნად ვიქეცი. ბოროტი სული-იოკსიოკიო კი ჩიტად გადაიქცა. ახლა მე მოვლონიერდი და გამოგკვებავთ.

ასეც მოხდა. ყორანი ცაში აფრინდა, შორს ქვემოთ იყურებოდა და რაც მოხუცებს უნდოდათ-მოიპოვებდა. ასე უშფოთველად ცხოვრობდნენ. მერე დედაბერი მოკვდა და სიკვდილის წინ ბერიკაცს დაუბარა, რომ ყორნისთვის არ ეწყენინებინა. როცა დედაბერი დაასაფლავეს, ყორანმა ბერიკაცს უთხრა: -დროა, ორივე ჩემს დებთან გავფრინდეთ, მე შენ გაგამდიდრებ!

ბერიკაცმა და ყორანმა თავისი საცხოვრებელი დატოვეს და ზეციურ სამყაროში აფრინდნენ. დიდხანს მიფრინავდნენ და აი ქვემოთ ქალაქი გამოჩნდა. ყორანმა ბერიკაც

უთხრა:-ახლა დავეშვებით! შენ იმ სახლში შეხვალ, კუთხეში მოხუცი ქალი ზის და ტირის. ეს ჩემი უფროსი დაა. ჰკითხე, რატომ ტირის. თუ ის გეტყვის, რო უმცროსი ძმის გამო ტირის, მაშინ მას ჩემი ამბავის სანაცვლოდ ხის ზარდახმა მოთხოვე.

ბერიკაცი ისე მოიქცა, როგორც ყორანმა დაარიგა. ქალმა უთხრა:- ჩემი უმცროსი ძმის ამბავი მომიყევი, მაგრამ ზარდახმას ვერ მოგცემ.

მოხუცმა არაფერი მოუყვა და ორივენი გაფრინდნენ. ქვემოთ ქალაქი ისევ დაინახეს. იქ ყორნის შუათანა და ცხოვრობდა, ბერიკაცმა მასაც იგივე უთხრა, ოღონდ ხის ზარდახმის ნაცვლად ვერცხლის ხელსახოცი მოითხოვა, მაგრამ ქალი არ დაეთანხმა:- ჩემი უმცროსი ძმის ამბავი მომიყევი, ოღონდ ვერცხლის ხელსახოცს ვერ მოგცემ.

ბერიკაცი და ყორანი მიხვდნენ, რომ შუათანა დას თავისი უმცროსი ძმა დავიწყებოდა და ისევ გაფრინდნენ. იფრინეს, იფრინეს და ისევ ქალაქამდე მიფრინდნენ. ყორანმა ბერიკაცს უთხრა:-იქ ჩემი უმცროსი და ცხოვრობს. მასაც იგივე უთხარი, ოღონდ ჩემი ამბავის მოყოლაში ვერცხლის სკივრი მოსთხოვე.

მოხუცი ქალიშვილთან მივიდა და როგორც ყორანმა დაარიგა, ისე მოიქცა. ქალიშვილმა წამოიძახა:-ბერიკაცო! აილე ჩემი ვერცხლის სკივრი და ძმის ამბავი მომიყევი, ცოცხალია თუ არა?

მოხუცმა ყორანი ქალიშვილს წარუდგინა. ერთმანეთის დანახვა ორივეს ძალიან გაუხარდათ და გადაწყვიტეს ეზეიმათ.

ზეიმის დროს ყორანმა ბერიკაცს დაუძახა და უთხრა:

-ჩემს უმცროს დას ცოლად მოგათხოვებ. მარჯვენა ფრთის ძირში მიკბინე. იქ ცოცხალი წყალია, შესვი და გაახალგაზრდავდები. რა თქმა უნდა სხვა დევგმირებს არ მოეწონებათ ჩემს დაზე რომ ქორწინდები. შეგეკითხებიან ვინ ხარ და საიდან მოხვედი, შენ უთხარი, რომ დიდარი ხარ და ხელები აქეთ-იქით გააქნიე, კუნთები დაგეჭიმება და შენი ყველას შეეშინდება. ქორწილის შემდეგ ვერცხლის სკივრი გატეხე და უცებ სასახლე გაჩნდება. იქ იცხოვრებთ.

ბერიკაცმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ყორანმა დაარიგა. ცოცხალი წყალი შესვა თუ არა, ახალგაზრდა დევგმირად გადაიქცა და ცოლთან ერთად სასახლეში დასახლდა.

დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ, დევგმირ შვილიშვილსაც მოესწრნენ. როცა შვილიშვილი გაიზარდა, ბოროტი იოკსიოკიო დაამარცხა და ყორანი ისევ ადამიანად გადაიქცა.

სულ ესაა ეს ზღაპარი.

სელკუპური ზღაპარი

ცეცხლის ქალბატონი

ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთხელ საცხოვრისის კაცები ტყეში სანადიროდ წავიდნენ. ჩუმებში მხოლოდ ქალები და ბავშვები დარჩნენ. ორი დღე გავიდა და მესამე დღეს საღამოს ერთი ქალი ჩუმიდან გამოვიდა, შეშა დაჭრა, საჭმლის მოხარშვას აპირებდა, ჩუმში შებრუნდა, ცეცხლს შეუკეთა, იქვე კერასთან დაჯდა და თავის ბიჭს აჭამა. ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა. უცებ ერთი ნაპერწკალი ბავშვზე დაეცა, ბავშვი ატირდა. დედა წამოხტა და ცეცხლს გაუბრაზდა: - ეს რა გააკეთე? მე შეშას გაჭმევ, შენ კი ჩემი შვილი დაწვი! შეშა ვედარ მიიღებ! ცულით აგჩეხავ, წყალს დაგასხამ და ჩაგაქრობ!

ბავშვი აკვანში ჩააწვინა, ცული აიჭო და ცეცხლს ურტყა, მერე წყალი დაასხა და ცეცხლი ჩააქრო. ჩუმში სიბნელემ და სიცივემ დაისადგურა. ბავშვი ახლა სიცივისგან ატირდა.

ქალი გონს მოეგო, ცეცხლს აფიცებდა, უბერავდა, მაგრამ ვედარ ანთებდა. „სხვა ჩუმში შევირბენ და ცეცხლს წამოვიღებ“, - გაიფიქრა ქალმა და მეზობელი ჩუმისკენ ავიქცა. როგორც კი კარი გააღო, კერაზე ცეცხლი ჩაქრა. ქალი ახლა სხვა ჩუმისკენ გაიქცა. კარი გააღო თუ არა, იქაც მაშინვე ჩაქრა ცეცხლი. მერე თავისი ბებიის ჩუმისკენ გაიქცა. კარს მიაღწია თუ არა, კერაზე ცეცხლი ჩაქრა.

-რა მოგივიდა, შემოხვედი თუ არა, კერაზე ცეცხლი ჩაქრა. განა აწყენინე?-ჰკითხა ბებია.

ქალი ატირდა. მთელს საცხოვრისში ცეცხლი აღარსად ენთო, კოცონს ველარავინ ანთებდა, ყველგან ბნელოდა და ციოდა.

-შენთან წავიდეთ, ვნახოთ, რა მოიმოქმედე,-უთხრა ბებია.

ქალმა ბებია თავისთან მიიყვანა. ბებია ცეცხლის გაფიცებებს შეეცადა, მაგრამ ამაოდ. მერე დაიჩოქა, კერას შეხედა და დედაბერი დაინახა. მისი კანი ნაკვერჩხალივით ღვიოდა. დედაბერმა ბებიას უთხრა:

-ამაოდ ცდილობ. შენმა შვილიშვილმა ძალიან მაწყენინა! თვალებში წყალი შემასხა, სახე ცულით დამიკოდა!

-ცეცხლის ქალბატონო, ნუ გვიბრაზდები, ცეცხლი მოგვეცი!-სთხოვე ბებია.

ქალბატონი დუმდა. ბებია დიდხანს ეხვეწებოდა. ბოლოს ცეცხლი ქალბატონმა თქვა:

-ცეცხლს მაშინ დაგიბრუნებთ, როცა ის ქალი თავის ვაჟს მომცემს. მისი გულიდან ცეცხლს გავაჩენ, რათა გახსოვდეთ რა ფასად მიიღეთ ცეცხლი! და გაუფრთხილდებით!

ქალი უფრო ხმამაღლა ატირდა, ბებია კი უთხრა:

-შენს გამო შვიდი ოჯახი უცეცხლოდ დარჩა, როგორ ვიცხოვრებთ? მოგიწევს ვაჟის მიცემა.

ცეცხლის ქალბატონი შემას შეეხო თუ არა, ალი ამოვარდა და ბავშვთან ერთად გაუჩინარდა.

იაკუტური ზღაპარი

მგელი და ცხენი

მშვიერი მგელი ტყის პირას დაეხეტებოდა და ფიქრობდა: „-კარგი იქნებოდა ერთი კურდღელი მაინც დამეჭირა, მაგრამ ესეც ვერ მოვახერხებ.“

ხნულს მიუახლოვდა და შვრიით სავსე ტომარა დაინახა, დაყნოსა და გზა გააგრძელა. იარა, იარა და მინდორში ცხენი დაინახა. „-აი ეს ჩემთვის კარგი სადილი იქნება, ხელში როგორ ჩავიგდო?“-გაიფიქრა მგელმა და ცხენს მიეპარა. ცხენმა მგელი რომ დაინახა შეშფოთდა: ყურები აცქვიტა, კბილები გააკრაჭუნა, ფლოქვებით მიწა მოთხარა.

მგელს ცხენის ფლოქვების შეეშინდა, მიტრიალდა და მიელაქუცა:

-მოხუცო, არ გაბრაზდე, მოვედი, რათა სამსახური გაგიწიო. შვრიით სავსე ტომარა ვიპოვე, ნაწილი შევჭამე, უმეტესი კი შენ შეგინახე. წავიდეთ, გაჩვენებ სადაც დევს.

-წუწკო მგელო, შენ რომ შვრია შეგეჭამა, მე აღარ დამიტოვებდი.

ევნიური ზღაპარი

საზრიანი მსროლელი

ტაიგაში ერთი, დედ-მამით ბიჭი ცხოვრობდა. ტუნტუკაკი ერქვა. მას ერთი, უმცროსი პატარა და ჰყავდა. ღარიბულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ენამახვილი და მხიარული ტუნტუკაკი თავის ღარიბ ამხანაგებს ყოველთვის ხალისით ეხმარებოდა. სამაგიეროდ, ცბიერი და სულელი მდიდრები არ უყვარდა.

ერთხელ, საღამოს, როცა იურტებთან არავინ იყო, ტუნტუკაკიმ ხეების ქვეშ ფული

დამალა. მეორე დღეს როცა მდიდარი ოჯახის ბიჭები მოგროვდნენ, ტუნტუკაკიმ უთხრა:

ოი, რა ცუდია, რომ ფული საერთოდ არ მაქვს! რა ვქნა? იმ სოჭს ისარს ვესვრი, -იქნებ დამეხმაროს!

-სულელი ხარ, ტუნტუკაკი, სულელი! ხა-ხა-ხა!

მაგრამ მხიარულმა ტუნტუკაკიმ დაცინვას ყურადღება არ მიაქცია, მშვილდი აიღო და ისარი ხისკენ გაისროლა. სოჭთან მიიღბინა, მის ქვეშ მიწა ამოთხარა და ფული ამოიღო. მდიდრებს გაუკვირდათ და გაჩუმდნენ. ტუნტუკაკიმ ახლა სხვა ხისკენ ისროლა და იქიდანაც ფულები ამოთხარა.

მდიდრების შვილები შეიშმუშნენ. როცა ტუნტუკაკიმ ისარი შეასამეს ისროლა, მაშინ ბავშვები აჟრიამულდნენ:

-ეი, შენ! ბინძურო ტომარა! აქედან დაიკარგე! ტაიგა შენი არ არის!

ტუნტუკაკიმ არაფერი უპასუხა. მან ხომ იცოდა რატომ აგდებდნენ.

იმ საღამოს და ღამითაც მდიდრების შვილები თითოეულ სოჭის ხეს ისრებს ესროდნენ. ყველა ისარი გაისროლეს. მიწის თხრისგან ფრჩხილები სულ დაეგლიჯათ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

მერე მათ ტუნტუკაკი დასცინოდა:

ასეც გინდოდათ, თქვენ მდიდრები, მაგრამ სულელები ხართ!

შორიული ზღაპარი

როგორ მოიპოვებდნენ ფრინველები ცეცხლს

ეს მაშინ იყო, როცა კეთილმა ულგენმა* მთები, მდინარეები, ბალახები, ხეები შექმნა და ადამიანებით, მხეცებით, ფრინველებით და თევზებით დაასახლა. ფრინველები თავიანთ ბუდეებში თბილად და მყუდროდ ცხოვრობდნენ, ბუმბულით იყვნენ შემოსილნი, მხეცები ბუნაგებში და სოროებში ბინადრობდნენ, ხშირი ბეწვი სიცვიდან იცავდა. თევზებზე რა სათქმელია, საკვები საკმარისი ჰქონდათ, ადვილად მოიპოვებდნენ. ერთი სიტყვით, ყველა უზრუნველად ცხოვრობდა.

მხოლოდ ადამიანს უჭირდა: შიშველი იყო და საცხოვრებელში ცეცხლი არ ჰქონდა, რათა გამთბარიყო და ხორცი ან სხვა საჭმელი მოეხარშა ან შეეწვა. ადამიანებს შიოდით და სციოდით. მათ ჩიტებს სთხოვეს:

-თქვენ ფრინველები მთელს დედამიწას გარშემო უფრენთ და ცეცხლისმფრქვეველ მთებს გადაუფრენთ. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ცეცხლი მოიპოვოთ და ჩვენ

მოგვიტანოთ.

ფრინველებმა მთელი დედამიწის ზურგზე მიმოიფრინეს. წერო ულგენის ცის საცხოვრებელში აფრინდა და უთხრა:

-შენს მიერ შექმნილ ადამიანებს დედამიწაზე სცივათ და შიათ, ცეცხლი მიეცი!

ულგენი ადამიანებზე და წეროზე განრისხდა და თავისი კერიდან ერთი ნაპერწკალიც არ მისცა, წერო გამოაგდო, თვითონ კი დაიძინა.

წერომ დაიცადა, სანამ ულგენს ღრმად დაეძინებოდა, მერე კერას ჩუმად მიუახლოვდა, თავისი გრძელი ფეხით ერთი ნაკვერჩხალი გამოქეცა, გრძელი ნისკარტით დაიჭირა და ელვის სისწრაფით მიწაზე დაეშვა და ადამიანებს ცეცხლი მიუტანა. ქორმა კი მაღალ მთებს გადაუფრინა და კლდეზე დასასვენებლად ჩამოჯდა. ბრჭყალებით კლდეს შეეხო და უცებ კლდეს ქვა მოსწყდა, ქვემოთ ჩავარდა, სხვა ქვას დაეჯახა და ნაპერწკლები გაყარა, რითაც ხმელ ტოტებს ცეცხლი წაეკიდა. ქორმა კლდის ნატეხი თავისი ბრჭყალებით დაიჭირა, ადამიანებთან დაბრუნდა და უთხრა:

-თუ ორ ქვას ერთმანეთს მიატყვამთ ნაპერწკლები გადმოცვივა და ცეცხლს გააჩაღებთ.

მას მერე ადამიანებმა ქვებიდან ცეცხლის გაჩენა ისწავლეს.

*ულგენი-ღმერთი.

ალეოტური ზღაპარი

ქალი-მელია

იყო და არა იყო რა იყო ერთი ცოლ-ქმარი. ქმარი ყოველდღე გათენებისას სახლიდან მიდიოდა, მთელი დღე სადღაც დაეხეტებოდა და ცოლმა არ იცოდა დღისით სახლში რატომ არ ბრუნდებოდა და გადაწყვიტა ქმარი სად დადიოდა.

ერთხელ უთენია, როცა ქმარი სახლიდან გავიდა, ცოლი უკან მიჰყვა. როცა მიუახლოვდა შეამჩნია, რომ ერთი თვალი არ ჰქონდა და გადაწყვიტა მისგან წასულიყო.

ცოლი გზას გაუდგა. იარა, იარა და გოლიათი შემოხვდა. ხელი სტაცა, მხარზე შეისვა და სახლისკენ გასწია. მთის მწვერვალზე ავიდა, იქ მიწისქვეშა იურტა აღმოჩნდა გოლიათმა ქალი იურტაში ჩააგდო.

ქალი გამოერკვა. სციოდა, ტანსაცმელი აღარ ეცვა. ინანა, რომ ქმარი მხოლოდ

იმისთვის დატოვა ცალთვალა რომ იყო და მწარედ ატირდა. უცებ მოესმა:-ნუ ტირიხარ! შენს ზემოთ მიწიერი ფრინველები ტყავებია. აიღე და ჩაიცვი!

ქალმა ზემოთ აიხედა და ბალახებისგან დაწნული კალათა დაინახა. იქ ყორნის ტყავისგან შეკერილი კულხიანკა ნახა. ბევრი ეცადა, მაგრამ ვერ ჩაეტია. ქალი კვლავ ატირდა და ხმა ისევ მოესმა:- ნუ ტირიხარ! შენს ზემოთ ბალახის კალათა ჰკიდია. იქ მიწიერი ცხოველების ტყავებია. აიღე და ჩაიცვი!

ქალმა ზემოთ აიხედა და კალათა დაინახა. იქ მელიის ტყავები იდო. აიღო, გაეხვია და დასთბა.

ტყავში გახვეული ქალი იურტიდან გაიქცა. გზაში მოსწყურდა, მდინარემდე მიაღწია, დაიხარა რომ დაელია და უცებ შეამჩნია, რომ მელიის ყურები ჰქონდა. გზა გააგრძელა და მოეჩვენა, რომ მის უკან ვიღაც მიდიოდა. მოიხედა და დაინახა, რომ მელიის კუდი მისთრევდა. ბევრი ეცადა მოეგლიჯა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. ასე მელიის კუდით გზა გააგრძელა. იმ ადგილს მიაღწია, სადაც მამამისი თევზაობდა. ზღვის ნაპირზე დაეშვა და მიმოიხედა. მამამისი სელაპებს იჭერდა. მოხუცმა მელია შეამჩნია და მის დასაჭერად ნაპირზე გამოვიდა, მაგრამ მელია გაიქცა. მაშინ მოხუცმა მელიას სელაპის ხორცი გადაუგდო, თვითონ კი თავის საცხოვრისში წავიდა. მელიაც უკან მიჰყვა.

მოსაღამოვდა. ქალი-მელიამ მამისეულ სახლში მიირბინა, ბევრი ეცადა, მაგრამ როგორც კი დაიხრებოდა, თავი გვერდზე გაიწევდა ხოლმე. ქალი-მელია მამისეულ სახლში ვერ შევიდა და მინდორში გაიქცა და სმარადუჯამოდ მელიად დარჩა.

კერეკიული ზღაპარი

მელია და ყორანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მელია, რომელსაც საშოვარზე სიარული ეზარებოდა და ამიტომ სულ მშიერი დაიარებოდა. ერთხელ თავის გოგონას უთხრა: -ყორანს მოვატყუებ, ვეტყვი, რომ გავთხოვდი და მდიდრულად ვცხოვრობ.

-ნუ მოატყუებ, სჯობს საჭმელი სთხოვო,-უთხრა შვილმა.

მელიამ შვილს არ დაუჯერა, ძველი სათევზაო ბადე ტომარაში ჩატენა, თავი მოუკრა და ყორანს ესტუმრა. ყორანს მოესმა, რომ ვვიღაც მოდიოდა და იკითხა:-ვინ არის?

-ქმართან ერთად გესტუმრე,წინკარიდან გაეპასუხა მელია.

-უყურე! ბიძაშვილი გამთხოვებია, ქმარი მაჩვენე,-გაუკვირდა ყორანს.

-ჩემი ქმრის წინაპრები სიბნელეში ცხოვრობდნენ და ამიტომ სინათლეზე ყოფნა არ შეძლია და სიბნელეც ამიტომ უყვარს. ის თითქოს ბრმა-ვერაფერს ხედავს,-მიუგო მელიამ.

-სანთლები ჩავაქროთ და ისე შემოვიდესკ,-უთხრა ყორანმა.

როცა მელია შევიდა, ყორანმა ჰკითხა :-რას მიირთმევთ?

-ჩვენ საჭმელი ბევრი გვაქვს, თქვენ თვითონ მიირთვით.

ყორნის ცოლი საჭმლის გამოსატანად საკუჭნაოში შევიდა, მელია კი ჩუმად უკან მიჰყვა და საჭმელი ტომარაში ჩააწყო.როცა ტომარა გაავსო, თავი მოუკრა, წინკარში გამოიტანა და კუთხეში დადო.

მელიამ თავიო მოიწონა:-ჩემს ქმარს ბევრი ირემი ჰყავს-ორი დიდი ჯოგი. თქვენ კვერცხები არ გაქვთ? ჩემს ქმარს კვერცხი ძალიან უყვარს, ირმის ტყავებში გაგიცვლით. ტომარაში ირმის ტყავები აწყვია, გასინჯე.

ყორანმა ტომარა ხელით მოსინჯა. შიგნით ირმის ტყავით რაღაც რბილი იდო. „ტანსაცმელისთვის ყველას გვეყოფა“-გაუხარდა ყორანს, ტომარა აიღო და საკუჭნაოში შეინახა.

-ჩვენ ვაჟი გვყავს, თქვენ კი ქალიშვილი, მოდი დავნიშნოთ,-უთხრა მელიას ყორნის ცოლმა.

-თუ თქვენი ვაჟი ისურვებს, დავნიშნოთ,-მიუგო მელიამ.

ასეთ საუბარში ჩაი დალიეს. მერე მელიამ ისე თქვა, თითქოს ქმარს მიმართავდა: -შენ დავბრუნდეთ! ჩვენს ირმებს შეეშინდებათ და გაიქცევიან.

მელია ყორანსა და მის ცოლს დაემშვიდობა, წინკარიდან სანოვაგით სავსე ტომარა აიღო და სახლამდე ძვლივს მიიტანა. სათევზაო ძველი ბადე კი ირმის ტყავების ნავლად დაუტოვა.

-რატომ ატყუებ? ჯობდა გეთხოვა,-უთხრა ქალიშვილმა.

-ჰკუყას ნუ მასწავლი, თორემ მშიერს დაგტოვებ.

ქალიშვილი გაჩუმდა. მელიამ კვერცხები შეჭამა და ხორცის მოხარშვას შეუდგა. ყორანს კი უხაროდა, რომ ირმის ტყავები იოლად მოიპოვა. უცებ საკუჭნაოში რაღაცამ გამოჟონა.

-ეს რა წვეთავს?-წამოიძახა ყორნის ცოლმა.

-ალბათ მელიამ ძვირფასი ტყავები დაასველა.

ამ დროს მათი ვაჟი დაბრუნდა. როცა ტყავების შესახებ უთხრეს, იკითხა:

- აბა მაჩვენეთ თქვენი სიმდიდრე!

დედამ ტომარა აიღო, თავი მოხსნა, ძველი სათევზაო ბადე ამოიღო და გაოცდა:-
უყურეთ! არაფერია! მხოლოდ ძველი ბადე!

ყორანი გაბრაზდა და ბრძანა:

-საკუჭნაოს კარებზე ბადე ჩამოჰკიდეთ. თუ მელია კიდევ მკოვა, დაე საჭმელი თვითონ აიღოს! ტომარაში ხელს ჩაყოფს და ხაფანგში გაებმება.

მართლაც, რამდენიმე ხნის მერე მელია ყორანს ისევ ესტუმრა და ისევ ატყუებდა:-აი, ჩემს ქმართან ერთად ისევ მოვედი და ტყავები მოგიტანეთ.

ყორნის ცოლმა თავი მოიავადმყოფა და მელიას უთხრა:

-ოხ, დღეს თავი მტკივა და ვერ გამოვალ.
-კარგი, ნახვამდის, გვეჩქარება,-უთხრა მელიამ. თვითონ კი საკუჭნაოში შეძვრა, ტომარაში თათი ჩაყო და დაიყვინძა: -ვაი! ეს რა გამიკეთეთ!
-შენ თავს ცუდი შენთვითონ გაუკეთე, რატომ მოგვატყუე? ტყავების ნაცვლად ძველი ბადე რატომ მოგვიტანე? სხვის საკუჭნაოში რატომ ძვრები?
მელია ატირდა. ეხვეწებოდა, რათა გაეშვათ, მაგრამ არავინ მიეხმარა. ბოლოს მოახერხა და გარეთ გამოვარდა, თათი კი ხაფანგში მოჰყვა.
-თათი გამითავისუფლე,-სთხოვა ქალიშვილს.
შვილს არ უნდოდა მატყუარა დედას დახმარებოდა, მერე შეებრა და გაათავისუფლა.
ასე ასწავლა ჭკუა ყორანმა მატყუარა და ქურდბაცაცა მელიას.

ნგანანსანური ზღაპარი

ბერიკაცი და წივწივა

ერთ ადგილას წივწივა ცხოვრობდა. ჩრდილოეთის მკაცრ ზამთარში შესცივდა და მოშივდა კიდეც. ერთხელ ფრენისას პატარა ჩუმი შენიშნა. წივწივა ჩუმის სახურავზე დაჯდა და საკვამურში ჩაიხედა და დაინახა, რომ ბერიკაცი ცულს ჭედდა.

-ბერიკაცო, არ გცივა?-ჰკითხა წივწივამ ბერიკაცს.

ბერიკაცმა მიმოიხედა, ზევით საკვამურში აიხედა და შეეპასუხა:-მანდ ვინ ლაპარაკობს? ჩუმში შემოდი თუ ადამიანი ხარ.

-მე ადამიანი კი არა, წივწივა ვარ და შენთან დიდი თხოვნით მოვფრინდი. ვხედავ, რომ სიცივეში ცხოვრიბ და საჭმელიც არაფერი გაქვს. შენს სამჭედლოში რკინის ნისკარტი, ბრჭყალები და რკინის ფრთები გამომიჭედე. მაღლა ღრუბლების მბრძანებელთან გავფრინდები. მას შვიდი ასული ჰყავს. შვიდ ასულს შვიდი ტომარა აქვს. თითოეულ ტომარაში თბილი ღრუბლებია, რომლებიც ადამიანებს ათბობენ. როცა ღრუბლების მბრძანებლის ასულებს ეძინებათ, ერთ ტომარას წამოვიღებთ.

ბერიკაცმა ყველაფერი გაუკეთა, რაც წივწივამ სთხოვა და ისიც სამხრეთისკენ გაფრინდა. იფრინა, იფრინა და დაინახა, რომ მის წინ დიდი თეთრი ღრუბელი განფენილიყო და მასზე ერთმანეთის გვერდით შვიდი ასული იჯდა. თითოეულს თბილი ღრუბლებით სავსე ტომარ ეწყო.

-ღრუბლების მბრძანებლო, დამეხმარე, რომ თბილღრუბლებიანი ერთი ტომარა ბერიკაცისთვის ავიღო, დაე, ქალიშვილები, ღრმა ძილს მიეცნენ,-სთხოვა წივწივამ.
თქვა ეს თუ არა წივწივამ, უფროსმა ასულმა ინატრა:-ოხ, დებო! როგორ მეძინება.

და ქალიშვილებმაც დაიძინეს. წივწივა მაშინვე უმცროსი დის ტომარასთან მივიდა, პირი მოხსნა და ტომრიდან ღრუბლები გადმოცვივდნენ. წივწივა კი მოხუცი მჭედლისკენ გამოფრინდა. მიფრინდა და დაინახა, რომ მოხუცი მჭედელი პერანგისამარა თავის ჩუმს უვლიდა და ღრუბლებიდან მზე ანათებდა.

-ბერიკაცო, გათბი?-ჰკითხა ჩიტმა.

-ცხელა, ყოჩად წივწივა,-მიუგო ბერიკაცმა.

ასე ამბობენ, რომ ადამიანებს თბილი ამინდი ციდან წივწივამ მოუტანათ.

ჩუქჩური ზღაპარი

გოგონა და მთვარე

იყო და არა იყო რა, ჩუაჩებს შორის ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელსაც ერთი გოგონა ჰყავდა. ის მამის მარჯვენა ხელი იყო: ყოველ ზაფხულს ირმის ჯოგს თავისი საცხოვრისიდან შორს მწყემსავდა, ყოველ ზაფხულს კი თავის ჯოგთან ერთად შორს მიდიოდა, იშვიათად ბრუნდებოდა საჭმელისთვის შებმული ირმით თავის საცხოვრისში. ერთხელ, ღამით, თავისმა შებმულმა ირემმა თავი მაღლა ასწია, ცას შეხედა და თქვა:

-უყურე! უყურე!

გოგონამ მაღლა აიხედა და დაინახა, რომ ორ ირემზე დამჯდარი მთვარე ეშვებოდა.

-საით მიდის? რისთვის?-იკითხა გოგონამ.

-შენ უნდა წაგიყვანოს,-მიუგო ირემმა.

-რა ვქნათ? ცაზე წამიყვანს!-შეშფოთდა გოგონა.

შებმულმა ირემმა ჩლიქით ორმო გააკეთა და ორმო გააკეთა.

-აქ ჩაწევი! სწრაფად!

გოგონა ორმოში ჩაჯდა, ირემმა ზემოდან თოვლი დააფარა და გოგონა თოვლის გროვას დაემსგავსა.

ციდან მთვარე დაეშვა, ირმები შეაჩერა, ნარტიდან გადმოვიდა, ირგვლივ დაათვალიერა, გოგონას ეძებდა. თოვლის ზვინულთან მივიდა. გოგონას თოვლიდან კინკრიხო მოუჩანდა, მაგრამ მთვარე ვერ მიხვდა ეს რა იყო.

-რა საოცრებაა! სად გაქრა? წავალ და ისევ დავეშვები, მაშინ აუცილებლად ვიპოვი და წავიყვან, ნარტაზე დაჯდა და ირმებმა ცაზე გააქროლეს.

როგორც კი მთვარე წავიდა, ირემმა თოვლი გადაქექა. გოგონა ადგა და უთხრა: -ჩქარა საცხოვრისში წავიდეთ! მთვარე დაგვინახავს და ისევ დაეშვება და ვეღარ დავიმალეები.

გოგონა ნარტაზე დაჯდა და ირემმა მთელი ძალით გაქუსლა. მიირბინეს საცხოვრისში. გოგონა ჩუმში შევიდა. მამამისი იქ არ იყო და ვინ უშველიდა?

-უნდა დაიმალო, თორემ მთვარე დაგვეწევა,-ჩქარობდა ირემი.

-სად დავიმალო?

-რადცად გაქცევ! იქნებ ქვის ნატეხად?

-მიცნობს.

-ფარდის ფოჩად?

-მიცნობს, მიცნობს.

-რა ვქნათ? მაშინ შანდლად გაქცევ.

-კარგი! კარგი!

-აბა, დაჯექი!

გოგონა დაჯდა, ირემმა ჩლიქი მიარტყა და შანდლად გადააქცია, რომელიცმთელს ჩუმს ანათებდა. როცა გოგონა შანდლად გადაიქცა, მთვარემ მისი ძეგნა გააგრძელა და საცხოვრისამდე მივიდა. თავისი ირემები დააბა, ჩუმში შევიდა, ეძება, მაგრამ ვერ იპოვა. მთელს ავლადიდებას ათვალთვლებდა: ლოგინებს, ტყავებს, მიწაზეც იყურებოდა, მაგრამ გოგონა ვერ იპოვა. მთვარე შანდლას ვერ ამჩნევდა, რადგან ანათებდა და თვითონაც კაშკაშა იყო.

-საოცარია, სად არის? უკან უნდა დავბრუნდე.

მთვარე ჩუმიდან გამოვიდა, ირემები ნარტაში შეაბა და ჩაჯდა. ამ დროს გოგონამ ფარდიდან ცხვირი გამოყო, გაეცინა და მთვარეს დაუძახა:

-აქ ვარ! აქ ვარ!

მთვარე ჩუმში შევიდა, გოგონა კი ისევ შანდლად გადაიქცა. მთვარემ ეძება, ეძება, ფოთლებშიც კი ეძება, მიწაზეც, ფიჩხშიც, მაგრამ ვერ იპოვა.

-რა საოცარია? სად დაიკარგა? ისევ ცარიელი უნდა დავბრუნდე.

მთვარე ჩუმიდან გამოვიდა და ირემს აბამდა, რომ გოგონამ ფარდიდან ცხვირი ისევ გამოყო, გაიცინა და დაიყვირა:

-აქ ვარ! აქ ვარ!

მთვარე ჩუმში ისევ შევარდა და ძეგნა გააგრძელა. დიდხანს ეძება, ყველაფერი გადაატრიალა, მაგრამ ვერ იპოვა. ძეგნისგან ისე დაიღალა, რომ დასუსტდა, ფეხებს ძვლივს ადგამდა და ხელებს ძვლივს სწევდა. ამასობაში გოგონას შიშმა გაუარა, ჩუმიდან გამოვიდა, მთვარე ზურგზე დასცა და ხელ-ფეხი შეუკრა.

-ოჰო! დამნაშავე ვარ! მინდოდა მომეტაცე, გავიყინე და მინდა ცოტა გავთბე.

-როგორ თუ გაიყინე? შენ სულ ცაზე ცხოვრობ, ჩუმი არ გაქვს, უსახლკარო ხარ და გარეთ იყავი.

მთვარე გოგონას შეეხვეწა:-თუ მე უსახლკარო ვარ, მაშინ გარეთ გამიშვი, შენს ხალხს

გავატობ, ღამეს დღედ ვაქცევ, წელიწადს განგისაზღვრავთ, პირველად ბებერი ხარის თვე ვიქნები, მერე ხბოების თვე, მერე წყლის თვე, მერე ფოთლების თვე, მერე სითბოს თვე, მერე ირმების რქების დაყრის თვე, მერე ველური ირმების სიყვარულის თვე, მერე ზამთრის პირველი თვე, მერე დღემოკლეობის თვე.

-რომ გაგიშვა, გაძლიერდები, მოღონიერდები, ხელ-ფეხი გაგიმაგრდება და ჩემთან არ მოხვალ?

-არა! დაგივიწყებ! ზეციდან აღარ ჩამოვალ, გამიშვი და გაგანათებ!
გოგონამ მთვარე გაუშვა და მთვარე აინთო.

იუკაგირული ზღაპარი

სხვისი ურასა*

ერთ საღამოს სამი ძმა თავიანთ ურასაში იჯდა, საქმე არაფერი ჰქონდათ და საუბრობდნენ. უფროს ძმას ლოშიაა ერქვა, შუათანას-ლოპჩუო, უმცროსს კი აკჩინ-ხონდო. უფროსმა ძმამ ძმებს უთხრა:-მოდით ვიმღეროთ, მე პირველი დავიწყებ.

-ლოშია! შიაა! ლოშია! -იმღერა და თავი მოიწონა,-კარგი ხმა მაქვს.

მერე შუათანა ძმა ამღერდა:-ლოპჩუო! ჩუო! ლოპჩუო! -იმღერა და აღნიშნა: -მეც კარგად ვმღერი! მოდი ვნახოთ ჩვენი უმცროსი ძმა როგორ იმღერებს.

უმცროსი ძმაც მათ აჰყვა:-აკჩინ-ხონდო! აკჩინ! -როცა იმღერა ძმებმა თქვეს:

-არა უშავს, მოდი ერთად ვიმღეროთ!

და იმღერეს. თითოეული თავისას მღეროდა. სიმღერა არ გამოუვიდათ. უფროსი ძმა უმცროსზე განაწყენდა, უმცროსი შუათანაზე, შუათანა კი ორივეზე.

თქვენს სახელებს რატომ მღერით, ჩემი იმღერეთ! მაშინ სიმღერა გამოგვივა!

-შენი სახელიდან სიმღერა არ გამოდის! ჩემი უნდა იმღეროთ!-დაიყვირაშუათანა ძმამ.

-მე თქვენი სახელების გაგონებაც არ მინდა. მე ჩემი სახელი ვიცი და იმას ვიმღერებ!-ყვიროდა უმცროსი. და ამღერდა:- აკჩინ-აკჩინ-აკჩინ-ხონდო! ხონდო-ხონდო-ხონ-დო-დო-დო! აკჩინ!

უცებ ძმები მივარდნენ და ცემა დაუწყეს, იჩხუბეს და ქვაბი გადააყირავეს, კერაზე ცეცხლი ჩააქრეს, იატაკზე კოტრიალობდნენ და ისრები დაამტვრიეს.

უფროსმა ძმამ თქვა:-ურასაში ვერ ვჩხუბობთ, მოდი გარეთ გავიდეთ.

ძმები ურასადან გავიდნენ და ჩხუბი ბალახზე გააგრძელეს. უფროსმა უმცროსი ძმა წააქცია. უმცროსმა ძმამ თავს ზემოთ ვარსკვლავებიანი ცა დაინახა და დაიყვირა:-ძმებო!

შეჩერდით! უბედურება გვეწვია !

-რა უბედურება!- დაიყვირეს უფროსმა და შუათანა ძმებმა.

უმცროსი წამოხტა და ცაზე მიუთითა:-უყურეთ, უცხო ხალხმა ხმელ ტირიფს ცეცხლი წაუკიდეს და გზას ინათებენ! ჩვენთან საომრად მოდიან!

-უნდა გავიქცეთ! ისინი ბევრნი არიან!-შეეშინდათ ძმებს.

მდინარისკენ გაიქცნენ, ნავში ჩახტნენ და ნიჩბებს მოუსვეს. ერთი ძმა წინ უსვამს ნიჩბს, მეორე უკან, მესამე კი არც წინ და არც უკან. ნავი ერთ ადგილზე ტრიალებდა, ძმებს კი ეჩვენებოდათ, რომ ნავი სწრაფად მიდიოდა. უფროსმა ზემოთ აიხედა და თქვა:- მოგვდევენ! ძმებმა ნიჩბებს ისევ მოუსვეს.

შუათანამ ზემოთ აიხედა და დაიყვირა:- თითქოს აღარ მოგვდევენ! შეჩერდნენ! ნიჩბებს აქეთ-იქით იქნევდნენ.

უმცროსმა თავი ასწია და თქვა:-ჩამოგვრჩნენ.

ამასობაში გათენდა, ცაზე ვარსკვლავები გაქრნენ.

-მივხვდი რატომაც ჩამოგვრჩნენ, ჩვენს ურასას მარცვავენ-თქვა უმცროსმა ძმამ.

ნამდვილად გვმარცვავენ-დაეთანხმა შუათანა ძმა.

-ქვაბსაც წაიღებენ და ტყავებსაც! რა ვქნათ?-თქვა უფროსმა.

-რა თქმა უნდა, მათია,-მიუგო შუათანამ.

-თუ ისინი ჩვენს ურასას მარცვავენ, მაშინ ჩვენ მათი ურასა დავანგრიოთ!-დაიყვირა უმცროსმა და ნავიდან გადმოხტა.

ორივე ძმა მას მიჰყვა, მისცვივდნენ, დაამტვრიეს, ტყავები გაგლიჯეს, ქვაბი აიღეს და ნავისკენ წაიღეს. უმცროსმა ძმამ მშვილდი იპოვა და დაიყვირა:-ეს ხომ ჩემი მშვილდია, მეთვითონ გავაკეთე!

-არა! შეუძლებელია! უარყო უფროსმა. ეს თქვა, თავისი მშვილდი დაინახა და შუათანას უთხრა:-მისმინე, აკრინ-ხონდო სულელი არ არის, მეც ჩემი მშვილდი ვიპოვე.

შუათანა ძმას კი მესამე მშვილდი ეჭირა, ათვალეირებდა და თავს აქნევდა:- მშვილდები ჩვენია! იქნებ ურასაც ჩვენია!

ტყავები დაათვალეირეს და რაც გროვაში ნახეს ყველაფერი იცნეს.

-ეს ირემი მე მოვინადირე!

-ეს მე!

დატვის ეს ტყავი ხომ მამისგან დაგვრჩა!

ერთმანეთს გადახედეს და იკითხეს:

-როგორ მოხდა, რომ მთელი ღამე ნიჩბებს ვუსვამდით და ჩვენს ურასაში მოვცურდით?

და ძმებმა იფიქრეს, რომ ვიღაც შამანს მათი სიმღერა შეშურდა და გონება დაუბნელდა. ისიც კი იფიქრეს, რომ ამ შამან სახელიც ერქმეოდა. თქვენ თვითონ მიხვდით, რომელი?

*უარასა-იუკაგირების კარავი.

ენეური ზღაპარი

ბარუჩი

ერთ ოჯახში დედა და ორი ვაჟი ცხოვრობდა: დია და ცალხელა, ბარუჩიკუ და ცალფეხა. ათიოდე ირემი ჰყავდათ. დია სულ ნადირობდა, ბარუჩიკუ კი ირმებს დარაჯობდა. ერთხელ, ირმებმა მდინარე გადალახეს.

-მდინარეზე რატომ ჩახვედით? ბაკარები* რატომ დაისველეთ?-ჰკითხა ბარუჩიმ. დანა აიღო და ათივე ირემს ფეხებზე ტყავი ააძრო და თან უთხრა:

-ახლა მდინარეზე ფეხშიშველებმა იარეთ!

დია სალამოს დაბრუნდა. ბარუჩიმ ჰკითხა:

-ჩვენი ირმები ასეთი სულელები რატომ არიან? რატომ არაფერი ესმით? აი, მდინარეზე ჩავიდნენ და ბაკარები დაისველეს.

-რომელი ბაკარები? ირმებს ბაკარები არ აცვიათ,-გაუკვირდა დიას.

-აბა ფეხებზე რა აცვიათ?

-ეს ბაკარები კი არა, ტყავია.

-მე კი ბაკარი მეგონა. დამენანა, რომ დაისველებდნენ და ავაჭერი.

-ეს რა გააკეთე! ტყავი რატომ ააძრე! ირმები დაგვეკარგებიან!-უთხრა დიამ და თან გაიფიქრა: „ბარუჩიკუ სადღაც უნდა დავტოვო, ბევრს ცუდს მოახდენს, თუ სადმე დიდი ხნით წავალ.“

ერთხელ მომთაბარეობდნენ. დია წინ მიდიოდა და უცებ ტბა დაინახა. ყინულში ჭრილი შეამჩნია. დიამ ძმას დაუძახა:

-ბარუჩი, აქ მოდი! ყინულჭრილში ხალხი მღერის და ცეკვავს.

ბარუჩიმ ყინულჭრილში ჩაიხედა, ფეხი გადადგა და ფსკერზე დაემვა, ძმამ კი გზა გააგრძელა.

სამი დღის მერე, სალამოს, დიამ დაინახა, რომ ვიღაც მოდიოდა, კარები გამოაღო და ბარუჩი შემოვიდა და ათი დიდი იხვინჯა მოიტანა.

-ძმაო, ალბათ თევზისთვის გამგზავნე. აი, მოვიტანე.

„ყინულჭრილიდან ნეტავ როგორ ამოძვრა?“-გაიფიქრა დიამ.

ამის მერე ადგილი შეიცვალეს. დია მალალ ხეზე ავიდა და ძმას დაუძახა:

-ბარუჩი! ამ ხიდან მთელი დედამიწა ჩანს! რა საინტერესოა! აქ მოდი!

ბარუჩი ძმასთან ავიდა, დიამ თოკით ხის კენწეროზე მიაბა:-აი, სად არის შენი ადგილი!-დია ხიდან ჩამოვიდა და გზა გააგრძელა. ცოტა გაიარა და სამოვარზე შეჩერდა. სამი დღე აქ დაჰყო. საღამოს დაინახა, რომ ვიღაც მოდიოდა. დააკვირდა, ეს ხომ ბარუჩი იყო.

-ძმა, ალბათ შეშა გჭირდებოდა და შეშის დასაჭრელად დამტოვე? მთელი წლის სამყოფი შეშა მოგიტანე.

-ბარუჩი, ისევ შენ ხარ? მე ხომ თოკით დაგაბი! კარგი, ამის მერე ხელს აღარ გახლებ. შენც ნურაფერს ხელს ნუ ახლებ. შენ ხომ ირმების გარეშე დამტოვე!

ასე გაიარა რამდენიმე დღემ.

ერთხელ ბარუჩი სანადიროდ წავიდა. იარა, იარა და დიდი ტბა დაინახა. ტბაზე ბევრი ბადე იყო გაჭიმული. ბარუჩიმ ბადეს გამოსწია. თევზი ბევრი იყო. უცებ დაინახა, რომ ვიღაც უახლოვდებოდა. ეს ცალთვალა ბუმბერაზი-სიხიო იყო. სიხიო მიუახლოვდა და უთხრა:

-შენ ვინ ხარ? ჩემს ბადეებს რატომ იღებ?

-ეს ჩემი ძველი ბადეა! ამას წინათ გავჭიმე.

-არა! ჩემი ბადეა. მოდი შაითანები* მოვიტანოთ და მათ ვკითხოთ! შენ შაითანი გაქვს?

-მაქვს,-მიუგო სიხიომ.

-ხვალ, ადრე დილით შაითანით მოდი. მეც მოვალ,-უთხრა ბარუჩიმ.

ბარუჩი დილით ადრე ადგა და დედას უთხრა:-დედა! ჩაიცვი! ჩემთან ერთად წამოხვალ! და ორი პატარა ციგით ტბისკენ წავიდნენ. ბარუჩიმ დედას უთხრა:-სიხიოს ვეტყვი, რომ ჩემი შაითანი ხარ. ციგაზე დაჯექი და ოთხზე დადექი.

დედაბერი ოთხზე დადგა, ბარუჩიმ სახე შეუხვია. სიხიოც მოვიდა და ციგები მოათრია.

-სიხიო, ხედავ? აი, ჩემი შაითანი. ახლა შენი შაითანი მაჩვენე,-უთხრა ბარუჩიმ.

სიხიომ ხისგან გაკეთებული ადამიანი-სედა აჩვენა.

-ახლა შაითანებს ვკითხოთ,-უთხრა ბარუჩიმ .-პირველი მე შევეკითხები:-შაითანო, ეს ბადე ვისია? სიხიოსი თუ მამაჩემის? სიმართლე თქვი!

-ეს ბარუჩის მამის ბადეებია,-მაშინვე უთხრა დედაბერმა.

-სიხიო, გესმის? შაითანმა თქვა, რომ ჩემი ბადეა. ახლა შენს შაითანს ვკითხე.

სიხიომ შაითანს რამდენჯერმე ვკითხა. მას კი პირი არ ჰქონდა და როგორ ილაპარაკებდა?

-ესე იგი, მე მართალი ვარ,-უთხრა ბარუჩიმ.

სიხიო სახლში ხელცარიელი დაბრუნდა, ბარუჩიმ კი ბადეებიდან თევზი ამოიღო. როცა სიხიო თვალს მიეფარა, ბარუჩიმ და დედამისმა ნარტა თევზით დატვირთეს და სახლისკენ გამოსწიეს.

*ბაკარი-ირმის ფეხის ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი.

*შაითანი-ხის კერპი, რომელიც საცხოვრებელს ავი სულებისგან იცავდა.

ოროკიული ზღაპარი

გეობატუ

ერთი პატარა ქალაქის განაპირას პატარა ჩალის სახლი იდგა, სადაც ღარიბი კაცი გეობატუ ცხოვრობდა. ქალაქის შუაში კი დიდ სასახლეში იმ ქვეყნის მეფე ცხოვრობდა.

ერთხელ, გეობატუ, როგორც ყოველთვის, ადრე დილით ადგა და თავისი ბატონის მინდორში ბალახის სათიბად წავიდა. დიდხანს, საღამომდე თიბავდა და უცებ ცაში უზარმაზარი ფრინველი შენიშნა. ისე სწრაფად და მაღლა მიფრინავდა, რომ მზე დააბნელა. გეობატუ მონუსხულივით იდგა და თვალს არ აცილებდა ამ საოცრებას. ფრინველი მეფის სასახლის საკვამურის კიდეზე დაჯდა, მერე საკვამურში ჩაიმალა, მეფის ასული ამოათრია, ზურგზე შისვა და შორს გაფრინდა. გეობატუ იქამდე აკვირდებოდა, სწამ ფრინველი თვალს არ მიეფარა. უცებ გეობატუს ერთი წამით ნაცრისფერმა კვამლმა თვაკები დაუბნელა. თვალები მოისრისა, მაგრამ ვეღარც ფრინველი და ვეღარც ასული ვერ დაინახა. გეობატუმ თიბვა გააგრძელა და საღამოს, როცა მზე მთას გადასცდა, თავის სახლში დაბრუნდა.

მეორე დღე, მომხდარის შესახებ მტელმა ქალაქმა გაიგო. მეფე თავისი საყვარელი ქალიშვილის გაუჩინარებას ძალიან განიცდიდა. მთელს თავის სამეფოში კარისკაცები გააგზავნა. ისი ერთის სოფლიდან მეორემ და ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდნენ და კითხულობდნენ. მეფის ასულის შესახებ რაიმე ხომ არ გაეგონათ. მეფის კარისკაცებმა გეობატუსაც ჰკითხეს: -გეობატუ, შენ ადრე დილით დგები, მზეს სათიბში ხვდები, არ დაგინახავს მეფის ასული ვინ მოიტაცა?"

გეობატუ დუმდა. ისევ ჰკითხეს: -გეობატუ, შენ ბევრი გინახავს და კიდეც მეტიც იცი. მეფის ასული, ჩვენი მზეთუნახავი, ნუთუ არ გინახავს? თუ გინახავს თქვი, მეფე გულუხვად დაგაჯილდოვებს. ნურაფერს დამალავ, ყველაფერი თქვი, რაც იცი და გინახავს.

გეობატუს მეფე შეეცოდა და უფრო მეტად მეფის ასული და მოჰყვა:

-მინდორში ბალახს ვთიბავდი და დავინახე როგორ მოფრინდა უზარმაზარი ფრინველი, სასახლის საკვამურის კიდეზე ცამოჯდა, მერე შიგ ჩაძვრა და მეფის მძინარე

ასული ამოიყვანმა, ზურგზე შეისვა და გაფრინდა.

მეფემ ეს გაიგო და გეოხატუს სთხოვა:

-გეოხატუ! ცემი სული მოძებნე! გადაარჩინე! შვიდ ყველაზე ძლიერ კაცს დაგახმარ. ასულის მოძებნაში დამეხმარე და დაგაჯილდოვებ. არაფერს დავინანებ.

გეოხატუ დათანხმდა. მისი და მისი დამხმარეებისათვის რვა ცხენი შეკაზმეს და მეფის ასულის საძებნელად უცხო ქვეყნისკენ გზას დაადგინენ. მათ მთელი სამეფო და ქალაქი აცილებდა. მეფე კი ტიროდა კიდეც.

მინდვრებში მიაჭენებდნენ, მთებს გადადიოდნენ, ტაიგაში მიდიოდნენ, მდინარეებს გადაცურავდნენ, ხრამებს ახტებოდნენ, მეფის ასულს ეძებდნენ. ბოლოს ერთ მთაზე მღვიმე შენიშნეს, რომელშიც ფრინველი მეფის ასულთან ერთად შეფრინდა. მეფის ასულს ფეხიდან ჩუსტი გაძვრა და ქვებს შორის გაიჭედა. ეს მიწისქვეშა სამყაროს შესასვლელი იყო, სადაც ყველას შეეძლო ჩასულიყო,, მაგრამ იქიდან ამოსვლა არავის შეეძლო.

კენჭი ყარეს თუ ვინ უნდა ჩასულიყო მიწისქვეშ და შესასვლელთან ვის უნდა დაეცადა. არავის უნდოდა დაკარგულიყო, ყველას მიწაზე ცხოვრება ერჩივნა. გეოხატუ იდგა და ფიქრობდა როგორ დაეხსნა მეფის ასული. უცებ ყველამ ერთხმად დაუძახეს:

-გეოხატუ, მეფის ასული შენ უნდა იხსნა! მღვიმეში შენ უნდა შეხვიდე!

გეოხატუს სხვა გზა არ ჰქონდა და დაეთანხმა. წელზე თოკი შემოახვიეს და მიწისქვეშ ჩასვლა დაიწყო. დიდხანს ეშვებოდა, ბოლოს სხვა მიწაზე აღმოჩნდა. მიმოიხედა და დაინახა, რომ გზა სადღაც მიდიოდა და პირდაპირ ამ გზას დაადგა. მიდიოდა მღეროდა და აქეთ-იქით იყურებოდა. ასე იარა და სახლამდე მიაღწია. შინგნით შევიდა და მეფის ასული დაინახა.

-რისთვის მოხვედი?-ჰკითხა მეფის ასულმა.

-შენ იცი, რომ ჩემი ქმარი გაუმაძღარი კაციჭამიაა? ახლა ის აქ მოფრინდება, ჩქარა დაიმალე!

გეოხატუ დაიმალა და გასუსული ელოდებოდა.

შუალამისას რაღაცამ დაიგრუხუნა, დაისტვინა. ეშმაკი შემოვიდა, შეჭამანდი შეჭამა, ძვლები გაღრღნა და დასაძინებლად წამოწვა. იწვა და ღრმად ეძინა, ფშვინავდა, მერე ხვრინვა გააგრძელა.

მეფის ასულმა ჩუმად დაუძახა:

-გეოხატუ! ხომ არ დაგეძინა? ეშმაკს ღრმად სძინავს, აქ მოდი, მის სუსტ ადგილს გაჩვენებ.

გეოხატუ თავშესაფრიდან გამოძვრა და კაციჭამიას მიუახლოვდა.

-უყურე, აქ კინკრიხოზე და ყურზე წითელი ბალანი ჩანს. ეს უბრალო თმა არ არის, მასში ეშმაკის სასიცოცხლო ძალაა. თუ ამ თმებს ამოაძრობ, მას სასიცოცხლო ძალას წართმევ! ახლა კი დაიმალე, ის მალე გაიღვიძებს.

გეოხატუ კუთხისკენ გაიქცა, კაციჭამიას მჭრელ ხმაღს ხელი სტაცა, მოიქნია და ერთი მოქნევით მწითური თმები მოაჭრა და ეშმაკიც მაშინვე მოკვდა. გეოხატუმ მეფის ასულს

ხელი ჩაჰკიდა და სახლიდან გამოიყვანა თუ არა, სახლი მაშინვე ალში გაეხვია და დაიწვა. ეშმაკისა და მისი სახლისგან არაფერი დარჩა.

გეოხატრუ მეფის ასულთან ერთად გზას დაადგა, გზა კი ძვლივს ჩანდა. მღვიმის შესასვლელთან მიაღწიეს და გეოხატრუ დაიძახა:

-მაშველებო, ხომ არ გმინავთ? თოკის კიბე ჩამოუშვით და აგვიყვანეთ!

-გეოხატრუ, ზედა საფეხურზე შენ დაჯექი, -უთხრა მეფის ასულმა.

მაგრამ გეოხატრუ არ დათანხმდა. მეფის ასული კიბის ზედა საფეხურზე დაჯდა, გეოხატრუ კი ქვედაზე. თოკი ასწიეს და ზემოთ ასვლა დაიწყეს. რაც უფრო ზემოთ აღიოდნენ, კიბეზე დადგომა უძნელდებოდათ, ვიღაც ქვემოდან აქეთ-იქით აქანავებდა, თოკს წყვეტდა და ფეხზე ეჭიდებოდა. ზედა საფეხურზე კი ჯდომა უფრო ადვილი იყო- არაფერი ხელს არ უშლიდა.

მალე სინათლემ იმატა. მიწისქვეშეთიდან მეფის ასული ამოიყვანეს. გეოხატრუ თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ ვიღაცამ ხმალი თოკს დაჰკრა და გეოხატრუ ორმოს ფსკერზე აღმოჩნდა. იწვა და ვერ სუნთქავდა.

მეფის ასული სასახლეში მიაბრძანეს. მეფეს სიხარულისაგან მხსნელი არც კი გახსენებია. მხოლოდ მეორე დილას ითხოვა მხსნელი ეჩვენებინათ. მეფის ასულმა მამას მოუყვა, რომ ის გეოხატრუ იხსნა. მეფის კარისკაცები კი ამტკიცებდნენ, რომ მეფის ასული მათ იხსნეს. მეფემ ამის გარკვევა შემდგომისთვის გადადო.

გეოხატრუ გონს რომ მოვიდა, ზემოთ ნაღვლიანად აიხედა, სადაც მიწიერი ადამიანების სამყარო იყო. ამ სამყაროს ხელით ვერ მისწვდებოდა, მზერით ვერ მიუახლოვდებოდა და ენით ვერ შეეხმიანებოდა. გეოხატრუ ფეხზე ძვლივს წამოდგა და საითაც გაიხედა, იქით წავიდა. სწორ და გრძელ გზას გაუყვა. და იმ სოფლამდე მიაღწია, სადაც დიდი ფრნივლეი ცხოვრობდა. ამ ფრინველმა მიიყვანა მოკვდავნი მიწისქვეშა სამყაროში. მან გეოხატრუ დაინახა და უთხრა:

-ჩემთან შემოდი ვაჟკაცო, ამ სამყაროს მბრძანებლის დამმარცხებელო! ეშმაკის მწითლური თმის ბეწვი მაჩუქე და ნებისმიერ სურვილს შეგისრულებ.

გეოხატრუს გაუხარდა და ფრინველს უთხრა:

-აილე თმის ღერი! ზემოთ მიწაზე ამიყვანე, სადაც დავიბადე, გავიზარდე, სადაც ვთიბავდი და სუფთა ჰაერით ვსუნთქავდი და მზის სხივით ვტკბებოდი.

როგორც კი ფრინველმა ნისარტით თმის ღერი აიღო, გრიგალი ამოვარდა, გეოხატრუ აიტაცა, დაატრიალა და აი, მიწა უკვე გამოჩნდა და ჯადოსნურმა ფრინველმა გეოხატრუ წარმოდგენელი სიმაღლიდან მიწაზე ჩამოაგდო. გეოხატრუს არანაირი ტკივილი არ უგრძვნია და მეფის სასახლის შესასვლელთან აღმოჩნდა.

მეფის ასულმა გეოხატრუ დაინახა და შესახვედრად გაიქცა, ხელი ჩაჰკიდა და მამას წარუდგინა. მეფის ასულმა გეოხატრუს ოქროს ბეჭედი მისცა, მან ეშმაკის თმის უკანასკნელი ღერი. როგორც კი თმის ღერი მეფის ასულის ხელს შეეხო, მაშინვე ძვირფასთვლიან ბეჭდად გადაიქცა. მეფის ასულმა მამას უთხრა: -აი, ჩემი მხსნელი,

შენი კარისკაცები კი მატყუარები არიან. გეოხატუმ კაციჭამიასგან მიხსნა. როცა მიწიქვეშეთიდან ამოვყავდით, მე თოკი კიბის ზედა საფეხურზე დავჯექი, ის კი ქვედა საფეხურზე. ის მიწისქვეშეთიდან თვითონ ამოვიდა. მის ხელს დახედე-მას ჩემი ბეჭედი უკეთია, ჩემს თითზე კი მისი ბეჭედია.

ეს ამბავი მეფემ როცა გაიგო, ბრჩანა მატყუარები დაეჭირათ და დაესაჯათ, მაგრამ გეოხატუმ და მეფის ასულმა მათ აპატიეს და მეფემ ისინი შეიწყალა.

ამის მერე ქორწილი გადაიხადეს და დიხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ოროჩული ზღაპარი

ზღვისპირეთის საუკეთესო მონადირე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე. მას ცოლი და ერთი ვაჟი ჰყავდა. ბიჭი გაიზარდა და დრო იყო უკვე მამას საქმეებში მიხმარებოდა. მაგრამ დედა ანებივრებდა, ყველანაირ საქმეს არიდებდა და მასაც არაფრის კეტება არ უნდოდა. მამას ვაჟი სანადიროდ დაჰყავდა. ბიჭი ფეხმარდი იყო, ძლიერი ხელები და მახვილი თვალი ჰქონდა, მაგრამ ნადირობისას საზრიანობა და მოთმინებაც იყო საჭირო. მთელი დღით ერთ კურდღელს ჩასაფრებოდა, ეს ვაჟს არ მოსწონდა და ყველაფერი ეჩქარებოდა.

ერთხელ ბერესტის ნავები გაამზადეს და ნერპებზე სანადიროდ გაემართნენ, მდინარის შესართავით ზღვაში გავიდნენ, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედეს, მაგრამ ნერპები ვერ შეამჩნიეს.

-რას ველოდებით? სახლში დავბრუნდეთ!-უთხრა შვილმა.

-სად გეჩქარება? დავიცადოთ, იქნებ გამოჩნდნენ,-მიუგო მამამ.

დიდხანს არ უცდიათ, უცებ სამმა ნერპამ ამოყვინთა, აქეთ-იქით გაფართოებული თვალებით იყურებოდნენ, მაგრამ მონადირეებს ვერ ამჩნევდნენ. მამამ ნავი მათკენ მიმართა და შვილს უყვირა:

-მომყევი!

-ეს ნერპები მეპატარავებიან, აი იქ, კონცხთან დიდი ნერპა მიცურავს, მას დავედევნები.

-ეს ნერპა კი არა, პატარა ვეშაპია,-მიუგო მამამ.

-არა, ვხედავ! ეს ნერპაა!-დაუმახა შვილმა და ნავი კონცხისკენ მიმართა.

ზღვაში კამათი უაზრო იყო, ნერპები არ დაიცდიდნენ და მამამ ნავი მათკენ მიმართა.. ორმა ნერპამ თავს უშველა, ერთი კი მოინადირა. „ნეტავ ჩემი ვაჟი როგორ ნადირობს?“ - გაიფიქრა მამამ და კონცხისკენ გაცურა. კონცხს შემოუარა და მის წინ უკიდევანნი ზღვა გადაიშალა, მაგრამ ვაჟი არსად ჩანდა. მამა ნაპირს დიდხანს უვლიდა, შვილს ეძებდა, მაგრამ შვილი არსად ჩანდა,წყნარ ზღვაში არ ჩაიძირებოდა,ნავი კი თუნდაც

გადაბრუნებულიყო, მაინც ტალღებზე გაჩერდებოდა.

მამა სახლში დაბრუნდა. შვილი აქაც არ დახვდა. ცოლი ატირდა, ქმარს ამუნათებდა:-
შვილს არ გაუფრთხილდი! შენ როგორი მამა ხარ? ბიჭი ზღვაში დატოვე!

-ცოლო, გაჩერდი, იქნებ შორს გაცურა, კიდევ დაბრუნდება!

მაგრამ ვაჟი არ დაბრუნდა. მამა ზღვაზე ყოველდღე მიდიოდა, შვილს ეძებდა.
ნადირობასაც თავი დაანება, გულს ვეღარ უდებდა, ერთხელ ნაპირზე დაჯდა და მწარედ
ატირდა. და უცებ მოესმა:

-ჩემს ზღვაში და სამფლობელოში მწარე და მლაშე წყალი ისედაც ბევრია! რაზე
ტირიხარ?

მონადირე ვერ გაერკვა, ეს ხმა იყო თუ ტალღების ხმაური, თვალები ხელით
მოიჩრდილა და ზღვას გადახედა და დაინახა, რომ თევზის ტყავის ხალათში ჩაცმული
მოხუცი იჯდა, წვერი მწვანე წყალმცენარეს მიუგავდა. მონადირეს შეეშინდა, მაგრამ
შეეპასუხა:

-როგორ არ ვიტყვი? ვაჟი დავკარგე! ახალგაზრდა, ლამაზი, მთელს სანაპიროზე
მასზე უკეთესი მონადირე არ იყო.

-უკეთესი არავინ იყო?-გაეცინა მოხუცს.

მამას ეწყინა, რომ მის დაკარგულ შვილზე მოხუცი იცინოდა. უნდოდა შეეპასუხებოდა,
მაგრამ მიხვდა, რომ მის წინ ზღვათა მბრძანებელი-ტემუ იჯდა. მონადირე შეკრთა და
წყენა არ შეიმჩნია.

-დიდი ხანია ასე არ მიმხიარულია! რადგან ასე გამაცინე, შვილს დაგიბრუნებ.
ნაპირზე იურტა დადგი და დაელოდე. როცა ახალი მთვარე ამოვა, ვაჟი დაგიბრუნდება.

თქვა და ზღვის სიღრმეში ჩაიკარგა. მონადირე ცოლთან გაიქცა. იურტის შენებას
ერთად შეუდგნენ, ჩქარობდნენ, უმთვარო ღამეები მთავრდებოდა, სადაცაა ახალი
მთვარე დაიბადებოდა. იურტა ააშენეს, დაიქანცნენ, შიგნით შევიდნენ და ორივეს
დაეძინათ.

სწორედ ამ ღამეს ახალი მთვარე ნავივით ამოცურდა. მონადირეს ცისკრისას გაეღვიძა
და ნაპირისკენ გაიქცა. ხედავს, ტალღებმა, წყალმცენარეებისგან დაწნული აკვანი
გამორიყა, მასში ჩვილი ტიროდა. ამ დროს ბავშვის ტირილის ხმაზე იურტიდან ცოლიც
გამოიქცა.

-ტემუს შეეშალა. ეს ჩვენი შვილი არ არის, ჩვენი ხომ უკვე ნადირობდა!

ცოლმა ბავშვს ხელი დასტაცა და გულში ჩაიკრა.

-დაბრმავდი თუ რა! სახეს ვერ ხედავ? დაყრუვდი? მისი ხმა არ გესმის? ჩვენი შვილი
ისეთია, როგორც თორმეტი წლის წინ იყო!

დედამ ბავშვი იურტაში წაიყვანა, მონადირეს მოესმა, რომ ცოლი უკვე უმღეროდა. ამ
დროს დილის ნისლი გაიფანტა და მზემ გამოანათა და მონადირემ დაინახა, რომ იმავე
კლდეზე ტემუ იჯდა და მწვანე წვერში ეცინებოდა.

-მე ჩემი სიტყვა შევასრულე და შვილი დაგიბრუნე-უთხრა ზღვათა მბრძანებელმა.

-პატარა რატომ არის? მე დიდი მყავდა,-ჰკითხა მონადირემ.

-დიდი, მაგრამ სულელი, ნერპის ნაცვლად პატარა ვეშაპს გაეკიდა, იმ ვეშაპს, რომელშიც საცხოვრებელი მოვიწყე. მე მას ვუყვროდი, რომ თავი დაენებებინა, ის კი არ ისმენდა და სამკაპს იქნევდა და მეც დავიჭირე. როცა ვაჟს გაზრდი, უკეთესად ასწავლე! მკაცრად მოექეცი!

უცებ კლდეს ტალღა მოასკდა და უკუიქცა და ტემუ კლდეზე აღარ იჯდა.

მონადირე იურტაში შევიდა, ცოლო ჩვილს აქანავებდა და ქმარს უთხრა:-კარგია, რომ შვილი პატარა დაგვიბრუნდა, ჩემგან არსად გავეშვებ! თვალს არ მოვაცილებ, რომ არაფერი შეემთხვას.

-არა, ახლა მე გავეზრდი! როგორც კი ფეხს აიდგამს, ნადირობას მივაჩვევ. ყველაფერს ბავშვობიდან მივაჩვევ და ვასწავლი: მოთმინებასაც და გონიერებასაც.

ნეგიდალური ზღაპარი

მონადირე ხურეგელდინი და მელია სოლაკიჩანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მონადირე. მასზე მეტად ცხოველები არავის უყვარდა. ალბათ ამიტომაც ერქვა ხურეგელდინი-ტაიგის კაცი.

ის დილაუთენია დგებოდა, ტაიგაში შევიდოდა და სხვადასხვანაირად უსტვენდა. მის ხმაზე მერცხლები, ყორნები, გედები მოფრინდებოდნენ და უმეტესად ტაიგის ცხოველები მოგროვდებოდნენ: მარდი ციყვი, ცქვიტი ქრცვინი, ცბიერი სიასამური, ყურცქვიტა კურდღელი. მათ მელიები, სამურავები, ფოცხვრები და მგლები შემოუერთდებოდნენ. მძიმე ნაბიჯით მობაჯბაჯობდა დათვი, ერთი ნახტომით გაჩნდებოდა თვით ტაიგის მეფე ვეფხვი. ხურეგელდინი ცხოველებს აჭმევდა, ეფერებოდა და თავიანთ ენაზე ესაუბრებოდა. ტაიგის ბინადარნი მისი თანდასწრებით არ ჩხუბობდნენ და ასე თანხმობით ცხოვრობდა ის ტყის ბინადრებთან.

ერთხელ მან, როცა მისი საკვების მარაგი ილეოდა გაიფიქრა: „დროა ვინადირო, საჭმელი ჩემთვის არ მაქვს და ცხოველებს რითი გავუმასპინძლდები?“ ტაიგაში შევიდა და თავის მეგობრებს მოუხმო. მათაც მიირბინეს და ელოდნენ თუ რას ეტყოდათ. მან ისინი ნარტაში შეაბა, წინ რუხი მგელი დააყენა, ნარტა ოთხი თვის სამყოფი სანოვავით დატვირთა და გზას დაადგა. ცხოველებმა ნარტა წინ გააქანეს. იარეს, იარეს და დაულამდათ. ერთ ცალკე მდგომ ქოხთან შეჩერდნენ. გადაწყვიტეს ღამე გაეთიათ. უცებ მელია სოლაკიჩანი მიაუხლოვდათ და დახმარება შესთავაზა:

-ძმობილო, დაგეხმარები!

-რით დაგვეხმარები?-ჰკითხა ხურეგელდინმა.

-ცული მომეცი, შეშისთვის წავალ.

-კარგი, ახლა სწრაფად შემა მჭირდება.

მელიამ ცული აიღო და ტაიგისკენ გაიქცა. იქ დიდხანს დაყოვნდა, ხერეგელდინი უკვე მის საძებნად აპირებდა წასვლა, რომ ვიღაცის შესაბრალოსი ხმა მოესმა:

-ძმობილო?! ჩქარა, მომეხმარე! მიშველე!

ხურეგელდინი მელიის მოსაძებნად უღრანში შევიდა და თან ეძახდა:

-რა მოხდა? სად ხარ?

-აქ ვარ! შეშას ვჭრიდი და ცული ფეხში ჩავირტყი. ვაი, როგორ მტკივა!-შეეხმიანა მელია.

მონადირეს რა ექნა, აღარ იცოდა, ნადირი და მათი სისხლიც ბევრი ენახა, მაგრამ მოკეთის სისხლს პირველად უყურებდა. ფეხზე დახედა და ვერაფერი შეამჩნია.

უნდოდა ეკითხა, მაგრამ მელია კითხვას არ აცდიდა, მხოლოდ კვნესოდა:-

ხურეგელდინ! ხელში ამიყვანე და ჩქარა ნარტაზე დამაწვინე, სისხლი გამეყინა!

ხურეგელდინმა მელია ნარტაზე დააწვინა და გაიფიქრა: „ჩქარა შამანთან უნდა წავიყვანო, იქნებ გზაში მოკვდეს, მაშინ ნადირობაშიც ხელი შემეშლება!”

ხურეგელდინმა მეგობრები ნარტაში შეაბა, მელიას ნარტაზე თავის ტყავებისაგან საწოლი დაუგო, რათა თბილად და რბილად ყოფილიყო, ზემოდან ფოცხვერის ტყავი გადააფარა და გზას დაადგნენ.

მთელი დღე და ღამე იარეს. ეს გზა ხურეგელდინისთვის უცხო იყო. „სად მივდივართ? ხომ არ დავიკარგებით? -ფიქრობდა თავისთვის.

-ძმობილო! ეს ადგილები კარგად ვიცი. ჩემთვის ყველა მდინარე, მთა და წარაფი ნაცნობია! მე მკითხე ხოლმე:-უთხრა მელიამ.

მგელი წინ გაიჭრა, სხვებიც ისე მიჰყვნენ, რომ აქეთ-იქით ბუჩქებიც აღარ ჩანდა. ეჩქარებოდათ მელიას შამანთან მიყვანა. ერთ ნაკადულს მიადგნენ.

-სოლაკიჩან, რა ჰქვია ამ მდინარეს? ჰკითხა ხურეგელდინმა მელიას.

-ეს მდინარე ნასკვია!-მიუგო მელიამ და სანოვაგით სავსე აბგა გახსნა.

ნარტა ისევ გაქანდა. იარეს, იარეს და ისევ მდინარე გადაეღობათ.

-სოლაკიჩან, ეს რა მდინარეა? კიდევ ბევრი უნდა ვიაროთ?

-ეს მდინარე სათავეა!-უთხრა მელიამ, აბგიდან ხორცი ამოიღო და ჭამას შეუდგა.

ნარტა უფრო სწრაფად გაქანდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მდინარე გადაეღობათ.

ხურეგელდინმა მელიას დაუყვირა: -რა ჰქვია ამ მდინარეს?

-შუათანა ჰქვია!-მიუგო მელიამ და სანოვაგეს ნახევარი მიირთვა.

გზა ისევ გააგრძელეს და წყარო დაინახეს, რომელიც თოვლიდან ამოჩუხჩუხებდა. მონადირემ ჰკითხა: ამ წყაროს რა ჰქვია?

-მას ჯერ სახელი არ აქვს და ჭამა გააგრძელა.

შესაბმელი ქარივით მიქროდა. უკვე თენდებოდა, როცა დიდ მდინარეს მიადგნენ.

-სოლაკიჩან, რა ჰქვია ამ მდინარეს?

-ეს მდინარე ნამცეცაა.

ამ დროსთვის სანოვაგით სავსე აბგა დაცარიელებულიყო. მელიამ უკანასკნელი ნაჭერი გადაყლაპა, პირი მოილოკა, დაამთქნარა: „კარგი იქნებოდა დამესვენა.“

ცხოველები ნარტას მთელი ღამე მიაქროლებდნენ და დაიღალნენ. რუხი მგელი გაოფლიანდა, დაიღალა, გზას ბოლო არ უჩანდა. ისევ მდინარე შემოხვდათ.

-სოლაკიჩ, რა ჰქვია ამ მდინარეს?

-ამ მდინარეს ფსკერით მაჭალი ჰქვია! ცარიელი აბგა ამოაბრუნა და ზედ წამოჯდა.

-აქედან შამანამდე შორია? ცხოველები სულ დაიქანცნენ.

-შორს არ არის. თუ კარგად ვივლით, ორი დღის სავალია. მოდი ამ მდინარესთან შევისვენოთ. ძმობილო, შენ ალბათ დაიღალე, გეძინება და მოგშივდა კიდეც. ამდენი ხანია მოვდივართ და ერთხელაც არ დაგვისვენია!

„ნამდვილად ყველა დავიღალეთ, მოგვშივდა კიდეც, დროა დავისვენოთ და სული მოვითქვათ“, -გაიფიქრა ხურეგელდინმა.

-მელია, ფეხი როგორ გაქვს? გტკივა და შამანთან უნდა ვიჩქაროთ.

-არაფერია ძმობილო, მოვითმენ, უკეთესად ვარ. მოდი იურტა დავდგათ, შევისვენოთ და მერე გზა გავაგრძელოთ.

იურტა სწრაფად გაშალეს, ზემოდან არყის ხის ქერქი გადააფარეს, ქვემოთ ძირზე ირმის ტყავები დააფინეს. იურტაში რომ შევიდნენ, მელიამ ცალ-ცალკე გაიფიქრა: „რა დიდი იურტაა, ყველანი ფდავეტევით, როგორც იქნა დავისვენებთ.“ მონადირეს ძალიან გაუკვირდა, რომ ნარტიდან მელია პირველი გამოხტა და იურტაში ისე შეძვრა თითქოს ფეხი არც კი სტკიოდა.

-ხურეგელდინ, იურტაში შემოდი, ლოგინი დააგე. მე შეშისთვის გავიქცევი-მიუგო მელიამ.

-როგორ? შენ ხომ ფეხი გტკივა! სიარული გაგიჭირდება, იქნებ მეორე ფეხიც იტკინო! მერე რაღას გიშველით?

-არაფერია, ამას ნულარ გავიხსენებთ, თავს კარგად ვგრძნობ, გზაში დავისვენე და ფეხიც მომირჩა. შენ-თავს და მეგობრებს მიხედე, მგელი უკვე წევს, ვეღარ დგება, - მხიარულად მიუგო მელიამ.

-მართალი ხარ, მე საქმე აქაც მეყოფა, ცული აიღე და შეშისთვის წადი, ოღონდ მალე დაბრუნდი! ფრთხილად იყავი!

ხურეგელდინი მაშინვე საქმეს შეუდგა: ნარტას ქამრები მოხსნა, ქვაბი და ჭურჭელი გადმოიღო, თან თავისთვის ფიქრობდა: „აი, მელია შეშას მოიტანს, დიდ კოცონს დავანთებთ, ხორცს შევწვავთ, სქელ ფაფას მოვხარშავთ, თევს შამფურზე შევბოლავთ დავისვენებთ და ხვალ ისევ გზას გავიდგებით..“

მელია არსად ჩანდა. ხურეგელდინმა ხმამაღლა დაუძახა: „ეი! ეი! სოლაკიჩან! სად ხარ? გამომეხმაურე!“

მაგრამ არავინ ეპასუხებოდა. „საწყალი, იქნე დაჭრილი სადმე წევს? იქნებ კვდება.“ -

გაიფიქრა და ისევ დაუძახა:

-ეი! ეი! სოლაკიჩ!

დაბნელდა. ხურეგელდინი ტაიგაში შევიდა, უფრო და უფრო ღრმად შედიოდა, თან მელიას ეძახდა.

უცებ მელიას კვალი შეამჩნია. კვალს ეტყობოდა, რომ თითქოს ვიღაცას გაექცა. ხურეგელდინმა დიდ ხესთან ცუკლკი შენიშნა. მიხვდა, რომ მელიამ მოატყუა და დანაწებით ხმამაღლა აღმოხდა: -განა მეგობრებს ასე ექცევინა? მელია აღარ უძებნია, თავი ჩაქინდრა და უკან იურტისკენ გამობრუნდა. იქ თავისი მშვიერი მეგობრები-ტაიგის ბინადრნი ელოდებოდნენ. მან მეგობრებს მიმართა: -სანოვაგით სავსე აბგა გამოიტანეთ და გახსენით! შეშა მოიტანეთ, საჭმელი მოვხარშოთ!

ცხოველები ნარტისკენ გაიქცნენ და რას ხ ედავენ? ცარიელი აბგა ზემოდან იდო. მხვდნენ, რომ მელიამ ყველაფერი შეჭამა.

-კარგად ნახეთ! იქნებ რაიმე დარჩა! -დაუძახათ ხურეგელდინმა.

ბევრი ეძებეს მაგრამ ვერაფერი ნახეს.

-რომ მცოდნოდა, რომ ასეთი მატყუარა იყო, მოვკლავდი და მისი ტყავისაგან საგებ გავაკეთებდი, -თქვა აღშფოთებულმა ხურეგელდინმა.

უცებ მდინარეთა უცნაური სახელები გაახსენდა: ნასკვი, სათავე, შუათნა, ნამცეცა, ფსკერით მალლა. ოხ, ბოროტმა ავსულმა მშვირები დაგვტოვა! ასეთი უღრანიდან თავს როგორ დავაღწევთ? როგორ დავუჯერე! მაგრამ რაღას იზამდა? დაღამდა. ყველანი იურტაში შევიდნენ და დასაძინებლად დაწვნენ. ხურეგელდინი იწვა და ფიქრობდა: „ახლა როგორ მოვიქცეთ? უკან საცხოვრისში დავბრუნდეთ? თუ მელიას კვალს მივყვით და ტყუილისთვის დავსაჯოთ?“ ფიქრში ჩაეძინა.

დილით ხურეგელდინს გაეღვიძა, იურტიდან გამოვიდა და დაინახა, რომ ტაიგისკენ მისკენ ქალიშვილკი წამოვიდა. როცა მიუახლოვდა, ქალიშვილმა ჰკითხა:

-სად მიდიხარ? საიდან მოხვედი? ჩანს, რაღაც საქმე გაქვს.

ხურეგელდინმა მოუყვა როგორ მოატყუა მელიამ.

-სასახლემდე შორი გზა გაქვთ?

-შორია, ძალიან შორი, ისე შორს, რომ აქედან გზა ტაიგის არცერთმა ცხოველმა არ იცის.

-ამის იქეთ როგორ წავალ? სანოვაგე აღარ გაქვს. გზა არ ვიცი. ჩემს სახლამდე კი ერთი დღის სავალია, ჩემთან წავიდეთ.

სხვა გზა არ იყო, მონადირე დაეთანხმა. თავისი ტაიგელი მეგობრები ნარტაში შეაბა და სტუმრად გასწიეს. ნახევარ დღეში ქალიშვილის სახლამდე მიაღწიეს. ის ყველას გაუმასპინძლდა, დაანაყრა, მოასვენა.. დილით კი უთხრა:

-ხურეგელდინ, ჩვენს მხარეში ბევრი ნადირია, ბეწვიანიც და ხორციანოც. დღეს ინადირე და ხვალ შენ გადაწყვიტე, აქ უნდა დარჩე თუ გზა გააგრძელო.

ხურეგელდინი დაეთანხმა. ტაიგაში წავიდა და მაშინვე ცხენ-ირემი მოინადირა.

ნარტა იმდენი ნანადირევით დატვირთა, რამდენსაც წაიღებდა და ქალიშვილის სახლში დაბრუნდა.

-აბა, ხურეგელდინ, რა გადაწყვიტე? ჩემთან დარჩები თუ შენ დაბრუნდები.

ხურეგელდინმა ქალიშვილს შეხედა და ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა მასზე დაქორწინებულიყო.

ქორწილის შემდეგ ხურეგელდინი თავის მეგობრებთან ერთად აქ მხარეში დარჩა. მას მერე ტაიგაში ნადირობს, მისი ცოლი კი დიასახლისობს: სადილს ამზადებს, ტანსაცმელს და ფეხსაცმელს კერავს, ტყავი გამოჰყავს, ქარგავს, ცხოველებს უვლის. ერთხელ ცოლმა ჰკითხა:

-ხურეგელდინ, ეს ცხოველები სად ნახე და როგორ დაუმეგობრდი?

-ისინი ჩემთან თვითონ მოვიდნენ და ჩემი ერთგული მეგობრები გახდნენ. შენც შეიყვარე ისინი.

მას მერე ბედნიერად ცხოვრობდნენ.

სარჩევი

ესკიმოსური ზღაპრები:

თაგვი ვუვილტუ

ბუმბერაზი მირახპაკი

როგორ მოიპოვეს ნადირ-ფრინველმა მზე

მომღერალი კურდღელი

როგორ შეღებეს ერთმანეთი ყორანმა და ჭოტმა

იხვი და მელია

როგორ დაუბრუნა ადამიანმა ჩიტებს სიმღერა

ცნობისმოყვარე ბიჭი

ადამიანი და ყორანი

ევენკური ზღაპრები:

ადამიანი და ძაღლები

ორი ჩხართვი

დათვი და ჩალბაჩა

როგორ გახდა კარჩხანა ბრტყელი

სამურავი და მელია

ძუნწი ყრუანჩელა

ჩიტი და თაგვი

როგორ დაამარცხეს გველეშაპები

ნანაური ზღაპრები:

ორი ქალიშვილი

რატომ აღარ მეგობრობენ დათვი და ბურუნდუკი

ბაყაყი და ცხენ-ირემი

დათვი და მელია

ყველაზე ძლიერი

ხის ჩაქუჩი

აიოგა

ნენეური ზღაპრები:

კვერი

სამი ვაჟი

ლურჯი მოცვი

ორი დათვი

მელია, ჩიტი და ყორანი
გუგული
ჩუკოტური ზღაპრები:
ერმეჩინ დევგმირი
თრიალა კურდღელი
ძილისგუდა დათვი
ყორანი ველვიმტილინი
როგორ წააჩხუბა ყარასაღმა ყვავი თეთრ დათვს
ყოვლისშემძლე კატეგირგინი
უქნარა
გადაზამი
ბისერი და ძაფი
ვეფხვი და ადამიანი
ბურიატული ზღაპრები:
როგორ იპოვა ძაღლმა მეგობარი
როგორ გადაიკარგნენ ლომები ციმბირიდან
ქათამი და კატა
მერცხალი და კოლო
იტელმენური ზღაპრები:
რატომ აქვს ყვავს გრძელი კუდი
პოლარული ბატის ჭუკი
ყორანი, კუთხი და გორბუშა
ყორანი კუთხი ზღვის სამეფოს ბინადრებთან
ნივხური ზღაპრები:
დათვი და ბურუნდუკი
თეთრი ნერპა
მონადირე და ვეფხვი
საამური ზღაპრები:
მზის საცოლე
მზეთუნახავი კატერინა
ტალა-დათვი და დიდი ჯადოქარი
ტოფალარული ზღაპრები:
უკვდავი ადამიანები და ცოცხალი წყალი
როგორ დასაჯეს დათვი
კორიაკული ზღაპრები:
ცბიერი მელია
ყორანი

მანსური ზღაპრები:

რატომ აქვს კურდღელს გრძელი ყურები

ბაჭია

ამაყი ირემი

ხანტური ზღაპრები:

იმი-ხიტი და ვოშინგ-ურტი

იდე

კარელიური ზღაპრები:

არყის ხის წვენი

ხიისის ხელსაფრქვავე

ნენეცური ზღაპრები:

ბერიკაცი და მისი ქალიშვილები

ბატონი და მოჯამაგირე

კეტური ზღაპრები:

ალბა და ხოსიადამი

პატარა ჩიტი

ულჩური ზღაპრები:

მირგი

ობოლო მანგა და მზეთუნახავი კისი

დოლგანური ზღაპრები:

აისი

მოხუცი მეთევზე და ყორანი

სელკუპური ზღაპარი:

ცეცხლის ქალბატონი

იაკუტური ზღაპარი:

მგელი და ცხენი

ევენკიური ზღაპარი:

საზრიანი მსროლელი

შორიული ზღაპარი:

როგორ მოიპოვებდნენ ფრინველები ცეცხლს

ალეოტური ზღაპარი:

ქალი-მელია

კერეკიული ზღაპარი:

მელია და ყორანი

ნგანასანური ზღაპარი:

ბერიკაცი და წივწივა

ჩუქჩური ზღაპარი:

გოგონა და მთვარე

იაკაგირული ზღაპარი:

სხვისი ურასა

ენეური ზღაპარი:

ბარუჩი

ოროკიული ზღაპარი:

გეოხატუ

ოროჩული ზღაპარი:

ზღვისპირეთის საუკეთესო ზღაპარი

ნიგიდალური ზღაპარი:

მონადირე ხურეგელდინი და მელია სოლაკიჩანი